

შოთა შოშიაშვილი



ბანი ყუთფილვანით!
ბანი ვიქნებოთ?

შოთა შოშიაშვილი

ჩანი ვყოფილვართ!

...

ჩანი ვიქნებით?

გამომცემლობა „ნეკერი“
თბილისი 2015

UDC (უაკ)908(=353.1) შ-846

წიგნში განხილულია ქართველი ხალხის წინაპრების წარმოშობისა და განსახლების საკითხები. ქართული ენის, დამწერლობის, ჰემატრიის, კალენდრის, ქართველთა ქრისტიანობამდელი და მართლმადიდებლური რელიგიების, გლობალიზაციისა და სხვა საკითხები. წიგნი შედგება ათი ურთიერთდამოუკიდებელი, თუმცა თემატურად ურთიერთდაკავშირებული თავისაგან. საკითხები განხილულია მარტივი და არასპეციალისტისათვის მისაწვდომ ენაზე. წიგნი განკუთვნილია მოსწავლე ახალგაზრდებისათვის, სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტებისათვისა და ქართველთა წინაპრების ისტორიითა და კულტურით დაინტერესებული მკითხველთა ფართო წრისათვის.

ყდის დიზაინერი: გიორგი ბაგრატიონი

კომპუტერული უბრუნველყოფა და დაკაბადონება: ლ. შოშიაშვილი

კორექტორი: ნ. ქვაჩახია

საგამოცემლო ჯგუფი:

ნ. კალანდაძე

ი. მარგველაშვილი

ნ. ჩავლეიშვილი

გარეკანის პირველ გვერდზე: „საყდრისის“ გორის სურათი აფეთქებამდე.

ფონტები: „BPG Nino Elite 2013“, „BPG Ckoni“, „DeJavu Serif“, „BPG Lia“
<https://bpgfonts.wordpress.com>

საავტორო უფლება © შოთა შოშიაშვილი, 2015

გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2015

ISBN 978-9941-0-8373-0

წინასიტყვაობა

უაღრესად საინტერესოა გარკვევა იმისა, თუ რას წარმოადგენს ადამიანი და რაში მდგომარეობს მისი ფუნქცია-დანიშნულება საკუთარი ქვეყნის, კაცობრიობისა და ღმერთის წინაშე. ამისთვის მომიხდა მთელი კოსმიური სამყაროს მიკროსტრუქტურის და მაკროსტრუქტურის, მისი წარსულისა და მომავლის შესწავლა თეოსოფიური მიდგომით, რომელიც გულისხმობს სამყაროს შესწავლას, როგორც მეცნიერული და ფილოსოფიური (რაციონალური), ისე თეოლოგიური (მისტიკურ-ეზოთერული) თვალსაზრისით. დასახული მიზნის მისაღწევად, შესაძლებლობის ფარგლებში, გავეცანი სხვადასხვა სახის, როგორც მეცნიერულ და ფილოსოფიურ, ისე ოკულტისტურ და თეოლოგიურ ლიტერატურას. მიღებული ცოდნის ურთიერთ შეჯერების საფუძველზე მივედი დასკვნამდე, რომ თეოსოფიური გადმოსახედიდან: კოსმიური სამყარო, ფართო გაგებით, მატერიის ხილულ და უხილავ ფორმათა ჩათვლით, უსასრულო და მარადიულია სივრცე-დროის თვალსაზრისით. იგი წარმოადგენს თვითრეგულირებად და ევოლუციურად თვითგანვითარებად, ცოცხალ, გონიერ, ცნობიერ და სულიერ უსრულყოფილეს არსებას. მის ფუნდამენტურ თვისებას წარმოადგენს დაუოკებელი სწრაფვა აბსოლუტური სრულყოფისაკენ. ამ მიზნით, ის მიზანშეწონილად ბადებს აღქმად, სასრულო, უნიკალურ სამგანზომილებიან კოსმოსურ სამყაროს ადამიანის ჩათვლით. ყოველი ადამიანის ძირითადი ფუნქცია-დანიშნულებაა, თავისი გონიერი და შემოქმედებითი შრომის მეშვეობით **მიეხმაროს თავისივე წარმომქმნელ კოსმიურ სამყაროს აბსოლუტური სრულყოფილებისაკენ სწრაფვაში**. მიღებული შედეგები და დასკვნები გამოვაქვეყნე წიგნების სახით: „კოსმიური სამყაროსა და სულის უკვდავების შესახებ“ (2003 წ.), „სამყარო, მეცნიერება, რელიგია“ (2008 წ.) და „კოსმიური სამყარო თეოსოფიური გადმოსახედიდან“ (წიგნი I და წიგნი II სახით 2012 წ.).

მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა, თუ რას წარმოადგენს კერძოდ ქართველი ადამიანის ფუნქცია-დანიშნულება ჩვენი ერის, ქვეყნის, სრულიად კაცობრიობისა და უმაღლესი შემოქმედის წინაშე. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა ვიცოდეთ, თუ დასაბმიდან, რას წარმოადგენდა ქართველი ერის წინაპარი, რა ფუნქციას ასრულებდა, და აქედან გამომდინარე, რა ფუნქცია-დანიშნულება შეიძლება ეკისრებოდეს მას მომავალში. ამ ურთულესი საკითხების გარკვევის შემდეგ შესაძლებელი იქნება ვიფიქროთ, თუ რა უნდა აკეთოს ჩვენი ქვეყნის თითოეულმა მოქალაქემ და ქართველმა ხალხმა ამჟამინდელ პირობებში.

მიუხედავად იმისა, რომ მე არც ისტორიკოსი, არც ფილოლოგი, არც ენათმეცნიერი, არც დამწერლობათმცოდნე, არც თეოლოგი და არც პოლიტიკოსი არ გახლავართ, შევეცადე, როგორც რიგითი ქართველი ფიზიკოსი, შესაძლებლობის ფარგლებში, გავცნობოდი, როგორც ძველ, ისე ამჟამინდელ ლიტერატურას ქართველთა წინაპრების წარმოშობისა და განსახლების საკითხების შესახებ. აგრეთვე მათი რელიგიური შეხედულებების, ენის, დამწერლობის, ჰემატრიის, კალენდრის და სხვა საკითხების შესახებ.

გაცნობილი ინფორმაციული მასალა წარმოვადგინე წინამდებარე წიგნის სახით.

წიგნი არ წარმოადგენს მეცნიერულ მონოგრაფიას. მისი მიზანია მოსწავლე ახალგაზრდობას, სტუდენტებსა და, ზემოხსენებული საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრეს მოკლედ გააცნოს ქართველთა წინაპრების წარმომავლობისა და განსახლების, უძველესი ისტორიის, ენის, დამწერლობისა და კულტურის სხვა საკითხები.

ულრმეს მადლობას ვუცხადებ რესპუბლიკის დამსახურებულ ინჟინერ-მშენებელსა და გამომგონებელს ავთო შენგელიას ხელნაწერის წაკითხვისა და მნიშვნელოვანი შენიშვნებისათვის. დიდ მადლობას ვუცხადებ ლევან შოშიაშვილს წიგნის კომპუტერული უზრუნველყოფისა და დაკაბადონებისათვის.

ავტორი 1 სექტემბერი, 2015 წ.



წიგნი ეძღვნება
ზაზა შოშიაშვილის (1973-1993)
ნათელ ხსოვნას

შესავალი

მსოფლიო ისტორიაში პნოგნესი მხოლოდ
კავკასიის წასის წყალობით ხდებოდა.

ჰეგელი

ადამიანი, როგორც გონიერი არსება, გამოიჩინება დაუოკებელი სწრაფვით სამყაროს იდუმალების, მშვენიერების, ჭეშმარიტებისა და სიკეთის შემეცნებისაკენ, რაც ზოგადად მის სულიერებაში მჟღავნდება.

ადამიანის, როგორც დამკვირვებლის მიღმა, არებობს ობიექტურად არსებული რეალობა — გარე სამყარო, საგნებისა და მოვლენების სახით.

გარე სამყაროს შესაცნობად, ადამიანს, როგორც დამკვირვებელ სუბიექტს, გააჩნია სენსორული გრძნობის ორგანოები: თვალის (ხედვა), ყურის (სმენა), ენის (გემო), ცხვირისა (ყნოსვა) და კანის (სითბოს, სირბილის შეგრძნება) სახით. სენსორული გრძნობის ორგანოების გაგრძელებად შეიძლება მივიჩნიოთ ადამიანის მიერ შექმნილი დაკვირვების ხელსაწყო-დანადგარები.

ადამიან-დამკვირვებლის მიღმა ობიექტურად არსებული საგნები და მოვლენები აღიქმებიან სენსორული გრძნობის ორგანოებით. მაგრამ საგნებსა და მოვლენებს ახასიათებთ ისეთი თვისებებიც, რომლებიც ვერ აღიქმებიან სენსორული ორგანოების საშუალებით. ასეთ თვისებებსა და ისეთ ფენომენებს, როგორცაა: სილამაზე, მშვენიერება, ჰარმონია, სიკეთე, სულიერება და სხვ. ადამიანი აღიქვამს ინტუიციის მეშვეობით. ინტუიციური გრძნობის ორგანობად შეიძლება მივიჩნიოთ თავის ტვინი („გონის თვალი“) და გული („გულისყური“).

ყველაშთვის ცხადია, რომ ბევრი ბუნებრივი საგანი (მცენარე, ცხოველი და ადამიანი) და თვით კოსმოსური სამყარო, ხასიათდება უნიკალურობით, ჰარმონიულობითა და „კოსმიური იდუმა-

ლებით“. გაირკვა, რომ „კოსმიურ იდუმალებაში“ დამარხული ჭეშმარიტების შემეცნება შესაძლებელია აზროვნების სამი ფორმით: ცნებით-რაციონალური, სახიერ-ინტუიციური და სიმბოლურ-მისტიკური (ეზოთერული) აზროვნებით.

დადგინდა, რომ სამყაროს სრულყოფილი შემეცნებისათვის აუცილებელია კაცობრიობის მიერ ზემოხსენებული აზროვნების სამივე ფორმით დაგროვილი ერთიანი ცოდნის გამოყენება, რომელსაც შეიძლება **თეოსოფიური** ცოდნა ვუწოდოთ.

ამჟამინდელი დაგროვილი ცოდნის მიხედვით შეიძლება ითქვას:

1. ჩვენი გრძნობად-კოსმოსური სამგანზომილებიანი სამყარო წარმოიქმნა 14 მილიარდი წლის წინ 11-განზომილებიან კოსმიურ სამყაროში ათგანზომილებიანი სივრცე-დროითი უმცირესი ზომისა და უდიდესი სიმკვრივის მქონე ბუშტულაკის სახით, რომელმაც განიცადა დიდი აფეთქება. მისმა სამმა განზომილებამ მყისიერად დაიწყო გაფართოება და ახლაც ფართოვდება.
2. ჩვენი 3-განზომილებიანი კოსმოსური სამყაროს მეცნიერულად შემეცნებადი, აღქმადი ნაწილი შემოსაზღვრულია $1.25 \cdot 10^{28}$ სმ -ს ზომის რადიუსით.
3. თანამედროვე, ე.წ. M თეორიის მიხედვით, 11-განზომილებიანი კოსმიური სამყაროს დრო და სივრცე არსებობდა დიდ აფეთქებამდევ, ახლაც არსებობს და მომავალშიც მარადიულად იარსებებს. ხოლო ჩვენი 3-განზომილებიანი, გრძნობად კოსმოსური სამყაროს ნივთიერ-მატერიალურმა ნაწილმა, ევოლუციური განვითარებით მარტივიდან რთულისაკენ, მიაღწია ამჟამინდელ მდგომარეობას, რომელსაც მომავალში ელის „დაშლა-გაცამტვერება“.
4. დადგენილია, რომ ჩვენი გრძნობად-კონკრეტული სამყარო ხასიათდება უნიკალური თვისებებით: მდგრადობით, წესრიგით, რაციონალურობით, ჰარმონიულობითა და მთლიანობით, რაც განპირობებულია მარტივი ფიზიკური კანონებით. მაგრამ ფიზიკის კანონები განსაზღვრავენ შესასწავლი ობიექტების ქცევას მხოლოდ სრულიად განსაზღვრულ სა-

წყის პირობებში, რომლებიც ბუნების კანონებით არ განისაზღვრება. ბუნების კანონები მეცნიერებით განისაზღვრება, ხოლო საწყისი პირობები პრინციპულად მეცნიერების გარეთაა. ისინი, სამყაროს გაჩენის მომენტში, მასში გარედან, კოსმიური გონის მიერ განისაზღვრებიან. დადგენილ იქნა, რომ სამყარო განსაკუთრებულად მგრძობიარეა და კრიტიკულადაა დამოკიდებული ე.წ. კოსმოსური ფუნდამენტური მუდმივების რიცხვითი მნიშვნელობების მიმართ. მათი არსებობითაა განპირობებული სიცოცხლის არსებობა ჩვენს ალქმად, 3-განზომილებიან სამყაროში.

5. მინერალური სამყაროს მდგრადობას განაპირობებს 4 ფუნდამენტური ძალა: გრავიტაციული, ელექტრომაგნიტური, ძლიერი და სუსტი, რომლებიც სავსებით აუცილებელი და საკმარისია, რომ მასში წარმოქმნილიყო ურთულესი ნივთიერ-მატერიალური სტრუქტურები. აღმოჩნდა, რომ ცოცხალი მატერიის სპეციფიკური თვისებები ვერ აიხსნება მარტო მატერიალური ძალებისა (4 ფუნდამენტური ძალის) და სამყაროს მუდმივების რიცხვითი მნიშვნელობების საფუძველზე. აქ გარკვეულ როლს უნდა ასრულებდნენ გონინფორმაციული და სულიერი ბუნების ძალებიც. ცოცხალი მატერიისა და სიცოცხლის თავისებურებანი მიუთითებენ სულიერი სამყაროსა და უმაღლესი გონის არსებობაზე, რომელიც ჩვენ დროში მჟღავნდება ცოცხალი მატერიის არსებობის ფორმით, კვებითა და გამრავლებით. ფიზიკური სამყაროს შემსწავლელი მეცნიერებანი: მექანიკა, ოპტიკა, ელექტრომაგნიტიზმი, ატომური და ბირთვული ფიზიკა, მაღალი ენერჯიების ფიზიკა, ასტროფიზიკა, ასტრონომია, კოსმოლოგია და სხვა, სრულ ურთიერთთანხმობაში იმყოფებიან და თავისი ერთობით სამყაროს ჰარმონიას ასახავენ. ბუნებრივი ძალების მოწესრიგებულობა, ურთიერთჰარმონია და კოსმოლოგიური დიზაინი სასწაულს ჰგავს. მოწესრიგებული, დიზაინირებული სამყაროს არსებობა გამორიცხავს მის შემთხვევით წარმოშობას. კოსმოლოგიურ დიზაინში აშკრად ჩანს მიზანშეწონილობა, რადგანაც ნებისმიერ დიზაინს მიზ-

ნობრივი ხასიათი აქვს. სამყაროს ჰარმონიულობაცა და დიზანინიც რაღაც მიზანს უნდა ემსახურებოდეს. სხვანაირად მას აზრი ეკარგება.

6. აღმოჩნდა, რომ უზარმაზარი სხვაობაა ორგანიზმის ქრომოსომებში მოთავსებულ ინფორმაციასა და იმ ინფორმაციის გიგანტურ რაოდენობას შორის, რომელიც საჭიროა ჩანასახის გადასაქცევად ზრდასრულ ორგანიზმად. საიდან ჩნდება ორგანიზმში ასეთი განსხვავებული ინფორმაცია, როცა ცოცხალი ორგანიზმის ჩანასახი შეიცავს მხოლოდ აუცილებელ ინფორმაციას ემბრიონის განვითარების ინციტებისათვის? მისი შემდგომი ფორმირება ზრდასრულ ორგანიზმად ხორციელდება ეტაპობრივად, მასში ინფორმაციის დოზის თანდათანობითი შეტანით „კოსმიური გონიდან“. კოსმიურ გონში არსებობს რეალურად არსებული ყოველი სხეულის „ინფორმაციული ასახვა“. ჩვენი ყოფის ყველა ობიექტი, მათი თვისებები და მათში მოქმედი ფიზიკური კანონები შექმნილია ინფორმაციულად, წარმოადგენს გლობალური ინფორმაციული პირველსაფუძველში არსებულის ნაწილს და იმართება შესაბამისი ინტელექტუალური სუბიექტით.
7. ჩვენს 3-განზომილებიან ევოლუციურად განვითარებად, ჰარმონიულად, მიზნობრივად და ლოგიკურად მოწყობილ სამყაროს ოდესღაც დაღუპვა და გაცამტვერება ელის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აზრი ეკარგება ადამიანის არსებობასა და მის შემოქმედებით მოღვაწეობას, რაც არალოგიკურია და ძნელად დასაჯერებელი, რადგანაც ეწინააღმდეგება ჭეშმარიტებას. ამ მდგომარეობიდან გამოსავალი მდგომარეობს შემდეგ დაშვებაში:
 - ცივილიზაციის განადგურების შემდეგ არსებული ცივილიზაციის განვითარების შესაბამისი დონის სტრუქტურების შესაბამისი ინფორმაცია ინახება მატერიის გარკვეული უჩინარი ფორმის სტრუქტურების მეშვეობით.
 - აუცილებელია, რომ ხელახლა წარმოიქმნას ახალი კოს-

მოსური სამყარო შესაბამისი ახალი ცივილიზაციის წარმოსაშობად, ადრინდელი სამყაროს ცივილიზაციის შესატყვისი ინფორმაციის გამოყენებით.

ამიტომ, სავსებით შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ ჩვენი სამყაროს „გაცამტვერების“ შემდეგ, ფიზიკურ ვაკუუმში ხელახლა დაიბადოს ჩვენი სამყაროს მსგავსი ახალი სამყარო, და წინამორბედი სამყაროს სტრუქტურულობის შესაბამისი შენახული ინფორმაციის (კოსმიური გონი) გამოყენებით, მან განვითარების ისეთი გზა გაიაროს, რომელიც მსგავსი იქნება თავის დროზე ჩვენი სამყაროს მიერ განვლილი გზისა. ლოგიკურია აგრეთვე ვიფიქროთ, რომ ჩვენი სამყაროს წარმოქმნამდეც არსებულიყო მისი მსგავსი, მისი წინამორბედი სამყარო, რომელიც განვითარების გარკვეული ფაზის გავლის შემდეგ დაიშალა და უსასრულოდ გაფართოების შედეგად გარდაიქმნა უსასრულო ფიზიკურ ვაკუუმად. ამრიგად, მივედით ციკლური სამყაროს არსებობამდე, რომელშიც პროცესი ვითარდება უსასრულო წარსულიდან, აქმყოს (ამჟამინდელი ჩვენი სამყაროს) გავლით, მომავლისაკენ, კოსმიური სამყაროს აბსოლუტურ სრულყოფამდე, რაც მხოლოდ უსასრულო მომავალში მიიღწევა.

8. ამჟამინდელმა, ოფიციალურად მიღებულმა, M-თეორიამ შეიძლება ახსნას ყველაფერი მატერიალური სამყაროს თვალსაზრისით, მაგრამ იგი ვერ იძლევა პასუხს კითხვებზე სიცოცხლის წარმოქმნასა და ადამიანის დანიშნულების შესახებ. ამისთვის აუცილებელია ადამიანის გონიერებისა და სულიერების გათვალისწინება ერთიანი სამყაროსეული მთელის ფარგლებში. შეიძლება ითქვას, რომ თეოსოფიური გადმოსახედიდან, 11-განზომილებიანი კოსმიური სამყარო წარმოადგენს მარადიულ და უსასრულო, თვითკმარ, ორგანულ, გონიერ, სულიერ და თვითშემეცნებად ცოცხალ ორგანიზმს, რომელიც განიცდის განუწყვეტელ ევოლუციურ სწრაფვას აბსოლუტური სრულყოფისაკენ. ყოველივე ეს შეიძლება აიხსნას შემდეგი კოსმიური პრინციპით:

11-განზომილებიანი კოსმიური სამყარო, ფართო გაგებით

თავის თავში შეიცავს მატერიის, როგორც აღქმად, ისე „უჩინარ“ ფორმებს. ის წარმოადგენს ჰარმონიულ, უსასრულო, თვითკმარ, თვითშემცნებად სისტემას, რომელიც თავის თავში პოტენციურად შეიცავს ყველაფერს — ენერჯიასა და ინფორმაციას (კოსმიური გონის სახით).

ის თავის თავში, აბსოლუტური სრულყოფისაკენ ევოლუციურად განვითარების მიზნით, მიზანშეწონილად ციკლიურად ბადებს ჩვენი გრძნობადკოსმოსური სამყაროს მსგავს სამყაროებს ისეთი თვისებებით, რომ მასში, ევოლუციური განვითარების გარკვეულ საფეხურზე, გაჩნდეს გონიერი და შემოქმედების უნარის მქონე დამკვირვებელი, ადამიანის სახით.

ადამიანის ძირითად ფუნქციას არა მარტო არსებობა და გადარჩენა წარმოადგენს, არამედ თავისი შემოქმედებით, გარკვეული წვლილის შეტანაც თავისივე დამბადებელი კოსმიური გონის (სამყაროს შემოქმედი ღმერთის) ევოლუციურ განვითარებაში აბსოლუტური სრულყოფისაკენ.

9. ჩვენი გრძნობად-კოსმოსური 3-განზომილებიანი სამყარო მიზნობრივად წარმოიქმნა, შემოქმედების უნარის მქონე, უსასრულო და მარადიულ 11-განზომილებიან კოსმიურ სამყაროში, 10-განზომილებიანი ბუმტულაკის სახით, ისეთი სპეციფიკური საწყისი პირობებით, რომ 14×10^9 წლის ევოლუციური განვითარების შედეგად მიეღწია ამჟამინდელი მდგომარეობისათვის. დიდი აფეთქების ინფლაციური გაფართოების თეორიისა და უაზლესი M-თეორიის მიხედვით გრძნობადკოსმოსურმა სამყარომ გაიარა განვითარების შემდეგი ეტაპები:

1. 0 წმ, — ნულოვანი ეტაპი;
2. 10^{-43} წმ, — აქტი სამყაროს წარმოქმნისა;
3. 10^{-38} – 10^{-36} წმ, — ინფლაციური გაფართოების ეპოქა;
4. 10^{-36} წმ, — კვარკებისა და ლეპტონების წარმოშობის ეპოქა;
5. 10^{-12} წმ, — ნივთიერი ნაწილაკების გამოყოფა;

6. 10^{-5} წმ, — პროტონებისა და ნეიტრონების ფორმირების ეპოქა;
7. $10^{-3} - 10^2$ წმ, — ჰელიუმის ბირთვების ფორმირება;
8. 3×10^5 წუთი, — პირველი მსუბუქი ატომების გაჩენა;
9. 4×10^5 წუთი, — მოხდა სამყაროს გასწივოსნება ფიზიკური თვალსაზრისით;
10. 3×10^5 წელი, — გალაქტიკების ფორმირება, ვარსკვლავების წარმოქმნა;
11. 4.5×10^9 წელი, — მზის სისტემის წარმოქმნა;
12. 4.6×10^9 წელი, — დედამიწის ფორმირება;
13. 14×10^9 წელი, — ამჟამინდელი კოსმოსური სამყარო.

ნივთიერ-მინერალური სამყაროსათვის ამ ფაზების გაგლისათვის აუცილებელი და სავსებით საკმარისი იყო უნიკალური საწყისი პირობებისა და უნივერსალური ფიზიკური კანონების არსებობა. მაგრამ ისინი, კოსმოსური სამყაროს შემეცნებადი ნაწილის დროსა და სივრცეში შემოსაზღვრულობის გამო, არ არიან საკმარისნი დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობისათვის გარედან გონინფორმაციული ჩარევის გარეშე.

10. დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობა შეიძლება დავეყთ ეტაპებად, რომელთა დასაწყისს ადგილი ჰქონდა დაახლოებით შემდეგი წლების წინ:

სიცოცხლის პირველი ჩანასახები	3,5 მილიარდი წელი
პირველი ბაქტერიები	2,5 მილიარდი წელი
მედუზები, ზღვის ზღარბები	1 მილიარდი წელი
მრავალუჯრედიანთა წარმოშობა	700 მილიონი წელი
თევზები	400 მილიონი წელი
ამფიბიები	300 მილიონი წელი
გიგანტი ქვეწარმავლები	100 მილიონი წელი
ძუძუმწოვრები	30 მილიონი წელი
ადამიანის მსგავსი არსება	2 მილიონი წელი
ნეანდერტალელი ადამიანი	10^5 წელი
მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის დასაწყისი	10^4 წელი

აშკარაა, რომ მინერალურ სამყაროში ნათლად ჩანს მაკროსისტემების თანდათანობითი წარმოქმნა და განვითარება მარტივიდან რთულისაკენ.

რაც შეეხება ცოცხალი ბუნების ევოლუციურობას, ის ემყარება ჩ. დარვინის მიერ წარმოდგენილ თეორიას ცოცხალი ბუნების ევოლუციური (მარტივიდან რთულისაკენ) განვითარების შესახებ. მაგრამ მტკიცდება, რომ:

- ნამარხი ნარჩენები მხოლოდ იმაზე მიუთითებენ, რომ ცვალებადობა საკმაოდ დიდ დიაპაზონში შეიძლება მოხდეს მარტო ერთი ტიპის (სახის) ფარგლებში.
- არ არსებობენ შუალედური ფორმები არც თევზებსა და ფრინველებს, და არც მაიმუნებსა და ადამიანებს შორის.
- ყველა ძირითადი ტიპი თავიდანვე ფლობდა მისთვის დამახასიათებელი ფორმირების ნიშნებს.
- არსებული საზღვრები, ძირითად ნამარხ ტიპებს შორის თანხვდება შესაბამის საზღვრებს ამჟამინდელ ბუნებაში.
- ადამიანი უნატიფეს ცხოველს კი არ წარმოადგენს, არამედ იგი არის სავსებით განსაკუთრებული არსება ისეთი თვისებებით, რომლებიც არ შეიძლება განვითარებულიყო თანდათანობით.

გარდა ამისა, ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ არავითარი გადარჩევით არ შეიძლება ახალი თვითგანვითარებადი სახეობის შექმნა (შესაძლებელია მხოლოდ ძველის გაუმჯობესება). აღმოჩნდა, რომ, თუ დაბალ დონეზე მართლაც არის ცვლილება, რომელმაც შეიძლება მოგვცეს ერთი და იმავე სახეობის სხვადასხვა ჯიშები, უფრო მაღალ დონეზე ცვალებადობა, უბრალოდ, დაუშვებელია, რადგან ის, მყისვე იწვევს ერთმანეთთან უზუსტესად მისადაგებული სტრუქტურული და ფუნქციური მექანიზმის მოშლას.

მტკიცდება, რომ კოსმოსურ სამყაროში, მისი დროსა და სივრცეში სასრულობის გამო, შეუძლებელია ცოცხალი ორგანიზმების შემთხვევით წარმოშობა (გარედან დახმარების გარეშე) მათი უაღრესად რთული სტრუქტურულობის გამოცხადებით.

ამიტომ, ცოცხალი ორგანიზმების მოლვეკულები სპონტანურად ვერ წარმოიშობიან, რის გამოც ისინი იქმნებიან მხოლოდ ცოცხალი ორგანიზმების საშუალებით. ცოცხალი უჯრედის წარმოსაქმნელად აუცილებელია, რომ ერთდროულად წარმოიქმნას ათასობით ურთულესი მოლვეკულა სამშენებლო და გენეტიკური მასალის სახით. თითოეული მათგანიც შემთხვევით უნდა წარმოიქმნას, რისი ალბათობაც თითქმის ნულის ტოლია.

წინასწარ უნდა არსებობდეს ინფორმაცია – პროგრამა სათანადო დანიშნულების მოლვეკულის ასაშენებლად.

წინასწარ უნდა არსებობდეს სათანადო მექანიზმი ენერჯის ათვისებისა და სათანადო მიმართულებით გადამუშავებისათვის.

წინასწარ უნდა შემუშავდეს ნარჩენების გამოყოფის მექანიზმი.

ცოცხალი ორგანიზმის პირველი ჩანასახი დასაწყისშივე უნდა ფლობდეს თვითწარმოქმნის მექანიზმს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მაშინვე დაიღუპება.

ყოველივე ეს შეუძლებელია შემთხვევით განხორციელებულიყო შეზღუდულ სივრცე-დროში.

ამრიგად, ცოცხალი ბუნებისა და ცოცხალი ორგანიზმების წარმოქმნა წარმოუდგენელია გარედან ჩარევისა და წინასწარი გეგმის – პროგრამის გარეშე.

მაშინ, როგორ შეიქმნა ცოცხალი სისტემა ჩვენი სამყაროს დასაწყისში, როცა სიცოცხლის ნატამალიც არ არსებობდა?

ცოცხალი ბუნების სრული ევოლუციურობა, ანუ მარტივი ფორმებიდან რთული ფორმების წარმოქმნა, როგორც მინერალურ, ისე ცოცხალ ბუნებაში დასაშვებად მაინც მიგვაჩნია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოვიდგენთ, რომ ჩვენი გრძნობად-კოსმოსური სამყაროს მსგავსი სამყაროები, შესაძლებელია ციკლურად, უსასრულო რაოდენობით, უსასრულო დროის განმავლობაში, წარმოიქმნა, და გარკვეული ევოლუციური განვითარების შემდეგ – დაიშალა, მაგრამ თითოეულ ციკლში, ევოლუციის შედეგად სტრუქტურული წყობის შესახებ მიღწეული ინფორმაცია შეინახა კოსმიურ გონში, სისტემის (სხეულის) ინფორმაციული ასახვის სახით. ასეთი წარმოდგენით, ერთი მხრივ, შესაძლებელია სრული ევოლუციურობაც, ხოლო, მეორე მხრივ, **შემოქმედის**

არსებობის დაშვებაც (უჩინარი *კოსმიური გონის* სახით), რომელიც თავის უმნიშვნელოვანეს – შემოქმედის როლს ასრულებს ყოველი ახალი ციკლის დაწყებისას.

ამრიგად, ლოგიკურად შესაძლებელია იმის დაშვება, რომ ერთდროულად ადგილი აქვს *კოსმიურ ევოლუციურობასაც* და *შემოქმედის* არსებობასაც.¹

შესაბამისად, ლოგიკურად სავსებით შესაძლებელია დავუშვათ, რომ ჩვენი უნიკალური, ჰარმონიულად და მიზნობრივად მოწყობილი კოსმოსური სამყაროს წარმოშობამდე, არსებობდა 11-განზომილებიანი უსრულყოფილესი კოსმიური სამყარო, კოსმიური გონითა და კოსმიური ცნობიერებით. მან, 14 მილიარდი წლის წინ, თავისი აბსოლუტური სრულყოფილებისაკენ განვითარების მიზნით, წარმოქმნა 3-განზომილებიანი კოსმოსური სამყარო ისეთი საწყისი პირობებით და ფიზიკური კანონებით, რომ მასში გაჩენილიყო ამჟამინდელი მინერალური სამყარო, სიცოცხლე და ადამიანი, კოსმიურ გონში უკვე არსებული ინფორმაციის გამოყენებითა და დახმარებით.

შესწავლილი მასალის ურთიერთშეჯერების საფუძველზე, მივედი დასკვნამდე, რომ თუ მატერიის ქვეშ ვიგულისხმებთ არა მარტო იმ ობიექტურ რეალობას, რომელიც შეგვრძნებაში გვეძლევა, არამედ იმასაც, რომელიც აღქმაში არ გვეძლევა, მაშინ შესაძლებელია, რომ ერთიანი კოსმიური სამყარო იყოს უსასრულო და მარადიული სივრცესა და დროში. **ამ შემთხვევაში, მთელი** კოსმიური სამყარო, თეოსოფიური გადმოსახედიდან, წარმოადგენს თვითკმარ, ორგანულ, გონიერ, ცნობიერების მქონე, სულიერ, უსრულყოფილეს, თვითშემეცნებად ორგანიზმს, რომელიც ევოლუციურად, განუწყვეტლივ ვითარება **აბსოლუტური სრულყოფისაკენ**.

ამ მიზნის მისაღწევად კოსმირი სამყარო წამოშობს გონიერ და თავისუფალ შემოქმედების უნარის მქონე ადამიანს, რომლის ფუნქცია-დანიშნულება, კაცობრიობისა და კოსმიური სამყა-

¹ ტელევიზორით გადმოსცეს ცნობა, რომ ამერიკელმა მეცნიერებმა ექსპერიმენტულად დაადასტურეს ადამიანის მე-6 გრძნობისა და კოსმიური — გლობალური ცნობიერების არსებობის შესახებ, რომლის კვლევა ამჟამადაც მიმდინარეობს ოფიციალური მეცნიერების მიერ.

როს წინაშე, მდგომარეობს შემოქმედებითი შრომით გარკვეული წვლილი შეიტანოს თავისივე დამბადებლის სწრაფვაში აბსოლუტური სრულყოფისაკენ.

ყოველი ზემოთქმული ჩვენს მიერ გამოქვეყნებულია წიგნების სახით: „სამყარო მეცნიერება რელიგია“ [26] და „კოსმიური სამყარო თეოსოფიური გადმოსახედიდან“ ([27, 28]).

მაგრამ ისმის კითხვა: რას წარმოადგენს და რა ფუნქცია აკისრია კერძოდ ქართველ ადამიანს და ქართველ ერს კაცობრიობისა და უზენაესი „შემოქმედის“ წინაშე?

ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად, შეძლებისდაგვარად გავეცანი სწავლას სხვის ლიტერატურას და მიღებული ინფორმაცია, დაინტერესებული მკითხველის წინაშე, წარმოვადგინე წინამდებარე წიგნის სახით.

საუკუნეზე მეტი დრო გავიდა მას შემდეგ, ოდეს **ილია ჭავჭავაძემ** 1887 წლის საახალწლო წერილში — „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“ ყურადღება გაამახვილა, იმდროინდელი საქართველოსათვის მეტად საჭირო, შემდეგ საკითხზე: „არ ვიცი — **რანი ვყოფილვართ**, არ ვხედავთ — **რანი ვართ**, ვერ გამოგვიჩვენებთ — **რანი ვიქნებით!**“ [31, გვ. 176]

ჩემი აზრით, საქართველოსა და ქართველების წინაშე ამჟამად — მას შემდეგ რაც დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, დგას ანალოგიური საკითხი, მხოლოდ უფრო მკვეთრად და გამომწვევად. საქართველომ უნდა განსაზღვროს თავისი ფუნქციადანიშნულება კაცობრიობის საყოველთაო გლობალიზაციის პირობებში. ამისთვის კი აუცილებელია ჩვენი წარსულისა და ფესვების კარგად გაცნობა, და მისი გათვალისწინებით, შორეული მომავალში, ახლო მომავალში და, შესაბამისად აწმყოში ქვეყნისა და ერის ფუნქცია-დანიშნულების განსაზღვრა.

მეტ-ნალეხად, სწორედ ეს საკითხებია განხილული წინამდებარე წიგნში. ამიტომ, რომ გავბედე და წიგნს (თუ კადნიერებაში არ ჩამომართმევთ) სახელად დავარქვი:

„რანი ვყოფილვართ!! რანი ვიქნებით?“

მკითხვემა განსაჯოს, რამდენად სწორედ მოვიქეცი.

თავი 1

ისტორიული მონაცემები

შესავალი

ახლანანს გამოქვეყნდა „საქართველოს ისტორიის 4-ტომეული“, რომელიც დაიწერა ანთროპოლოგიის, არქეოლოგიის, ენათმეცნიერებისა და ისტორიული მონაცემების ერთობლივი გამოყენების საფუძველზე. ანუ თანამედროვე ოფიციალური (ეგზოთერული) მეცნიერებების კვლევის მეთოდების გამოყენებით მიღებულ შედეგებზე დაფუძნებით. ტომი I მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ადამიანების ისტორიას მათი აქ პირველად გამოჩენის დროიდან ქართული ეთნოსისა და ერის წარმოშობის ხანამდე, პირველი ქართული სახელმწიფოებრივი ერთეულების ჩამოყალიბებამდე, მათ ისტორიას პირველი ქართული ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდე, ანუ ძვ.წ. IV-III საუკუნეების მიჯნამდე, და ქართველთა ისტორიას ქრისტიანობის მიღებამდე, ანუ ახ.წ. IV საუკუნემდე [21, გვ. 7].

ისტორიული კვლევების მიხედვით, კაცობრიობის ისტორიამ, რომელიც უსსოვარი დროიდან ქრისტესშობამდე რამდენიმე მილიონ წელს ითვლის, განვლო შემდეგი პერიოდები:

1. ძველი ქვის ხანა — პალეოლითის ხანა — ძვ.წ. $2 \cdot 10^6$ წლიდან ძვ.წ. $9 \cdot 10^3$ წლების ჩათვლით;
2. ახალი ქვის ხანა — ნეოლითის ხანა — ძვ.წ. VIII-VI ათასწლეულები;
3. სპილენძ-ქვის პერიოდი — განვითარებული ნეოლითი — ძვ.წ. VI-IV ათასწლეულები;
4. ბრინჯაოს ხანა ძვ.წ. IV-I ათასწლეულები;
5. რკინის ხანა — ძვ.წ. I ათასწლეულიდან - ქრისტესშობამდე.

ზემოხსენებული თემებიდან, შემოკლებული სახით, გთავაზობთ საკითხებს, რომელთაც ყურადღება მივაქცევთ.

1 ძველი ქვის ხანა- პალეოლითის ხანა საქართველოში

ძველი ქვის ხანა — პალეოლითის ხანა მოიაზრება ძვ.წ.2 · 10⁶ წლიდან ძვ.წ 9 · 10³ წლების ჩათვლით. ქვის ხანის პერიოდში ცხოვრობდნენ ადამიანის მსგავსი არსებები, რომლებიც მისდევდნენ შემგროვებლობას და ნადირობას. მათი მთავარი საზრუნავი იყო ფიზიკური გადარჩენა და შთამომავლობაზე ზრუნვა. ანუ ის, რაც ყოველ ცოცხალ არსებას ახასიათებს. მათ გააჩნდათ შრომისა და საბრძოლო იარაღები, რომლებიც უმთავრესად ქვისგან მზადდებოდა.

სამხრეთ კავკასიაში არსებულმა ხელსაყრელმა პირობებმა, თავისებურმა ლანდშაფტმა, ბუნებრივი თავშესაფარი ადგილების, ბუნებრივი გამოქვაბულების სიმრავლემ, საკვები პროდუქტების სიუხვემ და ქვის იარაღის დასამზადებლად საჭირო ნედლეული მასალის სიმდიდრემ განაპირობა აქ უძველესი ადამიანის ადრე განსახლება. უკანასკნელი ხანის არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა სრულიად ახლებურად დააყენა საქართველოს მიწა-წყალზე უძველესი ადამიანის გამოჩენის საკითხი. დმანისის ფეოდალური ხანის ნაქალაქარის ტერიტორიაზე გამოვლენილ უძველეს სადგომზე, ცხოველების ძვლებს შორის, აღმოჩნდა უძველესი ადამიანის ნაშთები და ქვის პრიმიტიული იარაღები [3, გვ. 13]. (სურ. 3, გვ 33).

საქართველოში არსებული გეოგრაფიული კომპონენტების მრავალფეროვნება და აგრეთვე საქართველოს ფიზიკური გეოგრაფიის ის თავისებურებანი, რომ მის ტერიტორიაზე მრავლად მოიპოვება პირველად საცხოვრებლად გამოსაყენებელი ბუნებრივი გამოქვაბულები და კლდის ფარდულები, აბსოლუტურ პირობებს ქმნიდა უძველესი დროიდანვე ადამიანის აქ დასახლებისათვის [3].

დმანისის აღმოჩენა. დმანისის ნაქალაქარის ცენტრალურ ნაწილში შუა საუკუნეების ნაგებობის ქვეშ არსებულ დანალექ ფენებში გამოვლინდა დიდი რაოდენობით უძველესი (დღეს გადაშენებული) ცხოველების (მარტორქა, სპილო-ჟირაფი, გიგანტური სირაქლემა, ხმალკბილა ვეფხვი და სხვ.) და ადამიანის (5 თავის

1. ძველი ქვის ხანა- პალეოლითის ხანა საქართველოში

ქალა, ქვედა ყბები და 60-მდე სხვა ნაწილები) ძვლები.

მეცნიერების მიერ საბოლოოდ დადგინდა, რომ დმანისში (სურ.1) არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნი ადამიანის ორი ჩონჩხი განეკუთვნება ადამიანების ადრინდელ ჯგუფს და თარიღდება 1,8-1,7 მილიონი წლით. ამრიგად, მსოფლიოში, აფრიკის გარეთ, უძველესი ადამიანი აღმოჩნდა დმანისში. მეცნიერებმა მათ ზეზვა და მზია დაარქვეს.

ამ აღმოჩენით, საბოლოოდ განმტკიცდა ის აზრი, რომ ქართველები უძველესი ევროპელები არიან. უამრავმა მედია საშუალებამ ქართველები შეიყვანა იმ სიაში, საიდანაც ხდებოდა სხვა ერების ფორმირება. საქართველომ საფუძველი ჩაუყარა ევროპის ქვეყნების ისტორიას. გარდა ამისა, გაჩნდა აზრი, რომ ეგვიპტელთა წინაპრებიც ეგვიპტეში საქართველოდან ყოფილან წასულნი.

ჩანს, რომ აფრიკის მატერიკზე მცხოვრები უძველესი ადამიანი იწყებს მოძრაობას წინა აზიისაკენ და კავკასიაზე გავლით ითვისებს ევრაზიის თვალუწვდენელ სივრცეებს [3, გვ. 13].

საქართველოში აღმოჩენილია ძველი, ქვედა პალეოლითის პერიოდის პირველი ადამიანური (არქანტროპი) კულტურის (1.7-0.1 მლნ წლის წინ) 50-დე ნამოსახლარი. ამ დროს ადამიანები ცხოვრობდნენ იორ-ალაზნის ორმდინარეთშიც. მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა შეგროვება და მონადირეობა იყო. ვარაუდობენ, რომ სამხრეთ კავკასიის არქანტროპი დმანისელი ადამიანის შთამომავალი იყო [3, გვ. 14].

არქეოლოგიური კვლევების მიხედვით, საქართველოში აღმოჩნდა ძვ. წ. 100-30 ათასწლეულის პალეოლითის ხანის 200-ზე მეტი ძეგლი. ამ ხანაში ინტენსიურად ჩანს დასახლებული ივრის ზეგანი, დავით გარეჯისა და შირაქის ველები. ამ დროის ქვის ინდუსტრია გამოირჩევა ერთგვაროვანი ხასიათით, რაც აქ ეთნიკურად ერთიანი მოსახლეობის არსებობაზე მეტყველებს. საქართველოში მოპოვებული არქეოლოგიური განათხარების საფუძველზე ვარაუდობენ, რომ ამიერ კავკასიაშიც მიმდინარეობდა ადრეული ნეანტროპების, „გონიერი ადამიანის“ — „Homo sapiens“ -ის ჩამოყალიბება [3, გვ. 15].

საქართველოში შემორჩენილი არქეოლოგიური მასალის მი-



სურ. 1: უძველესი ადამიანის თავის ქალა დმანისში [43]

ხედვით, ადამიანი ჯერ კიდევ ქვის ხანაში ნადირობდა ქურციკებზე, ირმებზე, შველსა და სხვადასხვა ფრინველზე. იარაღის გაუმჯობესებამ ხელი შეუწყო შეგროვებითი მეურნეობის, ნადირობისა და თევზჭერის განვითარებას.

ამასთანავე, დაწყებულმა გამყინვარებამ აიძულა ისინი, თავი

შეეფარებინათ მღვიმეებისათვის, ტყეში მოწყობილი ფარდულეებისათვის და სხვ.

საქართველო გამოირჩეოდა კლიმატური პირობებით, რომელიც ხელსაყრელი იყო პალეოლითის ადამიანისათვის. ამ დროს ინტენსიურად იყო ათვისებული სამხრეთ კავკასიის როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის რეგიონები: შიდა ქართლი, იორ-ალაზნის ორმდინარეთი, დავით გარეჯისა და შირაქის ველები.

საქართველოს ტერიტორიაზე, არქეოლოგიური გამოკვლევების შედეგად, დადგენილია პირველი ადამიანის დასახლება უკვე უძველესი პერიოდიდან. მაგალითად, სოფელ კაცხში აღმოჩენილია ადამიანის სადგომები (ძვ.წ. 800 ათასი წელი) პრიმიტიული იარაღებით. მდ. პატარა ხრამის ხეობაში მდებარე მღვიმეში აღმოჩენილია ცხოველთა და მონადირეთა გამოსახულებანი.

2 ახალი ქვის ხანა — ნეოლითის ხანა

ძველი ქვის ხანიდან ახალი ქვის ხანაზე გარდამავალი ეპოქაა მეზოლითის ხანა, რომელიც აღმოცენდა ზედა პალეოლითის კულტურის საფუძველზე. იგი დაახლოებით ძვ.წ. მე-10 -დან მე-7 ათ. წლამდე გრძელდებოდა.

სამხრეთ კავკასიაში ადგილობრივ მეზოლითის საფუძველზე აღმოცენდა ნეოლითური კულტურა ძვ.წ. VIII ათასწლეულში და გაგრძელდა ძვ.წ. VI ათასწლეულამდე [3, გვ. 21].

ნეოლითის ხანა საქართველოში დაწვრილებითაა აღწერილი „საქართველოს ისტორიის“ პირველ ტომში [3].

ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ამ დროს აწარმოებდნენ ხორბალს, ქერს. წარმოდგენილია მათი ყველა სახეობა. მიმდინარეობდა ყურძნის კულტივაციის პროცესიც.

ახალი არქეოლოგიური აღმოჩენა. 2015 წლის აპრილში ქვემო ქართლში მარნეულის რაიონის სოფელ იმირში ძველი ნამოსახლარების არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილ იქნა ძვ. წ. VI ათასწლეულით დათარიღებული ნეოლითის ხანის საცხოვრებელი ნაგებობები, სხვადასხვა შრომის იარაღები, თიხის ჭურჭელი, ხორბლის მარცვლები, ხელსაფქვაკი და სხვა.

1. ისტორიული მონაცემები

კერამიკული ჭურჭლის ანაფხეკებში ნაპოვნი იქნა კულტურული ვაზის ნაშთები. ამჟამად მიმდინარეობს ვაზის ნაშთების ლაბორატორიული შესწავლა და ბიოლოგიური კვლევა. მოპოვებულ იქნება ახალი, მეცნიერულად დასაბუთებული, ინფორმაცია, რომელიც უტყუარად დაასაბუთებს, რომ საქართველო ღვინის წარმოების უძველესი კერაა. ამ აღმოჩენით დაინტერესდა საერთაშორისო გამოცემა „ნეიშენელ ჯეოგრაფიკი“, რომელმაც ვრცელი სტატია გამოაქვეყნა ქვემო ქართლში აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალებზე.

3 სპილენძ-ქვის პერიოდი

საქართველოში ძვ.წ. VI- IV ათასწლეულებში ადამიანთა ცხოვრებაში მოხდა ახალი გარდატეხა. ადამიანმა საქართველოს ტერიტორიის ზედაპირზე მიაგნო მძლავრად ამოღული სპილენძის მადნის ძარღვებს, და მისი დამუშავების წესს. დაიწყო მისგან სხვადასხვა ნივთების დამზადება. მაგრამ, იმის გამო, რომ სპილენძი ადვილდრეკადი გახლდათ, მან ქვის იარაღი მთლიანად ვერ ჩაანაცვლა.

ამ დროს განვითარება დაიწყო მსხვილფეხა და წვრილფეხა მესაქონლეობამ. ენელითური ხანა, ქვის ხანის დამამთავრებელ ეპოქად ითვლება.

ძვ.წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევრიდან დაიწყო მეურნეობის უფრო მაღალი საფეხური — ბრინჯაოს ხანა, რომლის დროსაც განვითარდა მეტალურგია, მამაკაცის შრომაზე დამყარებული მიწათმოქმედება, მესაქონლეობა და ხელოვნობა.

ანუ ადამიანმა დაიწყო **შემოქმედებითი შრომა**.

დაახლოებით, სწორედ ამ პერიოდიდან იწყება კაცობრიობის დასაბამი, რომელიც ს. სალუაშვილის კვლევის მიხედვით, ბიბლიიდან გამომდინარე, იწყება ძვ.წ. 5600 წ. - დან [20].

საქართველოს ისტორიის მიხედვით, ზემოხსენებული პერიოდი შეესაბამება ძველი ბრინჯაოს ხანის დაწყების პერიოდს.

გრ. გიორგაძის თვალსაზრისით, ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა მოსახლეობის რაოდენობის ზრდას. ჩნდება ახალი დასახლებანი სტანდარტულად აგებული საგვარეულო საცხოვრებელი

კომპლექსებით. თითოეულ გვარში რამდენიმე თაობას უნდა ეცნოვრა. იწყება საერთო ქართველური ენობრივი სისტემისა და ეთნოსის ჩამოყალიბება. ეთნიკური ეთნოსის ძირითადი პირობაა საერთო ტერიტორია და საერთო ენა, რაც ამ პერიოდში ქართველურ ტომებს უკვე უნდა ჰქონოდათ. ყალიბდებოდა ეთნიკური თვითშეგნება (თვითშეცნობა), რომელიც ეფუძნებოდა ტომობრივი კუთვნილების გრძნობის გაჩენას [7, გვ. 159].

4 ბრინჯაოს ხანა საქართველოში

ბრინჯაოს ხანა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეპოქაა საქართველოს უძველეს ისტორიაში, რომელიც არსებობდა ძვ.წ. IV ათასწლეულის შუახანებიდან ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევრამდე. ამ დროს საფუძვლიანი ცვლილება შეეხო საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა მხარეს. ვითარდებოდა სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგია. ამ ტექნიკურმა პროგრესმა დიდი გავლენა იქონია ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროზე. გაუმჯობესდა ლითონის სამეურნეო და საბრძოლო იარაღები. იწყება გვაროვნული წყობის რღვევის პროცესი. ბრინჯაოს ხანის ადრეულ საფუძველზე უნდა დასრულებულიყო ქართველური ტომების ეთნიკური ერთობის ფორმირების პროცესი. შემდეგ, ამ ერთობის თანდათანობითი რღვევის შედეგად, ჩამოყალიბდა ქართველი ტომების ეთნიკური ჯგუფები — სვანური, მეგრულ-ჭანური, ანუ, კოლხური და ქართული [3, გვ. 40].

გ. ნატროშვილის გამოკვლევით, ძვ.წ. III ათასწლეულში იბერიელები ექსპლოატაციას უწევდნენ უზარმაზარ ტერიტორიებს და ამ ტერიტორიებთან დაკავშირებულ კარიერებს ლითონის მოპოვების მიზნით. ძვ.წ. 2750 წელს იბერიელებს უკვე ჰქონდათ კალის მოპოვების უზარმაზარი გამოცდილება და მონოპოლია ძველ სამყაროში. ყველა მონაცემით ჩანს, რომ საკმაოდ რაოდენობით იწარმოებოდა სპილენძისა და კალის შერევის ტექნოლოგიით მიღებულ ბრინჯაოში ჩამოსხმული ნაწარმიც, რომელიც იბერიის ნახევარკუნძულიდან მიემართებოდა კრეტის მიმართულებით და ძველი სამყაროს სხვა კუთხეებში. (მაშინ როცა წინა აზიამ მხოლოდ 700 წლის შემდგომ მოახერხა კალის საწარმოო პროცე-

1. ისტორიული მონაცემები

სებთან დაკავშირებული ცოდნის მიღება). კრეტაზე აღმოჩენილი იბერიული ვერცხლისა და სპილენძის ხანჯლები, ჭურჭელი და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები მკაფიოდ მიუთითებს, რომ ეს იყო ერთი სივრცე, რომელიც ძვ.წ. I ათასწლეულამდე ინტენსიურად ვითარდებოდა [3, გვ. 49].

ლითონის აღმოჩენის შემდეგ ქართველურ ტომებს მის მოპოვებაში და დამუშავებაში ბადალი არ ჰყოლიათ. შედარებითი ენათმეცნიერება ამტკიცებს, რომ მადნების სახელები სხვა ერებმა ქართველი ტომებისგან შეითვისეს. მაგალითად, „ბრინჯაოს“ სახელი „ბრონზე“ ქართული წარმოშობისაა. რკინისა და ფოლადის დამზადება ბერძნებს ქართული ტომებისაგან შეუსწავლიათ. ბერძნული მადნის სახელი „ხალბდიკოს“ ხალიბებს უკავშირდება. მადნის სახელიც „თითბერი“ ნამდვილად ქართულია. „თუთფერი“, ე.ი. მთვარის (მეგრულად თუთა) ფერის მადანი [17, გვ. 59].

სამხრეთ საქართველოში, კერძოდ კაზრეთში, სადაც დღესაც მიმდინარეობს ოქროს ინდუსტრიული დამუშავება, აღმოჩნდა უნიკალური და მსოფლიოში ერთადერთი უძველესი ძვ.წ. IV ათასწლეულში მყოფი ოქროს მალარო (სურ.4 გვ.34) [17, გვ. 59].

ყოველივე ეს მიაჩნია, რომ კავკასიის რეგიონი და პროტო-იბერიულ-კავკასიური საზოგადოება იყო მეტალურგიული კვრების განვითარების პირველსაწყისი და ბიძგი ხმელთაშუა ზღვის აუზში [17, გვ. 60].

5 რკინის ხანა ძვ.წ. I ათასწლეულიდან ქრისტესშობამდე

კოლხეთისა და დიაოხის ადრეკლასობრივი სახელმწიფოების შესახებ. როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი წინაპრები უძველესი დროიდან მეტალურგები და მიწათმოქმედნი იყვნენ. უძველესი ცივილიზაციების შემოქმედნი კი სწორედ მიწათმოქმედი ხალხები იყვნენ. ლათინური სიტყვა „cultura“ („კულტურა“) „მიწათმოქმედებასაც“ ნიშნავს [8, გვ. 11].

ძვ.წ. XVII საუკუნეში რეგიონში მოსახლე ტომების მზარდი

5. რკინის ხანა ძვ.წ. I ათასწლეულიდან ქრისტესშობამდე

კონსოლიდაციის შედეგად ჩამოყალიბდა ძველადმოსავლური ტიპის **კოლხეთის სამეფო**. კოლხეთის სამეფო მოიცავდა დღევანდელ აფხაზეთს, სამეგრელოს, სვანეთს, რაჭას, იმერეთს, გურიას, აჭარას, რუსეთის სოჭის მხარეს და თანამედროვე თურქეთის ტრაპიზონისა და ართვინის პროვინციების მნიშვნელოვან ნაწილს. კოლხეთის მოსახლეობა უმთავრესად, ქართველური მოდგმის ტომებისაგან შედგებოდა. მისი ძლიერების ხანაში ეს ტომები (სვანების ჩათვლით) კოლხური კულტურის მატარებლები იყვნენ. მიუხედავად ამისა, კოლხეთმა ვერ შეძლო ყველა მეგრულ-ჭანური ტომის შეკავშირება და ბევრი ზანური ტომი მის ფარგლებს გარეთ დარჩა. ეს განაპირობა ახალი დამპყრობლების გამოჩენამ [8, გვ. 15].

ქართველ ტომთა სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შედეგად ძვ. წ. XII საუკუნეში საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ძველადმოსავლური ტიპის სახელმწიფოებრივი გაერთიანება სახელწოდებით დიაოხი. დიაოხის სახელმწიფო მდებარეობდა ასურეთის ჩრდილოეთით. იგი ძვ.წ. 1112 წელს დაუპირისპირდა ასურეთს და დამარცხდა.

ძვ.წ. 750 წლებში კოლხებმა მოახერხეს დიაოხის ნაწილის შემოერთება. ამავდროულად კოლხეთი გახდა ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო.

ამავე პერიოდში, დიაოხისა და კოლხეთის მეზობლად ჩამოყალიბდა ახალი ძლიერი და აგრესიული სახელმწიფო **ურარტუ**. ძვ.წ. IX-VIII სს ურარტუელი მეფეები დიდ დამპყრობლურ ომებს აწარმოებდნენ ახლომახლო მოსახლე ხალხების წინააღმდეგ. არსებობს მრავალი ცნობა იმის შესახებ, რომ ურარტუს მეფენი განუწყვეტლივ ლაშქრობდნენ დიაოხის წინააღმდეგ, რომელიც ვერ ურიგდებოდა დამპყრობლებს.

ძვ.წ. VIII საუკუნის დასაწყისში დიაოხი ასურეთის სამეფოსთან ერთად დაუპირისპირდა ურარტუს ძლიერ სახელმწიფოს და დამარცხდა. დასუსტებულ დიაოხს ბრძოლა მოუხდა კოლხას წინააღმდეგ, რომელსაც არ გასჭირვებია დიაოხის დამარცხება და განადგურება. ამის შემდეგ დიაოხის სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა.

ამიერიდან დაწყებული, კოლხეთი და ურარტუ უშუალო მე-

1. ისტორიული მონაცემები

ზობლები გახდნენ და მათ შორის შეტაკებაც გარდუვალი გახდა. პირველი ლაშქრობა კოლხას წინააღმდეგ ურარტუმ ძვ.წ (750-748) წლებში მოაწყო. მაშინ ურარტუმ კოლხას სამხრეთ პერიფერიას შეუტია. მეორეჯერ, ძვ.წ. 747-741 წლებში, ურარტუ უკვე საკუთრად კოლხას მიწა-წყალზე მოქმედებდა. მათ დაიპყრეს კოლხას „სამეფო ქალაქი“, რომელსაც განაგებდა კოლხას მეფისნაცვალი.

ამ დროს კოლხაში განვითარებული ყოფილა მიწათმოქმედება, მსხვილფენა და წვრილფენა მესაქონლეობა, მეცხენეობა და მეტალურგია.

სავარაუდოა, რომ ძველი კოლხური სამეფო განადგურდა ძვ. წ. VIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ჩრდილოეთიდან კიმირიელებისა და სკვითების შემოსევის შედეგად. ცნობილია, რომ კიმირიელებმა ურარტუელები დაამარცხეს ძვ. წ. 715 წელს. იმისთვის, რომ კიმირიელებს ურარტუმდე მიეღწიათ, მათ ჯერ კოლხას მიწა-წყალზე უნდა გაეგლოთ და მისი წინააღმდეგობა უნდა გადაელახათ. რა თქმა უნდა, იგი სასტიკად უნდა გაენადგურებინათ კიმირიელთა ურდოებს [3, გვ. 144].

ამრიგად, ურარტუსთან გამუდმებული ომებით დასუსტებული კოლხეთის სახელმწიფო ძვ. წ. VIII ს-ის მიწურულს მომთაბარე კიმირიელებისა და სკვითების მებრძოლი ტომების შემოსევებმა გაანადგურა [8, გვ. 16].

კოლხური სამეფოს დაცემის შემდეგ ძვ.წ. VII ს-ის დასაწყისისათვის, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, **ხალიბების**, ანუ **ხალდების** თაოსნობით, საფუძველი ჩაეყარა ახალ დიდ სახელმწიფოებრივ გაერთიანებას. ხალიბებს მიიჩნევენ დასავლურ-ქართულ ტომებად [3, გვ. 144].

მიჩნეულია, რომ ისინი სახლობდნენ ტრაპიზონის დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებში. ანტიკურ სამყაროში ხალიბებს თვლიდნენ რკინის გამომგონებლებად და გამოცდილ მეტალურგებად.

სკვითებისა და მიდიელების მიერ ძვ.წ. VI საუკუნის დასაწყისში ურარტუს სახელმწიფოს განადგურების შემდეგ, ურარტულ ენაზე მეტყველი ხალხის ნაწილი შეერია ქართულ ენაზე მეტყველ ტომებს და ქართველი ხალხის შემადგენლობაში შევი-

და. ამაზე მეტყველებს ძველი ქართული სიმღერის მისამღერი, სადაც ისმის ძველადმოსავლური ღვთაებების სახელები: „არი არალე“, „თარი არალე“, „ივრი არალე“. „არალე“, ძველ აღმოსავლეთში გავრცელებული, „მოსავლის“ ღვთაების სახელია. ურარტული ენით „ივრი“ ნიშნავს ბატონს, მეუფეს; „თარი“ — ძლიერს, ძლევამოსილს; „არი“ — მომეცი-ს (მოგვეც). ასე რომ, ეს ქართული გამოთქმები ურარტულ ენაზე ნიშნავს: „მეუფეო არალე (ღმერთო)“, „ძლევამოსილო არალე (ღმერთო)“, „მომეც არალე (ღმერთო)“ [3, გვ. 146].

კიმერიელებისა და სკვითების მიერ დანგრეული კოლხეთი, დიდი ხნის მანძილზე, წელში ველარ გაიმართა. მომდევნო ხანაში სწრაფად მოხდა ქართველური ტომების ერთმანეთისაგან იზოლაცია. ამ პერიოდში ჩაისახა, შემდეგ კი გაღრმავდა განსხვავება ქართულსა და მეგრულ-ჭანურ ტომებს შორის.

ძვ.წ. V ს-დან კოლხთა ძლიერი სახელმწიფო ძლიერი სპარსეთის სახელმწიფოს გავლენის ქვეშ მოექცა. აქემენიანთა სამეფო დინასტიის წინამძღოლობით შეიქმნა უზარმაზარი იმპერია, რომლის შემადგენლობაში მოექცნენ ისტორიული საქართველოს სამხრეთისა და სამხრეთ-დასავლეთ რაიონებში მოსახლე ქართველური მოდგმის ტომები (სასპერები, მოსხები, ტიბარენები, მაკრონები, მოსინიკები). დარიოსის იმპერიაში კოლხები უშუალოდ არ შედიოდნენ [8, გვ. 17].

სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი აღმოსავლეთ საქართველოში. ისტორიკოსების აზრით, ქართლის ტომი და სახელი „ქართლი“ კავკასიურ გეოგრაფიულ არეზე წარმოქმნილი ქვეყანაა. სავარაუდოა, რომ შუაბრინჯაოს ხანაში უნდა დაწინაურებულიყო „ქართუ“-ს ტომი, რომლის განსახლების ცენტრიც უნდა ყოფილიყო „მთა ქართი“ (გვიანდელი „არმაზი“) — მცხეთის პირდაპირ, მტკვრის მარჯვენა ხანაპიროზე. ასეთია ქართული ეროვნული ტრადიცია, შემონახული „ქართლის ცხოვრებაში“. „მთა ქართი“ მდებარეობდა ფრიად სტრატეგიულ ადგილზე. აქ გადიოდა მნიშვნელოვანი მაგისტრალური გზა, რომელიც კახეთსა და ჰერეთს ტაო-კლარჯეთთან აკავშირებდა. გარდა ამისა „მთა ქართი“ იდგა სავაჭრო გზაზე, რომელიც „შიდა ქართლს“ „ქვემო ქართლს“- თან აკავშირებდა. ეს, განვითარებულ მეტა-

1. ისტორიული მონაცემები

ლურგიასთან ერთად, უნდა ყოფილიყო „ქართუს“ ტომის, ანუ უძველესი „ქართველების“ სიძლიერის ერთ-ერთი წყარო [3, გვ. 127].

აკადემიკოს მარი ბროსეს მიხედვით, ჩვენი ქვეყნის სახელწოდება **საქართველო** წარმოშობილია სიტყვა „ქართლი“-დან, რომელიც ქართველების გარდა, გარეშე ხალხებისათვის უცნობია. მისი მეორე სახელწოდებაა სომხური — **ვრაცსტან**, რომლის მკვიდრნი **ვრაცებად** იწოდებიან. აქედან წარმოსდგა ბერძნული **ივერია** და ლათინური **იბერია**; შესაბამისად — **ივერიელი** და **იბერიელი**. მესამე სახელია სპარსული — **გურჯისტან**, რომლის მკვიდრნი **გურჯებად** იწოდებიან. აქედან წარმოსდგება რუსული **გრუზია**.

აკადემიკოსმა სერგი ჯანაშიამ, თავის კონცეფციაში ქართველი ხალხის წარმოშობის შესახებ, ფაქტიურად მოხსნა თვალსაზრისი ქართველთა გადმოსახლების შესახებ. მისი კონცეფციით ქართველები წარმოშობით წინა აზიის ძველ მკვიდრ მოსახლეობას ეკუთვნიან. დაახლოებით **6 ათასი** წლის წინათ წინა აზიის უზარმაზარ მიწა-წყალზე და სამხრეთ ევროპაშიც (ბალკანეთის, აპენინისა და პირენეის ნახევარკუნძულებზე) ერთი მოდგმის ხალხები (პროტოიბერიელები) ცხოვრობდნენ. შემდეგ ამ მოდგმის ხალხთა ადგილსამყოფელი თანდათან იზღუდებოდა. ძვ. წ. II ათასწლეულის დამდეგისათვის წინა აზიის მკვიდრი ხალხებიდან ცნობილნი იყვნენ ხეთები და სუბარები. ხეთა-სუბარები ქართველ ტომთა წინაპრები არიან. ხეთები მცირე აზიაში მოსახლეობდნენ, სუბარებს კი ეკავათ ტერიტორია ჩრდილოეთ მესოპოტამიიდან მოყოლებული კავკასიამდე. საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისი საუკუნეებისათვის ჩამოყალიბდა კულტურის ორი წრე — დასავლური და აღმოსავლური, რომლებიც ქართველი ტომების ორ გაერთიანებას შეესაბამებოდა — დასავლურსა და აღმოსავლურ ქართულს. ამავე ხანებში, სამხრეთში, წინა აზიაში სპარსეთი გაბატონდა, ხოლო ხეთურ-სუბარული მოსახლეობა მრავალ წვრილ სამთავროდ დაიქსაქსა. ამათგან უფრო ძლიერნი ყოფილან მუსკები, მომავალი **მესხები** [21].

ძვ.წ. IX-VII სს. ხეთურ-სუბარულმა ტომებმა სამხრეთში ვა-

5. რკინის ხანა ძვ.წ. I ათასწლეულიდან ქრისტესშობამდე

ნის ტბის პირას შექმნეს ახალი ძლიერი სახელმწიფო ურარტუ. როცა ურარტუს სახელმწიფო დაემხო და მისი ცენტრი ვანის ტბის პირას მოისპო, სახელმწიფოებრივმა ცენტრმა უფრო ჩრდილოეთით გადაინაცვლა, სადაც ჩამოყალიბდა ქართული სახელმწიფოები კოლხეთი და იბერია [21, გვ. 326].

მტკიცებულება, რომ ქართველი ტომები უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ საქართველოს ტერიტორიაზე, ჰემმარიტებაა. ამავე დროს საფიქრებელია, რომ ისინი ნაწილობრივ, საქართველოს ფარგლებს გარეთაც მოსახლეობდნენ, კერძოდ მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებში და შავიზღვისპირეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ტერიტორიაზე [21, გვ. 312].

ენობრივი მონაცემები ცხადყოფს, რომ ქართველ ტომებში უნდა გათქვეფილიყო და ქართველი ხალხის შემადგენლობაში უნდა შესულიყო აგრეთვე ძველადმოსავლური ცივილიზაციის შემქმნელი, სამხრეთში მცხოვრები ხალხების (ხურიტების, ხეთების, ურარტუელების) გარკვეული ნაწილი. ამისი ნაკვალები თავს იჩენს ქართულ ენაში [21, გვ. 357].

აღმოსავლეთ საქართველოში დიდი პოლიტიკური ერთეულის შექმნის პროცესი დაიწყო ჯერ კიდევ ძვ.წ. VIII - VIII სს.-ს მიჯნაზე. მასში წამყვან როლს ასრულებდნენ **მესხური** ტომები. მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოში მოსახლე ტომებიც მეტნაკლებად განიცდიდნენ აქემენიანთა სპარსეთის პოლიტიკურ გავლენას. ხელშემშლელი საგარეო პირობების გამო, ერთიანი აღმოსავლეთ-ქართული სახელმწიფოს შექმნა დროებით გადაიდო. დამპყრობთა უღელი საშუალებას არ იძლეოდა, რომ პოლიტიკური და ეთნო-სოციალური პროცესები განვითარების ბუნებრივი გზით წასულიყო (ერთიანი ეროვნული სახელმწიფო ჩამოყალიბებულიყო) [8, გვ. 18].

გავიდა ხანი. სულ მალე ამისთვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა. ეს გამოიწვია მაკედონიის უნიჭიერესი ახალგაზრდა (პროტოიბერების შთამომავალი) მეფის ალექსანდრეს (ძვ.წ. 336-323 წწ.) ლაშქრობებმა აღმოსავლეთში. მან ძვ.წ. IV საუკუნის 30-20-იან წლებში ბერძენ-მაკედონელთა ლაშქრით პირდაპირ გააცამტვერა აქემენიანელთა სპარსეთის სახელმწიფო [8, გვ. 19].

ამრიგად, ძვ.წ. IV საუკუნის მიწურულსა და ძვ.წ. II-საუკუნის

1. ისტორიული მონაცემები

დასაწყისში ისტორიული საქართველოს მეზობლად აღარ არსებობდა ერთიანი ძლიერი სახელმწიფო, რომელიც აღმოსავლურ ქართული ტომების ბუნებრივ განვითარებას დააბრკოლებდა.

ქართული ერთიანი სახელმწიფოს შექმნას, ხელსაყრელ საგარეო ფაქტორთან ერთად, ისიც უწყობდა ხელს, რომ ამ პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველური ტომები სოციალურად, ეკონომიკურად და კულტურულად განვითარების მაღალ საფეხურზე იდგნენ. გარდა ამისა, აქ უკვე არსებობდა წინასახელმწიფოებრივი გაერთიანებები. ეს პოლიტიკური ერთეულები იყვნენ „ხევები“, რომელთა წარმოქმნა ჯერ კიდევ გვიანბრინჯაოს ხანაში (ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარი) დაიწყო. ძვ.წ. VII-VI სს.-ში ხდება „ხევების“ გამსხვილება, რასაც მოჰყვა მათი პოლიტიკური და ადმინისტრაციული ცენტრების — ქალაქებისა და დაბების აღმოცენება (სამადლო, უფლისციხე, სარკინე, ურბნისი, კასპი, სამშვილდე და სხვ.) [8, გვ. 20].

„ხევებს“ შორის წარმოებული ბრძოლების შედეგად ხდებოდა ერთის მიერ მეორის დამორჩილება-შეერთება და კიდევ უფრო დიდი ზომის პოლიტიკური ერთეულების წარმოშობა.

გრ. გიორგაძის თვალსაზრისით, მართალია, ძვ.წ. IV საუკუნის ბოლო მეოთხედში ისტორიულ მესხეთ-ჯავახეთის რეგიონში (სამცხე, ჯავახეთი, კლარჯეთი, შავშეთი, ტაო, კოლა, არტაანი და სხვ.) მოსხებმა — მესხებმა შექმნეს ძლიერი პოლიტიკური გაერთიანება, რომელსაც უფრო გვიან „მოქცევაი ქართლისაის“ ავტორი, როგორც ახლა ვარაუდობენ, „არიან-ქართლის“ სახელით მოიხსენიებს. მაგრამ ეს „ქვეყანა“ ქართველ ტომთა ეთნიკური კონსოლიდაციის პროცესში ჰეგემონის როლში ვერ გამოვიდა [7, გვ. 178].

ამავე პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე წარმოიქმნა მეორე დიდი პოლიტიკური გაერთიანება — **„ცენტრალური ქართლი“**, რომელიც მცხეთის შემოგარენში მდებარეობდა. მასში ქართის ტომი მონაწილეობდა. ქართველ ტომთა შორისი ბრძოლა წარიმართა ქართის ტომის პოლიტიკური და კულტურული ჰეგემონობით. სწორედ ქართლმა დაუდო საფუძველი ქართველი ხალხის ჩამოყალიბებას. ძვ.წ. V-IV საუკუნეებში

1. ისტორიული მონაცემები

ქართული საისტორიო ტრადიციის მიხედვით, „არიან-ქართლის“ უზენაესი ხელისუფალი იყო იარედოსი, რომლის ძე **აზონი** აღეჭსანდრე დიდმა დატოვა ქართლის მმართველად. აზონი მთელ აღმოსავლეთ საქართველოს დაუფლა. მან დაიმორჩილა ქართლი, ჰერეთი და თავისი ხელისუფლება განავრცო მდ. ბერდუჯიდან (მდ. დებედა) სპერის ზღვამდე (შავ ზღვამდე). მანვე დაიპყრო ეგრისი და ჩრდ. კავკასიის ხალხებიც [8, გვ. 22].

მომხდურებთან ბრძოლაში დაიღუპა მცხეთის მამასახლისი (ქართლოსის-მცხეთოსის შთამომავალი) სამარა და მისი ძმა. აზონმა მოშალა ქართველთა ძველი სარწმუნოება, რომლებიც თაყვანს სცემდნენ მზეს, მთვარესა და ვარსკვლავთა. აზონმა ბრძანა ვერცხლის კერპების — გაცისა და გაიმის თაყვანისცემა [8, გვ. 23].

აზონის ქართლში მოსვლისას მცხეთის მამასახლისის სამარას ძმის შვილი **ფარნავაზი** სამი წლის ყრმა იყო. გავიდა დრო და ფარნავაზმა გაილაშქრა აზონის წინააღმდეგ. ბრძოლაში აზონი მოკვლეს. გამარჯვებული ფარნავაზი შებრძანდა მცხეთაში, შემოიძტვიცა ქვეყანა და გაატარა მნიშვნელოვანი სახელმწიფო რეფორმები. ამ დროს ერთიანი ქართლის ახლად შექმნილი სახელმწიფოს ტერიტორია მოიცავდა აღმოსავლეთ (შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, კახეთი), დასავლეთ (არგვეთი, აჭარა, ეგრისი) და სამხრეთ (სამცხე, ჯავახეთი, კოლა, არტაანი, კლარჯეთი, ტაო) საქართველოს. მისივე შემადგენლობაში შევიდნენ მცირეაზიური ოლქები ანძიადორი და ეკელეცი (აღბათ „არიან-ქართლის“ ტერიტორიები). ქართლის სამეფოს ფარგლებში მოექცა ძველი ალბანეთის დასავლეთის რეგიონებიც, კერძოდ, ჰერეთი (დღ. საინგილო და დღ. ქიზიყი) [8, გვ. 24].

ფარნავაზმა შექმნა არმაზის კულტი, რომლის ქანდაკება აღმართა აზონის მიერ მოტანილ კერპებს შორის, რითაც სიმბოლურად ხაზი გაუსვა არიან-ქართლისა და მცხეთის ირგვლივ პოლიტიკური გაერთიანების ერთობას და სამეფოში შემაგალი ხალხების სულიერ ნათესაობას.

ფარნავაზიდან დაწყებული იქმნებოდა ერთიანი ქართული ეთნო-კულტურული სისტემა [7, გვ. 178].

ახალი არქეოლოგიური აღმოჩენა კახეთში. შირაქში, ე.წ.

5. რკინის ხანა ძვ.წ. I ათასწლეულიდან ქრისტესშობამდე

დიდნაურის ტერიტორიაზე კოსმოსურმა სატელიტურმა სადგურმა დააფიქსირა უძველესი ნაქალაქარი.

ექსპედიციის წევრები ვარაუდობენ, რომ ნაქალაქარი ძვ.წ. X- XII საუკუნეების პერიოდს განეკუთვნება და ის შეიძლება უძველესი სახელმწიფოს დედაქალაქი ყოფილიყო, რომელიც არ არის მოხსენიებული ისტორიულ წყაროებში. სპეციალისტების აზრით, ამ აღმოჩენამ შეიძლება მთლიანად **შეცვალოს ქვეყნის უძველესი ისტორია**. ეჭვის საფუძველს სპეციალისტებს სასახლის მასშტაბები და ინფრასტრუქტურა აძლევს: მარტო შიდა ციხეს უკავია 10-11 ჰექტარი, ძალიან მაღალი საინჟინრო სტრუქტურით აგებული 7 მეტრის სიგანის გალავნითა და არხით შემოსაზღვრული. აღმოჩენილია გალავნის კარიბჭე (სურ.5 გვ.35).

კერამიკული მასალა დიდნაურის ნაქალაქარს ძვ.წ. აღ. XII-IX სს ათარიღებს.

სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ნაქალაქარი დანგრეულია მძლარი მიწისძვრის შედეგად, დაახლოებით ძვ.წ. IX საუკუნეში.

„გრაკლიანი გორა“.

არქეოლოგიური ძეგლი „გრაკლიანი გორა“ მდებარეობს კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ იგოეთისა და სამთავისის ტერიტორიაზე მდინარე ლეხურას მარჯვენა ნაპირზე წამომართულ გორაზე, უშუალოდ თბილისი-სენაკი-ლესელიძის გზატკეცილთან. 2007 წელს გზატკეცილის გაფართოებასთან დაკავშირებით წარმოებულ გადარჩენითი არქეოლოგიური გათხრების შედეგად, აღმოჩნდა, რომ „გრაკლიანი გორა“ წარმოადგენს 11-კულტურულ ფენოვან ნამოსახლარს და სამაროვანს (სურ.6 გვ.35).

აღმოჩნდა, რომ იგი წამოადგენს უნიკალურ არქეოლოგიურ ძეგლს, სადაც დასტურდება საზოგადოებრივი ცხოვრების 300.000 წლიანი ისტორიული განვითარება უხსოვარი ხანიდან დაწყებული, რომელიც პერიოდის ჩათვლით. იქ გამოვლენილ ტერასებზე ინტენსიურადაა განლაგებული საცხოვრებელი სახლები, სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები, ტაძრები და სამარხები, რომლებიც განეკუთვნებიან ძვ.წ. VI - ახ.წ. I ათასწლეულებს. გრაკლიანში არქეოლოგიურ მონაპოვართა შორის განსაკუთრე-

1. ისტორიული მონაცემები

ბით მნიშვნელოვანია ძვ.წ. IV საუკუნით დათარიღებული ოქროს და ბრინჯაოს დისკოები, რომელიც არქეოლოგიური ექსპედიციის ხალმძღვანელის, ვახტანგ ლიხელის განმარტებით, ადასტურებს ქართული სახელმწიფოებრიობის სამიათასწლოვან ისტორიას. 2015 წელს „გრაკლიანი გორა“-ს მიენიჭა ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის სტატუსი [41].

2015 წლის აგვისტოში გრაკლიანის გორაზე გამოვლინდა 2 საკურთხეველი და საკურთხევლის პოსტამენტზე დღემდე უცნობი დამწერლობის ერთსტრიქონიანი წარწერა, რომელიც ყველაზე ადრეულია და საქართველოში დამწერლობის გამოყენების 2 700 წლის ისტორიას ცხადყოფს (დაწვრილებით მე-7 თავში, გვ.167).

6 „საყდრისი-ყაჩაღიანის“ შესახებ

მდინარეების მაშავერას, ხრამისა და მტკვრის ნაყოფიერი ველები გამოირჩეოდა სოფლის მეურნეობის ხელსაყრელი პირობებით. ეს ადგილები ჯერ კიდევ ძვ.წ. VI-V ათასწლეულებიდან დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ლითონის მოპოვებასთანაც. საყდრისის ოქროს უძველესი გამონამუშევარი მდებარეობს ქვემო ქართლში, ბოლნისისა და დმანისის რაიონების გასაყარზე, მდინარეების მაშავერასა და კაზრეთის წყლის შესაყართან. საყდრისის ოქროს საბადო არის ოქროს მატარებელი ზონების (ყაჩაღიანი, მამულისი, აღმოსავლეთ და დასავლეთ ფოსტისქედი, კვირაგხოველი) გამაერთიანებელი კრებითი სახელი. სპეციალისტების მიერ დადგინდა, რომ საყდრისის გამონამუშევრები წარმოადგენს მადნისეული ოქროს მოპოვების უძველეს კერას (სურ.7 გვ.36).

2000 წელს მადნეულის სპილენძისა და ოქროს ცნობილი საბადოების მახლობლად, ე.წ. „საყდრისის გორაზე“, გეოლოგიური საძიებო სამუშაოების დროს, აღმოაჩინეს ქვებით ჩახერგილი გვირაბი, რომელიც აღმოჩნდა უძველესი მაღარო ოქროს მოსაპოვებლად.

2004-2006 წწ. საქართველოსა და გერმანელი სპეციალისტებისაგან შემდგარი ჯგუფის მიერ, დადგინდა იქნა, რომ საყდრისის გვირაბი გამოიყენებოდა ოქროს მოპოვებისათვის, რომელიც

უძველესია კაცობრიობის ისტორიაში.

სპეციალისტების მიერ სამთო-არქეოლოგიური და საბუნებისმეტყველო კვლევების შედეგად დადგენილ იქნა, რომ საქართველოში, კერძოდ ბოლნისის რაიონში, საყდრისის გორაზე, დადასტურდა ოქროს სამთო წესით მოპოვების უძველესი, ძვ.წ. IV ათასწლეულების ბოლოსა და III ათასწლეულის დასაწყისის, კერა (სურ.9 გვ.37). საყდრისის ოქროს მაღარო საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის ნუსხაში შეიტანეს 2006 წელს და მას ეროვნული მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

უცხოელი სპეციალისტების აზრით, საყდრისი-ყაჩაღიანის ოქროს მაღარო არა მარტო ეროვნული მნიშვნელობის კულტურული ძეგლია, არამედ მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლიც.

„საყდრისი-ყაჩაღიანის“ გორის ვანდალური ნგრევა. გამოხდა ხანი. კომპანია „RMG Gold“-მა, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს საყდრისის მაღარო, გადაწყვიტა საყდრისის გორის სამრეწველო ათვისება. მაგრამ არსებული კანონმდებლობის მიხედვით, მას ამის უფლება არ გააჩნდა. საჭირო გახდა მისთვის ძეგლის სტატუსის მოხსნა. ამან გამოიწვია საზოგადოების ვნებათაღელვა. მეცნიერთა და სპეციალისტებს შორის აღმოჩნდნენ ისეთები, რომლებიც საყდრისის მაღაროს „უძველესობას“ „მისტიკურ გამონაგონად“ მიიჩნევდნენ.

2013 წლის 8 აგვისტოს ბრძანებით კომპანია „RMG Gold“-ს მიეცა თანხმობა, რომ საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე ეწარმოებინა ისეთი სახის საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები, რომელიც არ დააზიანებდა ზონაში მდებარე არქეოლოგიურ ობიექტს.

2014 წლის 7 იანვარს, კომპანია „RMG Gold“-მა საყდრისის ოქროს მაღაროს ტერიტორიაზე უნებართვოდ დაიწყო სამუშაოები. 2014 წლის 14 იანვარს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ, კომპანია „RMG Gold“-ს, საყდრისის საბადოს ბორცვზე მდებარე არქეოლოგიურ ობიექტზე წიაღისეულის მოპოვებისა და სხვა სახის სამუშაოების განსახორციელებლად ნება არ მისცა.

2014 წლის 12 დეკემბერს საქართველოს კულტურისა და

1. ისტორიული მონაცემები

ძეგლთა დაცვის მინისტრისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის ბრძანებების საფუძველზე კომპანია „არენჯი გოლდმა“, „საყდრის-ყაჩაღიანის“ უძველესი ოქროს საბადოს ვანდალური აფეთქებით, განაახლა სამთო-მოპოვებითი სამუშაოები საყდრის-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ობიექტზე.

საქართველოს პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა, 2014 წლის 19 დეკემბერს გაავრცელა განცხადება საყდრისის მადაროსთან დაკავშირებით განვითარებულ მოვლენებზე: „დაუშვებელია ფართომასშტაბიანი სამუშაოები საყდრისში სასამართლოს გადაწყვეტილებამდე“. სასამართლომ კომპანია „RMG Gold“-ს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე საყდრისში მსხვილმასშტაბიანი სამუშაოების უფლება არ მისცა.

საკპატრიარქომ, 2014 წლის 14 დეკემბერს, საყდრისზე განხორციელებულ ვანდალურ აფეთქებასთან დაკავშირებით გააკეთა განცხადება და არასწორად მიიჩნია საყდრისის ერთი ბორცვის (კვლევის სფერო 1 ჰა) აფეთქების მიზნით, კომპანია „RMG-GOLD“-ში დასაქმებულ მოქალაქეებისათვის ფინანსური პრობლემების შექმნა, რაც ფაქტობრივად გახდა საყდრისის იავარქმნის მთავარი მიზეზი.

კომპანიას, რომელსაც აქვე აქვს სხვა დიდი ტერიტორიები ოქროს მოპოვებისათვის, საქვეყნო ინტერესებიდან გამომდინარე, როგორმე უნდა მოეხერხებინა ალტერნატიული გზების გამოძებნა, რათა ხალხი უხელოფასოდ არ დარჩენილიყო.

მიუხედავად სახალხო პროტესტისა, კომპანია „RMG-GOLD“ ამჟამადაც განაგრძობს საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე არსებული უძველესი ოქროს მადაროს ვანდალურ ნგრევას და აცხადებს, რომ მის შეჩერებას აზრი აღარა აქვს (სურ.8 გვ.36).

ჩვენ კი გვგონია, რომ ამ ვანდალური პროცესის შეჩერებას ყოველთვის აქვს აზრი. რადგან „საყდრისის გორისა“ და ოქროს მადაროს ნანგრევები არის იმის დამადასტურებელი „ისტორიული ძეგლი“, რომ 21-ე საუკუნის ქართველებმა ბარბაროსურად დაანგრევს თავისი წინაპრების მიერ დატოვებული 5-ათას წლოვანი მსოფლიო მნიშვნელობის მქონე კულტურული ძეგლი.

მიგვაჩნია, რომ დანგრეული „საყდრისის გორა“ შეძლების-

6. „საყდრისი-ყაჩაღიანის“ შესახებ

დაგვარად უნდა მოწესრიგდეს და, ჩვენი მომავლი თაობისათვის, უნდა დაიდგას 2 სტენდი, რომელთაგან, ერთზე უნდა ჩამოიწეროს იმ უღირსი თანამედროვეების გვარ-სახელები, ვისაც ბრალი მიუძღვის ამ ვანდალურ ქმედებაში. ხოლო მეორეზე – იმ მამულიშვილების გვარ-სახელები, რომლებიც, შესაძლებლობისდაგვარად, იბრძოდნენ „საყდრისი-ყაჩაღიანის“ უმნიშვნელოვანესი ძეგლის გადასარჩენად.

1. ისტორიული მონაცემები



სურ. 3: დმანისის ძველი ნაქალაქარი [50]



სურ. 4: უძველესი ოქროს მადარო კაზრეთში [47]



სურ. 5: ახალი არქეოლოგიური აღმოჩენა შირაქის ველზე [37]



სურ. 6: არქეოლოგიური გათხრები გრაკლიანის გორაზე [41]

1. ისტორიული მონაცემები



სურ. 7: საყდრის-ყაჩალიანის გორა აფეთქებამდე [47]



სურ. 8: „საყდრის-ყაჩალიანის“ გორის ვანდალური ნგრევა [48]



სურ. 9: ოქროს მადნის ძარღვი [46]

თავი 2

ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია

შესავალი

ბიბლიის მიხედვით, შემოქმედმა დასაბამიდან, თავის ხატად და მსგავსად (კაცად და ქალად, ადამად და ევად) შექმნა ადამიანი, დაასახლა ის ედემის ბაღში მის დასამუშავებლად და დასაცავად.

მადლობის ნაცვლად, პირველმა ადამიანმა დაარღვია უფალი ღმერთისაგან მიღებული პირველი მცნება და ჩაიდინა პირველი ცოდვა. თაობიდან თაობას გადაეცა ადამის ცოდვა და ცოდვის გამო სიკვდილი. ედემიდან განდევნის შემდეგ, ადამისგან დაორსულებულმა ევამ, შვა კაენი და აბელი. აბელი იყო მეცხვარე, კაენი მიწის მუშა. აბელმაც და კაენმაც შესწირეს უფალს ძღვენი. უფალმა მოიწონა აბელის ძღვენი, რადგანაც აბელმა რწმენით შესწირა კაენისაზე უკეთესი მსხვერპლი. გაბრაზებულმა კაენმა მოკლა მისი ძმა აბელი. ღმერთმა დაწყევლა კაენი. დაწყველილ კაენი გამრავლდა და მისგან წარმოსდგა ბოროტი შთამომავლობა. მათ დაივიწყეს შემოქმედი ღმერთი და კეთილი საქმენი; ეწოდათ მათ კაცთა შვილები [33, გვ. 5].

მწუხარე ადამსა და ევას ღმერთმა მომადლა სხვა ნაშიერი და უწოდა მას სახელად შეთი. შეთის შეეძინა ვაჟი და უწოდა სახელად ენოში. მის შთამომავლობას ეწოდა „ღვთის შვილები“. შემდგომში მათგან წარმოსდგა ნოე — შვილი ლამექისა.

იწყეს ადამიანებმა გამრავლება დედამიწაზე. „ღვთის შვილები“ შეერივნენ „კაცთა შვილებს“ და შეიძინეს მათგან ყოველივე უკეთური ჩვეულება. ისინი გახდნენ გარყვნილნი და უწმინდურნი. ყველამ დაკარგა ადამიანობის ნიშანწყალი. დაინახა რა ღმერთმა ადამიანთა უკეთურება, გადაწყვიტა, წარღვნით აღეგავა მიწის პირიდან ადამიანიცა და ყოველი ხორციელიც.

ს. სალუაშვილის კვლევის მიხედვით, ბიბლიურ სწავლებაზე

2. ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია

დაყდნობით, კაცობრიობის წელთაღრიცხვა უზსოვარი დროიდან ქრისტესშობამდე, შეიძლება დაიყოს შემდეგ პერიოდებად:

1. უზსოვარი დროიდან დასაბამამდე (ძვ.წ. $2 \cdot 10^6$ წ.-დან - 5600 წ.-დე);
2. დასაბამიდან მსოფლიო წარღვნამდე (ძვ.წ. 5600 წ.-დან - 3950 წ.-დე);
3. მსოფლიო წარღვნიდან ბაბილონის გოდოლამდე (ძვ.წ. 3950 წ -დან - 3850 წ.-დე);
4. ბაბილონის გოდოლიდან ქრისტესშობამდე (ძვ.წ. 3850 წ.-დან 0 წ.- დე).

ს. მასხარაშვილის მიხედვით, ბიბლიური და ქართული საეკლესიო კალენდრების მონაცემთა შეჯერებით დგინდება, რომ წარღვნა მოხდა ძვ.წ. 4360-3950 წლებს შორის. ხოლო გოდოლის შენება კი მიმდინარეობდა ძვ.წ. 4259-3610 წლებს შორის [14].

ეს თარიღები არაა წინააღმდეგობაში ს. სალუაშვილის კვლევის შედეგებთან [20].

ანუ, ბიბლიის მიხედვით, კაცობრიობის დასაბამი იწყება ძვ.წ. VI-ათასწლეულის შუა ხანებიდან. ოფიციალური ისტორიის მიხედვით კი, ამ პერიოდში ევროპისა და აზიის ტერიტორიაზე იწყება ნეოლითის ხანა – მიწათ-მოქმედებისა და მეცხოველეობის ხანა; ხოლო ახლო აღმოსავლეთში და საქართველოს ტერიტორიაზე – პალეოლითის ხანა [3].

ეს ის ხანაა, როცა ადამიანი იწყებს შემოქმედებით მუშაობას და შესაბამისად, ჭეშმარიტად ადამიანურ ცხოვრებას.

1 მსოფლიო წარღვნამდელი ცივილიზაცია

აღმოჩნდა, რომ ეგვიპტის გარდა, პირამიდების მსგავსი ნაგებობები შემორჩა: მექსიკაში, სამხრეთ ამერიკაში, ჩინეთში, ინდოეთში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, იაპონიის ზღვის ფსკერზე, ატლანტის ოკეანის ფსკერზე... რაც მიუთითებს იმაზე, რომ ოდესღაც დედამიწაზე იყო ერთიანი გლობალური ცივილიზაცია (სურ.15 გვ.73).

პრაქტიკულად, ყოველ **კულტურაში** არის ლეგენდა წყალ-

1. მსოფლიო წარღვნამდელი ცივილიზაცია

ში ჩაძირულ ქალაქებზე და კონტინენტებზე, ძველ განვითარებულ ცივილიზაციებზე, რომლებიც ოკეანის ფსკერზე განისვენებენ: „ღმერთების ქალაქებზე“, გლობალურ კატასტროფაზე (წარღვნაზე), რომელიც ჩვენმა პლანეტამ განიცადა რამდენიმე ათასი წლის წინათ.

სინამდვილეში ყველა ლეგენდა, თქმულება, გადმოცემა მეტყველებს ერთ წარღვნამდელ ცივილიზაციაზე. მასვე ადასტურებს მრავალი მეცნიერული აღმოჩენაც. წარღვნამდელი ცივი-



სურ. 10: სტოუნჰენჯი ინგლისში [49]

ლიზაციის ნარჩენები მიმოფანტულია მთელ მსოფლიოში. ეს არის გრანდიოზული პირამიდები, მრავალრიცხოვანი ამოუხსნელი ქვის ნაკეთობები, ობელისკები, გიგანტური მიწისზედა გეომეტრიული ფორმები, გასაოცარი გამოსახულებები და საგნები.

ყველაზე იდუმალებით მოცულ ობიექტებს შორისაა: აღდგომის კუნძულის ქანდაკებები და **სტოუნჰენჯი** ინგლისში (სურ.10). ლეგენდის მიხედვით, სტოუნჰენჯის 25 ტონიანი ქვაბლო-

2. ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია

კები გადაიტანეს საჰაერო გზით, რაც შეიძლება მიუთითებდეს ერთგვარ ლევიტაციურ ტექნოლოგიაზე. მეცნიერთა მოსაზრებით, სტოუნჰენჯის ნაგებობა არის ძველი ასტრონომიული ობსერვატორია.

წყნარი ოკეანის აღმოსავლეთ ნაწილში, პასეჟის კუნძულებზე, განლაგებულია ათასზე მეტი გიგანტური ქვის ქანდაკება, რომელთა სიმაღლე აღწევს ხუთსართულიანი სახლის სიმაღლეს და თითოეული 100 ტონაზე მეტს იწონის. ლეგენდების მიხედვით, ისინი კარიერიდან გადმოიტანეს უცნაურმა „ადამიან-ფრინველებმა“, რომლებიც ფლობდნენ ფრენის განვითარებულ ტექნოლოგიას.

ატლანტის ოკეანის ფსკერზე, ბერმუდის სამკუთხედის ცენტრში, 1900-იან წლებში აღმოაჩინეს გიგანტური პირამიდა, რომელიც სიდიდით სამჯერ აღემატება ხეოფსის პირამიდას. პირამიდის წახნაგები დამზადებულია მასალისაგან, რომელიც წააგავს პოლირებულ კერამიკას. ატლანტოლოგთა აზრით, ამ პირამიდის კარკასში მოთავსებულია უცნობი ენერგეტიკული დანადგარი.

დიდი პირამიდები აღმოაჩინეს ჩინეთშიც. ერთი პირამიდის სიმაღლე 2-ჯერ მეტია ხეოფსის პირამიდაზე. ჩინელებს მიაჩნიათ, რომ ამ პირამიდების, ისევე როგორც ეგვიპტისა და მექსიკის პირამიდის მშენებლები, არ არიან არც ჩინელები, არც ეგვიპტელები და არც მექსიკელები. ისინი იყვნენ პირამიდების წარღვნამდელი მშენებლები, ე.წ. „ცის შვილები“, რომელთაც შესაძლოა ჰქონდათ საფრენი აპარატები. არსებობს ჰიპოთეზა, რომლის მიხედვით, მექსიკის პირამიდების მშენებელნი იყვნენ ლეგენდარული „ატლანტები“. ყოველივე ზემოთქმულმა პირამიდების შესახებ, მკვლევარები მიიყვანა დასკვნამდე, რომ პირამიდები, როგორც ერთგვარი გლობალური ენერგოსაინფორმაციო სისტემები, შექმნილია მეტად მაღალგანვითარებული ცივილაზაციის მიერ.

წარღვნამდელი კულტურა ძველ ანატოლიაში. ანატოლია ანუ მცირე აზია, არის რეგიონი სამხრეთ-დასავლეთ აზიაში, რომელიც ამჟამად თურქეთის აზიურ ნაწილს ჰქვია.

ტერმინი „ანატოლია“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „მზის ამოსვლას“ ანუ „აღმოსავლეთს“.



სურ. 11: ქვა ბლოკი

ანატოლია მდებარეობს აზიისა და ევროპის გასაყარზე, და წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ადგილს (სურ.12 გვ.44).

ამიტომ იგი, პრეისტორიული პერიოდიდან, გახდა რამდენიმე ცივილიზაციის დასაბამი.

ანატოლიას თამამად შეიძლება ეწოდოს მსოფლიო ცივილიზაციის აკვანი. აქ წარმოიშვა პირველი ქალაქები და კულტები. ჩამოყალბდა მეცხოველეობა, მიწათმოქმედება და ხელოვნება. შეიქმნა მეტალურგია.

ანატოლიაში, ძველი ინდოევროპელების შემოსვლამდე, უმთავრესად, ქართველური ტომები ცხოვრობდნენ. ისინი ძალიან გაშლილად სახლობდნენ. მათ ეკავათ ანატოლიის ტერიტორიის მთების ხეობები და მისი შავი ზღვის ნაპირები დღევანდელი ამიერ კავკასიის ჩათვლით. ამ დროს ანატოლიის დასახლება იმდენად მრავალრიცხოვანი არ იყო. შუა და დასავლეთ ანატოლიაში უმთავრესად, ქართველური ტომების დასავლური შტოს წარმო-

2. ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია



სურ. 12: ძველი ანატოლია [51]

მადგენლები — ტაოხები, ხატილები, ღალიზონები ცხოვრობდნენ. ღალიზონები მდინარე ღალისის ნაპირებზე სახლობდნენ. ღალიზონებმა თავისი სალოცავი ხატი დააარსეს. შემდეგში კი მის ადგილზე ქალაქი „ხატისა“ ააგეს, რომელიც მალე ქართველური კულტურის ერთ-ერთი შუაგული გახდა. ამიტომ ქალაქის მცხოვრებლები თავის თავს ხატილებს უწოდებდნენ [5, გვ. 9].

ისტორიული წყაროები ანატოლიის აღმოსავლური ნაწილის ქართველურ მოსახლეობას შორის ყველაზე წინ მესხებს, ბერძნულად მოსხებს ასახელებენ. მესხეთს უხსოვარი დროიდან დღევანდელი მესხეთ-ჯავახეთი მთლიანად ეკავათ. იქაურმა მოსახლეობამ იცოდა ფერადი ლითონების სამკაულების დამუშავების ოსტატობა, ისწავლა უფრო განვითარებული მიწათმოქმედება და მეზღვეობა [5, გვ. 78].

ანუ, ანატოლია იყო ქართველური ტომების უძველესი სამშობლო.

ძველი ინდოევროპელების შემოსვლამ საგრძნობლად გაზარდა და ააჭრელა ანატოლიის მოსახლეობა. ამ შემოსვლამ აქამდე გაშლილი ერთიანი ქართველური სამყარო აღმოსავლურ და დასავლურ ნაწილებად გახლიჩა. შემოსულებმა აითვისეს უფრო მაღალი ქართველური კულტურის მიღწევები და ამის საფუძველ-

1. მსოფლიო წარღვნამდელი ცივილიზაცია

ზე ძველი „ხატისა“-ს სამეფოსგან მათ თავისი, ეგრეთ წოდებული, „ხატის ქვეყანა“ შექმნეს. ე. ი. მათ ქალაქის ამგებლებს სახელიც წაართვეს და თვითონ გახდნენ ხატილები [5, გვ. 11].

შემოსული ინდოევროპელები, როგორც ჩანს, მთიელები იყვნენ. ისინი, შესაძლებელია, დასავლეთ აზიის მთიანი ადგილებიდან ან ავღანეთიდან შემოვიდნენ. ალბათ ეს იყო მიზეზი, რომ ახალმოსულები არა შავი ზღვის დაბლობებზე, არამედ ანატოლიის მთიან ადგილებზე დასახლდნენ [5, გვ. 146].

1995 წელს თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ტიგროსისა და ევფრატის სათავეებს შორის არსებულ გორაზე, სახელწოდებით **გიობეკლი თეფე**, გერმანიის არქეოლოგიური ინსტიტუტის ექსპედიციის მიერ აღმოჩენილ იქნა ყველაზე ძველი ქალაქი მსოფლიოში, რომელიც 11 000 წლისაა (სურ.16 გვ.73). ის აგებულ იქნა ნეოლითის ეპოქაში. არვინ ელოდა, რომ მონადირე და შემგროვებელ ველურებს შეეძლოთ აეშენებინათ მშვენიერი ტაძრები, რომლის კედლებზე გამოსახულია წარღვნამდელი ხანის ცხოველები და ფრინველები (სურ.13 გვ.46).

აქ არის ხარის რქების გამოსახულებაც. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს კედლებზე გამოსახული უცნაური ჰიქტოგრამები, რომლებიც შეიძლება უძველეს დამწერლობად მივიჩნიოთ.

უკვე სახეზეა ქვის დამუშავების მაღალი ტექნიკა. როგორ ამუშავებდნენ ან როგორ გადაჰქონდათ 20-50 ტონიანი ბლოკები. ძვ. წ. 7500 წელს ჰებეკლი-თებე უცებ წყვეტს არსებობას და ცარიელდება. ძნელი სათქმელია რა მოხდა. გათხრები ჯერ არ დამთავრებულია. გერმანელი არქეოლოგების აზრით, ჰებეკლი-თებეში ჯერ კიდევ მაშინ იქნა ფორმულირებული ისეთი წარმოდგენები, რომლებიც შემდეგ შუმერულ კულტურაში აისახა.

მეცნიერები გაკვირვებულები არიან, როგორ შეიძლება ნეოლითის ხანაში ყოფილიყო დამწერლობა. მაშინ, როცა უმეტეს ქვეყნებში არ იცოდნენ არც მესაქონლეობა და არც მიწათმოქმედება! მათი მოსაზრებით, იმდროინდელ ადგილობრივ მცხოვრებლებს მოუხდათ თავისი ცხოვრების წესის შეცვლა და საკვების შეგროვებიდან მის მოყვანაზე გადასვლა.

ვ. ვახანიას მოსაზრებით, იმ პერიოდში ადგილობრივ მცხოვრებლებს წარმოადგენდა მხოლოდ **ქართველურ-კოლხური** მოდ-



სურ. 13: წარღვნამდელი ხანის ცხოველი

გმის მოსახლეობა, რომლებიც ხასიათდებოდნენ განვითარებული მიწათმოქმედებითა და მეცხოველეობით. ამიტომ იგი იმედოვნებს, რომ ჰებეკლი-თებეში აღმოჩენილი ჰიქტოგრაამები, სიმბოლო-ასონიშნები გაშიფრულ იქნება ქართველი მეცნიერების მიერ [10, გვ. 38].

2 მსოფლიო წარღვნის შესახებ

მეტად საინტერესოა, თუ სინამდველეში რა მოვლენებს ჰქონდა ადგილი „ბიბლიური წარღვნის“ სახელით ცნობილ კატასტროფული მოვლენების პერიოდში.

აღ. ბესელიას მოსაზრებით, იყო დრო, როცა ევროპასა და აზიას შორის არსებობდა ორი უზარმაზარი ღრმული, მათ შორის არსებული დაბლობებით. მათ მიღმა, უფრო აღმოსავლეთით, ამჟამინდელი კასპისა და არალის ზღვების ადგილებზეც არსე-

ბობდა ღრმულები. ამ დროს ევროპის სამხრეთი დაფარული იყო მყინვარებით. შემდგომში დაიწყო მათი დნობა, რასაც მოჰყვა ატლანტის ოკეანის დონის მკვეთრი აწევა. ამის შედეგად ევროპასა და აფრიკას შორის არსებული, ზემონსენებული ღრმულები და მათ გარშემო არსებული დაბლობები, წყლით დაიფარა. ეს უზომოდ დიდი წარღვნა დიდ ხანს გაგრძელდებოდა. მისმა წყლებმა შავი და კასპიის ზღვების ახლანდელ ადგილას შეაღწიეს და იქ არსებული დაბლობები გაავსეს. ბოლოს კი შუა აზიაში არსებული ღრმულიც (არალის ზღვა) აავსეს. ე.ი. აღნიშნული წარღვნის შედეგად შეიქმნა წარმოუდგენელი მოცულობის ყურე. ძნელი სათქმელია, თუ რამდენ ხანს იარსება ასეთმა ყურემ. მაგრამ შემდეგ წყლის დონემ დაიკლო, რადგანაც მყინვარების დნობის შედეგად წარმოქმნილი წყალი თანდათანობით თანაბრად გადანაწილდა დედამიწის გარშემო არსებულ ოთხივე ოკეანის სივრცეებში [5, გვ. 163].

უშველებელი ყურის არსებობას ბოლო მოუღო ევროპაში წარმოქმნილმა ახალმა მთებმა პირინეების, აპენინების, კარპატების, ბალკანეთისა და კავკასიის მთების სახით. ისინი თავისი მალეობებით შეიჭრნენ უზარმაზარი ყურის გაშლილ სივრცეებში. რის შედეგადაც შეიქმნა პირინეისა და ბალკანეთის ნახევარკუნძულები. პირინეების მთების ერთ-ერთმა კლდოვანმა ქიმმა ამოსვლისას აფრიკის კონტინენტის ნაპირსაც მიაღწია. რითაც მანამდე არსებულ უზარმაზარ ყურეს ოკეანესთან გამაერთიანებელი სათავე გადაუკეტა და, ამრიგად, ბოლო მოეღო უზარმაზარი ყურის არსებობასაც [5, გვ. 164].

ახალი მთების ამოსვლით მოხდა უმნიშვნელოვანესი ცვლილებები. უზარმაზარი ყურე გაიყო ცალკე აუზებად. ამოსულმა ბალკანეთისა და ტავროს მთებმა გააცალკევეს ყურის წინა ნაწილი და შეიქმნა ხმელთაშუა ზღვა. ამ მთების ამოსვლის შედეგად წარმოიქმნა შავი და კასპიის ზღვა. ხოლო ყურის დარჩენილი ბოლო ნაწილიდან — არალის ზღვა. ამის შედეგად, მნიშვნელოვნად შეიცვალა აღნიშნული ადგილების გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი პირობები. აფრიკასა და ევროპას შორის აღმართული პირინეის მთების ბოლო ნაწილი ხმელთაშუა ზღვას იცავდა ატლანტის წყლების შეღწევისაგან. აღმოსავლეთ ნაწილში

2. ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია

ხმელთაშუა ზღვასა და შავ ზღვას შორის გაჩნდა სახმელეთო დერეფანი ევროპასა და მცირე აზიას (ანატოლიას) შორის. ეგეოსისა და შავ ზღვებს შორის გადიოდა მათი გამყოფი სახმელეთო დერეფანი. ძნელი სათქმელია, რამდენი საუკუნე გრძელდებოდა დერეფნის არსებობა ევროპასა და აფრიკას შორის და ანატოლიასა და ევროპას შორის. შემდეგში, შავი ზღვა გადაივსო ჩამდინარე მდინარეებით და ათასწლოვანი ჩაკეტილი არსებობა შეწყვიტა. მისგან გადმონადენმა წყალმა გაჭრა კალაპოტი და ეგეოსის ზღვამდე შეაღწია, რომელმაც, ახლად შექმნილი დელეს მეშვეობით, ასეთსავე ჩაკეტილ ხმელთაშუა ზღვაში ჰპოვა შესასვლელი. ამრიგად ანატოლიასა და ევროპას შორის გაჩნდა პირველი დაბრკოლება დელეს ფონის სახით, მაგრამ მან ხელი ვერ შეუშალა კავშირის დამყარებას ბალკანეთსა და ანატოლიას შორის. ძალიან მნიშვნელოვანია მათი არსებობის ბოლო საუკუნეები, რომლებიც უკავშირდებიან ანატოლიაში ქართველური ტომების გაჩენისა და ჩამოყალიბების ისტორიის დასაწყისს. მათ იქ ყოფნას დელეს ფონის, მდინარე დელესის, ტაოს/ტავროსის მთების ქართველური წარმოშობის უძველესი დასახელებებიც ადასტურებენ [5, გვ. 165].

დელეს ფონით სარგებლობა გრძელდებოდა რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, მანამდე სანამ ევროპასა და აფრიკას შორის არსებული ქედი დაშალა მიწისძვრებმა, ხანგრძლივმა სეისმურმა რღვევებმა და მის ადგილზე გაჩნდა სრუტე, რომელსაც მოგვიანებით გიბრალტარის სრუტე ეწოდა.

ალ. ბესელიას მიხედვით, აფრიკასა და ევროპას შორის მდებარე ქედის რღვევა გამოიწვია დედამიწის ტექტონიკურმა ძვრებმა. ოკეანის წყლებმა თავისი უზარმაზარი ზეწოლით შეაღწია კლდოვან ქედში არსებულ ნაპრალებში და ქედი ნამსხვრევების სახით მიმოფანტა ხმელთაშუა ზღვის ფსკერზე. ოკეანის დონე დაახლოებით 100 მეტრით აღემატებოდა ხმელთაშუა ზღვის დონეს. ხოლო სრუტის უმცირესი სიგანე 14 კილომეტრს აღწევს. ოკეანიდან გადმოღვრილი უზარმაზარი მოცულობის ჩანჩქერი შეუდგა ხმელთაშუა ზღვის ავსებას. ძნელი წარმოსადგენია თუ რამდენ ხანს ავსებდა გაჩენილი ჩანჩქერი ხმელთაშუა ზღვას. ჩანჩქერი იქამდე მძვინვარებდა, სანამ არა მარტო ხმელთაშუა ზღვის, არა-

2. მსოფლიო წარღვნის შესახებ

მედ შავი ზღვის დონეც არ გაუთანაბრდა ოკეანის დონეს. წყალმა თანდათან დაფარა ზღვის დაბალი ნაპირები. ამის ყველაზე ნათელი დასტურია სოხუმის სანაპიროს მახლობლად მყვინთავების მიერ ზღვის ფსკერზე აღმოჩენილი ქალაქის ნანგრევები. მის მახლობლად კი მიაგნეს ქალაქს, რომლის ძირძველი დასახელება უცნობია. ბერძნებმა მას დიოსკურია დაარქვეს. ატლანტიკიდან შემოვარდნილმა წყალმა ხმელთაშუა ზღვის დონე ოკეანის დონემდე ასწია. ამას მოჰყვა დელეს ფონის ბრტყელი კალაპოტის ამოვსება. მის ადგილზე გაშლილი და ღრმა სამი აუზის რიგი შეიქმნა: დარდანელის, ბოსფორის სრუტეები და მათ შორის მდებარე მარმარილოს ზღვა. ასე ჩაბარდა ისტორიას ევროპასა და მცირე აზიას შორის მდებარე ბუნებრივი დაუბრკოლებელი დერეფნის არსებობა [5, გვ. 176].

ხმელთაშუა ზღვის ნაპირები თანდათან დატბორა წარმოუდგენლად უზარმაზარმა მცოცავმა წარღვნამ. ასეთივე ბედი ეწია მის მრავალრიცხოვან კუნძულებსაც. წარღვნამდე ამ ადგილებში მრავალი მაცხოვრებელი სახლობდა. წყალმა თანდათანობით დაფარა სანაპიროზე მდებარე მრავალი ნაყოფიერი ვაკე-დაბლობი, დასახლებები და ქალაქები. ბუნებრივია, ხალხიც აიყარა. ამ წარღვნის შედეგად ზღვის სანაპიროებიდან აყრილი მოსახლეობის გადასახლებამ გამოიწვია ე.წ. „ზღვის ხალხების“ ლაშქრობა. ეს იძულებითი „ლაშქრობა“ იძულებით გადასახლებას უფრო ჰგავდა. მცოცავმა წარღვნამ ერთდროულად ეგვიპტის სანაპიროებიც დააზარალა. მაგრამ ბალკანეთთან შედარებით, აფრიკის ნაკლებად დასახლებულმა სანაპიროებმა ბევრად ნაკლები ზიანი განიცადეს [5, გვ. 177].

1998 წელს ამერიკელმა გეოლოგებმა **უოლტერ პიტმენმა** და **ულან რაინმა** საკმაოდ დამაჯერებლად დაასაბუთეს მეცნიერული ჰიპოთეზა, რომლის მიხედვით უკანასკნელი გამყინვარების დასასრულს, დაახლოებით 7500 წლის წინ, (ძვ.წ. 5500 წელს), შავი ზღვის ადგილზე არსებული დიდი მტკნარი ტბა. ჩრდილოეთ ატლანტიკაში ყინულის დნობის შედეგად ხმელთაშუა ზღვაში შემოსულმა დიდმა წყალმა გაანგრია დღევანდელი ბოსფორის სრუტე და სულ რამდენიმე თვეში აამაღლა ყოფილი ტბის დონე და აქცია მლაშე ზღვად (სურ.17 გვ.74).

2. ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია

მიჩნეულია, რომ გიბრალტარის სრუტე, რომელიც ატლანტის ოკეანეს აკავშირებს ხმელთაშუა ზღვასთან, ოდესღაც ძალიან პატარა იყო. შესაბამისად, ხმელთაშუა ზღვა დიდი ტბის ზომის იყო; ხოლო შავი ზღვა იყო მტკნარწყლიანი დიდი ტბა. 7000 წლის წინ (ძვ.წ. 5000 წ) მოხდა დიდი მიწისძვრა, რასაც მოჰყვა გიბრალტარის გახსნა და ოკეანის წყლების გიგანტური ტალღები შემოიჭრა აღმოსავლეთისაკენ. ამ დროს წარმოიქმნა შავი ზღვა. ეს აზრი დადასტურდა მას შემდეგ, როცა ცნობილმა ამერიკელმა მოგზაურმა **რობერტ ბელლარდმა** შავი ზღვის ფსკერზე აღმოაჩინა 7000 წლის წინანდელი **ნასახლარები**.

3 ნოეს შესახებ

როგორც აღვნიშნეთ, ბიბლიის მიხედვით, ადამიანები გახდნენ გარყვნილნი და უწმინდურნი. ყველამ დაკარგა ადამიანობის ნიშანწყალი. მთელ მაშინდელ კაცობრიობაში მხოლოდ ერთი კაციღა ერია ღვთისმოყვარე და კეთილმსახური. ეს იყო ნოე. ნოეს ჰყავდა 3 ვაჟი — სემი, ქამი და იაფეტი. დაინახა რა ღმერთმა ადამიანთა უკეთურება, გადაწყვიტა, წარღვნით აღეგავა მიწის პირიდან ადამიანიცა და ყოველი ხორციელიც. ნოე კი გადაერჩინა კაცობრიობის გასამრავლებლად.

როგორც ბიბლია გადმოგვცემს, გამოეცხადა უფალი ნოეს, გააფრთხილა მოსალოდნელი წარღვნის შესახებ და უბრძანა აეშენებინა კიდობანი, სადაც თავს შეაფარებდა ოჯახთან და ცოცხალ არსებებთან ერთად. ბიბლიის მიხედვით: კიდობნის სიგრძე იყო 300 წყრთა, სიგანე 50 წყრთა, ხოლო სიმაღლე 30 წყრთა. აღსანიშნავია, რომ კიდობნის სიმაღლის ფარდობა მის სიგანესთან მიახლოებით 0,618-ს ტოლია, და პირიქით, სიგანის შეფარდება სიმაღლესთან 1,618-სა. ეს რიცხვი უხსოვარი დროიდან გამოიყენება არქიტექტურასა და მშენებლობაში და ცნობილია პითაგორას ოქროს კვეთის სახელწოდებით. აღმოჩნდა, რომ ეს რიცხვები ბუნების ჰარმონიის მათემატიკურ საფუძველს წარმოადგენენ[28, გვ. 72].

ეს რიცხვი კარგად იცოდა მან, ვინც ნოეს კიდობნის გაკეთება უბრძანა.

შეიყვანა ნოემ კიდობანში ყოველგვარი სულდგმული, რასაც კი სიცოცხლის სული ედგა, ყველა წყვილ-წყვილად. წმინდა პირუტყვისაგან შვიდ-შვიდი წაიყვანა, უწმინდურთაგან ორ-ორი. შევიდნენ კიდობანში ნოე და მისი შვილები, ცოლები, რათა განრიდებოდნენ წარღვნას. მეშვიდე დღეს მოვიდა წარღვნა ქვეყნად [33, გვ. 6].

7 დღის შემდეგ ამოვიდა ნოე კიდობნიდან თავისი ცოლშვილით და კიდობანს შეფარებული ყველა არსება. კიდობნიდან გამოსვლის შემდეგ, ნოემ დაიწყო მიწის დამუშავება და ვენახიც გააშენა. როცა ვენახმა ნაყოფი გამოიღო, ნოემ ღვინო დააყენა (ქართველი კაცის მსგავსად).

აკურთხა ღმერთმა ნოე და მისი შვილები და უთხრა: ინაყოფიერეთ, იმრავლეთ და აავსეთ ქვეყანა [33, გვ. 7].

4 ბაბილონის გოდოლი და ხალხთა მოდგმა

ნოეს სამი შვილის გამრავლებით შეიქმნა კაცობრიობა. ბიბლიის მიხედვით, ნოეს ძე ქამი იყო ქანაანის მამამთავარი; სემმა ებრაელებსა და სხვა სემიტურ ტომებს დაუდო საფუძველი; იაფეტმა კი ევროპელებსა და აზიაში გავრცელებულ მრავალ ხალხს, (მათ შორის ქართველებს). ქართველთა მამამთავრად მიჩნეულია იაფეტის ძე თუბალი [33, გვ. 8].

ქანაანური, არაბული, ფინიკიური, არამეული, აქადური, ასურული და ივრითი წარმოშობით ქამიტური ენებია (ანუ ქამის შთამომავლები არიან).

ნოეს შვილები გამრავლდნენ, მათგან მთელი დედამიწა იქნა დასახლებული. (კაცობრიობა ამ დროს ერთიანი იყო, ეთნიკურად ერთგვარი და ერთ ენაზე მოლაპარაკე). ისინი თაყვანს სცემდნენ ერთ ჳემმარიტ ღმერთს და ემორჩილებოდნენ უფროსებს. ისინი დამკვიდრდნენ შინყარის ქვეყანაში (შუამდინარეთში), მაგრამ მალე დაივიწყეს ჳემმარიტი ღმერთი, გაირყვნენ და გაამპარტავდნენ. მათ მოიწადინეს ქალაქისა და ისეთი გოდოლის აშენება, რომლის თხემი ცას (ღმერთის საუფლოს) მისწვდებოდა, რათა სახელი გაეთქვათ ქვეყანაზე და წარღვნის დროსაც თავი შეეფარებინათ. ჩამოვიდა უფალი, რომ ენახა ქალაქი და გოდოლი,

2. ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია

რომელსაც ადამიანები ამენებდნენ. თქვა უფალმა: ერთი ხალხია ეს და ერთი ენა აქვთ ყველას. ამიტომ ისინი (გამოიყენებენ რა მათთვის ღმერთის მიერ ბოძებულ თავის გონებას და თავისუფალ ნებას), დაუბრკოლებლად გააკეთებენ ყველაფერს, რასაც ღვთის ნების გარეშე განიზრახავენ. რის გამოც, ღმერთმა აურია მათ ენა, რათა ვერაფერი გააგებინონ ერთმანეთს და გაფანტა ისინი იქიდან მთელ დედამიწაზე [33, გვ. 8]

აქედან წარმოსდგა სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხი. ხოლო გოდოლს, რომელიც მათ ვერ დაამთავრეს, ეწოდა **ბაბილონის გოდოლი**.

ბიბლიის ძველი, განსაკუთრებით ქრისტიანი კომენტატორები, ქართველთა მამამთავრად იაფეტის ძეს თუბალს მიიჩნევენ. „თუბალ, მესეხი“ როგორც დაბადებაში, ასევე წმიდა წერილის მრავალ ადგილას ეს ორი ხალხი, როგორც წესი, ერთიანდებიან. მათი საცხოვრისი განისაზღვრება პალესტინის ჩრდილოეთით. მეცნიერები თვლიან, რომ თავდაპირველად ორივე ხალხი ცხოვრობდა ტიგროსისა და ევფრატის სათავეებში, ანუ კოლხეთსა და იბერიაში [33, გვ. 5].

ს. მასხარაშვილის მოსაზრებით, ბაბილონის გოდოლის შენება იყო აქტი, რომლის მიზანსაც კაცობრიობის ერთფეროვნებისა და უნიტარულობის შენარჩუნება წარმოადგენდა. არა და, უფლის ნება იყო, რომ ადამიანები როგორც პიროვნულად, ისე ერების „ნათესავების“ სახით ინდივიდუალური, თვითმყოფადნი, თავისებურნი (ურთიერთ განსხვავებულნი) ყოფილიყვნენ (საპირისპიროთა ერთიანობა და ბრძოლა წარმოადგენს ევოლუციური განვითარების საუძველს). ამიტომაც, რომ ღმერთმა კაცობრიობას ენები აურია და მათ ვეღარ გაუგეს ერთმანეთს, შეწყვიტა მათი ფიზიკურად ერთად ყოფნის ნიშანსვეტის— ბაბილონის გოდოლის შენება [14, გვ. 12] (სურ.18 გვ.74).

როგორც ბიბლია გვაუწყებს, კაცობრიობისათვის ენების აღრევისა და ბაბილონის გოდოლის შენების შეწყვეტის შემდეგ, უფალმა დედამიწის სხვადასხვა კუთხეში გაფანტა ადამიანები, თუმცა, უფლისავე ნებით, კაცობრიობა არ გათითოვაცებულა, არამედ, რამდენიმე ენობრივ ჯგუფად დანაწილდა და ყოველ მათგანს კონკრეტული, სხვათაგან გამიჯნული ტერიტორია ერ-

გო. ერთი სიტყვით, კაცობრიობა დაიყო მოდგმებად, ეთნოსებად, ხალხებად. თითოეულ მათგანს ახასიათებდა ინდივიდუალური ეთნოფსიქოლოგია, ჰქონდა მამული და თავისებური ენა. როგორც გაირკვა, სემიტურ-იბერიულ ოჯახში შემავალ ხალხებს, ანუ მათ, რომელთაც გოდოლის შენებაში არ მიუღიათ მონაწილეობა ებოძათ კავკასია, მცირე აზია, მესოპოტამია, სირია-პალესტინა, თანამედროვე ირანის ტერიტორია... აქედან იბერიელთა ერთი ნაწილი შავი და ხმელთაშუა ზღვისპირეთში დასახლდა, ხოლო ძვ.წ. III ათასწლეულში იბერიელებმა დიდ ბრიტანეთსაც მიაღწიეს [14, გვ. 34].


„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, „ქართველთა და სომეხთა, რანთა და მოგაკნეთა, ჰერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანთა — ამათ თავსა ერთი იყო მამაი, სახელით თარგამოს“. თარგამოსი იყო ნოეს შვილთაშვილი: „ნოეს ძე — იაფეტის, იაფეტის ძე — თარშისი, თარშისის ძე — თარგამოსი“ [22].

„დაბადებაც“ სხვა თავდაპირველ ხალხებს შორის პირველ რიგში ჩამოთვლის ქართველთ წინაპრებს: თობელს, მოსოქს და თარგამს. თობელი და მოსოქი (მოსოხი) იყვნენ იაფეტის ძენი, ხოლო თორგამი იყო იაფეტის ძის ძე [33, გვ. 11].

ბაბილონის გოდოლის დანგრევისა და ენების გაყოფის შემდეგ თარგამოსი დაემკვიდრა გურგენისა და პონტოს ზღვებს შორის, და კავკასიონსა და ორეთის მთებს შორის. თარგამოსს ჰყავდა 8 შვილი: ჰაოსი, ქართლოსი, ბარდოსი, მოგაკან, ლეკან, ჰეროსი, კავკასი და ეგროსი. თარგამოსმა ქვეყნის ნახევარი (სამხრეთი) მისცა ჰაოსს. ხოლო მეორე (ჩრდილოეთი) ნახევარი სხვა — 7 ძმას გადაუნაწილა. ჰეროსს მისცა მტკვრის ჩრდილოეთით, ალაზნის შესართავიდან გურგენის ზღვამდე. ქართლოსს მისცა ჰერეთიდან და დებედიდან ლიხის მთამდე. ეგროსს — ლიხის მთიდან პონტოს ზღვამდე. ლეკანს — კავკასიონის ჩრდილოეთით თერგამდე და გურგენის ზღვამდე. კავკასის — კავკასიონის ჩრდილოეთი მხარე, დასავლეთით (მის) დასასრულამდე [33, გვ. 10](სურ.14 გვ.55).


ქართლოსი დამკვიდრდა მტკვრისა და არაგვის შესართავთან, არმაზის მთაზე. აღმართა კერპი არმაზი. ერქვა მთასა მას ქართლი. მცხეთოსს ჰყავდა შვილები: უფლოსი, ოძრახოსი და

2. ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია



სქემა 1: ფარნავაზის გენეალოგია

4. ბაბილონის გოდოლი და ხალხთა მოდგმა



სურ. 14: საქართველოს რუკა „ქართლის ცხოვრების მიხედვით“ [34]

2. ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია

ჯავახოსი. უფლოსმა ააშენა ქალაქები: უფლის-ციხე, ურბნისი, კასპი და უწოდა (მხარეს) ზენარ-სოფლისა, შიდა ქართლი. დაარსა დედაქალაქი მცხეთა. ქართლოსმა შექმნა ერთიანი ქართლის სამეფო. ქართლოსის სიკვდილის შემდეგ შვილებს შორის გაღვივდა შუღლი და მტრობა. მათ დაივიწყეს ღმერთი, დამბადებელი მათი, და იქნენ მსახურ მზისა და მთვარისა და ვარსკვლავთა ხუთთა; და მტკიცე და უფროსი სალოცავი მათი იყო საფლავი ქართლოსისა [32, გვ. 14]

ქამის შთამომავლებს წილად ხვდათ აფრიკა, ამერიკა, ევრაზიის დიდი ნაწილი.

იაფეტის შთამომავალ ინდოევროპელები კი რაინის, დუნაის, შავი და კასპიის ზღვების, კავკასიონის ჩრდილო აღმოსავლეთით მდებარე ევრაზიის ტერიტორიაზე განსახლდნენ. როგორც ჩანს, კავკასია შუამდინარეთის ხაზზე ნოეს ის შთამომავლები დარჩნენ, რომელთაც არ გადაუხვიეს უფლის ნებას, იმთავითვე გაემიჯნენ უნიტარულ კაცობრიობას და მონაწილეობა არ მიიღეს გოდოლის შენებაში. ამიტომ, სასჯელი „გაფანტვა“ მათ არ შეხებიათ. მათ აქ შექმნეს მსოფლიოში უძველესი სპილენძ-ქვის ხანის კულტურა [14, გვ. 34].

ძვ.წ. 1200-1100 წლებში ისრაელი განუწყვეტილად იბრძოდა ქამიტთა წინააღმდეგ და ჩამოაყალიბა სამეფო. დავითის (ძვ.წ. 1010-970) და სოლომონის (ძვ.წ. 970-931) მეფობის ხანა — ძველ-ვაშლიანი ისრაელის ზეობის პერიოდია. ამ დროისათვის ებრაელებმა პალესტინაში სრულად გაანადგურეს ქამიტთა ტომები [14, გვ. 50].

შუამდინარული კულტურის წინაპარი. კავკასიის, შუამდინარეთისა და მცირე აზია-ანატოლიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი, ძვ.წ. IV ათასწლეულით დათარიღებული არქეოლოგიური მასალა აშკარად ურთიერთიდენტურია და მონათესავე. ამასთან, ისინი გენეტიკურ კავშირს ამჟღავნებენ წარღვნამდელ (ძვ.წ. V ათასწლეულის) და გოდოლამდელ მონაცემებთან. რაც მეტყველებს იმაზე, რომ:

ის ერთი მოდგმისა და ერთი კულტურის ხალხს ეკუთვნის;

მისი შემქმნელი მოდგმა გადაურჩა უფლის სასჯელს, როგორც წარღვნის დროს, ისე გოდოლის დანგრევის შემდეგ;

ვინაიდან გოდოლისტები მთლიანად ბაბილონში მოსახლეობდნენ და არა კავკასიაში, ვინაიდან ნოეს ოჯახი ჯერ კაბადოკიაში და კავკასიაში ცხოვრობდა და შემდეგ გადასახლდა შუამდინარეთში, ვინაიდან შუმერები (ქალდეები) სამხრეთ მესოპოტამიაში ჩრდილოეთიდან მოვიდნენ, ხოლო შუმერული კულტურა მტკვარ-არაქსის მონათესავეა და არა აფრიკა-აზიაში გაფანტული ენაალრეული გოდოლისტებისა, ვინაიდან „მიწათმოქმედება“ წინ უსწრებს ქალაქს, კავკასიური ანუ მტკვარ-არაქსული და კაბადოკიური კულტურა ქრონოლოგიურად წინ უსწრებს შუამდინარეულს. მეტიც, კაბადოკიური და მტკვარ-არაქსის კულტურა შუამდინარული კულტურის წინამორბედი და წინაპარია; შუამდინარული უძველესი ქალაქების დამაარსებელი და აბრაამის წინაპარი ქალდი შუმერები სწორედ მტკვარ-არაქსის აუზში მცხოვრებ ქართველთა წინაპარ ქალდეველთა შთამომავლები არიან [14, გვ. 57].

5 მსოფლიო ენათა ოჯახები

გამოჩენილი მეცნიერები რწმუნდებიან, რომ კაცობრიობის ორი უმთავრესი რასის სემიტურისა და ინდოევროპეანულის ფუძე ენები გამოსულნი არიან ერთი საერთო პირველწყაროდან. თუ როგორი იყო ეს პირველყოფილი ენა, მთელი კაცობრიობის, ძველ ღვთისმეტყველთა და თანამედროვე ლინგვისტთა ძიების საგანს წარმოადგენს. ენათმეცნიერების დასკვნა ჩვენთვის საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ფუძე ქართველურ ეთნოსს ზეგავლენა მოუხდენია ფუძე ინდოევროპულ წინარე ენებზე.

ბაბილონის გოდოლის დაცემის შემდეგ ენათა აღრევის შედეგად წარმოქმნილი ხალხები „უფალმა ღმერთმა გაფანტა მთელ დედამიწაზე“. „დაბადებაში“ მოხსენებულთა თობელები და მოსოხები. შეძლეს თუ არა პროტოქართველებმა გაფანტვის შემდეგ თავიანთი ეთნიკური სახის შენარჩუნება და რომელ ქვეყანაში ჩანს მათი კვალი? ეს საკითხი ყოველთვის აინტერესებდათ ეკლესიის მამებს, ისტორიკოსებსა და ლინგვისტებს. ამჟამად (ისტორიული წყროების მიხედვით) საბოლოოდაა დამტკიცებული, რომ ქართველები წინა აზიის ძველ მკვიდრ მოსახლეობას ეკუთვნოდ-

2. ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია

ნენ. ისინი ნათესაურად იყვნენ დაკავშირებულნი მსოფლიოს უძველეს კულტურულ მოსახლეობასთან [33, გვ. 13].

უფრო მეტიც, ცნობილი მეცნიერების აზრით, ქართველი ტომები მემკვიდრენი არიან შუმერების, ხეთების, ხალდეებისა და სხვათა, რომლებიც წინა აზიის უძველესი ხალხები იყვნენ. მათ შექმნეს საკაცობრიო კულტურის ყველაზე ადრინდელი კერები. მრავალმხრივი ფაქტიური მასალების გამოყენებით ასეთივე მოსაზრება განავითარა და კიდევ უფრო დაასაბუთა თავის შრომებში აკად. ივ. ჯავახიშვილმა. საყოველთაოდ მიღებულად ითვლება, რომ მსოფლიო ენები წარმოიქმნენ „ერთპირ და ერთ ენაზე მეტყველი ერთი ხალხის“ ენის „აღრვეის“ შედეგად. ენათმეცნიერებს სურთ გამოიკვლიონ კაცობრიობის პირველადი ენა. ენათა შორის მსოფლიო კავშირის იდეის დასაბუთება ენათმეცნიერებაში, ნ. მარის მოწაფეთა თვალსაზრისით, დაწყებულია ქართული ენის ბუნებისა და თვისების გამოკვლევის შემდგომ [33, გვ. 14].

რა ადგილი უჭირავს ქართული ენის შესწავლას მსოფლიოს სხვა ენების მიმართ? აღმოჩნდა, რომ ქართული ენა გაჟღერთილია უძველესი ეპოქების ჩარჩენილობებით (რელიქტებით), რელიქტური კავშირებითა და ელემენტებით, გარდმონაცხროვრით.

ნ. მარს, ქართული ენის ბუნების შეცნობის შემდეგ, სწორად ამოუკითხავს „მსოფლიო ენათა“ განვითარების „კულტურული შუბლი“. ნ. მარის გამოკვლევით, ქართული ენის შეუსწავლელად, მის მიერ აღმოჩენილ საშუალებათა გაუცნობიერებლად კაცობრიობის ვერც ერთი კულტურული სიძველის საკითხი ვერ გადაწყდება. ნ. მარს სურდა ქართული ენის მსოფლიო ენათა შორის თავდაპირველობის წარმოჩენა. იგი ქართულსა და მის მონათესავე ენებს იაფეტურს უწოდებდა. თავდაპირველად, ცოცხალ ენათაგან, იაფეტურ ენებად მხოლოდ ქართველური (იბერიული) ენები მიიჩნეოდა. შემდეგ, მათ სიაში შეიტანეს აფხაზურადილური, ჩეჩნური, დაღესტნის ენებიც და ცოცხალი ბასკური ენაც.

ენათმეცნიერების მნიშვნელოვანი ნაწილის გამოწველილი გამოკვლევების შედეგად, შეიძლება დავუშვათ, რომ ბაბილონის გოდოლის დაქცევის შემდეგ პროტოქართული ენის მატარებელი

ეთნოსის ერთი ნაწილი დარჩა წინა აზიაში, ხოლო სხვები დაიფანტნენ დედამიწის ზურგზე, კერძოდ დასახლდნენ კავკასიაში, ხმელთაშუა ზღვისპირეთის ქვეყნებში, ბალკანეთში, აპენინისა და პირინეის ნახევარკუნძულებზე. მათ, როგორც ენათმეცნიერთა გამოკვლევებიდან ჩანს, შეუნარჩუნებიათ თავთავიანთი ეთნიკური სახე და, გარკვეულ დრომდე, ენაც [33, გვ. 15].

სვ. მასხარაშვილის აზრით, სემის შთამომავლთა მოდგმის დედაენა იბერიულ-კავკასიური ენები, ძველი ქალღური ენები იყო, რომელთაგან დღეს სულ რამდენიმეა შემორჩენილი, რომელთაც შეიძლება სემიტურ-იბერიულ-კავკასიური ენები ეწოდოს [14, გვ. 24].

სვ. მასხარაშვილის დასკვნის მიხედვით, სემის შთამომავლთაგან დღემდე ყველაზე მეტად მათ აქვთ შენარჩუნებული „ებერიანობა“, რომელთაც შეინარჩუნეს გვაროვნული სისტემაცა და მისი აღმნიშვნელიც ვერი, ივერია, იბერია... სემიტურ-იბერიულ-კავკასიური ოჯახის ჯგუფებიდან ერთ-ერთს წარმოადგენს **ქალღური**, რომლის წევრებიც დღეს არიან ქართველები და ებრაელები, ნაწილობრივ ვეინახებიც, შთამომავალნი შუმერთა და პროტოქართველთა ანუ უძველეს ქალღთა.

სემისა და ებერის უშუალო შთამომავალთაგან მართლმადიდებელი ქრისტიანები მხოლოდ ქართველები, მაცხოვრის ხორციელ-ნათესავ ბაგრატიონთა მოდგმის წარმომადგენლები, და ქართველებში საუკუნოდ შერწყმული, 26 საუკუნის წინ მცხეთაში ჩამოსახლებულ და შემდეგ გაქრისტიანებულ სეფარდ-ებრაელთა შთამომავალნი არიან. ქართველები და ებრაელები სემის შთამომავალნი არიან [14, გვ. 32].

XXI საუკუნემდე სემისა და ებერის შთამომავალთაგან ძირძველი ენა და საცხოვრისი მამული მხოლოდ იბერიულ-კავკასურ ენათა ოჯახში შემავალმა ერებმა შეინარჩუნეს.

ან. ჯაფარიძის მოსაზრებით, ხეთურ-სუბარული მოდგმის მოსახლეობას ეკავა კავკასიის მიწა-წყალი. ხეთურ-სუბარული მოსახლეობა მრავალ წვრილ ტომებად დაიქსაქსა. მათ შორის უფრო ძლიერები ყოფილან მუსკები, მერმინდელი მესხები [33, გვ. 15].

ჭოროხისა და დასავლეთ ევფრატის ყარასუს რაიონებში ძველ-

2. ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია

თაგანვე ცხოვრობდნენ ქართული ტომები. ისინი იყვნენ სამხრეთელი პერიფერიები პირველქართული სახელმწიფოებისა. არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ამ ოლქებში ძველთაგანვე იმყოფებოდნენ საერთო ქართველური ფუძეების მატარებელი ტომისაზნი, რომლისაგანაც თანდათან გამოიყვნენ სხვადასხვა ენობრივი ერთეულები (სვანური, ქართული, მეგრული, ჭანური). ძველი ბერძენი მწერლები პირდაპირ ამბობდნენ, რომ ხალდები წინათ ხალიბებად იწოდებოდნენო. ხალდები ცხოვრობდნენ როგორც შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე, ისე ვანის ტბის გარშემო.

საბოლოოდ, ალბათ უნდა ითქვას, რომ პროტოქართველური ეთნოსი საკმაოდ მრავალფეროვანი იყო, რომელიც არსებობდა წარღვნამდე. ხოლო ბაბილონის გოდოლის დაშლის შემდეგ, ის, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, გავრცელებულა წინა აზიასა და კავკასიისაკენ [33, გვ. 20].

6 „თუბალი“ და „მოსოხი“

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმიდა მამები, უცხოელ საეკლესიო მოღვაწეთა დარად, ცნობის წადილით იძიებდნენ ღვთისმშობლის ერის, ქართველების წინაპრებს.

მათ მიაჩნდათ, რომ ქართველები ვართ „არიან-ქართლიდან“ გადმოსული ხალხის შთამომავლები. ამ კონცეფციის მიხედვით, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა შთამომავალია „არიან-ქართველებისა“. ისინი „არიან-ქართლის“ მეფის ძემ — აზონმა ჩამოასახლა საქართველოში. მაგრამ ვინ იყვნენ და სად ცხოვრობდნენ „არიან-ქართველები?“ [33, გვ. 28].

ირკვევა, რომ სხვა ისტორიული წყაროების მიხედვითაც, ბიბლიური თუბალი არის იბერების, ანუ ქართველების წინაპარი.

„დაბადებაში“ ნოეს ძის იაფეტის შვილებს შორის მოხსენიებული **თუბალი** და **მოსოხი** – ქართველთა წინაპრებადაა მიჩნეული, როგორც ძველ ისე ახალ ისტორიკოსთა მიერ. ბიბლიის ძველი, განსაკუთრებით ქრისტიანი კომენტატორებიც ქართველთა მამათავრად მიიჩნევენ იაფეტის ძეს — თუბალს.

„თუბალ, მესეხი“ — როგორც „დაბადებაში“, ასევე წმიდა წერილის მრავალ ადგილას ეს ორი ხალხი, როგორც წესი, ერთიანდებიან. და მათი საცხოვრისი განისაზღვრება პალესტინის ჩრდილოეთით. მეცნიერები თვლიან, რომ თავდაპირველად ორივე ხალხი ცხოვრობდა ტიგროსისა და ევფრატის სათავეებში, ანუ კოლხეთსა და იბერიაში [33, გვ. 28].

რაც შეეხება ბიბლიურ მოსოქ-მოსოხს, ისინიც მიჩნეული იყვნენ ქართველთა (მესხური ტომის) წინაპრებად.

ს. ჯანაშია ბიბლიის მოსოქებისა და თუბალებს ერთი წარმოშობის ურთიერთ-მეზობლად მცხოვრებ ხალხად მიიჩნევს. [33, გვ. 30].

არსებობს მეორე კონცეფციაც. ეპისკოპოს ლეონტი მროველის თანახმად, ქართველი ერი ჩამოყალიბდა საქართველოს მიწა-წყალზე. ქართველ ტომთა ეთნარქები იყვნენ ქართლოსი, ეგროსი, ჰეროსი და სხვები. მათი წინაპარი თარგამოსი კი სამხრეთის ქვეყნიდან ჩამოსახლდა ამიერკავკასიაში.

სვ. მასხარაშვილის კვლევით, მაშექი — მესხი — ეს მოდგმა თანამედროვე ქართველთა, იგივე იბერიელთა ძირითადი ბირთვია. მათი ძირძველი განსახლებისა და მოძრაობის არეალი ემთხვევა მესოპოტამია — მცირე აზია — კავკასიის ფარგლებს [14, გვ. 21].

მაშექი — მუშქი — მუშქენ — მოსოხი — მესხი — იდენტური ტერმინებია. მეშქები არ შეერივნენ არც ხეთებს და არც ასურელებს. მეშქების შთამომავალნი იყვნენ კაბადოკიელნი. კაბადოკიელნი კი არიან: წმ. ნინო, წმ. გიორგი, წმ. ბასილ დიდი, წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი და წმ. გრიგოლ ნოსელი.

ძვ. წ. 676 წელს მეშქები კიმერიელებთან და ურარტუელებთან ბრძოლაში დამარცხდნენ. ძვ. წ. VI ს-ში მეშქების გენეტიკურად ყველაზე შეურყვნელად გადარჩენილი, არა ასიმილირებული ნაწილი, ებრაელებთან ერთად საქართველოში მოვიდა. მათ დააარსეს ქალაქი მცხეთა, რომლის ცენტრალური უბანიც ებრაელებს დაეთმო. ისინი საუკუნოდ დამკვიდრდნენ ამ მიწაზე [14, გვ. 21].

ივ. ჯავახიშვილის თანახმად, ქრისტეშობამდე XI საუკუნიდან მოყოლებული მუსკები, თუბალები, კასკები, რომლებიც მერმინდელ მესხთა, იბერთა და კოლხთა წინაპარი ქართველი ტომები

2. ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია

იყვნენ, უკვე პოლიტიკურ ასპარეზზე ჩანან და ხშირად ძლევამოსილ ბრძოლას აწარმოებდნენ ასურელების წინააღმდეგ [32, გვ. 43].

წინასწარმეტყველი ებეკიელი „თუბალსა“ და „მუშქებს“ ახსენებს სხვა ჩრდილოელ ხალხებთან ერთად, რომლებიც ცოდვათა გამო დაისაჯნენ. წინასწარმეტყველებანი უშუალოდ შეეხებოდა ისრაელს, უფლის ერს, რომელიც ეღირსა აღთქმულ მიწაზე დასახლებას, მაგრამ დაარღვია აღთქმა უფალთან სხვადასხვა ცოდვათა გამრავლებით, რის გამოც უნდა დასჯილიყო აღთქმული მიწიდან გადასახლებითა და სხვა ერის მონობაში ყოფნით. ისრაელიანები უნდა გადაესახლებინა ქალდეველთა მეფეს ნაბუქოდონოსორს.

ნაბუქოდონოსორი ქალდეური ბაბილონის ყველაზე ცნობილი მეფე იყო, რომელსაც ქრისტეშობამდე 604 წლიდან და 562 წლამდე მართავდა [33, გვ. 33].

ნაბუქოდონოსორს ჰქონდა ჭეშმარიტი ღმერთის სიყვარული. მან ხელახლა ააშენა დაქვეყნული ბაბილონი. მისი უმთავრესი საბრუნავი იყო ტაძრებისა და სატაძრო ნაგებობების მშენებლობა. გააკეთა გზები. ქალდეველთა მეფე იყო დაუღალავი მშენებელი. უფალმა მისი ხელით ინება იერუსალიმის დასჯა. ებრაელთა დასჯის მიზეზი იყო უფლისაგან განდგომა. ისრაელიანებმა ორი დანაშაული ჩაიდინეს: მიივიწყეს ჭეშმარიტი ღმერთი — ცოცხალი წყაროსთვალი და დაიწყეს ცრუ ღმერთის ძიება. ისინი არ ერიდებოდნენ ტყუილის თქმასა და სიბილწის ჩადენას. მეფე ნაბუქოდონოსორის მიერ ისრაელიანები დატყვევებულ და გადასახლებულ იქნენ სხვა უცხო ქვეყანაში [33, გვ. 33].

დასჯილთა შორის ერთად მოიხსენიებიან ქართველთა წინაპარი ტომები — თუბალი, მოსოქი და თარგამა, რადგანაც ისინი მეზობლები და მონათესავენი იყვნენ. ისინი ისჯებიან მათი მეზობელ ისრაელის წინააღმდეგ მტრობის გამო. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ისინი უფლის ერს ლაშქრავდნენ არა დამოუკიდებლად, არამედ სკვითების იძულებით. კავკასიის იქით მცხოვრები ჩრდილოეთის ხალხები აიძულებდნენ მათ სამხრეთელ მეზობლებს, ქართველთა წინაპრებს, ელაშქრათ ისრაელზე. ამიტომაც, რომ მათი სახსენებელი უფალმა ბოლომდე არ გააქრო.

ნაბუქოდონოსორს დაუმარცხებია და დაუპყრია ძველი იბერიის სახელმწიფო, რომელიც სამხრეთით ლიბიასთან მდებარეობდა, აუყრია ქართველები და გადმოუსახლებია შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე, ანუ კოლხეთსა და შემდეგდროინდელ ლაზიკაში.

ამრიგად, ქრისტესშობამდე IV საუკუნეში ქართველთა წინაპრების ძველი დიდება, სხვა, ღმერთისაგან დასჯილ ხალხებთან ერთად, დაეცა. ქართველთა წინაპრები გადასახლდნენ ჩრდილოეთისაკენ. მართალია, ისინი ისევ მისდევდნენ მიწათმოქმედებას, ვაზის მოვლას, ღვინის დაყენებას, საქონლის მოშენებას, მადნეულის დამუშავებასა და იარაღ-ჭურჭლის გაკეთებას, მაგრამ აღარ გააჩნდათ ადრინდელი სიმდიდრე, სასახლეები და განძი-ქონება.

ქართველთა „წმიდა წიგნის“ — „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, კავკასიის ხალხები ერთი წარმოშობის (თარგამოსის შთამომავლები), და სათანადოდ მონათესავენი არიან.

ენათმეცნიერები სრულიად საფუძვლიანად ვარაუდობენ, რომ ძვ.წ. III ათასწლეულში უნდა არსებულებო ქართულის, მეგრულ-ჭანურის და სვანურის საერთო წინაპარი ფუძე-ენა. ამჟამადაც არსებობს საერთო ფუძე-ენის კუთვნილი სიტყვები: ანწლი, გვიმრა, ქვევრი, ვაშლი, მსხალი, მარწყვი, სოკო, არწივი, არჩვი, დათვი, მელა, კვერნა, თხა, ვაცი, მატყელი, ფური, ხარი, ძაღლი, ყველი და სხვა [8, გვ. 6].

წერილობითი წყაროები იმასაც გვამცნობენ, რომ ქართველური მოდგმის ტომები (მუშქები, მოსინიკები, ხალიბები და სხვ.) სახლობდნენ ისტორიული საქართველოს ტერიტორიის გარეთაც. კერძოდ, მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებში და შავიზღვისპირეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე [8, გვ. 7].

ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებისათვის მონათესავე ქართველური ტომების არეალში ყალიბდება ვრცელი ტერიტორიის მომცველი რამდენიმე ერთგვაროვანი მატერიალური კულტურა. ერთ-ერთი ასეთი იყო კოლხური კულტურა, რომელიც მოიცავდა მთელ დასავლეთ საქართველოს, სამხრეთ საქართველოს დიდ ნაწილს, აღმოსავლეთ საქართველოს დიდ ნაწილს, მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთსა და ჩრდილოეთ კავკასიის მომიჯნავე

2. ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია

ტერიტორიებს [8, გვ. 8].

ამრიგად, არსებობს ისტორიკოსების მოსაზრება, რომ ქართველების წინაპრები სამხრეთის ქვეყნებიდან ჩრდილოეთით გადასახლდნენ, მარამ, არსებობს სხვა ვერსიაც: სიმონ ჯანაშიას დაკვირვებით, კავკასია ძველთაგანვე იყო ქართველების სამშობლო, ისევე, როგორც წინა აზიის ზოგიერთი რაიონი. ამ დროისათვის მოხდა არა ქართველთა გადასახლება სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, არამედ სამხრეთიდან ჩრდილოეთით გადასახლდა ქართველთა წინაპრების მხოლოდ პოლიტიკური ელიტა.

ქართველი ტომების პოლიტიკური ცენტრების გადანაცვლებას, გარკვეულად გამოუცოცხლებია ძველი კოლხეთი. საქმე იმაშია, რომ კოლხები და შემოსული ტომები ერთი წარმოშობის ხალხი იყო. კოლხური ბრინჯაოს კულტურა შესაძლებელია თუბალების კულტურა ყოფილიყო.

ყოველ შემთხვევაში, თუბალებისა და მეშექის ძველი დიდება საუკუნო წარსულად იქცა და მათი ადგილი „იბერმა“ დაიჭირა [33, გვ. 54].

7 ფარნავაზის შესახებ

აღმოსავლეთ საქართველოში დიდი პოლიტიკური ერთეულის შექმნის პროცესი ჯერ კიდევ ძვ.წ. VIII -VIII სს მიჯნაზე დაიწყო. მასში წამყვან როლს ასრულებდნენ მესხური ტომები, მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოში მოსახლე ტომებიც მეტ-ნაკლებად განიცდიდნენ აქემენიანთა სპარსეთის პოლიტიკურ გავლენას. ხელშემშლელი საგარეო პირობების გამო, ერთიანი აღმოსავლეთქართული სახელმწიფოს შექმნა დროებით გადაიდო. დამპყრობთა უღელი საშუალებას არ იძლეოდა პოლიტიკური და ეთნო-სოციალური პროცესები განვითარების ბუნებრივი გზით წასულიყო (ჩამოყალიბებულიყო ერთიანი ეროვნული სახელმწიფო) [8, გვ. 18].

გავიდა ხანი. სულ მალე ამისთვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა. ეს გამოიწვია მაკედონიის უნიჭიერესი ახალგაზრდა მეფის ალექსანდრეს (ძვ.წ. 336-323 წ.წ.) პროტოიბერების შთამო-

მავალი) ლაშქრობებმა აღმოსავლეთში. მან ძვ.წ. IV საუკუნის 30-20-იან წლებში ბერძენ-მაკედონელთა ლაშქრით პირდაპირ გააცამტვერა აქემენიანელთა სპარსეთის სახელმწიფო [8, გვ. 19].

ალექსანდრე მაკედონელის მიერ შექმნილი უზარმაზარი იმპერია, მისი სიკვდილის შემდეგ, მალე დაიშალა. ამრიგად, ძვ.წ. IV ს. მიწურულსა და ძ.წ. III-ს დასაწყისში ისტორიული საქართველოს მეზობლად აღარ არსებობდა ისეთი ერთიანი ძლიერი სახელმწიფო, რომელიც დაამკვიდრებდა აღმოსავლურქართული ტომების ბუნებრივ განვითარებას.

ქართული ერთიანი სახელმწიფოს შექმნას, ხელსაყრელ საგარეო ფაქტორთან ერთად, ისიც უწყობდა ხელს, რომ ამ პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველური ტომები სოციალურად, ეკონომიკურად და კულტურულად განვითარების მაღალ საფეხურზე იდგნენ. გარდა ამისა, აქ უკვე არსებობდა წინასახელმწიფოებრივი გაერთიანებები. ეს პოლიტიკური ერთეულები იყვნენ „ხევები“, რომელთა წარმოქმნა ჯერ კიდევ გვიანბრინჯაოს ხანაში (ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარი) დაიწყო. ძვ.წ. VII-VI სს. ხდება „ხევების“ გამსხვილება, რასაც მოჰყვა მათი პოლიტიკური და ადმინისტრაციული ცენტრების — ქალაქებისა და დაბების აღმოცენება (სამადლო, უფლისციხე, სარკინე, ურბნისი, კასპი, სამშვილდე და სხვ.) [8, გვ. 20].

„ხევებს“ შორის წარმოებული ბრძოლების შედეგად ხდებოდა ერთის მიერ მეორის დამორჩილება-შეერთება და კიდევ უფრო დიდი ზომის პოლიტიკური ერთეულების წარმოშობა.

გრ. გიორგაძის თვალსაზრისით, მართალია, ძვ.წ. IV საუკუნის ბოლო მეოთხედში ისტორიულ მესხეთჯავახეთის რეგიონში (სამცხე, ჯავახეთი, კლარჯეთი, შავშეთი, ტაო, კოლა, არტაანი და სხვა) მოსხებმა — მესხებმა შექმნეს ძლიერი პოლიტიკური გაერთიანება, რომელსაც უფრო გვიან სტრაბონი „მოსხების ქვეყანას“ („მოსხიკეს“) უწოდებდა, ხოლო „მოქცევაი ქართლისაის“ ავტორი, როგორც ახლა ვარაუდობენ, „არიან-ქართლის“ სახელით მოიხსენიებს. „არიან-ქართლი“ ნიშნავდა „ირანის ქართლ“-ს. „არიან-ქართლი“ მოიცავდა ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ მიწებს. მაგრამ ეს „ქვეყანა“ ქართველ ტომ-

2. ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია

თა ეთნიკური კონსოლიდაციის პროცესში ჰეგემონის როლში ვერ გამოვიდა. ამავე პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე წარმოიქმნა მეორე დიდი პოლიტიკური გაერთიანება – „ცენტრალური ქართლი“, რომელიც მცხეთის შემოგარენში მდებარეობდა. მასში „ქართის ტომი“ მონაწილეობდა. ქართველ ტომთაშორისი ბრძოლა წარიმართა ქართის ტომის პოლიტიკური და კულტურული ჰეგემონობით. სწორედ ქართლმა დაუდო საფუძველი ქართველი ხალხის ჩამოყალიბებას. ძვ. წ. V-IV საუკუნეებში ტერმინი „ქართლი“ იქცა დიდი ეთნო-კულტურული რეგიონის აღმნიშვნელ ტერმინად. ქართის ტომთა კულტურულ-პოლიტიკური გავლენა მიმართული იყო დასავლეთით, ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით. ასეთივე პროცესები მიმდინარეობდა სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებითაც, სადაც უძველესი დროიდან მოსახლეობდნენ ქართულ-ზანური ტომები. მათი კულტურულ-ეთნიკური შერწყმა ქართის ტომებთან უნდა დასრულებულიყო ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებისათვის [7, გვ. 178].

მეორე მხრივ გაირკვა, რომ წერილობითი ძეგლების მიხედვით, მითანის სამეფო იხსენიება „ნაჰარინა“-ს სახელწოდებით, რაც აშკარად ქართულენოვანი წარმოშობისაა და ნიშნავს „მითანეთს“ ანუ „მითიან ქვეყანას“. მითანის სამეფოს ძვ.წ. XVII ს.-ში ეკავა შუამდინარეთის ზემო მხარე. ასირიულ წყაროებში მითანის სამეფოს „არანადაც“ მოიხსენიებენ, რაც გვახსენებს „არიან-ქართლის“ სამეფოს. „არიან- ქართლი“ რომ სწორედ მითანია, ამაზე ცხადად მიგვანიშნებს „ქართლის ცხოვრება“-ც [11, გვ. 110].

ავტორების აზრით, სრულიად ნათლად იკვეთება ის ფაქტი, რომ „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ქართველთა მამამთავარი ქართლოსი იყო რეალური ისტორიული პირი, რომელსაც პირველს უმეფია ქალდეველ-არამეველთა სამეფო მითანში, ანუ არიან-ქართლში. რეალური ისტორიული პირები არიან ქართლოსის ძე მცხეთოსი და მისი ძე უფლოსი – ქართველთა მითიური მამთავრები. [11, გვ. 113].

ისტორიული წყაროების მიხედვით, „არიან-ქართლი“ ნიშნავდა „ირანის ქართლ“-ს, რომლის ტერიტორიაზე სახლობდნენ სასპერები, მოსხები, ტიბარენელები, მაკრონები და მისინიკები.

ძვ. წ. IV-III სს მიჯნაზე „არიან-ქართლი“ მოიცავდა ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ მიწებს (მიტროპოლიტ ან. ჯაფარიძის ავტორობით შედგენილი რუკის მიხედვით (სურ. 2 გვ.27), „არიან-ქართლი“-ს სამეფოში შედიოდა კლარჯეთი და მის სამხრეთით მდებარე მიწა-წყალი. ესენია: ქალდეა, ტაობასიანი, კარინი, ვანანდიდა სხვა არაქსისპირა მხარეები). ქართული საისტორიო ტრადიციის მიხედვით, „არიან-ქართლის“ უზენაესი ხელისუფალი იყო იარედოსი, რომლის ძე **აზონი** აღექვსანდრე დიდმა დატოვა ქართლის მმართველად. აზონი მთელ აღმოსავლეთ საქართველოს დაეუფლა. მან დაიმორჩილა ქართლი, ჰერეთი და თავისი ხელისუფლება განავრცო მდ. ბერდუჯიდან (მდ. დებედა) სპერის ზღვამდე (შავ ზღვამდე). მანვე დაიპყრო ეგრისი და ჩრდ. კავკასიის ხალხებიც დახარკა [8, გვ. 22].

არსებობს მოსაზრება, რომ აზონი წარმომავლობით მაკედონიის სამეფო დინასტიის ნათესავია. ქართველ კოლხთა განვრცობის არეალი ევროპაში მაკედონიასაც მოიცავდა. ძვ. წ. მეორე ათასწლეულის ბოლოს პროტოქართველები დასახლდნენ საბერძნეთის ამ მთიან რეგიონში, რომელთა შერევით ბერძენ დორიელებთან მოხდა მაკედონელი ხალხის ჩამოყალიბება [11, გვ. 252].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ მაკედონელების შთამომავალია აზონი, რომელმაც ქართლში გამეფებისას მოშალა ქართველთა ძველი სარწმუნეობა, რომლებიც „თაყვანს სცემდნენ მზესა და მთვარესა და „ვარსკლავთა ხუთთა“. გარდა ამისა, აზონმა ბრძანა ვერცხლის კერპების გაცისა და გაიმის თაყვანისცემა (რომლებიც მაკედონური ღვთაებებია) [8, გვ. 23].

აზონის ქართლში მოსვლისას, მომხდურებთან ბრძოლაში დაიღუპა მცხეთის მამასახლისი (ქართლოსის-მცხეთოსის შთამომავალი) სამარა და მისი ძმა. ამ დროს მცხეთის მამასახლისის სამარას ძმის შვილი ფარნავაზი საბი წლის ყრმა იყო. საქართველოს პირველი ერთიანი სახელმწიფოს დამაარსებლის, ანბანის გამავრცელებლის და მწიგნობრობის ფუძემდებლის მეფე ფარნავაზის ცხოვრება აღწერილია ქართველთა უმთავრეს საისტორიო, ეროვნული სიწმინდის ხარისხამდე ამაღლებულ წიგნში,

2. ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია

რომელსაც „ქართლის ცხოვრება“ ეწოდება. მიჩნეულია, რომ „ქართლის ცხოვრების“ პირველი ნაწილი „ცხოვრება მეფეთა“ იწერებოდა დროდადრო „ჟამითი ჟამად“, ხოლო მისი რედაქტირება და წიგნის სხვა ნაწილებთან დაკავშირება ეპისკოპოს ლეონტი მროველს მიეწერება [33, გვ. 54].

„ცხოვრება ფარნავაზისა“ — უკვე არსებული ძველი ქართული საისტორიო მოთხრობა — **ლეონტი მროველს** თავისი გემოვნებით გაუმართავს და ჩაურთავს წიგნში.

მემატიანის მიხედვითა და ისტორიის გათვალისწინებით, ფარნავაზის გენეალოგია (წყვეტილობით) იხილეთ სქ.1 გვ. 54 .

ფარნავაზამდე დიდი ხნით ადრე, ქართველთა ერთი მთავარი წინაპართაგანი ქართლოსი დასახლებულა მტკვრისა და არაგვის შესართავთან მდებარე მთაზე. აქ მას აუშენებია სიმაგრეები. შემდეგში აქ არმაზის კერპი აღმართეს. აქამდე კი ამ მთის სახელი „ქართლი“ ყოფილა. ფიქრობენ, რომ ამის გამო ეწოდა ვრცელ ქვეყანას ხუნანიდან შავ ზღვამდე ქართლი, ხოლო მოსახლეობას — **ქართველი** [33, გვ. 54].

ჩვენის აზრით, სახელი „ქართლი“ ადგილობრივმა ქართველებმა ჯერ შიდა ქართლის ველს შეარქვეს, ხოლო შემდეგ მთასა და ქედს [25].

სიკვდილის შემდეგ, ფარნავაზი მთაზე დაუკრძალავთ, რომელსაც ამჟამად არმაზი ეწოდება.

მისი ძის, მცხეთოსის სიკვდილამდე ქართლოსისა და თარგამოსის შთამომავალთ ერთმანეთში სიყვარულით უცხოვრიათ. შემდეგ კი აიშალნენ, რაც დიდ ხანს გრძელდებოდა და ძალზე დაკნინდნენ. ამ მიზეზით, მათ შორის აღარავინ ყოფილა უწარჩინებულესი და უსახელოვანესი [33, გვ. 78].

სწორედ ამ დროისათვის დაუვიწყრიათ ჭეშმარიტი ღმერთი, რომელიც ქართველთა წინაპრებს სწამდათ. მათ დაუწყიათ მსახურობა მზისა, მთვარისა და 5 ვარსკვლავისა [27, გვ. 55].

ალექსანდრე მაკედონელი თავის ცნობილი ლაშქრობისას, საქართველოშიც შემოვიდა. იგი შეებრძოლა და დაამარცხა ზოგიერთ კუთხეში მცხოვრები არაქართველი ტომები. არაქართველთა მოსპობის შემდეგ დარჩენილ ქართველ მოსახლეობას მმართველად დაუტოვა მაკედონელი აზონი. მას ემსახურებოდა 100

000 რომაელი ქვეითი. ისინი ქართლის მპყრობელებად ითვლებოდნენ [33, გვ. 55].

შემატიანის გადმოცემით, ალექსანდრეს მიერ აზონს ებრძანა ქართველთა ქვეყანაში დანერგილიყო თაყვანისცემა მზისა, მთვარისა, ხუთი ვარსკლავისა და მსახურობა უხილავი ღმერთისა ყოველივეს დამბადებლისა.

ალექსანდრეს წასვლის შემდეგ აზონმა მიატოვა ეს სარწმუნეობა და დაიწყო კერპთთაყვანისმცემლობის დანერგვა.

სწორედ ასეთ დროს გამოჩნდა ფარნავაზი ქართველთა განმათავისუფლებელი. იგი ქართლოსისა და მცხეთოსის შთამომავალი იყო, სიყრმიდანვე ლტოლვილი კავკასიის მთებში. ის „იყო კაცი გონიერი, მხედარი შემმართვებელი და მონადირე ხელოვანი“. მცხეთაში დაბრუნების შემდეგ ის გაუცვნიათ აზონისათვის, როგორც სახელგანთქმული მონადირე. „შეიყვარა იგი აზონმა მონადირეობისათვის“. აზონთან დაახლოებას დიდად შეუშინებია დედა ფარნავაზისა. დედამ შვილი დაარწმუნა მცხეთას გასცლოდნენ. ოჯახმა გადაწყვიტა ფარნავაზის დედის სოფელში გადასახლება.

ერთხელ, ფარნავაზი ნადირობისას წააწყდა ამოქოლილ გამოქვაბულს. თავსხმა წვიმისგან თავშეფარების მიზნით, მან გამოარღვია გამოქვაბულის ამოქოლილი კარი და მასში შევიდა. მან გამოქვაბულში იხილა „განძი მიუწვდომელი, ოქრო, ვერცხლი და უთვალავი ჭურჭელი ოქრო-ვერცხლისა“. განძის პოვნით უცებ გამდიდრებულმა ფარნავაზმა მიზნად დაისახა ქართლის განთავისუფლება აზონისაგან. მან უპირველეს ყოვლისა თავისი წარმომადგენელი გაგზავნა დასავლურ ქართული საერისთაოს მეთაურთან ქუჯისთან და შეატყობინა მომხდარი ამბავი [33, გვ. 56].

ქუჯიმ მიიწვია ფარნავაზი. იგი შემდეგი სიტყვებით შეეგება მასთან ჩასულ ფარნავაზს: „შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა და შენ გმართვებ უფლობა ჩემი ... შენ ხარ უფალი ჩვენი და მე ვარ მონა შენი“. ფარნავაზი ამ დროისათვის წარმოადგენდა თანამდებობის უქონელ პირს, ხოლო ქუჯი — ეგრისის ვრცელი ქვეყნის მფლობელი იყო. ამიტომ მისგან თავისი თავის „მონად“, ხოლო ფარნავაზის „უფლად“ გამოცხადება აიხსნება გენეალო-

2. ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია

გიური უფროს-უმცროსობითი ურთიერთდამოკიდებლობით, რაც ძველი დროისათვის იყო დამახასიათებელი და სავალდებულოდ შესასრულებელი [33, გვ. 56].

ქუჯიცა და ფარნავაზიც ერთი წინაპრის შთამომავლები არიან, მაგრამ ფარნავაზი პირმშოებითი უფლების ძალით ოჯახში, გვარში უფროსად ითვლება, ის „უფალია“, მისი ყველა ნათესავი მას უნდა ემორჩილებოდეს [33, გვ. 57].

მრავალი ისტორიკოსის აზრით, ქუჯიმ, ფარნავაზის მიმართ თავისი ქცევით, გამოიჩინა დიდი გაჟაკობა და მაღალკეთიშობილება.

ფარნავაზმა და ქუჯიმ გადაწყვიტეს თავს დასხმოდნენ აზონს. მათ მოილაპარაკეს ოსებთან და ლეკებთან. ისინი სიხარულით დასთანხმდნენ აზონის წინააღმდეგ აჯანყებას, რადგანაც არ სურდათ მისთვის ხარკის მიცემა. ეგრისში უთვალავი სპა შეიკრიბა. მათ შეუტიეს აზონს. აზონი დამარცხდა და თავი შეაფარა კლარჯეთს. ფარნავაზი შევიდა მცხეთაში, იმავე წელს დაიმორჩილა „ყოველი ქართლი“, კლარჯეთის გარდა.

აზონს ფარნავაზის წინააღმდეგ ომში დაეხმარა „საბერძნეთი“, მისგან მიიღო დიდძალი დამხმარე ძალა. კიდევ ერთხელ შეებნენ ერთმანეთს აზონისა და ფარნავაზის ჯარები არტაანის ნაქალაქევაში. ქართველებმა დაამარცხეს ბერძენთა ჯარები და მოკლეს აზონი. კლარჯეთი დაუბრუნდა თავის სამშობლოს [33, გვ. 57].

გამარჯვებული ფარნავაზი შემობრძანდა მცხეთაში, შემოიმტკიცა ქვეყანა და გაატარა მნიშვნელოვანი სახელმწიფო რეფორმები. ამ დროს ერთიანი ქართლის ახლად შექმნილი სახელმწიფოს ტერიტორია მოიცავდა აღმოსავლეთ (შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, კახეთი), დასავლეთ (არგვეთი, აჭარა, ეგრისი) და სამხრეთ (სამცხე, ჯავახეთი, კოლა, არტაანი, კლარჯეთი, ტაო) საქართველოს. მისისივე შემადგენლობაში შევიდნენ მცირეაზიური ოლქები ანძიაძორი და ეკელეცი. (ალბათ, „არიან-ქართლის“ ტერიტორიები). ქართლის სამეფოს ფარგლებში მოექცა ძველი ალბანეთის დასავლეთის რეგიონებიც, კერძოდ, ჰერეთი (დღ. საინგილო), და კამბისენა (დღ. ქიზიყი) [8, გვ. 24].

ფარნავაზმა შექმნა არმაზის კულტი, რომლის ქანდაკება აღ-

მართა აზონის მიერ მოტანილ კერპებს შორის, რითაც სიმბოლურად ხაზი გაუსვა „არიან-ქართლი“-სა და მცხეთის ირგვლივ პოლიტიკური გაერთიანების ერთობას და სამეფოში შემაკვლი ხალხების სულიერ ნათესაობას [8, გვ. 25].

ქართლის სამეფოში შემაკვლი ხალხების სულიერი ერთობის განმტკიცების მიზნით, **მეფე ფარნავაზმა ქართული ენა გამოაცხადა ოფიციალურ სახელმწიფო ენად. მანვე შექმნა მწიგნობრობა ქართული**, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართველი სწავლულებისა და ქურუმების საკუთრება, ქართული ასომთავრული ანბანი და დამწერლობა, საერთო სახალხო საკუთრებად აქცია.

ფარნავაზმა გააერთიანა აღმოსავლეთი, დასავლეთი და სამხრეთ საქართველო. მან ააშენა მაკედონელის მიერ საქართველოში დანგრეული ქალაქები და ციხეები, დედაქალაქ მცხეთას კი გალავანი შემოავლო. ფარნავაზმა ქართული ენა სახელმწიფო ენად გამოაცხადა, რის გამოც ქართლში ქართულის გარდა სხვა ენა არ იხმარებოდა. **მანვე შექმნა ქართული მწიგნობრობა**. სიკვდილის შემდეგ ფარნავაზი არმაზის კერპის წინ დაასაფლავეს.

ფარნავაზი გამეფებისას 27 წლისა იყო. მან ნებიერად იმეფა **65 წელი**, რომლის დროსაც „ააშენა და განავსო ქართლი“.

ფარნავაზის მიერ ქართულ ტომთა გამაერთიანებელი სახელმწიფოს შექმნამ შესაძლებელი გახადა ქართველთა ეროვნების ფორმირება და ერთიანი ხალხის, ქართველი ერის ჩამოყალიბება. საზოგადოდ, ცნობილია, რომ სახელმწიფოს აქვს თვისება, ერთიან ხალხად ჩამოაყალიბოს სახელმწიფოში მცხოვრები მოსახლეობა. ასეთივე თვისების იყო, ცხადია, ერთიანი ქართული სახელმწიფოც. მით უმეტეს, რომ ქართულ წყაროთა თანახმად, ფარნავაზის მიერ ჩამოყალიბებულმა სახელმწიფომ თითქმის ათასი წელი იარსება. კერძოდ, ეს სახელმწიფო დაშლილა ვახტანგ გორგასალის შვილების შემდგომ, VI საუკუნეში — ასე გადმოგვცემს „ქართლის ცხოვრება“ და „მოქცევაი ქართლისაი“.

წინამდებარე წიგნის მეორე თავი „ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია“ დაწერილი გვქონდა, როცა გავეცანი ზურაბ, ლია და მათა კაცელაშვილების წიგნს „აბაჯ ლორენსო ჰერ-

2. ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია

ვას პანდუროს „მსოფლიო ენათა კატალოგები“ და ზენაარელი ქალდეველ-ქართველები“, რომელიც ეძღვნება „ქართველთა წარმომავლობის საკითხი“-ს შეწავლას [11].

მიზანშეწონილად ჩავთვალე, წინამდებარე წიგნში შემეტანა ზემოხსენებული წიგნის ავტორების მიერ გამოთქმული ზოგი მოსაზრება.

ავტორთა აზრით, უნდა ითქვას, რომ „ბიბლია“ არ წარმოადგენს იმ წიგნს, რასაც შეიძლება დაეყრდნოს მეცნიერული ისტორია... მათში გადმოცემული ისტორიები უმეტესწილად ეყრდნობა ხალხის ზეპირსიტყვიერებაში დაცულ ფაქტებს, რაც, ერთი მხრივ წარმოადგენს რეალურად მომხდარი ისტორიული ფაქტების „შელამაზებულ“ გადმოცემას და, მეორე მხრივ კი გამოგონილია, და ამდენად ზღაპრულია [11, გვ. 77].

ავტორების აზრით, ბიბლია უპირველესყოვლისა არის ებრაელი ეთნოსის ინტერესების გამომხატველი. ამის დასადასტურებლად კმარა ბიბლიის ის ფრაგმენტი, სადაც საუბარია სინაის მთაზე თითქოსდა ღვთის მიერ მოსესთვის მიცემული მცნებების შინაარსზე. ეს მცნებები და გარკვეული აკრძალვები არეგულირებენ ებრაელთა შიდა ურთიერთობებს, და სრულიად არ ეხება უცხოტომელებს, რომლებიც მიჩნეულები არიან „ვაი ხალხებად“ (არაღმერთისეულ ეთნოსებად) [11, გვ. 84].

ეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის კვლევით, ხშირად ისრაელიანები პროტესტს გამოთქვამდნენ თუ რისთვის დაინდო უფალმა კერპთაყვანისმცემლები? მათ პროტესტს პასუხობს იოანეს წიგნი, რომლიდანაც ჩანს, რომ „ღმერთისათვის ყველა ხალხი ძვირფასია“. მისი აზრით, ღმერთისათვის სასურველია ყველა ერი, რამეთუ ყველა მის მიერაა გაჩენილი, გამოზრდილი, გამყარებული, გამრავლებული და მოვლილი, რაც, ჩემი აზრითაც, სრულ ჭეშმარიტებას წარმოადგენს, რადგანაც შემოქმედმა ყოველი ადამიანი, მიუხედავად მისი ეროვნული კუთვნილებისა, გააჩინა თავისუფალი ნებითა და ნდობით, იმ იმედით, რომ ადამიანი გაამართლებს მის ნდობას.




სურ. 15: ატლანტიკის ოკეანის ფსკერზე ჩაძირული პირამიდა [53]



სურ. 16: გიობეკლი თეფე [40]

2. ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია



სურ. 17: შავი ზღვა „დიდი ტბა“ [52]



სურ. 18: ბაბილონის გოდოლი [38]

თავი 3

პროტობერების შესახებ

შესავალი

უაღრესად საინტერესოა თუ ვინ იყვნენ ქართველი ხალხის წინაპრები — პროტობერები და რა დამსახურება მიუძღვით მათ კაცობრიობის წინაშე.

ს. მასხარაშვილის მიხედვით, სამყაროს შემოქმედმა ღმერთმა ადამიანი, როგორც პიროვნულად, ისე ადამიანთა ერთობა „ნათესავეებისა“ და ერების სახით, შექმნა როგორც ინდივიდუალური, გონიერი, თავისუფალი, თავისებური და თვითმართვადი არსებანი.

კომუნისტური მმართველობის პერიოდმა ყველაზე დიდი დალი სწორედ ისტორიულ მეცნიერებას დაასვა, რამეთუ ათეიზმი, ანუ ღმერთის ფაქტორის უარყოფა ისტორიაში იგივეს ნიშნავდა, რასაც გრავიტაციის უარყოფა კლასიკურ ფიზიკაში, ფლორისა და ფაუნისა ბოტანიკაში [14, გვ. 4].

ქართველი ერის რეალურ ღვაწლსა და დამსახურებას მსოფლიო ისტორიის, ცივილიზაციისა და უფლის წინაშე ოდნავადაც ვერ მიესადაგება ის მწირი სახელი შდა აღიარება, რომელიც ამ ერს აქვს თანამედროვე მსოფლიოში, ქართველი ერი არნახულად მეტის ღირსია. თუმცა ის, რაც გეკუთვნის ღვთისაგან, როგორ წესი, კაცთაგან თავგანწირული ბრძოლის შედეგად უნდა მოიპოვო [14, გვ. 4].

ძალზე მნიშვნელოვანია საქართველოს ისტორიის იმდაგვარად წარმოჩინება, რომ აღდგეს ლოგიკური კავშირი აწმყოსა და წარსულს შორის, რათა ვიგრძნოთ ეროვნული ღირსება. ღირსებადებრუნებული საქართველო კვლავაც შეძლებს იქცეს მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ.

ისტორიული ჭეშმარიტების დადგენა შესაძლებელია როგორც ცნებით-რაციონალური აზროვნებით ისე ეზოთერული აზროვნებითა და გამოცხადებით.

3. პროტობერების შესახებ

ს. მასხარაშვილის მოსაზრებით, როგორც ხილვა, ისე მეცნიერული დასკვნა (ლოგიკა) შეიძლება იყოს ღვთაებრივიცა და მცდარიც. მთავარია არა ის, თუ რის საფუძველზე იქნა მიღებული გადაწყვეტილება, არამედ ის, თუ რა შედეგი გამოიღო ამ გადაწყვეტილებამ [14, გვ. 6].

ადრინდელი მოაზროვნეების მსოფლმხედველობით, ხილვა და გამოცხადება გაცილებით მაღალი კატეგორიები იყო, ვიდრე ადამიანური ლოგიკის ძალა. ადამიანი, ადრინდელ პერიოდში, ინტელექტუალური გადაწყვეტილების მიღებისას, ეყრდნობოდა ხილვასა და გამოცხადებას. ხოლო დღეს იგი მეცნიერულ დასკვნასა და ლოგიკას ეყრდნობა [14, გვ. 7].

ლ. ალფენიძემ, ძველი ელინური მითებისა და სხვა წყაროების კვლევის შედეგად, აღმოაჩინა, რომ კოლხეთის მეფის — აიეტის და კირკე არის რომის უზენაესი ღმერთის — იუპიტერის დედა. მამასადამე კოლხეთის მეფის და, ფაზისელი ღმერთქალი კირკე არის ღვთისმშობელი, ხოლო კოლხეთი (პრეისტორიული საქართველო) — **ღვთისმშობლის ქვეყანა**. (მთავარია ისაა, რომ ლ. ალფენიძის აღმოჩენების შედეგად გაირკვა, რომ საქართველო ღვთისმშობლის ქვეყანაა). მამასადამე, სანამ საქართველო ქრისტიანულ ეპოქაში ღვთისმშობლის წილხვედრილი გახდებოდა, ის უფრო ადრე, წარმართულ (წალმართულ) ქვეყანაში უკვე იყო ღვთისმშობლის ქვეყანა. საფიქრებელია, რომ პირველმა სტატუსმა განაპირობა მეორე. ეს არის **სენსაციური აღმოჩენა**. ეს აღმოჩენა ეყრდნობა არა ქართულ, არამედ ბერძნულ, ლათინურ და ბიზანტიურ წყაროებს, და მტკიცდება მითოსის დონეზე [11, გვ. 431].

მეცნიერებას, შემდგომი კვლევით, მოუწევს ამის ახსნა [11, გვ. 432].

ნიკო მარისა და სომეხი მეცნიერების ობიექტური წარმომადგენლების გამოკვლევებით მცირე აზიის მოსახლეობის დიდი ნაწილი: მოსხები, კაბადოკიელები, კოლხები, ტაოხები და სხვა მიეკუთვნებიან პროტო-იბერიულ მოდგმას. მეცნიერებაში მას ქართველურ მოდგმასაც უწოდებენ. საკუთრივ ქართველი ერი ლოკალიზებულია კავკასიის მასშტაბით და დაკავშირებულია იბერიულ-კავკასიურ განშტოებასთან. იბერიულს აქვს მრავა-

1. ქართველთა წარმომავლობისათვის

ლი განშტოება და დღესდღეობით შემორჩენილია პირინეული-იბერიული, ანუ ბასკური და კავკასიურ-იბერიული ანუ ქართული, და მისი მონათესავე ტომები ჩრდილოეთ კავკასიაში. დანარჩენები კი ამჟამად უკვე ასიმილირებულია ინდოევროპული კაცობრიობის მიერ, რომელიც გვიან, კერძოდ მეორე ათასწლეულის შემდეგ არის მოსული ევროპის კონტინენტზე. ხოლო პროტო-იბერიული კაცობრიობის მოღვაწეობის ხანად მიჩნეულია ეპოქა უძველესი დროიდან ძვ. წ. მესამე ათასწლეულამდე [6, გვ. 10].

მესამე ათასწლეულში იწყება ამ რასის დაკნინება და ასიმილაცია ინდო-ევროპელების მიერ. ამ დროიდან წამოიწევს წინ ხეთური და ძველბერძნული, ანუ ელინური სამყაროები, რომლებიც უფრო ინდოევროპული სამყაროებია. პროტო-იბერიული სამყაროს განშტოებებია პელაზგური, ეტრუსკული, კოლხური, ტროული და სხვა სამყაროები [6, გვ. 10].

პროტო-იბერიული, ძველკოლხური და პელაზგური კულტურა **ნათელმხილველური** კულტურაა, რომელიც წინ უსწრებს ინტელექტისმიერ, აზრობრივ კულტურას [6, გვ. 12].

ჩემი აზრით, ადამიანის მიერ გადაწყვეტილების მიღება და ფუნქციონირება უნდა იყოს როგორც ხილვა-გამოცხადებაზე ისე მეცნიერულ ცოდნაზე და ლოგიკაზე.

1 ქართველთა წარმომავლობისათვის

ერის შესახებ. თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერებაში ერი, როგორც ადამიანთა ერთობის ცნება, დამკვიდრებული ცნებაა. წარსულში, ადამიანთა ტომობრივი გაერთიანებების აღსანიშნავად ხმარობდნენ ტერმინებს: „მოდგმა“, „ნათესავი“, „ტომი“ და სხვა [14, გვ. 11].

ერი, ისევე, როგორც ცალკეული ადამიანი, სულიერი ორგანიზმია. ყოველი ერი თავისთავად უდიდესი ღირებულების მქონე ცოცხალი ორგანიზმია, და არა ადამიანთა მექანიკური ერთობა.

ზოგიერთი მკვლევარი ერის აუცილებელ ატრიბუტებად მიიჩნევს ენას, ტერიტორიას, სარწმუნოებას, ერთიან პოლიტიკურ-ეკონომიკურ სისტემას და სხვა, მაგრამ რეალობა გვიჩვენებს, რომ ერის რაობის გასარკვევად ყოველივე ეს სულაც არ არის

3. პროტობერების შესახებ

საკმარისი. მაგალითად, ქართველები მინიმუმ 4 ენაზე ვლაპარაკობთ (ქართულად, მეგრულად, სვანურად და წოვათუშურად), ვართ 4 სარწმუნოების მიმდევრები (მართლმადიდებლობის, კათოლიციზმის, ისლამისა და იუდეიზმის), და მაინც ერთ ქართველ ერს წარმოვადგენთ.

ს. მასხარაშვილის მოსაზრებით, ერი, უპირველეს ყოვლისა, რაღაც ბოლომდე შეუცნობი სულიერი ორგანიზმია, რომლის არსებობასაც ღვთის ნება და ის მისია განაპირობებს, რომელიც მას (უფლისაგან) დაეკისრა [14, გვ. 10].

უმთავრესად, ღვთის ნება და გენეტიკა განსაზღვრავს როგორც ადამიან-ინდივიდის, ისე ერის არსებობასა და მოღვაწეობას [14, გვ. 11].

თანამედროვე ერებისა თუ ქვეყნების ისტორია „ბაბილონის“ ეპოქიდან იწყება.

XI საუკუნის მეორე ნახევარში განათლებულმა ისტორიკოსმა ლეონტი მროველმა ჩამოაყალიბა მწყობრი ეთნოლოგიური კონცეფცია, რომლის მიხედვით ქართველებისა და სხვა კავკასიელი ხალხების წინაპრები შორეულ წარსულში, ბაბილონის გოდოლის დანგრევის შემდეგ, გადმოსახლდნენ შუამდინარეთიდან. ამიტომ XX საუკუნის დასაწყისამდე ქართველთა წინაპრები კავკასიაში მოსულებად ითვლებოდნენ.

XX საუკუნის შუა ხანებიდან ჰუმანიტარული მეცნიერებების ინტენსიური განვითარებისა და მიღწევების შედეგად დამკვიდრდა ქართველთა ავტოქტონობა კავკასიაში. დღეისათვის სრული უეჭველობით დადგენილია, რომ ქართველები პირველადი ევრაზიული რასის წარმომადგენლები არიან, განეკუთვნებიან სამხრეთევროპეიდული განშტოების წინააზიურ ანთროპოლოგიურ ტიპს. ქართველები მათი დღევანდელი სახით (უკვე პალეოლითის უადრესი პერიოდიდან), ჩამოყალიბდნენ საქართველოს ტერიტორიაზე [21, გვ. 113].

დადგენილად ითვლება, რომ არსებობდა საერთო-ქართველური ფუძე-ენა, ანუ ის ენა, რომელზედაც საუბრობდნენ უძველესი ქართული ტომები, ვიდრე ისინი დანაწილდებოდნენ ქართულ, მეგრულ-ჭანურ და სვანურ შტოებად [21, გვ. 116].

ისტორიკოსების აზრით, ქართლის ტომი და სახელი „ქარ-

თლი“ კავკასიურ გეოგრაფიულ არეზე წარმოქმნილი ქვეყანაა [21, გვ. 117].

სავარაუდოა, რომ შუაბრინჯაოს ხანაში უნდა დაწინაურებულიყო „ქართუ“-ის ტომი, რომლის განსახლების ცენტრიც უნდა ყოფილიყო „მთა ქართი“ (გვიანდელი „არმაზი“) რომელიც მდებარეობს მცხეთის პირდაპირ, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. ასეთია ქართული ეროვნული ტრადიცია, შემონახული „ქართლის ცხოვრებაში“. „მთა ქართი“ მდებარეობდა ფრიად სტრატეგიულ ადგილზე. აქ გადიოდა მნიშვნელოვანი მაგისტრალური გზა, რომელიც კახეთსა და ჰერეთს ტაო-კლარჯეთთან აკავშირებდა. გარდა ამისა „მთა ქართი“ იდგა სავაჭრო გზაზე, რომელიც „შიდა ქართლს“ აკავშირებდა „ქვემო ქართლთან რაც, განვითარებულ მეტალურგიასთან ერთად, უნდა ყოფილიყო „ქართუს“ ტომის, ანუ უძველესი „ქართველების“, სიძლიერის ერთ-ერთი წყარო [21, გვ. 127].

„ებერების“ შესახებ. სვ. მასხარაშვილის გამოკვლევით, საეკლესიო გადმოცემა გვაუწყებს, რომ გოდოლის დროინდელ ხალხთა ყველა „მოდგმა“ („ნათესავი“) არ მონაწილეობდა ბაბილონის გოდოლის მშენებლობაში. სამოთხის ბაღიდან ადამიანის გამოძევების შემდეგ ყოველთვის არსებობდნენ რჩეული ადამიანები, რომლებიც არ ივიწყებდნენ უფლის სიტყვას და მის მორჩილად რჩებოდნენ. როგორც ირკვევა, გოდოლის შენებისას იყო ერთი „ნათესავი“ „ებერის მოდგმა“, რომელიც არ მონაწილეობდა გოდოლის შენებაში. სწორედ ეს ის რჩეული მოდგმაა, რომელიც გოდოლის რღვევის შემდეგ უფალს არ განუდევნია და სხვათა მსგავსად, არ განუფანტავს კავკასია-შუამდინარეთიდან. გოდოლის რღვევის შემდეგ კავკასიაში და შუამდინარეთში მხოლოდ სემისა და ებერის შთამომავალნი დარჩნენ. ებერთა შთამომავალნი თავისი საქციელით დანარჩენ კაცობრიობასთან შედარებით ინდივიდუალურნი, თვითმყოფადნი და ორიგინალურნი იყვნენ. ცხადია, ებერიელებს, როგორც უფლის ნებით მოქმედ მოდგმას, მრავალეროვნებისაკენ ჰქონდა მიდრეკილება. „მათი ენობრივი ინდივიდუალზმი გოდოლამდელი უფლის ნების შეგრძნება — შეგზნება — გათვითცნობიერების შედეგს წარმოადგენდა [14, გვ. 12].

3. პროტობერების შესახებ

სვ. მასხარაშვილის მტკიცებით, ებერიანებს ვერარას გაუგებთ კლასიკური, ზოგადსაკაცობრიო საზომით, რადგანაც ეს მოდგმა ამ საზომთა გაჩენამდე ფლობდა და განასახიერებდა სწორედ ამ საზომთა განმაპირობებელ და, ამასთან, მათი არსებობის თვითმიზნობრივ ღირებულებებს უფლის მიერ დაშვებულ და კურთხეულ ინდივიდუალიზმს, სხვათაგან გამორჩეულობას! ებერიელნი ატარებდნენ ინდივიდუალურ ანტიგლობალისტურ მარადიულ მუხტს... [14, გვ. 13].

ებერის შთამომავლები, რადგანაც გოდოლის მშენებლობაში არ მონაწილეობდნენ, უკვე ინდივიდუალურნიც იყვნენ, დანარჩენ კაცობრიობასთან შედარებით. გოდოლის მშენებლობის პერიოდში, სავსებით შესაძლებელია, რომ ებერიანთა ერთი ნაწილი გადარჩენილიყო მამაპაპისეულ კავკასიასა და აღმოსავლეთ მცირე აზიაში. ბაბილონის გოდოლის რღვევის შემდეგ „გოდოლისტმა კაცობრიობამ“ თითქმის დაკარგა კავშირი როგორც გოდოლამდელ ისე წარღვნამდელ ღმერთისეულ ღირებულებებთან. ებერიანთა კულტურა კი უეჭველად ინარჩუნებდა არათუ გოდოლამდელ, არამედ წარღვნამდელი კულტურის ნიშნებსაც კი¹ [14, გვ. 56].

ებერიონთა კულტურა უშუალო მემკვიდრეა ნოეს დროინდელი კულტურისა, რომელიც მტკვარ-არაქსის აუზში ღვინის დაყენებით იწყება. მტკვარ-არაქსის კულტურას საფუძვლად უდევს სამიწათმოქმედო (ღმერთისეული) კულტურა, მაშინ როცა შუამდინარეთი უფრო საქალაქო ცხოვრებით იყო სახელგანთქმული... როგორც იტყვიან, ღმერთმა შექმნა სოფელი, ადამიანმა კი ქალაქი [14, გვ. 57].

„ებერს“ ამკარად ენათესავება რამდენიმე სახელი: „ხურუტული ვერი“, „ებრაელი“, „იბერი“ და „ივერი“. „იბერებში“ იგულისხმება, როგორც ქართველი, ისე ხმელთაშუა ზღვიპირეთის მცხოვრები მოსახლეობის უძველესი აბორიგენი ტომები [14, გვ. 22].

¹ ებერების შთამომავალი ქართველები ზომ ახლაც ხასიათდებიან გამორჩეული ინდივიდუალიზმით

2 პროტობერების შესახებ

ჯერ კიდევ ცნობილი სწავლული ებრაელი იოსებ ფლაბიუსი (ჩვ.წ. I ს.) ამტკიცებდა, რომ იაფეტის შვილის თუბალ თობელის შთამომავალი მის დროს იბერებად იწოდებოდნენ... შემდეგ ფლაბიუსს ხშირად იმეორებდნენ ძველი მწერლები. ახალმა მეცნიერებმაც ეს დებულება თითქმის უყოყმანოდ მიიღეს (მაგ, ს. ჯანაშია). ბიბლიური თუბალის შთამომავლები არიან იბერები, როგორც აღმოსავლეთ ისე დასავლეთ საქართველოში [33, გვ. 67].

ს. ჯანაშიას მიხედვით, ჩვ.წ. VII-I სს დიდი ზარალი განიცადა ქართველი ტომების მოსახლეობამ. ამასთან ერთად, მათ დაკარგეს მსოფლიო ისტორიული პოზიციები. ქრისტეშობამდე რამდენიმე საუკუნით ადრე ქართველური წარმოშობის ხალხები (იბერები) იქცნენ მცირე ტომებად და რამდენიმე ნაკადად მიაშურეს კავკასიას, სადაც ელოდებოდათ მათი მონათესავე ქართველი ტომების სახელმწიფოებრივი გაერთიანება სახელგანთქმული კოლხეთი. მართალია, კოლხეთის ძლიერების ხანა ამ დროისათვის (ჩვ.წ. IX-VIII სს.) განვლილი იყო, მაგრამ ის მაინც ფეხზე იდგა [33, გვ. 36].

ს. ჯანაშიას აზრით, ქართული გვარტომების ხალხები აღნიშნული დროისათვის კავკასიაში შეყუჟულ ტომებად იყვნენ ქცეულნი, მაგრამ უფალ ღმერთს ისინი არ დაუწიოვებია. მისცა მათ ძალა, რათა ჩამოეყალიბებინათ ერთიანი, „ქართლის სამეფოდ“ ცნობილი, სახელმწიფო. შეკრა ისინი ერთიან ერად და მას შემდეგ, რაც კაცობრიობის სიყვარულისთვის დედამიწაზე მოსული ძე ღვთისა ივნო, დაეუფლა და ამალდა, ეჩვენა დედა ღვთისას და უთხრა ქართველი ერის შესახებ: „ჰვი, დედაო ჩემო, არა უგულებელ ვყო ერი იგი საზებურო უფროს ყოველთა ნათესავთა, მეოხებითა შენითა მათთვის“ [33, გვ. 38].

უფალმა ათეულ ტომებად ქცეული ქართული ეთნოსი ქრისტეშობამდე 3-4 საუკუნით ადრე ერთიან ერად აქცია ეროვნული სახელმწიფოს დაარსებით, რომელსაც უცხოელები იბერიას უწოდებდნენ. ის მოიცავდა აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს. შემდგომში ამ სახელმწიფოს ხალხი ერთიან ერად

3. პროტობერების შესახებ

შეკავშირდა და მას „ქართველნი“ ეწოდებოდათ [33, გვ. 37].

ერთიანი ქართული სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ, სამხრეთში აღმოჩნდნენ მრავალრიცხოვანი ქართული ტომები. ქართული ტომები აგრეთვე ცხოვრობდნენ ეგრისწყალთან გამავალი საზღვრის გადაღმაც და ასევე აღმოსავლეთით ალბანეთის მიმართულებით [33, გვ. 37].

ერთიანი ქართული სახელმწიფოს ფორმირების პერიოდი, რომელიც ცხადია, რამდენადმე წინ უსწრებდა ფარნავაზის ხანას, ხასიათდებოდა დიდი ცვლილებებით. ამ დროს (ძვ.წ. VIII-VI სს.) ქართველური ჯგუფის ძირითადი კულტურა სწორედ „კოლხური კულტურა“ უნდა ყოფილიყო. „კოლხური კულტურის“ ცენტრად მიჩნეულია დასვლეთ საქართველო. კოლხური კულტურის გავრცელების საზღვარი თავდაპირველად მცხეთამდე აღწევდა. დღევანდელი სამხრეთ ოსეთის მოსახლეობაც გვიანი ბრინჯაოს ხანაში მჭიდროდ უკავშირდებოდა „კოლხური კულტურის“ ზონის მოსახლეობას [33, გვ. 38].

ძვ.წ. IV საუკუნეში, ჯერ კიდევ ფარნავაზის მიერ შექმნილი სახელმწიფოს წარმოშობამდე, პირველად იქნა მოხსენიებული იბერთა სახელი უცხოურ მწერლობაში (ქართველები იბერთა სახელით მოიხსენიეს პლატონმა და არისტოტელემ) [33, გვ. 44].

ს. ჯანაშიას სახელი „იბერი“ გამოჰყავდა ტერმინებიდან სუბარ-სასპერ-სპერ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მას უკავშირებდა ბიბლიის თუბალსა და თობელს. ბიბლიური თუბალის შთამომავლები არიან იბერები, როგორც აღმოსავლეთ ისე დასავლეთ საქართველოში. ქართველები, ანუ იბერნი იაფეტის ძის შთამომავალნი არიან, წილხვედრი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა, ნაკურთხნი უფლის მიერ [33, გვ. 45].

2011 წელს გამოვიდა გიორგი ნატროშვილის წიგნი „იბერო-ევროპული მეგაცივილიზაცია“, რომელშიც განხილულია ხმელთაშუა ზღვის აუზში მცხოვრები, თითქმის უცნობი პროტობერული საზოგადოების არსებობის ფაქტი და მასთან დაკავშირებული კულტურათა განვითარების ასპექტები.

გ. ნატროშვილის ვკლავის მიხედვით, პროტობერული ცივილიზაციის ცენტრი მოიცავდა კავკასიას, ხმელთაშუა ზღვის რეგიონსა და პირინეის მხარეს [17, გვ. 21] (სურ.19 გვ.83).



სურ. 19: კავკასიური მოდგმის განსახლების არიალი [39]

პროტოიბერიელთა განსახლების, ცხოვრებისა და მოღვაწეობის სივრცეს წარმოადგენდა მიწა და ზღვა. ისინი იყვნენ ორი მამულის, ხმელეთისა და ზღვის უკიდევანო სივრცის მესაკუთრენი [17, გვ. 26].

ძვ.წ. VIII-VII ათასწლეულიდან ხმელთაშუა ზღვის აუზში გაჩნდა მნიშვნელოვნად განვითარებული, ორგანიზებული მძლავრი საზოგადოებები. მათ გააჩნდათ მაღალი კულტურა, თავიანთი დამწერლობა, მეცნიერება, თეოლოგიურ-ფილოსოფიური ხედვა, ტექნიკური განვითარების მაღალი დონე და პრაქტიკული გამოცდილება. ეს იყო **პროტოიბერიული** საზოგადოება, რომელიც მოიცავდა საკმაოდ ვრცელ რეგიონს [17, გვ. 26].

არქეოლოგიურმა მონაცემებმა ნათლად აჩვენა, რომ უკვე ძვ.წ. VIII-VII ათასწლეულებში კავკასიის, პროტოიბერების განსახლების რეგიონში პროგრესულად და სწრაფად, ძალიან მაღალ დონეზე ჩამოყალიბდა მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული ცოდნა, შრომის მეთოდების ორგანიზების საკითხები, რაც საკმაოდ ინტენსიურად ვითარდებოდა.

მევენახეობა. ცნობილია, რომ მსოფლიოში არსებული 4000 ჯიშის ვაზიდან 500 ქართული ჯიშისაა, რომელთა გამოყვანის პე-

3. პროტობერების შესახებ

რიოდი უკავშირდება პროტობერიული სამყაროს აღორძინების ეპოქას, 7000-6000 წლით ადრე ქრისტესშობამდე [17, გვ. 37].

ცნობილი რუსი მეცნიერის, ნიკოლოზ ვაკილოვის დასკვნით, მთელ მსოფლიოში მევენახეობა და ვაზის ყველა ძირითადი ასორტიმენტი შემოღებულია საქართველოდან, სადაც ჩვენს დრომდე, ველურ მდგომარეობაში ხარობს ველური ვაზი (კრიკინა), რომელიც სავსებით ვარგისია კულტივიზაციისათვის. ველური ვაზის გაკეთილშობილებით მიღებული ჯიშები და ღვინის წარმოებასთან დაკავშირებული ცოდნა კავკასიიდან სხვა ქვეყნებში გავრცელდა [17, გვ. 38].

9000 წლის წინ დამზადებული ღვინის ჭურჭლის ნიმუშების შესწავლამ ცხადჰყო, რომ ღვინის მოხმარებასთან და დამზადებასთან დაკავშირებული მაღალ დონეზე შესრულებული მრავალფეროვანი ინვენტარი მიუთითებს თვით ღვინის დაყენების მაღალ ტექნოლოგიასა და ცოდნაზე. ამასთან, ამ დარგში ადგილი ჰქონდა პრაქტიკული მოღვაწეობის განდიდებას და თეოკრატიულ სფეროში გადატანას, კულტად ჩამოყალიბებას, მისტერიულ, ეზოთრულ წარმოდგენებს. პროტობერიული საზოგადოება თეოკრატიულ სფეროში გადატანილი, ღვინოსთან დაკავშირებული ცოდნის სულიერ-მისტერიული პირამიდის თავზე, განიხილავდა ღვინის ღვთაებას **ბადაგონს**, რომელიც მათ სამყაროში განაგებდა ღვინის წარმოებასთან და მოხმარებასთან დაკავშირებულ ყველა ასპექტს. ბადაგონი და მასთან დაკავშირებული კულტი, თავისი 9000 წლის წინ განვითარებით, ერთადერთი უძველესი კულტია კაცობრიობის ისტორიაში [17, გვ. 38].

ნოე, თავისი სახლეულით, წარღვნამდელი პროტობერიული ცივილიზაციიდან მოდის და ამდენად, ვაზიც და ღვინიც წარღვნამდელი კულტურის ნაყოფია. ქართული ღვინოს ისტორია წარღვნამდელი ეპოქიდან, ნეოლითის ხანიდან იწყება, ქართული ღვინო 8000 წლისაა. ამაზე მიგვანიშნებს სამხრეთ საქართველოში აღმოჩენილი შულავრის კულტურის არქეოლოგიურად მდიდარი და მრავალფეროვანი მასალა (ძვ.წ. VI-IV ათასწლეული). შულავრის გორაზე აღმოაჩინეს კულტურული ვაზის პირველი ნაკვალევი, რომელიც ძვ.წ. VI-IV ათასწლეულით დათარიღდა.

ბერძნული სიტყვაბმული „გეორგია“ ასოცირებულია არა მხო-

ლოდ ღვინის წარმოების კულტის, მევენახეობის, მეღვინეობის საწყისებთან, რომელიც ამ კულტის მატარებელი პროტობერელი ხალხიდან მოდის მსოფლიოს ხალხებში, არამედ მიწის დამუშავებით დაკავებულებთან, მიწათმოქმედთან, მიწას შერწყმულთან, რაც ახლოს არის როგორც სასოფლო-სამეურნეო, აგროსამეურნეო ცოდნასთან, ასევე მიწის წიაღის დამუშავებასთან და საერთოდ, მიწის დამუშავებასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სფეროებთან, რაშიც იბერიელები განუსაზღვრელად წინ წასულები იყვნენ. ბერძნებმა სწორედ სიტყვა „გეორგია“ გამოიყენეს პროტობერიელების შთამომავლების იდენტიფიკაციისათვის და დაუდეს სათავე ევროპელთა მხრიდან მის ისტორიულ გამოყენებას. „გეორგია“, როგორც „იბერიის“ განმსაზღვრელი და ჩანაცვლებითი სიტყვა-დასახელება, ზუსტად ასახავს იმ გაიგივებას, რომელიც უკავშირდება პროტობერიულთა მოღვაწეობისა და „მიწის ფლობის“ ასპექტებს [17, გვ. 41].

მემარცვლეობა. ქართველმა არქეოლოგებმა ქვემო ქართლში, ბოლნისის ახლოს, (იქ, სადაც ოქროს მოპოვების მიზნით ადამიანის მიერ დამუშავებული მსოფლიოში ყველაზე ძველი კარიერი მდებარეობს), აღმოაჩინეს 8 000 წლის წინ კულტივირებული ხორბლის შემდეგი სახეობა: ზანდური, მახა, სპელტა, ასლი, რბილი ხორბალი, ჯუჯა ხორბალი, მაგარი ხორბალი. პროტობერთა ამ რეგიონში აგრეთვე მოჰყავდათ ქერი, შვრია, ფეტვი და ბარდა. არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ხორბლის კულტურის წინაპარიც. მევენახეობის მსგავსად, მემარცვლეობაშიც საქმე გვაქვს ბუნებრივი, ველური ჯიშების ხელოვნური გაკეთილშობილების და რთული სელექციის წარმოების (მაღალი დონის შემოქმედებითი შრომის) ფაქტთან. დადგენილად ითვლება, რომ მსოფლიოში გავრცელებული ხორბლის 22 სახეობიდან საქართველოში რეგისტრირებული და აღწერილი 14 სახეობიდან, 5 სახეობა მხოლოდ ქართული, ენდემურია. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი მხოლოდ საქართველოში იყო გამოყვანილი და გაკეთილშობილებული. ყურძნისა და ხორბლის ასეთი მრავალფეროვნება სხვაგან არსად გვხვდება, რაც მიუთითებს იმ საზოგადოების დიდ და ღრმა ცოდნაზე, რომელიც მიწათმოქმედებასა და მიწის რესურსების ათვისება-გამოყენებას უკავშირდება [17, გვ. 43].

3. პროტობერების შესახებ

კარტოგრაფია. გ. ნატროშვილის თვალსაზრისით, ეკონომიკური საქმიანობის გარდა, ძველქართული ტომები ფლობდნენ იმ ცოდნას, რომლის მეშვეობიდაც ხდებოდა კარტოგრაფიული მასალების შეგროვება და ადრინდელი რუკების დამუშავება. ქართველურ ტომებს ბერძნებამდე უფრო ადრეულ ეპოქაში შეუქმნიათ რუკები, რომლის მეშვეობით ისინი ახორციელებდნენ საზღვაო გადასვლებს [17, გვ. 51].

ქართველურ სამთავროებში საზღვაო კარტოგრაფიის ცოდნა პირდაპირ დაკავშირებულია იმ პროტობერეიულ სამყაროსთან, რომლის ცივილიზაცია განფენილი იყო ხმელთაშუა და ეგეოსის ზღვის აუზში, მალტაზე, ბალკანეთზე, თანამედროვე საბერძნეთში და კავკასიაში. საქართველოს აღმოსავლეთში, დასავლეთში, ლაზეთში, ერთი ხალხის, ქართველური მოსახლეობის დასავლეთით და სამხრეთით იყო დასახლებული მათი პროტობერეიული ერთობის შემადგენელი ადგილობრივი, აბორიგენული ერთობის ჯგუფები, რომლის არეალი მოიცავდა მათი პირველადი წარმოშობის ტერიტორიებს. ეს ცივილიზაცია იყო იბერიული ერთობა, ერთმანეთისაგან ტერიტორიულად დაშორებული, თუმცა მის შიგნით ინტენსიური კომუნიკაციების ხარჯზე განვითარებული გარემო [17, გვ. 52].

ძვ.წ. III ათასწლეული აღინიშნება პროტობერეიელთა მოდგმის მეტად თუ ნაკლებად განვითარებული სამთავროების ან კოლონიების არსებობით. ამ პერიოდისათვის მძლავრად იჩენს თავს ახალი ეთნიკურ-ცივილიზაციური, ეკონომიკური და გეოპოლიტიკური გადანაწილებებიც, რამაც სრულიად შეცვალა ვითარება, დაანგრია, მოსპო ეს ცივილიზაცია, ცხოვრების წესი და შემოგვიტოვა მხოლოდ მცირე ტერიტორიებზე ლოკალიზებული, მხოლოდ მძლავრად განვითარებული იბერიული წარმოშობის ჯგუფები. ეს ის ტერიტორიებია, თავისი აბორიგენული მოსახლეობით, რომლებიც საბოლოოდ შენარჩუნდა მხოლოდ ორ უკიდურესად დაშორებულ რეგიონში — აღმოსავლეთით კავკასიაში ჭოროხის, რიონის, მტკვრის აუზის საზოგადოებები, რომლებმაც გააერთიანეს აღმოსავლური პროტობერეიული საზოგადოებები და შექმნეს მძლავრი ქართული სახელმწიფო, და დასავლეთით პირინეზზე — ბასკების წინაპრების სახით [17, გვ. 54].

3 იბერების კვალი ახლო აღმოსავლეთში

ახლო აღმოსავლეთის რეგიონი მოიცავს თანამედროვე ისრაელს, პალესტინის ტერიტორიებს, იორდანias, სირიასა და ლიბანს, მცირე აზიას (თურქეთი), მესოპოტამიას (ერაყი და აღმ. სირია) და ირანის პლატოს (სურ. 12 გვ.44). აქ წარმოიქმნა მიწათმოქმედება, შეიქმნა დამწერლობა და სამი დიდი რელიგია. ანატოლია მდებარეობს აზიისა და ევროპის გასაყარზე და წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ადგილს. ანატოლიას თამამად შეიძლება ეწოდოს მსოფლიო ცივილიზაციის აკვანი. აქ წარმოიშვა პირველი ქალაქები და კულტები, ჩამოყალიბდა მეცხოველეობა, მიწათმოქმედება და ხელოვნება, შეიქმნა მეტალურგია.

ალტონ ბესელიას კვლევის მიხედვით, ანატოლია იყო ქართველთა ტომების უძველესი სამშობლო [5].

ხატილებისა და ხალიზონების შესახებ. აღ. ბესელიას მიხედვით, ანატოლიაში, ძველი ინდოევროპელების შემოსვლამდე, უმთავრესად, ძალიან გაშლილად, ცხოვრობდნენ ქართველური ტომები. მათ ეკავათ ანატოლიის ტერიტორიის მთების ხეობები და შავი ზღვის ნაპირები დღევანდელი ამიერკავკასიის ჩათვლით. იმ დროს ანატოლიის დასახლება იმდენად მრავალფეროვანი არ იყო. შუა და დასავლეთ ანატოლიაში, უმთავრესად, ქართველური ტომების დასავლური შტოს წარმომადგენლები — **ტაოხები, ხატილები, ღალიზონები** ცხოვრობდნენ [5, გვ. 9].

ღალიზონები ცხოვრობდნენ მდინარე ღალისის ნაპირებზე. მათ დარსეს თავისი სალოცავი ხატი. შემდეგში კი მის ადგილზე ქალაქი „ხატისა“ ააგეს, რომელიც მალე ქართველური კულტურის ერთ-ერთი ცენტრი გახდა. ამიტომ ამ ქალაქის მცხოვრებლები თავის თავს „**ხატილებს**“ უწოდებდნენ. აქედან გამომდინარე, ქალაქის ძირძველი მოსახლეობა ხათები კი არა, ხატილები ყოფილან [5, გვ. 10].

ღალიზონებს ბერძნული წყაროები ტროაელების მოკავშირეებად იხსენიებენ. ჰომეროსი კი ღალიზელებსა და **ხალიზებს** ერთმანეთთან აიგივებს. რკინის მოპოვებისა და მისი დამუშავების ხერხს პირველად ხალიზებმა მიაგნეს. რის შემდეგაც მთელი II

3. პროტობერების შესახებ

ათასწლეულის განმავლობაში რკინა ძვირფას ლითონად ითვლებოდა. ხალიბები სახლობდნენ ანატოლიის შუა ნაწილში და დასავლეთ შავი ზღვის სანაპიროებზე. მათ უშუალო ურთიერთობა ჰქონდათ დასავლურ ქართველურ ტომებთან — **პელასგებთან** და **თრაკიელებთან** [5, გვ. 11].

მესხების შესახებ. მდინარე ღალისის სათავეები და მისი აღმოსავლური ნაწილი ეკავა აქაურ ქართველურ ტომს — **მესხებს**, რომელთაც ბერძნული ისტორიული წყაროები „მოსხებად“ მოიხსენიებენ. მათი უშუალო ახლოაღმოსავლელი მეზობლები ხურიტები, შორეული კი — შუმერები იყვნენ [5, გვ. 9].

ანატოლიის თითქმის ორი მესამედი ნაწილი უკავია აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე გადაჭიმულ ანატოლიის მთებს, რომლებიც უძველესი დროიდან ატარებენ ტავროს სახელწოდებას. ამ მთების მოსახლეობა უმთავრესად ქართველური წარმომობისა ყოფილა. ასურული წყაროები მათ ტაოხებს უწოდებენ. ადგილი მისახვედრია, რომ ამ მთების დასახელება — ტავრო ქართველურია, რომლის პირველი სიტყვა „ტაო“-ა. გ. მელიქიშვილმა, პირველად, ეს სიტყვა, შინაარსობრივად, ტაო-კლარჯეთს დაუკავშირა [5, გვ. 17].

ისტორიული წყაროები, ანატოლიის აღმოსავლური ნაწილის ქართველურ მოსახლეობას შორის, ყველაზე წინ **მესხებს** ასახელებენ.

ალ. ბესელიას მიხედვით, მათ უხსოვარი დროიდან მთლიანად ეკავათ დღევანდელი მესხეთ-ჯავახეთი. იქაურმა მოსახლეობამ შუმერებისაგან ისწავლა ფერადი ლითონებისაგან დამზადებული სამკაულების დამუშავების ოსტატობა, უფრო განვითარებული მიწათმოქმედება და მებაღეობა [5, გვ. 78].

პელასგები, თრაკიელები და ილირიელები. ალ. ბესელიას მოსაზრებით, ანატოლიიდან ბალკანეთზე ქართველური ტომების გადასახლება დაიწყო ძვ.წ. III ათასწლეულიდან და საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა. ისინი უმთავრესად ნახევარკუნძულის სანაპიროზე სახლდებოდნენ. მათ აგრეთვე დაიკავეს კუნძული კრეტა. მათ ადგილობრივ ტომებთან ერთად შექმნეს წინაბერძნული მინოსური სამყაროს ცნობილი ცივილიზაცია (ძვ.წ. 2888-1000 წ.წ.).

გამჭრალი ქართველური ენების დასავლურ შტოს წარმოადგენენ **პელასგები, თრაკიელები და ილირიელები**. სამივე ტომი ისე იოლად ერწყმოდა ერთმანეთს, რომ მათ შორის ენობრივი დაბრკოლება თითქმის არ არსებობდა. ალბათ, ამიტომ, ბერძნები ამ მონათესავე ტომებს არ ანსხვავებდნენ და მათ ყველას **პელასგებს** ეძახდნენ. მათ, უმთავრესად, ბალკანეთის ხმელთაშუა ზღვის სანაპირო ზოლი ეკავათ. ანატოლიიდან მოსული პელასგები და თრაკიელები, ბალკანეთზე ბერძნებზე უფრო ადრე მოვიდნენ და დასახლდნენ. აქ მათ დაამკვიდრეს მაღალი თვითმყოფადი ახლოაღმოსავლური კულტურა, რომლის საფუძველზე, შემდეგში მოსულმა **მომთაბარე ბერძნულმა ტომებმა** შექმნეს **ანტიკური** კულტურა [5, გვ. 110].

ალ. ბესელიას კვლევით, დადგინდა, რომ ქალაქი ათენი აშენებული ყოფილა ბალკანეთში მცხოვრები **პელასგების** მიერ. ე.ი. ათენის პირველი, ნამდვილი ათენელები პელასგები ყოფილან და არა მოგვიანებით მოსული ბერძნები [5, გვ. 116].

კუნძული **კრეტა** (სურ.20 გვ.90). პელაზგების მმართველობის დროს ცნობილი იყო ეკონომიკური წყობის მაღალი დონით. ამიტომ, იმ დროს ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებს შორის სანიმუშო კულტურის გამტარებლად ითვლებოდა. ანატოლიიდან წამოსულმა პელასგებმა კუნძულზე დანერგეს საკმაოდ განვითარებული მიწათმოქმედება, მეცხოველეობა, ქალაქთმშენებლობა და საზღვაო საქმე. კრეტაზე მცხოვრებმა პელასგებმა, შუმერებისაგან ათვისებული, სურსათისა და მათ მიერ შექმნილი ნაწარმის აღრიცხვიანობა დანერგეს. ამისთვის მათ დასჭირდათ დამწერლობის შექმნა, რაშიც მათ შუმეროგრაამების გამოცდილება დაეხმარათ. მათ შუმეროგრაამები თავიანთ ენის ბგერათა ჟღერადობას შეძლებისდაგვარად მიუსადაგეს. ქართველური ენა, სხვა ენებისაგან განსხვავებით, ხმოვანი და თანხმოვანი ბგერების მონაცვლეობით ხასიათდება. ასე გაჩნდა **A-ხაზოვანი** მარცვლოვანი დამწერლობა კუნძულ კრეტაზე, რომლითაც, უმთავრესად, სურსათის აღრიცხვიანობის დროს სარგებლობდნენ.

შუმერების შესახებ. შუმერები — ერია, რომელმაც შექმნა შუმერული ცივილიზაცია. მსოფლიო მეცნიერების მტკიცებით, ისტორია შუმერებით იწყება. მათ გააჩნდათ სამყაროსეული ცი-

3. პროტობერების შესახებ



სურ. 20: კუნძული კრეტა

ვილიზაცია, რომელიც შემდეგში გადაეცა ბაბილონს, ძველ ეგვიპტეს და ძველ აღმოსავლეთს [23].

ამერიკელი უფოლოგების აზრით, კაცობრიობამ „ცხოვრება ისწავლა“ ძველი შუმერებისაგან, რომლებიც 5500 წლის წინ ცხოვრობდნენ. მეცნიერები ასკვნიან, რომ ისინი ფლობდნენ ამომწურავ ცოდნას ყველაფერზე. მათ თიხის ფირფიტებზე ყველაფერი წერია ჩვენი წარმოშობის შესახებ. შუმერთა ასო-ნიშნებისაგან გაირკვა, რომ მათ თურმე ყველაფერი „ანუ-ნაკის“

კულტურისაგან ისწავლეს, და მთელ მსოფლიოს გაუზიარეს. მათ შექმნეს პირველი სამეფო ხელისუფლება. სწორედ ამ პერიოდში და უფრო ადრეც, აღნიშნულ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ მეგრულ-ლაზურ (ქართველურ) ენაზე მოლაპარაკე ხალხები [10, გვ. 17].

ვ. ვახანიას მტკიცებით, „ანუ-ნაკი“ ლაზურ-მეგრულად ნიშნავს „ციდან დაშვებულს“. სამეგრელოში უხსოვარი დროიდან ჰქონდათ წმიდა წიგნი „ანუნაკის ეფუთი“, რომელსაც მეგრელები, უძველესი დროიდან, ასახელებდნენ როგორც: „სიბრძნის წიგნს“, „წმინდათა წიგნს“, და თვლიდნენ მას ღმერთის მიერ დაწესებულ კანონად ყოველდღიურ ცხოვრებაში. მეგრელები უძველესი დროიდან ამბობდნენ, რომ ბიბლიური 10 მცნება თავდაპირველად „ეფუთში“ ეწერა. დღეს ეფუთი დაკარგულად ითვლება. მაგრამ სამეგრელოში ისე ლაპარაკობენ, თითქოს გუშინ წაუკითხავთ იგი [10, გვ. 20].

შუმერები ცხოვრობდნენ ძვ.წ. VI-III ათასწლეულებში სამხრეთ შუამდინარეთში — მესოპოტამიაში.

მკვლევართა უმეტესობა შუმერებს არ თვლის ადგილობრივ მოსახლეობად, მაგრამ ამავე დროს ისინი ვერ ადგენენ მხარეს, საიდანაც უნდა მოსულიყვნენ შუმერები, რომლებიც მშვიდობიანად შეერწყნენ პროტოშუმერულ (შუმერების გამოჩენამდე არსებულ) მოსახლეობას, როდესაც უნდა ჩამოყალიბებულიყო შუმერული ეთნოსი [7, გვ. 14].

შუმერები არ ყოფილან მესოპოტამიის მკვიდრი მოსახლეობა, სავარაუდოდ ისინი მესოპოტამიაში გადმოსახლდნენ ძვ.წ. VI-V ათასწლეულებში. უნდა ითქვას, რომ შუმერები არ არიან წარმოშობილნი ერთი ეთნოსისაგან. ისინი წარმოადგენენ შავი და თეთრი რასის წარმომადგენელ ეთნოსთა შერწყმის შედეგად წარმოშობილ ხალხს [11, გვ. 94].

როგორც ირკვევა შუმერთა სახელმწიფოს ძირითად მოსახლეობას წარმოადგენდნენ ქალდეველები, კასიტები და მცირე აზიაში შემოჭრილი შავკანიანი რასის წარმომადგენლები, რომელთაც შუმერები უწოდებდნენ „შავთავიან ხალხს“.

მეცნიერები, გამომდინარე შუმერული არქიტექტურიდან და ენის ანალიზიდან, ვარაუდობენ, რომ ისინი გადმოსახლდნენ მთი-

3. პროტობერების შესახებ

ანი რეგიონიდან. ამავე დროს ისინი კარგი მეზღვაურებიც იყვნენ, რაც აგრეთვე გვაფიქრებინებს, რომ ისინი ზღვისპირა რეგიონიდან გადმოსახლდნენ. ამაზე მიუთითებენ მათი მითოლოგიური წარმოდგენებიც. ამრიგად, შუმერები არ იყვნენ არც სემიტები და არც ინდოევროპელები. მკვლევარები და ხელოვნების ისტორიკოსები დღემდე წერენ: „ვინ არიან შუმერები, იქნებ სწორედ აქედან უნდა დავიწყოთ ცივილიზაციის ისტორია? ამავე დროს ჩვენ არაფერი ვიცით მათი ჩამოყალიბების შესახებ, და მათი ენა არა ჰგავს ჩვენთვის ცნობილ არც ერთ მკვდარ, ან ცოცხალ ენას.“

აკაკი გელოვანის აზრით, ამ კითხვაზე არის პასუხი: შუმერული ენა ჰგავს ამჟამად ცოცხალ ენას – ქართულს. ამის თქმის საშუალებას იძლევა მათი ისტორია, ენა, ანალიზი რაც უცხოურ და სამამულო მეცნიერების მრავალ შრომაში დიდი ხანია სერიოზული კვლევისა და განსჯის საგნადაა ქცეული. შუმერები იყვნენ შრომისა და მშვიდობის მოყვარული, მაგრამ ბრძოლაში მრისხანე ხალხი. შუმერები თავისი მაღალი კულტურით, ლმობიერებით და სიკეთით **ქართველებს** მოგვაგონებენ მითებშიც და მატიანეებშიც.

მიხეილ წერეთლის ვარაუდით, ძველად, კავკასიაში და მის სამხრეთით მიმდებარე ტერიტორიაზე, არსებულია გენეტიკურად ერთმანეთთან დაკავშირებული ხალხთა დიდი ჯგუფი, რომლებიც ერთმანეთისაგან იყოფოდნენ შედარებით პატარა ჯგუფებად. ერთ-ერთი ამ ეთნოსთაგანი, შუმერები, სამხრეთისაკენ წასულა, სამხრეთ მესოპოტამიაში დასახლებულა და იქ შეუქმნია დიდებული შუმერული კულტურა... [7, გვ. 15].

როგორ ირკვევა, არ შეიძლება ითქვას, რომ შუმერები პროტოქართველები არიან. შუმერულ ენაში მრავლადაა პროტოქართული სიტყვები, მაგრამ ეს ცალსახად არ ნიშნავს იმას, რომ ეს ენა პროტოქართულია [11, გვ. 96].

„ჩრდილოეთ შომერეთის“ ენა წარმოადგენს პროტოარამეულ-ქალდეურ ენას. „სამხრეთ შუმერეთის“ ენა წარმოადგენდა ქალდეურის, ქანაანურის, სანსკრიტულის, ელამურის და შავკანიანი რასის უცნობი წარმოშობის ეთნოსის ენის ნარევს [11, გვ. 103].

3. იბერების კვალი ახლო აღმოსავლეთში

შუამდინარეთში დასახლებული ტომები VI-V ათასწლეულებში უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობდნენ, რადგანაც ძალიან ცოტა იყო მიწათმოქმედებისათვის ვარგისი მიწები. მხოლოდ ძვ.წ. IV ათასწლეულისათვის ევფრატის ნაპირებზე დაიწყეს ამ ტომებმა გაერთიანება და ირიგაციული სისტემების შექმნა. ამან გამოიწვია მოსავლის ზრდა და პროდუქციის დაგროვების შესაძლებლობა. რასაც, თავის მხრივ, მოჰყვა შრომის დიფერენციაცია, მოსახლეობის ზრდა და ქალაქების ჩამოყალიბება. მოსავლის მარაგის ზრდამ, დაბინავების, შენახვისა და აღრიცხვის გართულებამ გამოიწვია დათვლა-დაანგარიშებისა და ინფორმაციის შენახვის საჭიროება. ამან გამოიწვია ფიგურა-სიმბოლოთა სისტემის გაჩენა, რასაც მოჰყვა დამწერლობის შექმნის აუცილებლობა. შემდეგად, შუამდინარეთში წარმოიშვა ჯერ პროტოლურსმული და შემდეგ, უძველესი ლურსმული დამწერლობა — ლურსმნის მოყვანილობის ხაზები გამომწვარ ფირფიტებზე. შემდეგ ეს ფირფიტები იქცა წიგნებად.

ძვ.წ. III ათასწლეულის II ნახევრიდან პალესტინაში გაბატონებულმა ქამიტურ ენაზე მოლაპარაკე მთიელმა ტომებმა, ამორეველებმა დაიპყრეს შუმერთა სამეფო. მათ ძირძველ მოსახლეობას წაართვეს სარწყავი მიწები და ქალაქები. შუმერები იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ თავისი სამშობლო. გაწყდა მოაზროვნე ხალხი, რომლის ნაშთები გაიფანტნენ, ან სხვა ხალხებში გაითქვიფნენ. ისინი გაუყვნენ მათთვის ნაცნობ სავაჭრო გზას მდინარე ტიგროსის ნაპირების გასწვრივ. მათი ნაწილი შეერიო ზემო შუამდინარეთში მცხოვრებ ხურიტებს. ნაწილმა კი გზა გააგრძელა და ანატოლიას მიაღწია და იქ მცხოვრებ ქართველურ ტომებში აითქვიფა. მოსულების რაღაც ნაწილმა გზა განაგრძო, გადალახა აღმოსავლეთი ანატოლია და ამიერკავკასიას მიაღწია. მტკვარ-არაქსის შუამდინარეთს მიადგა და იქ დაფუძნდა. შუმერების კვალი ჩანს შუმერული სიტყვების არსებობით ქართულ ენებში და მტკვარ-არაქსის კულტურის ამობრწყინებაში დღევანდელ ამიერკავკასიაში [5, გვ. 48].

შუმერების ჩასახლებამ ანატოლიაში დადებითი შედეგები გამოიღო ქართველური ტომების კულტურის შემდგომ აღმავლობაში და განვითარებაში. ამაღლდა ანატოლიის კულტურული მემ-

3. პროტობერების შესახებ

კვიდრეობა. დასავლეთ-ქართველური ტომების შტომ — პელასგებმა და თრაკიელებმა ეს კულტურა ბალკანეთში და კუნძულ კრეტაზე გაავრცელეს და დაამკვიდრეს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართველურმა ტომებმა შუმერების ხელშეწყობით შექმნეს A-ხაზოვანი დამწერლობა [5, გვ. 67].

შუმერების შემოსვლიდან რამდენიმე საუკუნის შემდეგ ანატოლიაში შემოიჭრნენ ძველი ინდოევროპელი ტომები. მოსულები უმთავრესად შუა ანატოლიაში და, ნაწილობრივ, მის დასავლეთში განლაგდნენ. ანატოლიაში შემოჭრილ ძველ ინდოევროპელებზე ძლიერი გავლენა მოახდინა ადგილობრივმა მაღალმა ქართველურმა კულტურამ და ენებმაც [5, გვ. 50].

ქართულ-ბერძნული შერევის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილ გამობრწყინებას წარმოადგენს მაკედონიის სამეფო, სადაც ჭარბობდა ძირძველი ქართველური მოსახლეობა. ამიტომაც, რომ ბერძნებმა არა მხოლოდ მაკედონიის მეფე ფილიპე II-ს, არამედ მის ვაჟიშვილ ალექსანდრესაც არ აპატიეს თრაკიული წარმოშობა. ბერძნები ალექსანდრე მაკედონელს ბარბაროსს უწოდებდნენ. ახალი არქეოლოგიური გათხრები კი იმაზე მეტყველებენ, რომ მაკედონიის სამეფო თავისი განვითარებით აღემატებოდა ანტიკურ საბერძნეთს [5, გვ. 70].

4 „ზღვათა ხალხების“ შესახებ.

ალ. ბესელიას მტკიცებით, ატლანტიკიდან შემოვარდნილმა წყალმა ხმელთაშუა ზღვის დონე ოკეანის დონემდე ასწია. ამას მოჰყვა ღელეს ფონის ბრტყელი კალაპოტის ამოვსება. მის ადგილზე გაშლილი და ღრმა სამი აუზის რიგი შეიქმნა: დარდანელის, ბოსფორის სრუტეები და მათ შორის მდებარე მარმარილოს ზღვა. ასე ჩაბარდა ისტორიას ევროპასა და მცირე აზიას შორის მდებარე ბუნებრივი დაუბრკოლებელი დერეფნის არსებობა [5, გვ. 5].

წარმოუდგენლად გიგანტურმა მცოცავმა წარღვნამ ხმელთაშუა ზღვის ნაპირები თანდათან დატბორა. ასეთივე ბედი ეწია მის მრავალრიცხოვან კუნძულებსაც. წარღვნამდე ამ ადგილებში მრავალი მაცხოვრებელი სახლობდა. წყალმა თანდათანობით და-

ფარა სანაპიროზე მდებარე მრავალი ნაყოფიერი ვაკე-დაბლობი, დასახლებები და ქალაქები. ბუნებრივია, ხალხიც აიყარა. ამ წარღვნის შედეგად, ზღვის სანაპიროებიდან აყრილი მოსახლეობის გადასახლებამ გამოიწვია ე.წ. „ზღვის ხალხების“ ლაშქრობა. ეს იძულებითი „ლაშქრობა“ იძულებით გადასახლებას უფრო ჰგავდა. მცოცავმა წარღვრამ ერთდროულად ეგვიპტის სანაპიროებიც დააზარალა. მაგრამ ბალკანეთთან შედარებით აფრიკის ნაკლებად დასახლებულმა სანაპიროებმა ბევრად ნაკლები ზიანი განიცადეს [5, გვ. 177].

„ზღის ხალხებად“ წოდებულმა, ბალკანეთში მცხოვრებმა პელასგებმა და სხვა იბერიულ-კავკასიურმა აბორიგენმა ხალხებმა, აგრეთვე კრეტა-მაკედონისა და ტროელმა მოსახლეობამ გადაინაცვლა მცირე აზიისაკენ. ზღვის ხალხებმა დაანგრიეს ხეთის სამეფო და გაილაშქრეს ეგვიპტისაკენ. ფარაონ რამზეს მესამემ გაჭირვებით დაამარცხა ისინი, მაგრამ ბოლომდე ვერ მოახერხა მათი განდევნა და ისინი დამკვიდრდნენ ქანაანის და სირიის ნაყოფიერ მიწებზე. ამ „ზღვის ხალხებს“ შორის იყვნენ კრეტელი პელასგებიც, რომელთაც ეგვიპტელებმა „პალესტელები“ უწოდეს. მათ ბიბლიაში „ფილისტინელები“ ეწოდებათ. ეგვიპტელებმა, თავისი სამხედრო გამოცდილებისა და ბედის წყალობით შედარებით ადვილად აიცილეს თავიდან პელასგებისა და თრაკიელების შემოტევა.

პელასგებმა ხმელთაშუა ზღვის სანაპიროდან მოშორებით, მთებით შემოფარგლული სარონის ვაკე და მისი იორდანის ნაპირები დაიკავეს. ისინი დასახლდნენ სარონის ვაკის მთელ სიგრძეზე. შემდეგ ქანაანის ეს ტერიტორია, სადაც დასახლდნენ ფილისტინელები (პროტოიბერი პელასგები), ჰეროდოტემ და ძველმა ბერძნებმაც პალესტინად მონათლეს [5, გვ. 191].

5 გალილეას შესახებ

აღ. ბესელიას მიხედვით, პელასგებმა პალესტინაში შეიტანეს და დაამკვიდრეს თავისი მაღალი ახლოაღმოსავლური კულტურა. ეს იყო მიწათმოქმედება, მეცხოველეობა, მშენებლობა და რკინის მოპოვება-დამუშავება. დაახლოებით ორი საუკუნის განმავლო-

3. პროტობერების შესახებ

ბაში პელასგები ინახავდნენ რკინის დამუშავების საიდუმლოებას. მაგრამ იქაურმა მომთაბარე ტომებმა, თავის სიმრავლის წყალობით, თანმიმდევრობით შესძლეს პელასგების სრული ასიმილაცია და მათი ახლოაღმოსავლური კულტურის საფუძველზე ააშენეს ისრაელ-იუდეური სახელმწიფო. პალესტინის დამპყრობლებიდან დღემდე შემორჩა ქართველური წარმოშობის ორი ჰიდრონიმი: მდინარე იორდანი და **ღალიღის ტბა** [5, გვ. 192].

მდინარე იორდანის დასახელების ძირს რიცხვითი სახელი „ორი“ შეადგენს, რომელსაც ემატება დამხმარე თანდებული დანი. მათი ერთობის შინაარსი კი ნიშნავს „შედგება ორი ნაწილისაგან“. მდინარის ერთი (პირველი) ნაწილი ერთი მხრიდან შეედინება ტბაში და კვებავს მას, ხოლო მეორე ნაწილი მისგან გამოედინება მეორე მხრიდან და აგრძელებს თავის დინებას. აქედან გამომდინარე, მდინარის დასახელების ძირს წარმოადგენს ქართველური რაოდენობითი რიცხვითი სახელი „ორი“, რომელსაც სვანურად შეესაბამება სიტყვა „იორი“. რაც შეეხება ტბას, რომელიც მდინარე იორდანის ჩამონადენით იკვებება, პელასგებმა „ღალიღა“ უწოდეს, რაც ნიშნავს – „ღელეღან წარმოშობილია“. შემდგომში კი მისი სანაპიროების ირგვლივ მდებარე ადგილებმაც „**გალიღა**“-ს დასახელება მიიღეს (რომელიც დღემდე შემორჩა) [5, გვ. 193].

ამჟამად, გალიღა ისტორიული ოლქია ისრაელის ჩრდილოეთით, ლიბანის საზღვართან.

6 იესო ქრისტე და გალიღველთა წინაპრები

ძვ.წ. 1200-1100 წლებში, ეგვიპტიდან დაბრუნების შემდეგ ებრაელი 12 ტომი დასახლდა ქანაანის ანუ პალესტინის ტერიტორიაზე. ბიბლიის მიხედვით, სამხრეთით დასახლდნენ იუდას ტომები. მათგან ჩრდილო-დასავლეთით ფილისტინელთა მან-ლობლად დასახლდნენ დანის ტომელები. ფილისტინელები, ისევე როგორც ებრაელები, შემდგომ ეპოქებში გასემიტდნენ. ამიტომაც, რომ მათი ენა — ივრითი დღეს სემიტური ენაა. დროთა განმავლობაში, ფილისტინელებისაგან შევიწროვებული დანის ტომი გადასახლდა იმ ტერიტორიაზე, რომელიც მდებარეობდა

6. იესო ქრისტე და გალილეველთა წინაპრები

ისტორიული გალილეის ტერიტორიაზე. არქეოლოგიური გათხრების ანალიზის საფუძველზე მტკიცდება, რომ დანის დასახელების მქონე ებრაული ტომი პროტობერიული წარმოშობისაა. დანის ტომის შთამომავალი გალილეველები თვით იესოს დროსაც კი არაებრაულ ენაზე ლაპარაკობდნენ. გალილეური დიალექტი საკმაოდ ახლოს უნდა მდგარიყო ძველ ლაზურ ენასთან. მოციქულთა დროისათვის ამ ტერიტორიაზე დანის ტომს უკვე აღარ იხსენიებენ. იქაურ მოსახლეობას მარტო ერთ ეთნიკურ სახელს — გალილეველებს უწოდებდნენ. შემდგომში, გალილეა შევიდა იუდეველთა სამეფოს შემადგენლობაში, რომლებიც უკვე დიდი ხნით ადრე იყვნენ გასემიტებულნი. გასემიტებულები იყვნენ ფილისტინელებიც და პალესტინის სხვა მოსახლეობაც. გარდა გალილეის მხარის მოსახლეობისა, რომელთაც შეინარჩუნეს თავისი ძველი, ლაზურის მსგავსი (პროტობერიული), ენა.

ღვთისმშობელი მარიამი იყო გალილეველი. ყველა მოციქულიც იყო გალილეველი, გარდა იუდასი, რომელიც იყო იუდეადან. სწორედ მან გასცა იესო. იუდეველი სწავლულები დარწმუნებულები იყვნენ, რომ გალილეველი იესო არ შეიძლება ყოფილიყო იუდეველთა მესია, რომელიც ებრაელ ხალხს იხსნიდა რომაელთა ბატონობისაგან. ამიტომ იყო, რომ ისინი დიდ აგრესიას იჩენდნენ იესოს მიმართ. სწორედ ამიტომაც, რომაელთა ხელისუფლების საშუალებით, იუდეველი სინოდრიონის წევრთა უმრავლესობა ასე სასტიკად გაუსწორდა და ჯვარს აცვა იესო.

ვლ. ვახანიას მოსაზრებით, სავსებით შესაძლებელია, რომ ისრაელის გალილეა ყოფილიყო ქალდ-მეგრელების კომპაქტური დასახლება. აღსანიშნავია, რომ ქალაქ გალის დასახლება წარმოიშვა სიტყვიდან „ღალი“, რაც ნიშნავს მდინარის ხეობას (ნაპირს) [10, გვ. 291].

მისივე კვლევით, ქალდ-მეგრელებს გააჩნდათ თავისი დიასპორა ისრაელში (იუდეაში). ამ დიასპორას ეკუთვნოდა იესო ქრისტე და მისი „წმიდა ოჯახი“, აგრეთვე მისი მონათესავე ლაზარეს ოჯახიც [10, გვ. 297].

თავი 4

ქალდეველ-ქართველთა შესახებ

შესავალი

წიგნზე მუშაობა თითქმის დამთავრებული მქონდა, როცა გავეცანი წიგნს: „აბაჯ ლორენსო ჰერვას პანდუროს „მსოფლიო ენათა კატალოგები“ და ზენაარელი ქალდეველ-ქართველები“ (ავტორები: ზურაბ კაცვლაშვილი-ბასილაძე, ლია კაცვლაშვილი, მაია კაცვლაშვილი) და გადავწყვიტე ზოგიერთ საკითხზე გამემახვილებინა ყურადღება [11].

ქალდეველები არამეული მოდგმის ხალხია, რომელიც ცხოვრობდა ქალდეს ქვეყანაში ტიგროსსა და ევფრატს შორის ძვ.წ. VII საუკუნეში. აღმოჩნდა, რომ შეუძლებელია ქალდეველთა კულტურის, ენის, რაობის შესწავლა ძველ ქართველ ტომთა ისტორიისაგან დამოუკიდებლად. მეორე მხრივ, აღმოჩნდა რომ ქართველი ერი ერთ-ერთი უპირველესია იმ გამორჩეულ მცირერიცხოვან ერებს შორის, რომელსაც უძველესი დროიდანვე გააჩნდა საკუთარი მწიგნობრობა, რის საფუძველზეც ის აწარმოებდა თავისი ქვეყნის მატიანეს. პროტოქართველთა მიერ შექმნილი იმპერიის — ბაბილონის დაცემის შემდეგ ამ მატიანის წარმოება დროებით შეწყდა, ვიდრე ამ იმპერიის ნანგრევებზე პონტოსა და ქართლის სამეფოები არ აღმოცნდნენ. მატიანის ამ წყვეტამ განაპირობა ქართველთა წარმომავლობის საკითხის გაბუნდოვნება. ქრისტიანობის მსოფლიო რელიგიად ჩამოყალიბებისა და ქართველთა ქრისტიანობაზე მოქცევის შემდეგ, ქართველთა წინაპარი მამამთავრების გენეალოგიური ხაზის დაკავშირებამ ბიბლიურ პატრიაქებთან ქართველი ერი კიდევ უფრო მეტად დააშორა თავის ნამდვილ წინაპრებს. სწორედ ამ გარემოებამ შექმნა ის მოუთმენელი მდგომარეობა ქართულ ისტორიოგრაფიაში, რაც არ იძლევა ქართველი ერის წარმოშობის ცალსახად განსაზღვრის საშუალებას. ამ საკითხის მეცნიერული შესწავლა დაიწყო ზურაბ კაცვლაშვილი-ბასილაძემ [11, გვ. 3].

1 „ზენაარელი“ ქართველები

აღმოჩნდა, რომ აბაჯ ლორენსო ჰერვასის „მსოფლიო ენათა კატალოგში“ თავმოყრილია ცნობები ქართველთა შესახებ, რომლებიც სხვა მეცნიერული მასალის გამოყენებასთან ერთად, საშუალებას იძლევა გაკეთდეს რადიკალური დასკვნა პროტო-ქართველთა ვინაობის შესახებ [11, გვ. 47] .

ავტორების კვლევით, ეთნონიმი „ქართი“ თავისი ეტიმოლოგიით იქნება „კლდოვანი მთა“, „ქედების მთა“, ან ზოგადად „მთიანეთი“. ავტორებს საბოლოოდ გამოაქვთ დასკვნა, რომ ეთნონიმ „ქართის“ ეტიმოლოგიის ქრონოგრაფიული ისტორიის სხვადასხვა ეტაპის შესაბამისად მისი შინაარსია: მთიანეთი, მთების ქვეყანა; მთვარის ქვეყანა; შემოქმედის ქვეყანა; მთავარი ქვეყანა; გმირთა ქვეყანა [11, გვ. 50].

ავტორების მიზანმიმართული კვლევით, ცალსახად დადგინდა, რომ ქალდეველები „გიორგიანელები“-ს, ქართველების შორეული წინაპრები არიან [11, გვ. 3].

გაირკვა, რომ ქალდეველთა მოდგმის თავდაპირველი განსახლების ადგილია „ჰალ-თეა“, რაც ნიშნავს „ზემო მთას“, ანუ, „ზემო მზარე“-ს, რაც შეესაბამება ქალდეველთა განსახლების თავდაპირველ ადგილს მდინარე ევფრატისა და მდინარე ტიგროსის სათავეებთან მდებარე მზარეს—ბიბლიურ „სენაარს“. სიტყვა „სენაარ“-ს აქალდეველები „სენნაარ“-ად იხსენიებდნენ. ეს სახელწოდება იხსნება ქართული ენის მეშვეობით და ნიშნავს „ზენარე“-ს, ანუ „ზემო-მზარეს“ [11, გვ. 100].

ეს იმაზე მეტყველებს, რომ ქალდეველები „ზენაარელი“ წარმოშობისანი არიან.

სახელწოდება „ქალდეა“-ს რელიგიური შინაარსიც გააჩნია. როგორც ცნობილია, ქალდეველებისა და ურარტუელების უზუნაეს ღვთაებას „ხალდი/ქალდი“ ერქვა. ამ შემთხვევაში, ეს სახელი ქართულად ნიშნავს „წმიდა დიადს (ღმერთს)“ [11, გვ. 100].

არამეული ენა აღმოცენებულია პროტოქალდეურ-ბაბილონურ ენაზე [11, გვ. 105].

სახელი „ადამი“ პროტოქართულ-ქალდეური წარმოშობის სახელია, საიდანაც ნაწარმოებია კაცობრიობის, ანუ, ადამის მოდ-

გმის სახელი „ადამიანი“ [11, გვ. 106].

ამიტომ, რომ მართლ ჩვენ ქართველები, „ადამის მოდგმას“ „ადამიანებს“ ვუწოდებთ.

2 ქალდეველთა ბაბილონის გოდოლი

ავტორთა კვლევით, სახელწოდება „იალბუზი“ და კავკასიონის ქედის სახელი ქართულენობრივი სახელებია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ ქედზე პირველად პროტოქართველებმა დაიწყეს დასახლება [11, გვ. 303].

პროტოქართველ-ქალდეველთა, როგორც მთების ქვეყნის მცხოვრებლების რელიგიური მსოფლმხედველობა ეფუძნებოდა მთების უაღრესად დიდ როლს ღვთის მიერ შექმნილი სამყაროს ჰარმონიულ მთლიანობაში. მთა ქართველებისათვის წარმოადგენდა იმ წმინდა ადგილს, რაც ქართველთა წინაპრების მიერ აღიქმებოდა, როგორც ღვთის ბუნებრივი ტაძარი. სწორედ ამის გამო, ქართველთა ტაძრებს მცირე აზიაში უწოდებდნენ „**მთა-ტაძრებს**“ (სურ.21 გვ.109). [11, გვ. 303].

პროტოქართველ ქალდეველთა მიერ შექმნილ ბაბილონის სამეფოში მთა-ტაძრები აშენებული იყო თითქმის ყველა მნიშვნელოვან ქალაქში. მათი უმეტესობის სიმაღლე 47 მეტრს შეადგენდა. მათგან ყველაზე გამორჩეულ „მთა-ტაძარს“ წარმოადგენდა **ბაბილონის გოდოლი**, რომლის სიმაღლეა იყო 90 მეტრი. ბაბილონის ქალდეველთა „მთა ტაძრის“ ფუნდამენტს წარმოადგენდა 90 მეტრის სიგრძის გვერდის მქონე კვადრატი. მასზე აღმართული კიბისებრი ნაგებობა შედგებოდა 7 საფეხურ-სართულისაგან.

ამ სართულთა სიმაღლეები იყო 33, 18, 6, 6, 6 და 15 მეტრი შესაბამისად. გოდოლის ასაშენებლად გამოყენებული იყო ქვის დიდი ფილები: სიგრძით 6 მ, სიგანით 4,5 მ და სისქით 2 მ. ეს ფილები ერთმანეთზე გასაოცარი სიზუსტით იყო დაწყობილი, დუღაბის გარეშე. მშენებლობის ეს ტექნიკა შექმნილი იყო ქალდეველების მიერ, რომელსაც შემდგომში იყენებდნენ ურარტუელებიც [11, გვ. 303].

ევროპელი მეცნიერების უმრავლესობის მიერ ბაბილონის გოდოლი მიჩნეულია უფრო ადრეულ ძეგლად, ვიდრე ეგვიპტის კი-

4. ქალდეველ-ქართველთა შესახებ

ბისმაგვარი პირამიდა (ძვ.წ. 2665-2645 წწ.). იგი აშენდა მესამე ათასწლეულის დასაწყისში.

აღსანიშნავია, რომ ბაბილონის ამ გოდოლს „მთა-ტაძარს“, ხშირად მცდარად აიგივებენ ბიბლიურ „ბაბილონის გოდოლთან“, რომლის ნანგრევები აღმოაჩინეს XIX საუკუნეში ბაბილონის მახლობლად კიშის ბორცვზე [11, გვ. 306].

ბაბილონის „მთა-ტაძრის“ ბაბილონის გოდოლის განახლება მოხდა ნაბუქოდონოსორ II-ის მეფობის პერიოდში, ძვ.წ. VI ს-ში, რის დროსაც მისი ზოგიერთი სართული მოპირკეთებულია გამომწვარი აგურით. ეს ტაძარი ნაბუქოდონოსორისვე მიერ გაშენებულ ტერასულ ბალებთან, ე.წ. „დაკიდულ ბალებთან“, ერთად სრულიად სამართლიანად ითვლება „მსოფლიოს საოცრებად“ (სურ.22) [11, გვ. 308].

3 ქალდეველთა რელიგია

ქალდეველთა მიერ შექმნილი რელიგია ქალდეზში, ევროპელ მეცნიერთა აზრით, მსოფლიო მონოთეისტურ რელიგიათა შორის ყველაზე უძველესია. ეს რელიგია ეყრდნობა ქართველთა ბრძენი წინაპრების სამყაროსა და ბუნების მოვლენებზე დაკვირვების შედეგებს. ქალდეველთა მიერ იქნა აღმოჩენილი 5 პლანეტისა და მთვარის მოძრაობის გავლენა დედამიწაზე მიმდინარე ბუნებრივ მოვლენებზე და სასიცოცხლო პროცესებზე. ქართველი მოგვები განსაკუთრებულად მნიშვნელოვან ციურ სხეულაბად თვლიდნენ მზესა და მთვარეს, რის გამოც მათ ღვთის „მაცნეებად“, ღმერთის ნების გამომხატველებად მიიჩნევდნენ. მათ ზუსტად ჰქონდათ შესწავლილი პლანეტების განლაგება დედამიწის მიმართ. მათ მიერ იქნა აღმოჩენილი 30 ვარსკვლავი. ქართველმა მოგვებმა შექმნეს ე.წ. ღვთის 12 „ბატონი“, ანუ, ზოდიაქოს ნიშანი, რაც მისადაგებელი იყო 12 თვესთან. მათვე განსაზღვრეს მზისა და მთვარის დაბნელების პერიოდები [11, გვ. 308].

ქალდეველებმა შემოიღეს თვეთა დაყოფა კვირეებად და 7-დღიანი კალენდარი, რომელიც დღეს მსოფლიო ცივილიზაციის უნიშვნელოვანეს მონაპოვრად ითვლება.

პროტოქართველთა მიერაა შემოღებული დღის დაყოფა 24 საათად, საათისა წუთებად და წამებად. ამაზე მეტყველებს ქართული ენის ლექსიკაში არსებული დროის აღმრიცხველი ურიცხვი ტერმინი, როგორცაა: „სიბა“ (წელიწადი), „თვე“, „დღე ღამე“, „ჟამი“ (საათი), „წუთი“, „წამი“, „კესი“, „ნასი“, „არდი“, „მეცი“, „წენი“, „ვაწე“, „ბლისი“ და „ნვინი“, რაც სულხან-საბას განმარტებით, წარმოადგენს „ცის მზომელობათა რიცხვს ხარისხთანს“ [18]; ტ. II; 363], [11, გვ. 309].

ქალდეველმა ასტრონომ-ასტროლოგ-გარსკვლავთმრიცხველებმა ზუსტად განსაზღვრეს წლის ხანგრძლივობა. მათ ცაზე დაკვირვებისათვის დაკავებული ჰქონდათ „მთა-ტაძრების“ ზედა სართულების გალერეები. ქალდეველი მოგვები ბუნებაზე დაკვირვების შედეგად მოპოვებული ცოდნით, ზუსტად პროგნოზირებდნენ მოსალოდნელ ამინდს. ევროპული ენციკლოპედიისტების მიხედვით, ქალდეველი მოგვები გეომეტრიის ფუძემდებლებადაც მიიჩნევიან. ევროპელ მეცნიერთა აზრით, ევკლიდეს გეომეტრიას საფუძვლად დაედო ქალდეველ მოგვთა მათემატიკური ცოდნა [11, გვ. 310].

მცირე აზიის ტერიტორიაზე მომთაბარეთა შემოჭრამ და მათმა მძლავრობამ, ძვ.წ. მეორე ათასწლეულის დასასრულიდან, განაპირობა ქალდეველთა რელიგიის შერყვნა, მასში ბარბაროს ტომთა პრიმიტიული რელიგიური წარმოდგენებისა და წეს-ჩვეულებების შეცვლა. ამ გარემოებამ თანდათანობით შეარყია საყოველთაოდ აღიარებული ქალდეველთა სარწმუნოება [11, გვ. 311].

პროტოქართველთა მიერ შექმნილი მსოფლიო რელიგია იყო ის პირველი რელიგიური მსოფლმხედველობა, რამაც გარკვეულწილად მნიშვნელოვნად აამაღლა უძველეს მცირე აზიელ ხალხთა კულტურა, შესძლო ადამიანთა საზოგადოებაში რეალური გარემომცველი გარემოს შემეცნებისათვის მატერიალისტური მეცნიერული აზროვნების შეტანა [11, გვ. 311].

ქალდეიზმი იყო ის პირველი ზოგადსაკაცობრიო, ჰუმანური რელიგიური მსოფლმხედველობა, რომელიც ქადაგებდა ადამიანთა შორის თანასწორობას. რასობრივი წარმოშობისა თუ სარწმუნოებრივი აღმსარებლობის განსხვავებებისდა მიუხედავად, ის კრძალავდა ადამიანებით ვაჭრობას, რადგან ეს მიჩნეული იყო

4. ქალდეველ-ქართველთა შესახებ

ადამიანის მიერ ქვეყნის შემოქმედი ღმერთის საწინააღმდეგოდ მიმართულ ქმედებად [11, გვ. 312].

კავკასიონის სამხრეთ კალთებზე დამკვიდრებული ქალდეველ-ქურუმები ძვ.წ. III ს-მდე, ანუ ფარნავაზამდე, უმეფოდ ცხოვრობდნენ. ამ დროს დიდი ქალდების ბაბილონის სამეფოს შემქმნელი პროტოქართველები უკვე დაშლილნი და გაფანტულნი იყვნენ. ისინი, მცირე აზიის სხვადასხვა ტერიტორიაზე აყალიბებენ ახალ ქვეყნებს, რომლებიც, ნაწილობრივ, კვლავ ინარჩუნებენ წინაპართა ძველ დიდებას და შეძლებისდაგვარად ცდილობენ დიდი ქალდების სახელმწიფოს აღდგენას [11, გვ. 312].

ქალდეველ-ქართველთა სწორედ პოლიტიკური დასუსტების პერიოდში თანდათანობით ქრება მათ მიერ შექმნილი პირველი მსოფლიო მონოათეისტური რელიგია, რასაც უკვე ახ.წ.-ს მეოთხე საუკუნეში მოჰყვა რომის იმპერიის მიერ დაპყრობილ პალესტინაში აღმოცენებული ახალი იუდეური სარწმუნოების—ქრისტიანობის შემოღება საქართველოში [11, გვ. 313].

4 ქალდეველთა ენა

ქართველთა წარმომავლობის საკითხის გარკვევის შემდეგ, საჭიროა იმ ენის გარკვევის საკითხი, რომელზეც ლაპარაკობდნენ ქართველთა წინაპრები. ავტორების კვლევით, დგინდება, რომ არამეული ენა აღმოცენებულია პროტოქალდეურ ბაბილონურ ენაზე [11, გვ. 105].

მეორე მხრივ, თეოლოგებისა და ენათმეცნიერების მიერ არამეული ენა გაიგივებულია ქალდეურ ენასთან, ხოლო, ქალდეური ენა პროტოქართულ ენადაა მიჩნეული [11, გვ. 106].

„ქართლის ცხოვრება“ ქართული ენის შესახებ გვამცნობს: „...აქამოდის ქართლოსიანთა ენა სომხური იყო, რომელსა ზრახვიდეს. ხოლო ოდეს შემოკრბეს ესე ურიცხვნი ნათესავნი ქართლსა შინა, მაშინ ქართველთაცა დაუტევეს ენა სომხური, და ამათ ყოველთა ნათესავთაგან შეიქმნა ენა ქართული“. შემდეგ კი მემამულები კვლავ აღნიშნავენ: „...და იზრახებოდა ქართლსა შინა ექვსი ენა: სომხური, ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული და ბერძნული. ესე ენანი იცოდეს ყოველთა მეფეთა ქართლოსი-

ანთა, მამათა და დედათა“ [22, გვ. 47-48]; [11, გვ. 348].

ამ ნათქვამის მიხედვით, ქართველთა წინაპრების ენა „სომხური იყო“. ცხადია, ყოველ ნორმალურად მოაზროვნე ქართველს, ეჭვი შეეპარება „ქართლის ცხოვრების“ ავტორის ლეონტი მროველის „პროარმენობაში“.

გასაკვირია, რატომ არ მოხდა ლეონტი მროველის ამ ფრაზის ამოღება ქართული და არმენული ეკლესიების განხეთქილების (ახ.წ. 615 წ) შემდეგ მაინც [11, გვ. 349].

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ქართველები მომდინარეობენ ბიბლიურ პატრიარქ თარგამოსიდან. მისი შვილებიდან, მემატიანის თქმით, უფროსი ძმა არმენთა პატრიარქი ჰაოსია, ხოლო მისი მომდევნო ძმა ქართველთა პატრიარქი ქართლოსი.

ირკვევა, რომ „დაბადების“ ტექსტი უპირატესად ქალდეველთა ეპოსს ეყრდნობა. ქალდეურ ენაზე მისი თარგმნისას, როგორც ჩანს, ებრაელი ავტორების მიერ მოხდა ხალხთა წარმოშობის შესახებ არსებული ქალდეველი მწერლების თხზულებათა ინტერპრეტაციის გზით, იმ ვერსიის ჩამოყალიბება, რაც წარმოაჩენდა ქართველთა და არმენთა თითქოსდა ერთიან წარმომავლობას, რადგან ამ პერიოდში არმენები ქალდეველთა ძლიერ მოკავშირეებს წარმოადგენდნენ. საფიქრებელია, რომ სწორედ ამ დროიდან იწყება ქალდეველ-ქართველთა და არმენთა ძმობის იდეის პოპულარიზაცია, რამაც „ქართლის ცხოვრებაში“ პოვა ასახვა. ამ გარემოებამ დაბადა აგრეთვე სახელწოდებების „არამეა“-სა და „არმენის“ მცდარი გაიდენტიფიცირება, საბოლოოდ კი, ქალდეურ-არამეული ენის არმენულ ენასთან გაიგივება. ამდენად შეიძლება ითქვას, რომ „ქართლის ცხოვრების“ მემატიანე ლეონტი მროველიც ქართველთა წარმომავლობის საკითხზე მსჯელობისას ეყრდნობა, ჯერ კიდევ ქართლის ქრისტიანობაზე მოქცევამდე ებრაელთა „დაბადები“-ს წიგნის გავლენით, ქართველ ხალხში დამკვიდრებულ მცდარ შეხედულობას [11, გვ. 350].

სახელწოდება „სომხეთი“ დაკავშირებულია ქალდეურ ენასთან და არ არის ტერმინ „არმენის“ იდენტური. ამდენად, „ქართლის ცხოვრებაში“ „სომხეთი“ უნდა გულისხმობდეს ძველი ქალდეის იმ ნაწილს, რომლის მოსახლეობაც ლაპარაკობდა ქალდეურ-არამეულ ენაზე. როგორც ჩანს, ქალდეის ამ მხარის მო-

4. ქალდეველ-ქართველთა შესახებ

სახლებამ დაიკავა პირველად კავკასიონის ქედის სამხრეთი კალთები, მათ შორის ქართლის ტერიტორია. ამდენად, მემბატიანის ნათქვამი „სომხური ენა“ გაგებულ უნდა იქნეს როგორც „ქალდეურ-არამეული ენა“ და არა „არმენული“ ენა) [11, გვ. 350].

ყოველივე ზემოთქმული, ჩვენი აზრით, უაღრესად მნიშვნელოვანი აღმოჩენაა.

5 ქალდეველთა საცხოვრისი

როგორც აღვნიშნეთ, ქალდეველთა თავდაპირველი განსახლების ადგილი იყო ბიბლიური „სენაარსი“, რომელიც ქართულ ენაზე ნიშნავს „ზენა არე“ს, ანუ „ზემო-მხარეს“. ალბათ ამიტომაც, რომ ქალდეველ-ქართველები მიჩნეულები არიან „ზენაარელებად“.

უძველეს ხალხთა წარმოდგენით, პროტოქართველთა ქვეყანა წარმოადგენდა პირველადამიანთა საცხოვრისს, ანუ ცივილიზაციის აკვანს. ბიბლიის მიხედვით ღმერთმა, მის მიერ ქმნილი არსება პირველადამიანი დააბინავა სამოთხეში, ანუ „ედემში“. „დაბადების“ მიხედვით, ეს „ბალი მდებარეობდა აღმოსავლეთში და ირწყვებოდა 4 მდინარით“.

ირკვევა, რომ სახსებით გამართლებულია თუ სამოთხის მდინარეებად მივიჩნევთ ტიგროსს, ევფრატს, მტკვარსა და არაქსს. ამ მდინარეთა სათავეები გეოგრაფიულად ურთიერთ სიახლოვეს მდებარეობენ. ეს ადგილი ეთანადება პროტოქართველ ქალდეველთა განსახლების ტერიტორიას [11, გვ. 333].

შემდეგში, ქართველთა გადანაცვლებამ მცირე აზიის ზეგანის ჩრდილოეთ ნაწილში, კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე, სამოთხის მდებარეობაც კავკასიონს დააკავშირა [11, გვ. 337].

ცხადია, რომ კავკასიონის „მთა-კუნძულების“ პირველმოსახლებებად პროტოქართველები უნდა ვიგულისხმოდ. კავკასიონის ქედი, ძველ მცირეაზიელ ხალხებში აღქმული იყო, როგორც დედამიწის ცენტრი და პირველი ადამიანის საცხოვრისი. ზღვით გარემოცული კავკასიონის ქედი, ადამიანისათვის მიუწვდომელი თოვლიან-ყინულიანი მწვერვალებით, უძირო ხევებით, მჩქეფარე ჩანჩქერებითა და სწრაფი მდინარეებით, მარადმწვანე ტყე-

ბით დაფარული კალთებით, მის შემხედვარე ადამიანში ბადებდა მისდამი ღვთაებრივი თაყვანისცემის გრძნობას, იმის ილუზიას, რომ ის წარმოადგენდა ზეციურ ძალებთან და უზენაეს შემოქმედ ღმერთთან დამაკავშირებელ „წმინდა მთას“ [11, გვ. 335].

6 ქართველთა ქალდეველობა

ქართველი ერი გახლავთ თავისებური ცოცხალი ჰოლოგრაფიული ნამსხვრევი დიდი ქალდეური ერისა, რომელიც ინარჩუნებს ყველა იმ ფიზიკურ და სულიერ მახასიათებელს, რაც გააჩნდა შარავანდედით შემოსილ დიდებული კულტურის მქონე მათ წინაპარ ეთნოსს [11, გვ. 341].

ქართველთა წინაპრების პირველსაცხოვრისი „ზენა არე“, ანუ ბიბლიური „სენაარი“ მიხნეულია კაცობრიობის ცივილიზაციის აკვნად, არა მარტო თეოლოგების მიერ, არამედ მეცნიერთა მიერაც. აქ ჩამოყალიბდა ქალდეველთა უზარმაზარი იმპერია, რომელიც, ფაქტობრივად, მთელი მცირე აზიის ტერიტორიებს მოიცავდა. ძვ.წ. 539 წლის 12 ოქტომბერს, სპარსთა ლაშქარი, ბაბილონელ მოგვთა აქტიური მხარდაჭერით, უბრძოლველად შევიდა ქალდეველთა დედაქალაქში. ამ ტრაგიკული ისტორიული ფაქტის შეფასებისას ისმება კითხვა, თუ რამ განაპირობა ბაბილონელ მოგვთა გამცემლობა?! [11, გვ. 341].

საქმე იმაშია, რომ ამ დროისათვის ქალდეიზმი უკვე წარმოადგენდა საყოველთაოდ პოპულარულ მსოფლიო რელიგიას. მის მთავარ პრინციპს კი წარმოადგენდა ყველა ადამიანის თანასწორუფლებიანობა უზენაესი და უნილაკი შემოქმედი ღვთის წინაშე, მიუხედავად მათი რასობრივი წარმომავლობის, სოციალური მდგომარეობისა და განსხვავებული რელიგიური აღმსარებლობისა. ამის გამო ქალდეური ტაძრის კარი ღია იყო ნებისმიერი ეთნოსის წარმომადგენლისათვის, თუკი ის ქალდეიზმის აღმსარებლობას მისდევდა. ამ გარემოებამ განაპირობა ბაბილონელ მოგვთა ეთნიკური სიჭრელე. ეს ვითარება კარგად გამოიყენეს სპარსელებმა და მოისყიდეს არაქალდეური წარმოშობის მოგვები. მათი მეშვეობით მიიძხრეს ბაბილონის ეთნიკურად ჭრელი მოსახლეობის დიდი ნაწილი, რამაც საბოლოოდ განაპირობა ბა-

4. ქალდეველ-ქართველთა შესახებ

ბილონის მეფის უბრძოლველად დანებება სპარსელების მიმართ (ძვ.წ. 559-539 წწ.) [11, გვ. 342].

ბაბილონის დაცემის შემდეგ ძვ.წ. 536 წელს ქალდეამ საბოლოოდ დაკარგა დამოუკიდებლობა და ის იქცა სპარსეთის შემადგენელ ერთ-ერთ პროვინციად [11, გვ. 343].

ბაბილონი ძვ.წ. 331 წელს დაიპყრო ალექსანდრე მაკედონელმა. შემდეგ, რომაელების, პართელებისა და არაბების მძლავრობის შედეგად ქართველების წინაპრებმა ველარ აღადგინეს ბაბილონ-ქალდეის სახელმწიფო. ქალდეის სახელმწიფოს გაუქმებამ, ცხადია, გააბუნდოვნა ქართველთა წარმომავლობის საკითხი, რადგანაც შეწყდა ქალდეველ მემატიანეთა საქმიანობა, ხოლო უძველესი ნაწერები სპარსელთა, ბერძენთა და არაბთა კუთვნილებად იქცა [11, გვ. 343].



სურ. 21: ქალდეველ-ბაბილონელთა „მთა -ტაძრის“ ნაშთი



სურ. 22: დაკიდული ბალები [42]

4. ქალდეველ-ქართველთა შესახებ



სურ. 23: ღვთისმშობლის ხატი



სურ. 24: კაბადოკია

თავი 5

ქართველთა რელიგიების შესახებ

შესავალი

ქართველებისათვის, კაცობრიობის სხვა ხალხების მსგავსად, რელიგიის ყველაზე უძველეს ფორმას წარმოადგენდა რწმენა სულების შესახებ, რომლის მიხედვით სამყარო დასახლებულია სულებით, რომლებიც განაგებენ მატერიალურ გრძნობად სამყაროს, მის ყოველ საგანსა და მოვლენას ადამიანის ჩათვლით. მათ შორის გამოკვეთილი ადგილი უჭირავს ადამიანის სულს, ადამიანის ზეგრძნობად ორეულს, რომელიც არსებობას განაგრძობს მისი ფიზიკური გარდაცვალების შემდეგაც. ასეთმა რწმენამ ჩამოაყალიბა სულთა იერარქიული პანთეონი წინაპართა სულების, ოჯახის სულის, გვარის სულისა, თემის სულისა და ერის სულის სახით.

საქართველოში რწმენამ სულების უკვდავების შესახებ თავი განსაკუთრებით შემოინახა მთის ხალხების რელიგიებში. რომელთა გადმონაშთები ქრისტიანული რელიგიის პარალელურად განაგრძობდა არსებობას. გარდა ამისა, სხვა მრავალი უძველესი ხალხების რწმენა-წარმოდგენების მსგავსად, ბუნებასთან უშუალო კავშირის შედეგად, ქართველ ხალხშიც გაჩნდა უძველესი რელიგიური შეხედულებები შესაბამისი ღვთაებების შესახებ. ყოველი გვარი და თემი ეთაყვანებოდა მთის, ზევის, მინდვრის, ხეობისა და სხვა მფარველ ღვთაებებს [16].

შემდგომში ქართველთა რელიგიური შეხედულებანი უფრო დაიხვეწა და ჩამოყალიბდა გარკვეული იერარქია უმცროს-უფროსი ღვთაებების სახით. ერთი მხრივ, ადგილობრივმა ღვთაებებმა შეინარჩუნეს თავისი ადგილობრივი ხასიათი ამა თუ იმ გვარსა თუ თემში, ხოლო მეორე მხრივ, წარმოიშვნენ სათემო და სატომთაშორისო ღვთაებებიც. ეთნოგრაფიული მასალების შესწავლამ გამოაშკარავა, რომ ქართველ ღვთაებათა პანთეონში გამოიკვეთა სამი ღმერთი: უზენაესი ცის ღმერთი მთვარის

5. ქართველთა რელიგიების შესახებ

სახით, ქალღმერთი მზის სახით და კვირია. იერარქიის უფრო დაბალ საფეხურზე იდგნენ ღმერთები: ჯვარი, ხატი, ადგილის დედა, ოჯახის ანგელოზი და სხვა. როგორც გაირკვა, უძველესი ქართული ტომების რწმენის საგანს წარმოადგენდა მთვარე, ვითარცა მთავარი მეუფე და ღვთაება.

როგორც ირკვევა, ქართველების წინაპრებს, ჯერ კიდევ უძველეს ხანაში, გააჩნდათ რწმენა ერთადერთი **უზენაესი ღვთაების – ქვეყნის დამაარსებელი ღმერთის** მიმართ.

ცნობილი ფრანგი საზოგადო მოღვაწის, ედუარდ შიურეს მიხედვით, მსოფლიო ხალხების ცნობიერების ჩამოყალიბებაში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ცნობიერების ორმა, სემიტურმა და არიულმა ნაკადმა. ამ ორმა ნაკადმა მოუტანა მათ მითები, რელიგიები, ხელოვნება, მეცნიერება და ფილოსოფია.

თითოეული ნაკადი თავის თავში მოიცავს ურთიერთ-საწინააღმდეგო იდეებს სიცოცხლის შესახებ. სემიტური ნაკადი შეიცავს უმაღლეს აბსოლუტურ პრინციპებს, სამყაროსეულ ერთობის იდეას ერთი უმაღლესი საწყისისათვის, რომელსაც კაცობრიობა მიჰყავს ერთ ოჯახად გაერთიანებისაკენ (ბუნებრივი გლობალიზაციისაკენ).


არიული ნაკადი თავის თავში შეიცავს მზარდი ევოლუციის იდეას, ყოველ მიწიერ და ზემიწიერ სფეროებში, რომელიც იწვევს უსასრულო მრავალფეროვნებას ბუნებასა და სულიერებაში. სემიტური გენია ეშვება ერთადერთი ღმერთიდან ადამიანებთან, ანგელოზებისა და მესიების სახით. არიული გენია, მრავალღმერთიანობის გავლით, ზეისწრაფვის ადამიანებიდან ერთი საკაცობრიო ღმერთისაკენ. (სქ. 2 გვ.113).

ედ. შიურეს აზრით, ამ ორი, თითქოსდა შეურიგებელი საწყისის შერწყმა-შერიგებაზეა დამოკიდებული კაცობრიობის ხსნა და ჭეშმარიტი პროგრესი.

1 თაყვანისცემა ერთი ჭეშმარიტი ღმერთისა

პროტოქართველ ქალდეველთა უმაღლესი, აბსოლუტური ღვთაების სახელი იყო „ელი“//“ელ“-ი, რომელიც წარმოადგენდა საწყისის არ მქონე, მარად არსებულ, ყოვლის შემოქმედს,

1. თაყვანისცემა ერთი ჭეშმარიტი ღმერთისა



სქემა 2

5. ქართველთა რელიგიების შესახებ

სამყაროს ბატონ-პატრონ უზენაეს ღვთაებას — ღმერთს [11].

ისტორიკოს საბა სალუაშვილის მიერ, ქართული წერილობითი წყაროების კვლევის შედეგად, ქართველი ერის აღმსარებლობის პერიოდი დასაბამიდან გაქრისტიანებამდე იყოფა სამ განსხვავებული პერიოდის მონაკვეთებად:

1. თაყვანისცემა ერთი ჭეშმარიტი ღმერთისა;
2. ციურ მნათობთა თაყვანისცემა;
3. მიწიერ კერპთა თაყვანისცემა.

მის მიერვე დადგენილ იქნა დროის ამ მონაკვეთების სავარაუდო ქრონოლოგიური მიჯნები.

ძველი ქართული ქრისტიანული ხანის მწერლობაში ღვთაების ერთადერთი სახელია სიტყვა „**ღმერთი**“, რომელიც მეგრულში გამოითქმის სიტყვით „**ღორონთი**“. თავად ტერმინი „ღმერთი“, დიახაც რომ „ერთი“ უხილავი არსის ცნებას გადმოგვცემს.

ქართლის ცხოვრების მიხედვით, ქართველთათვის ჭეშმარიტ ღმერთად მიიჩნეოდა „ღმერთი მალალი“, „ღმერთი დამბადებელი ყოვლისა“, ანუ ერთი **ჭეშმარიტი ღმერთი**. ლეონტი მროველის მიხედვით, კავკასიაში გამეფებული იყო ერთი ღმერთის რწმენა, ჰარმონია და ურთიერთ სიყვარული თარგამოსიდან დაწყებული, მცხეთოსის გარდაცვალებამდე.

ვანუშტი ბაგრატიონის აზრით, ჭეშმარიტი ღვთისმეტყველების ფორმა სწორედ ქართული ისტორიის უძველესი პერიოდის (ქართლოსის ზეობის პერიოდის) კუთვნილებაა. ესაა დამბადებელი ღმერთის რწმენა, რომელიც ქართლოსის შემდგომ თაობებს კიდევ მრავალი წლის განმავლობაში (მნათობთა თაყვანისცემის შემოღების შემდეგაც) არ დაუკარგავთ. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ქართულ ასომთავრულ ანბანში, რომელიც, რ. პატარიძის მტკიცებით, შეიქმნა ძვ. წ. VI საუკუნეში 540 წელს, განხორციელებულია როგორც დამბადებელი ღმერთის, ისე სათაყვანებელ მნათობთა განსახიერებები.

ქართველთა წინაპრებს გააჩნდათ ისეთი მალაღზნებრივი მახასიათებლები, როგორცაა: „პირმტკიცება, მტერთა ზედა ერთობა, თავისუფლებისათვის მხნედ ბრძოლა და მედგრად დგომა, ციხე-სიმაგრეთა და ქალაქთა შენება, ერთისა ცოლის ქმრობა,

ურთიერთ პატივისცემა და მეგობრობა ...“. ვახუშტი ბატონიშვილი ყველა ამ ღირსებას ქართლოსის ზეობის პერიოდსა და მის შემდგომ რამდენიმე თაობას მიაწერს და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებს ლაპარაკს ქართველთა მიერ უფლის გზიდან გადახვევაზე: „... და შემდეგ დაივიწყეს ღმერთი დამბადებელი თავისი და თაყვანს სცემდნენ მზესა, მთვარესა, ვარსკვლავთა და ნივთიერთა და პირუტყვთა, და შემოერიათ გარეგანნი წარმართნი: სპარსნი, თურქნი, ასურნი ... და ესოდენ დაივიწყეს დამბადებელი თვისი და წესნი და ჩვეულებანი თვისნი, და იქმნენ ყოველთა წარმართთა უწარმათოსნი და უუსჯოლოცნი...“ [12].

რ. პატარიძის მიხედვით, სპეციალურ ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი, რომ ქართველები წარმართულ ხანაში მთვარეს, მზესა და ცისკრის ვარსკვლავს ეთაყვანებოდნენ. გარდა ამისა, მათთვის პირველთაგან ღმერთს, ქვეყნის დამბადებელი და განმგებელი უჩინარი მამა ღმერთი წარმოადგენდა.

სამყაროს დამბადებელი უხილავი მამა ღმერთი ქართულ ასომთავრულ ანბანში ასახულია 25-ე „ღან“ ასო-ნიშნის მეშვეობით, რომელსაც თაღის ფორმა აქვს — ი. იგი, ერთის მხრივ, ღმერთის სახელის პირველი ბგერის აღმნიშვნელი სიმბოლოა, ხოლო მეორე მხრივ, უხილავი ღმერთის სამყოფელის — ღვთის კარის, გამომხატველი სიმბოლო.

ბიბლიის მიხედვით, უშუალოდ მიწიერი დროის ათვლა სათავეს იღებს ადამის დამკვიდრებიდან დედამიწაზე.

ქართული „დასაბამიდან“ ქვეყნის გაჩენიდან ქრისტემდე ანგარიშობს 5604 წელს. ს. სალუაშვილის კვლევის მიხედვით, წარღვნის დაწყება მოხდა ძვ. წ. 3950 წელს. ნოეს მოდგმის არარატის მიდამოებში დამკვიდრების წელია ძვ.წ. 3949 წელი. ბაბილონის გოდოლის აშენება-დანგრევის პერიოდი არის ძვ.წ. 3848-3818 წელი [20, გვ. 26].

2 ციურ მნათობთა თაყვანისცემა

ჰემმარიტი ღმერთი ქართველებს დაუვიწყნიათ ერთიანი, პროტოქართველური ეთნოსის დაშლის შემდეგ, ან უფრო მოგვიანებით: „შთავარდა შური შორის შვილთა ქართლოსიანთა: იწყეს

5. ქართველთა რელიგიების შესახებ

ბრძოლად და ხდომად ურთიერთას“... ამ დროისათვის მოშლილა მათში ჰუმანიტუი სამყაროს შემოქმედი მამა ღმერთის სარწმუნოებრივი ცოდნა „ და მას ჟამსა დაივიწყეს ღმერთი, დამბადებელი მათი და იქმნეს მსახურ მზისა და მთვარის და ვარსკვლავთა ხუთთა და მტკიცე და უფროსი საფიცარი მათი იყო საფლავი ქართლოსისა.“ როგორც ჩანს იმ ეპოქაში ქართველებს არ შეუქმნიათ ვერპები, რაიმე ქანდაკებანი და არც თაყვანს სცემდნენ მათ. თუმცა კი ქვეყნის შემოქმედისა და დამბადებლის ნაცვლად თაყვანი სცეს მის ქმნილებებს — ზეციურ სხეულებს — მზის, მთვარისა და ხუთი ვარსკვლავისა, რომელთა თაყვანისცემის მოკონება ბოლო დრომდე შემორჩენილა ქართველთა შორის [33].

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ქართლის სამეფოში ციურ მნათობთა თაყვანისცემა დაწყებულია მცხეთოსის სიკვდილის შემდეგ.

ს. სალუაშვილის კვლევის მიხედვით, ქართველთა მე-7 პატრიარქი მცხეთოსი გარდაცვლილა „ადამითგან“ („დასაბამიდან“) 2024 წელს; ანუ ქრისტეს შობამდე 3579 წლის სიახლოვეს. ქართველთა მოდგმისათვის ერთი ღმერთისადმი თაყვანისცემა გრძელდებოდა „ადამითგან“ 2025 წლამდე. როგორც ირკვევა, ქართლის სამეფოში ამ დროს დაივიწყეს „ღმერთი დამბადებელი“-ს თაყვანისცემა და იწყება ციურ მნათობთა თაყვანისცემა [20, გვ. 13].

ყოველივე ეს ასახულია ქართველი ქურუმების მიერ შექმნილ ასომთავრულ ანბანში [23].

მთვარის ღვთაების სიმბოლოა Ⴀ, რაც ქართული ასომთავრულის პირველი ასონიშანიცაა. ანუ იგი მთვარის იდეოგრაფიკულ-საკროფონია, რომლის რიცხვითი მნიშვნელობა 1-ის ტოლია. წარმართულ საქართველოში არსებობდა მზის ძლიერი კულტი. მზის ზოომორფული ნიშანი — ემბლემა იყო თვალი — Ⴁ, ხოლო მზის წმინდა რიცხვი იყო 9 („ცხრათვალა მზე“). ეს ვითარება ასახულია ქართულ ასომთავრულ ანბანში: მე-9 ასონიშანია — Ⴁ, რომელიც იდეოგრაფულად თანხვდება თვალის სიმბოლურ გამოსახულებას. ციური ღვთაებების მესამე წევრია ცისკრის ვარსკვლავი — ასული ცის ღმერთისა. ეს ღვთაება ქართულ ასომთავრულ ანბანში ასახულია ასო-ნიშნით „ცან“— Ⴂ . ეგვიპტური

3. კერპთაყვანისმცემლობა საქართველოში

ღვთაების მზის — „რა“-ს გამოსახულება ქართულ ასომთავრულ ანბანში ასახულია რიგით მეცხრამეტე ასოწიშან — Ⴀ - „რაე“-ს მეშვეობით.

ივ. ჯავახიშვილის კვლევის მიხედვით, ყველგან, სადაც ქართველებს უცხოვრიათ, შემორჩენილია მთვარის თაყვანისცემის კვალი. ამის გამო, მთვარის, ვითარცა მთავარი მეუფისა და ღვთაების, თაყვანისცემა ყველა ქართველი ტომის უძველეს რწმენად უნდა ჩაითვალოს [32, გვ. 99].

3 კერპთაყვანისმცემლობა საქართველოში

ქართველთა წარმართული ღვთაებები. ალექსანდრე მაკედონელს საქართველოდან წასვლისას აზონისათვის უბრძანებია, რომ თაყვანი ეცათ ყოველთა მნათობთა და უხილავი ღმერთისათვის. მიუხედავად იმისა, რომ როგორც ცნობილია, ალექსანდრე მაკედონელი თაყვანს სცემდა „ღმერთთა“ ბერძნულ პანთეონს, მას საჭიროდ ჩაუთვლია, რომ პატივი მიეგო ქართველთა ეროვნული სარწმუნოებისათვის და დაეკანონებინა იგი. აზონმა, თავისი სახელმწიფოს განმტკიცების მიზნით, რომელიც ფაქტობრივად სრულიად საქართველოს მოიცავდა, უარყო ალექსანდრე მაკედონელის მიერ ქართველთათვის დატოვებული სჯული, „იწყო კერპთმსახურება და შექმნა ორნი კერპნი ვერცხლისანი: **გაცი** და **გა (გაიმი)**“. აზონის მიერ გაცისა და გაიმის კერპების შემოღება უნდა მომხდარიყო ძ.წ. (323-309/308) წლებში.

ს. სალუაშვილი კვლევის შედეგად ასკვნის, რომ პირველი მიწიერი კერპის გამოჩენა ქართლში უკავშირდება აზონის მმართველობის პერიოდს. მის მიერ ფარნავაზის გამეფებამდე აღმართულ იქნა გაცისა და გაიმის ვერცხლის კერპები ძვ. წ. 329-309/308 წლებში [20].

ქართული ისტორიოგრაფიის მიხედვით, მომდევნო კერპი არმაზის სახელწოდებით აღუმართავს ფარნავაზს. რაც, სავარაუდოდ, ძვ.წ. 309/308 - 244/249 წლებით განისაზღვრება.

ს. სალუაშვილის მიერ, ქართული ისტორიული წყაროების კვლევით, დადგენილ იქნა, რომ ქართლის სამეფოში არსებობდა

5. ქართველთა რელიგიების შესახებ

7 კერპი: გაცი, გაიმი, არმაზი, აინინი, დანანი, ბადენი და აფროდიტოსი; რომელთა შემოღებიდან (ძვ.წ. 323-309/308 წლიდან) მოყოლებული, ვიდრე ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე (ჩვ.წ. IV ს-ის 20-იან წლებამდე) თითქმის 7 საუკუნე გასულა.

ს. სალუაშვილი ქართლის სამეფოში ამა თუ იმ კერპის დამკვიდრების წლების დადგენისთვის ითვალისწინებს მხოლოდ მათი დამამკვიდრებელი მეფის ზეობის სავარაუდო წლებს. შედეგად, მიიღო შემდეგი სქემატური სურათი:

კერპის სახელწოდება	დამამკვიდრებელი	სავარაუდო წლები
გაცი და გაიმი	აზო	ძვ.წ. 323-308 წ.
არმაზი	ფარნავაზი	ძვ.წ. 308 -243 წ.
აინინა	საურმაგი	ძვ.წ. 243 წ. - III ს-ის II ნახ.
დანანა	საურმაგი	ძვ.წ. III ს-ის II ნახ- II ს-ის I ნახ.
ზადენი	ფარნაჯომი	ძვ.წ. II ს-ის I ნახ.
აფროდიტოსი	რევი	ახ.წ. III ს-ის II ნახ.

ვლ. ვაწაძის კვლევით, ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით, წარმართული ღვთაებების ქართლში შემოტანასა და დამკვიდრებას აზონს, ფარნავაზს, საურმაგსა და ფარნაჯომს მიაწერენ. ამ კერპების შესწავლისა და სადაურობის გარკვევის მიზნით ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ ქართველთა წარმართული ღვთაებების ფორმირებამ საკმაოდ გრძელი და რთული გზა განვლო, სანამ ის იმ სახეს მიიღებდა, რომელიც აღწერილია „წმიდა ნინოს ცხოვრებაში“ და „მეფეთა ცხოვრებაში“ [9, გვ. 131].

ვლ. ვაწაძის მიხედვით, რიგი ღვთაებათა ფესვების ძიება წინაეღინისტურ ხანაში გვიწევს, ზოგი მათგანი ზოროასტრული ღვთაებების ასოციაციებს იწვევს, ნაწილი კი ადგილობრივი ღვთაებებია. ამის მიხედვით, ქართველთა წარმართული პანთეონის ღმერთები სამ ნაწილად იყოფა [9, გვ. 131]:

1. **გაცი და გა.** გაცისა და გას ეტიმოლოგიური პარალელები სხვა ხალხების რელიგიებში არ მოიძებნება. ქართულ

3. კერპთაყვანისმცემლობა საქართველოში

წერილობით წყაროებში კი ისინი მოიხსენიება, როგორც „ღმერთნი მამათა ჩვენთანი“, რაც საფუძველს იძლევა ისინი ჩაითვალოს ადგილობრივ წარმართულ ღმერთებად. საინტერესოა, რომ ფარნავაზი, რომელიც ქართლში არმაზის თაყვანისცემას ამკვიდრებს, არ სპობს ქართველთა წინაპრების ღმერთებს და მათ არმაზის გვერდით მიუჩენს ადგილს.

2. **აინინა და დანინა**, რომლებიც შუამდინარულ სამყაროსთან ასოცირდებიან და ეტიმოლოგიურად ახლოს დგანან ნანა-იასა და მის თანამდევ ღვთაება ნინადა-სთან, რომლებმაც მოგვიანო პერიოდში, ქართველთა წარმართულ პანთეონშიც დაიმკვიდრეს ადგილი.
3. **არმაზი**. ვლ. ვაწაძის ხედვით, ქართულ წარმართულ პანთეონში პირველი არმაზია. კერპი არმაზი შეუქმნია ფარნავაზს თავისივე სპარსული სახელის „არმაზის“ თაყვანსაცემად. არმაზი გაერთიანებული და გათავისუფლებული პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფოს მფარველ „ღვთაებად“ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი.

ფარნავაზმა გააერთიანა აღმოსავლეთი, დასავლეთი და სამხრეთ საქართველო. მან შექმნა კერპი თავის სახელზე **არმაზი** და აღმართა ქართლის მთის თავზე. ვლ. ვაწაძის გამოკვლევით, ფარნავაზის სახელს უკავშირდება მაზდეანური პანთეონის ღვთაებების მოთავე პოზიციების დაკავება. ეს იმით აიხსნება, რომ ფარნავაზი იყო მამულად ქართველი, მცხეთოსის ძისა, ხოლო დედულად სპარსი, ასპანელი. ფარნავაზის მიერ ჩატარებული რელიგიური რეფორმის ერთ-ერთი მიზეზი იყო დაქსაქსული ტომების გაერთიანება (ერთიან საქართველოში). ამ მიზნით, მან ახლად შექმნილი სამეფოს რელიგიური პანთეონის სათავეში მოაქცია არმაზი, რომელიც ერთნაირად ნაცნობი იყო ქართველური ტომებისათვის და არ გულისხმობდა რომელიმე ერთი ტომის გაბატონებას სხვებზე. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქართველი მეფეები სპარსელებს უნათესავდებოდნენ. აქედან გამომდინარე, რელიგიაც ერთი უნდა ჰქონოდათ [9, გვ. 134].

არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვით, არმაზი, გაცი და

5. ქართველთა რელიგიების შესახებ

გაიმი განხილულ უნდა იქნეს როგორც „არმაზის ქანდაკებათა ტრიადა“ [11, გვ. 192].

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ისტორიის თანამედროვე სახელმძღვანელოებში და სპეციალურ საგნობრივ ენციკლოპედიებში კომპასისა და მზის საათის პირველ გამომგონებლებად მიჩნეულნი არიან პროტოქართველი-ქალდეველი მოგვები. ქალდეველებმა იცოდნენ მზის აზიმუტისა და სიმაღლის განსაზღვრა მარტივი ასტრონომიული ხელსაწყოს გნომონის საშუალებით. პრიმიტიული გნომონი წარმოადგენს ხის ერთი ბოლოთი წაწვეტებულ მსხვილ გრძელ სარს, მიწის სწორ, ბრტყელ ზედაპირზე აღმართული ძელით. მოგვები განსაზღვრავდნენ როგორც გეოგრაფიული მხარეების მიმართულებას, ასევე დღის დროის სხვადასხვა პერიოდსაც. წვეტიან გნომონ-ძელზე დაცემული მზის სხივთა კონა იძლეოდა მის ისრისმაგვარი ფორმის ჩრდილს. ის წარმოადგენდა კომპასისა და საათის თავისებურ „ისარს“, რომელიც იცვლიდა თავის სიგრძესაც და მიმართულებასაც [11, გვ. 192].

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით არმაზი, გაცი და გაიმი იდგა მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, მცხეთის პირისპირ და სახლის ბანზე ასულ ყოველ მცხეთელს შეეძლო მისი დანახვა. მზირალთვალის გაცის ქანდაკება იქნებოდა აღმოსავლეთის მხარის მაჩვენებელი, ხოლო გაიმისა — დასავლეთისა. თუ გავითვალისწინებთ, რომ არმაზის ქანდაკება იყო ოქროსაგან დამზადებული 3,5 მეტრის სიმაღლის გიგანტური ზომის მეომრის ფიგურა, თავზე კვერცხის ფორმის ზუჩით, რაც, მასზე მზის სხივის დაცემისას, იძლეოდა ისრისებრი ფორმის ჩრდილს. შეიძლება ითქვას, რომ „არმაზის ქანდაკებათა ტრიადა“ წარმოადგენდა არა მარტო რელიგიური დანიშნულების ობიექტებს, არამედ თავისებურ კომპასსაც და მზის საათსაც. ამ მოსაზრებას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ პროტოქართველ-ქალდეველთა ტაძრები საზოგადოდ წარმოადგენენ არა მხოლოდ რელიგიური დანიშნულების ობიექტებს, არამედ ასტრონომიული დაკვირვებებისათვის განკუთვნილ ნაგებობებსაც [11, გვ. 193].

4 „ზოროასტრიზმი“ საქართველოში

. მკვლევართა უმეტესობა „არმაზი“-ს სახელს აკავშირებს ზოროასტრიზმის უმაღლესი ღვთაების აპურა-მაზდას სახელთან, რომელმაც თავის მხრივ წარმოშვა ტერმინი „მაზდეანიზმი“ [11, გვ. 257].

მაგრამ ირკვევა, რომ სახელი „არმაზი“ პროტოქართული ქალდეურ-არამეული წარმოშობისაა და განიმარტება როგორც „(ღვთიური) სინათლის დახმარება“. ამიტომ „ღვთაება არმაზი“ არ შეიძლება მივიჩნიოთ ღვთაება აპურამაზდად [11, გვ. 264]. ზოროასტრიზმში აპურა-მაზდა არის უმაღლესი შემოქმედი ღმერთი, განსახიერბა ნათლის, სიცოცხლისა და ჭეშმარიტებისა, სამყაროში სიკეთის ერთადერთი დამამკვიდრებელი ძალა. აპურა-მაზდა არის ზეამაღლებული და აბსტრაქტული ღვთაება, მას არ გააჩნია კონკრეტული სახე და ამიტომ მისი წარმოდგენა შეუძლებელია. მისი ერთადერთი გამოვლენაა სინათლის სიმბოლო — ცეცხლი. რისი თაყვანისცემაც, როგორც ღვთაებისა, ზოროასტრიზმში აკრძალულია. რადგან აპურამაზდა უკვდავია, ის არ ითხოვდა სისხლიან მსხვერპლშეწირვებს. ზარათუშთრამ აკრძალა ხარ-ძროხათა შეწირვა მისთვის და ისინი გამოაცხადა წმინდა ცხოველებად. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, შეუძლებელია ითქვას რომ ფარნავაზის მიერ აღმართული ქანდაკება აპურა-მაზდა კერპია, რასაც მემპტიანე „არმაზს“ უწოდებს [11, გვ. 258].

ავტორების მოსაზრებით, ზოროასტრიზმი წარმოადგენს რეფორმირებულ ქალდეიზმს, ანუ პროტოქართველთა რელიგიას. ზოროასტრიზმში განსაკუთრებული ადგილი უკავია მზის ღვთაება **მითრას**, რომელიც აპურა-მაზდას შვილია და ცის ღვთაების ხილული გამოვლენაა. ის არის აპურა-მაზდას ე.წ. „თვალი“, და „შუამავალი“ ღვთაებათა შორის, და აგრეთვე ღვთაებათა და ადამიანებს შორის [11, გვ. 259]. ანუ მითრა მაზდეანიზმში ასრულეს ისეთსავე როლს, როგოსაც ქრისტე ქრისტიანიზმში.

საქართველოს ზოროასტრიზმის მიმდევარ ქართველებში სიკეთის ღვთაების მოსვლის მოლოდინი დაუკავშირდა იესოს, როგორც ღვთის ძის გამოცხადებას, რამაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მათ ქრისტიანობაზე მოქცევის საქმეში [11, გვ. 259].

5 ქართველთა „კაციჭამიობის“ საკითხი

„ქართლის ცხოვრების“ მემატიანეში ნათქვამია, რომ თითქოს ქართველებმა „იპყრეს სჯული უბოროტესი, ყოველთა ნათესავთასა, რამეთუ ცოლქმრობისათვის არა უჩნდათ ნათესაობა; და ყოველსა სულიერსა ჭამდეს; საფლავი არ იყო, მკვდარსა ჭამდეს“. ქართველი ისტორიკოსები სრულიად სამართლიანად სთვლიდნენ და სთვლიან, რომ ეს ნათქვამი ქრისტიანობის ხანაში შექმნილი ლეგენდაა. „ქართლის ცხოვრების“ მემატიანე გვაუწყებს, რომ წარმართობის დროს ქართველები „შესწირვიან კერძსა მსხვერპლად“ და „პირველ კერპთ მიმართ შეწირვიდეს მსხვერპლად ყრმათა“. მთელ საქართველოში ქათველებში ოდითგანვე არსებობდა მიცვალებულთა გლოვის წეს-ჩვეულება, რომელიც აბსოლუტურად ეწინააღმდეგება „ქართლის ცხოვრების“ ამ ცნობის შინაარსს. მეორე მხრივ, ქართველთა წინაპრების ე.წ. „წარმართული რელიგია“ ქალდეიზმი და მისი მოდერნიზებით ჩამოყალიბებული ზოროასტრიზმი, რასაც ქართველები აღიარებდნენ, არ ითხოვდა სისხლიან მსხვერპლშეწირვებს. ამდენად, ყოველივე თქმული სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ ქართველთა მიერ კერპებისათვის შვილთა შეწირვა სრული აბსურდი და ნონსენსია [11, გვ. 289].

აღსანიშნავია, რომ სიტყვა „ყრმა“ ნიშნავდა ახალგაზრდა ვაჟსა და ქალს, რომლებიც მშობლების „მორჩილად“ ითვლებოდნენ.

ავტორთა მოსაზრებით, სავსებით შესაძლებელია, რომ ძველი ქართული სამართლებრივი ძეგლის მიხედვით განჩინებული იყო კერპებისათვის, ქართველთა მხრიდან, სავალდებულო ფულებრივი შესაწირავი „მარჩილი“. „მარჩილი“ იყო სავალდებულო გადასახადი ყველა ქართველისათვის, რაც მძიმე ტვირთად აწვა მოსახლეობას. ამიტომ მეფე რევის ბრძანებით ეს ფულადი გადასახადი შეიცვალა ნატური გადასახადით ცხვრითა და ძროხით. რაც დიდი შეღავათი იყო ქართველთათვის, რის გამოც მას ხალხმა „რევმართალი“ უწოდა [11, გვ. 290].

ქართლის ქრისტიანობაზე მოქცევის შემდეგ ახალი რელიგიის მქადაგებელნი ცხადია ყველანიარად შეეცადნენ ქართველთა

უძველესი სარწმუნოების განქიქებას, რომელთაგან ყველაზე უფრო „გაბედულმა“, ქართული სამართლებრივ ძეგლში სიტყვა „მარჩილი“ გადააკეთა „მორჩილად“, რასაც შემდეგში მოყვა მისი შეცვლა „ყრმით“. ამან კი წარმოშვა ქართველთა თითქოსდა ბარბაროსობის დამამტკიცებელი საბუთი [11, გვ. 291].

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ქართველთა წინაპრები არ იყვნენ არც პრიმიტიული ვალური წარმართი კერპთაყვანისმცემლები, არც კანიბალები და არც ღვთაებებისადმი ადამიანთა, მითუმეტეს ჩვილ ყრმთა, მსხვერპლად შემწირველნი. სალოცავებში ცხვარ-ძროხათა შეწირვა კი, როგორ ეს „ქართლის ცხოვრებიდან“ ჩანს, ქართველებს დაუწყიათ მეფე რევის განმგებლობის პერიოდში, ჩვ.წ. II-III საუკუნიდან, რაც არ შეწყვეტილა ქრისტიანობის ხანაშიც, და რაც საქართველოში დღემდე გრძელდება [11, გვ. 292].

6 ქართველთა „წარმართობის“ შესახებ

ძველი ქართული ტრადიციით, „წარმართულ“ რელიგიებად და აღმსარებლობად მიჩნეულია არაქრისტიანული და არამართლმადიდებლური რელიგიები, რომლებიც უზნეოდ და ანტაგონისტურებად მიიჩნევიან. ჩვენ დიდი ხანია ყურადღება მივაქცევთ იმ ფაქტს, რომ ქართულ სიტყვიერებაში ასეთ უკუღმართული აღმსარებლობის რელიგიებს სახელწოდება „უკუღმართული“ უფრო შეესაბამება, ვიდრე „წარმართული“. იმასაც ვაცნობიერებთ, რომ ქართველთა წინაპრები, ქრისტიან-მართლმადიდებლური ჭეშმარიტი აღმსარებლობის მიღებამდე, ფლობდნენ არაანტაგონისტურ და ჭეშმარიტად მალაღზნეობრივ აღმსარებლობას.

ცნობილია, რომ ქართული საეკლესიო და სამეცნიერო ტრადიცია „წარმართებად“ მოიხსენიებს ზოგიერთი არაქრისტიანული რელიგიის მიმდევრებს და ამ კრებითი სახელის ქვეშ აერთიანებს ყველა სახის კერპთაყვანისმცემლობას, ცეცხლთაყვანისმცემლობას, მნათობთა თაყვანისმცემლობას, სხვადასხვა ოკულტურ და მაგიურ მიმდინარეობებს და სხვა. ერთი სიტყვით, ტერმინი „წარმართები“ ქართულ სიტყვიერებაში ტრადიციულად დამკვიდრებულია, როგორც ყოველგვარი ურჯულოებისა და უწმინდური

5. ქართველთა რელიგიების შესახებ

რელიგიური მიმდინარეობების ზოგადი ეპითეტი. ამ სიტყვის ანალოგიურ მნიშვნელობას ადასტურებს სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“, რომლის მიხედვით: „წარმართი ეწოდების ყოველთა უსჯულოებით მავალთა“ [18].

მაგრამ, თავად ტერმინი „წარმართი“ თავისი ჟღერადობით შეუსაბამოა თავისსავე ტრადიციულ შინაარსთან. ეს სიტყვა უფრო ჰგავს „წაღმართულს“, ხოლო მის შინაარსს, თავისი ბუნებით, უფრო მეტად სიტყვა „უკუღმართი“ შეესაბამება. მართლაც, იგივე ლექსიკონში სულხან-საბა სიტყვა „უკუღმართს“ თითქმის „წარმართის“ ანალოგიურად განმარტავს: „უკუღმართი არა წაღმართ მოქმედი“. საყურადღებოა, რომ სულხან-საბას მიხედვით, ზმნა „წარმართება“ არის კეთილად სვლა, ანუ სწორი გზით სიარული, ხოლო მისგან ნაწარმოები არსებითი სახელი „წარმართი“ არის „კეთილად მავალი“, ანუ სწორი გზით მავალი. საფიქრებელია, რომ თავდაპირველად ქართულ სიტყვიერებაში სიტყვა „წარმართი“ სწორედ ამ, სწორი გზით მავალის მნიშვნელობით გამოიყენებოდა, ხოლო შემდეგ, შედარებით გვიან, ისტორიულ ქარტეზილებში, შეიძინა ახალი, არასწორი შინაარსი. ისმის კითხვა: რომელი რელიგიური მიმართულება მოიაზრებოდა თავის დროზე სახელი „წარმართული“-ს ქვეშ?

გ. კოკოშაშვილი ასკვნის, რომ საქართველოს ისტორიის უძველეს პერიოდში ღვთისმეტყველების საწყის ფორმას წარმოადგენდა ძველი აღთქმის რჯულისეული აღმსარებლობა (მსახურების ძველალთქმისეული, ოღონდ ქრონოლოგიურად გაცილებით ძველი ღვთისმსახურების ჭეშმარიტი ფორმა), რომელსაც ისტორიის გარკვეულ ეტაპზე „წარმართობა“ (და არა „უკუღმართობა“) ეწოდა. ეს ეტაპი ძვ.წ. III-II ათასწლეულების მიჯნაზე შეცვალა მნათობთა თაყვანისცემამ, რომელიც თავის მხრივ, ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრიდან ჯერ კერბთაყვანისმცემლობამ, ხოლო ახ.წ. II და III საუკუნეებში ცეცხლთაყვანისმცემლობამ ჩაანაცვლა. თუმცა ეს ჩანაცვლება არ ატარებდა ტოტალურ ხასიათს. რელიგიური ცვლილება უფრო ქვეყნის ცენტრალურ, ბარის ადმინისტრაციულ ნაწილს მოიცავდა და პოლიტიკური მიზნით იქნა გაბატონებული გარეშე ძალების მიერ. საქართველოს ზოგიერთ ნაწილში, განსაკუთრებით მის მთიან რეგიონებში, ისევ

ძლიერი იყო ტრადიციული „წარმართული“ (არა უკუღმართული) რწმენისადმი ერთგულება, რასაც გარკვეული ობიექტური და სუბიექტური მიზეზები განაპირობებდა [12].

ვანუშტი ბატონიშვილი საქართველოში „უსჯულოების“ დამკვიდრებას მიიჩნევს გარედან თავსმოხვეულად, უცხოთა მიერ შემოტანილად. ხოლო ღვთის გზიდან გადახვევას აიგივებს ქართული წესისა და ჩვეულებების გადავიწყებასთან.

გ. კოკოშაშვილი, ძველ წერით წყაროებზე დაყრდნობით, ამტკიცებს, რომ ტერმინი „წარმართობა“ გამოხატავდა ძველი აღთქმის რჯულის — ერთი **დამბადებელი ღმერთის** შესაბამის აღმსარებლობას. მისი ვარაუდით, საქართველოს ისტორიის უძველეს პერიოდში ძვ.წ. — III-II ათასწლეულების მიჯნაზე ღვთისმეტყველების საწყის ფორმას ძველი აღთქმის რჯულისეული აღმსარებლობა წარმოადგენდა, რომელსაც ისტორიის გარკვეულ ეტაპზე „წარმართობა“ ეწოდა.

შემდგომში ქართველი ხალხი თავის ღვთისმეტყველების **წარმართული** ფორმიდან გადავიდა უფრო პროგრესულ — ღვთისმეტყველების ქრისტიანულ **მართლმადიდებლურ** ფორმაზე [12].

7 ქრისტიანობა საქართველოში

როგორც ისტორიიდან არის ცნობილი, იუდეის სამეფო ქალდეველებმა გააუქმეს. მომდევნო პერიოდში იუდეველები ჯერ ელამელებისა და მიდიელების, შემდეგ კი ბერძნებისა და რომაელების მორჩილებაში მოექცნენ. იუდეას ფაქტობრივად მართავდნენ რომის იმპერიის მიერ დანიშნული მმართველები.

ჩვ.წ. პირველი საუკუნის დასაწყისში ებრაელები გაფანტულნი იყვნენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, რომელთაც დავიწყებული ჰქონდათ მათი გამაერთიანებელი სამეტყველო ქანაანური ენა. ამ დროს იუდეველი ხალხი იყო მძიმე და სავალალო მდგომარეობაში. ამ მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებდნენ იუდეველთა ღირსეული შვილები. ირკვევა, რომ იესოს მამა იოსები იყო იუდეველთა სამეფო დინასტიის გვერდითი შტოს წარმომადგენელი. როგორც ჩანს, სწორედ ეს გარემოება აძლევს შემდეგში

5. ქართველთა რელიგიების შესახებ

საბაბს იუდეის უმაღლეს მღვდელმთავრებს, რომ იესო არ ჩაეთვალებათ იუდეის მეფობის კანონიერი უფლების მქონე პირად [11, გვ. 319].

ახალ აღთქმაში იესო 24-ჯერ არის მოხსენიებული „ძე ღვთისად“, რაც ფაქტობრივად წარმოადგენს მის ეპითეტს და შეესაბამება მის მეფურ წარმომავლობას. ამის გამო იელუსალიმის მღვდელმთავარს არ ჰქონდა უფლება ერთპიროვნულად გადაეწყვიტა იესოს ბედი. ამიტომ ის იწვევს სხვა ქვეყნებში მცხოვრებებზე მღვდლებს, რათა იესოს სასამართლო პროცესს მისცემოდა საყოველთაო ხასიათი, და მის გადაწყვეტილებას კი კანონიერი შეუვალობა [11, გვ. 316].

ცნობილია, რომ იმ დროს მცხეთაშიც ცხოვრობდნენ იუდეველთა წარმომადგენლები, რომლებმაც მიავლინეს თავისი წარმომადგენლები ელიოზის ხელმძღვანელობით.

გადმოცემის მიხედვით მცხეთელ ებრაელ ელიოზს მონაწილეობა მიუღია იესოს სამოსის წილის ყრაში და **უფლის კვართი**, რომელიც მას რგებია, მცხეთაში ჩამოუტანია. ელიოზის დასიძონიას კვართი გულში ჩაუკრავს და სიხარულისაგან გარდაცვლილა. მისთვის კვართის ხელიდან გამოცლა ვერ მოუხერხებიათ და განუზრახავთ მისი კვართიანად დასაფლავება. მაგრამ სანამ ეს მოხდებოდა, მანამდე „გაიპო მიწა და შთაინთქა იგი“. შემდგომ ამისა, სადაც ღვთის ნებით სიძონიას გვამი დაიმარხა, იქ აღმოცენდა კვიპაროსის ხე, რომელიც გამოირჩეოდა სამკურნალო თვისებებით.

„კვართი უფლისა იესო ქრიტესი“ არის პერანგი, რომელიც წმიდა ღვთისმშობელმა მარიამმა მოქსოვა ჯერ კიდევ ორსულობის დროს. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის, რომ უფლის კვართი ჩამოტანილ იქნა საქართველოში და აქ არის დამარხული. არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ საქართველო გახდა წილხვედრი წმიდა ღვთისმშობლისა.

საქართველოში მიღებული ტრადიციული შეხედულებების თანახმად, როცა წმიდა მოციქულებმა წილი ჰყარეს, ქართველთა მოქცევა წილად ხვდა თავად **მარიამ ღვთისმშობელს**, მაგრამ ახლოვდებოდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების ჟამი და მას გამოეცხადა უფალი იესო ქრისტე. იესოს სურვილით ეს

მისია მარიამ ღვთისმშობელმა დაავალა მის მოწაფეს ანდრია პირველწოდებულს.

იესოს თხოვნით ღვთისმშობელს მისვის უნდა გამოეტანებინა თავისი ხატი რათა იგი „... მკვიდრობდეს მცველად მათდა უკანასკნელ ჟამამდე.“

ღვთისმშობელმა მოითხოვა ფიცარი, მიიღო სახეზე და სასწაულებრივად, ფიცარზე მისი ხელთუქმნელი ხატი გამოისახა. ღვთისმშობელმა მათ გამოატანა თავისი გამოსახულებიანი, სასწაულმოქმედი **ხელთუქმნელი ხატი**.

ანდრია აჭარის მხრიდან შემოსულა საქართველოში. მას დიდი გაჭირვების შემდეგ გაუქრისტიანებია აჭარლები და მოუნათლავს ისინი. მასვე დაუდგენია მღვდლობა და ღვთისმსახურება, აუგია ეკლესია და მასში დაუტოვებია ღვთისმშობლის მიერ გამოტანებული სასწაულთმოქმედი ხატი.

მოციქული ანდრია შემდეგ სამცხეში გადასულა, სადაც მას გაუცოცხლებია ადგილობრივი მთავრის შვილი, რომლის დედამ ირწმუნა იესო და მთელი ოჯახით მოინათლა. ნეტარ ანდრიას ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატის მეშვეობით დაუმსხვრევია ადგილობრივი სალოცავი კერპები.

მოსახლეობის თხოვნით წმიდა ანდრიამ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი მესხეთში დატოვა. მესხებმა მას სამლოცველო აუგეს და დიდი პატივით დაასვენეს. შემდგომში, „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, ღვთისმშობლის ხატის პატივსაცემად ბიზანტიის იმპერატორ ჰერაკლი კეისარს აწყურში აუგია დიდი საეპისკოპოსო ღვთისმშობლის ტაძარი.

ამჟამად, თბილისის სახელმწიფო მუზეუმში დაცულია ღვთისმშობლის ხელთუქმნელი აწყურის ხატი (სურ. 23), იგი ჩასდგენებულია ტრიპტიქის სახის მოჭედილ კუბოში, რომელიც წარწერის თანახმად, შესრულებულია იმერეთის მეფის სოლომონ I-ის შეკვეთით 1764 წელს.

ქართული საისტორიო ტრადიციის მიხედვით, აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანობა გაუვრცელებია კაბადოკიელ ქალს **წმიდა ნინოს**. წმიდა ნინოს პირველი სასწაულმოქმედება მცხეთის წარმართული კერპების შემუსვრა ყოფილა. შემდეგ მან ქართველთა მეფის მირიანის მძიმედ დაავადებული მეუღლე გან-

5. ქართველთა რელიგიების შესახებ

კურნა, და იმავე დროს აზიარა ქრისტიანობას, რამაც, თავის მხრივ, დიდად იმოქმედა მეფეებზე და ბოლოს, ისიც მოიქცა ახალ რჯულზე.

ამან, ფაქტობრივად განსაზღვრა ქრისტიანობის წარმატებით გავრცელება საქართველოში. საქართველოში ქრისტიანობის ფართოდ გავრცელებაში, აგრეთვე დიდი როლი შეასრულეს ე.წ. ასურელმა მამებმა: პირველი მოსულა დავით გარეჯელი (VI ს-ის 20-იანი წ), შემდეგ იოანე ზედაზნელი (543 წ), ანტონ მარტყოფელი (545 წ), აბიბოს ნეკრესელი (572 წ) და სხვები, სულ 13 მოციქული. სირიელი მამები იღვწენ მონოფიზიტურ პოზიციებზე, რომლებიც არ აღიარებდნენ ქრისტეს ადამიანურ თვისებას, ეწეოდნენ ასკეტურ ცხოვრებას და ზამთარშიც კი გამოქვაბულებში ცხოვრობდნენ.

საქართველოში გარედან ნაადრევად შემოტანილმა და არა ადგილობრივ ნიადაგზე აღმოცენებულმა ქრისტიანულმა რელიგიამ, საწყის პერიოდში მისმა ძალით გავრცელებამ, გამოიწვია ძველქართული ადგილობრივი წარმართული (წალმართული) კულტურისა და ცნობიერების განადგურება, რომლის ფესვები ახლაც ფიქსირდება ქართულ სიმღერებში, ენასა და მეტყველებაში.

ქართველი სიბრძნისმეტყველმა ფილოსოფოს-თეოლოგებმა, ითვალისწინებდნენ რა ზემოთქმულს, სხვა ხალხების სიბრძნისმეტყველების მიღწევების ათვისება-გავრცელებისას, ახალი ქრისტიანული წარმოდგენები შეუსაბამეს ძველ ქართულ წარმართულ სიბრძნისმეტყველებას და საფუძველი ჩაუყარეს ახალ მიმართულებას. ასეთებად შეიძლება მივიჩნიოთ: პეტრე იბერი, იოანე ზოსიმე, იოანე პეტრიწი, შოთა რუსთაველი და სხვები. ქრისტიანული ეკლესიის მამებმა კარიდან გაძევებული წარმართი ფილოსოფოსები სარკმლიდან შემოუშვეს და მათი ნააზრვეი დაუდგეს საფუძვლად ქართულ ქრისტიანულ თეოლოგიას. გარდა ამისა, მათ არჩევანი, პირველ რიგში, არისტოტელესა და პლატონზე შეაჩერეს. ეს ორი ბუმბერაზი ფილოსოფოსი გააქრისტიანეს და ეკლესიის სამსახურში ჩააყენეს. ამ ფილოსოფოსთა სახელი და მოძღვრება საქართველოში დიდად ცნობილი გახდა ეფრემ მცირის, იოანე პეტრიწის, არსენ იყალთოელისა და კლა-

სიკური ხანის ზოგიერთი უცნობი მწიგნობრის თარგმანებითა და ორიგინალური თხზულებებით.

დროთა განმავლობაში, საქართველოში ქრისტიანობის, მამულიშვილობისა და ეროვნულობის ცნება ერთმანეთს შეერწყა. ქრისტიანობა ჩვენში მამულიშვილობასა და ქართველობასაც ნიშნავდა. ისე, როგორც ნებისმიერ ერს გააჩნია დედაენა, რომელიც ღმერთთან სალაპარაკო ენას წარმოადგენს, ასევე ნებისმიერ ერს გააჩნია ღმერთისა და ჭეშმარიტებისაკენ სავალი თავისი გზა.

8 წმიდა გიორგის შესახებ

ზ. გამსახურდიას მიხედვით, ჯერ კიდევ ძველებრძნები ქართველებს „გეორგოსებს“ უწოდებდნენ იმის გამო, რომ ჩვენ ქვეყანაში მიწათმოქმედება იყო განვითარებული. გეორგოს ნიშნავს მიწის დამმუშავებელს, მაგრამ ამავე დროს გიორგის კულტი დაკავშირებულია, ნაყოფიერების ღვთაებათა დაცვასთან, ამინდთან. ამასთან არის დაკავშირებული ძველქართული ეროვნული ღვთაება თეთრი გიორგი. ხოლო ქრისტიანული წმიდა გიორგი ისტორიულად არსებული პიროვნებაა. იმავე სულიერი არსების მიწიერი სახე არის დრაკონის დამთრგუნველი მიქაელ მთავარანგელოზი. ეს კულტი ყველაზე მახლობელი იყო ქართული მოდგმისათვის. ამიტომ საქართველოში ქრისტიანობამ მიიღო გიორგიანობის სახე. ქრისტიანობა საქართველოში წმინდა სახით არსებობდა სამღვდელოებისათვის, ფეოდალური კლასისა და სამეფო კარისათვის. მაგრამ ხალხური ქრისტიანობა შერწყმულია გიორგიანობასთან. წმინდა გიორგის სახეში ქართველი ხედავდა არა მარტო კაბადოკიელ წმინდანს, არამედ ქრისტიანულ ღმერთს. წმინდა გიორგი იდენტიფიცირებულია ღმერთთან. ამიტომ საქართველოს სახელწოდება დაკავშირებულია გიორგისთან. ასე აღიქვამდნენ საქართველოში ჩამოსული უცხოელები საქართველოს და მას „გიორგია“ შეარქვეს [6, გვ. 21].

ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, საინტერესოა თქმულება, „იესო ქრისტეს, ელია წინასწარმეტყველისა და წმიდა გიორგის შესახებ“, რომელშიც ერთმანეთს ეჯიბრება სამი წმიდა არსება:

5. ქართველთა რელიგიების შესახებ

ერთია ღმერთი შემოქმედი, რომლის ხელშია ადამიანთა სიკვდილ-სიცოცხლე; *მეორე პირია — ელია წინასწარმეტყველი*, რომელიც ტაროსისა და ავდრის, წვიმა-სეტყვის ბრძანებელია; მესამე — **წმიდა გიორგია**. ის არის გაჭირვების დროს ადამიანის მფარველი და მხსნელი, კაცის ყოველგვარი ბოროტებისა და უბედურებისაგან დამხსნელი.

ივ. ჯავახიშვილი, ამ თქმულების შესწავლის შედეგად ასკვნის, რომ თქმულების მიხედვით, უმთავრესი ადგილი წმიდა გიორგის უკავია, მეორე ადგილი — ქვეყნის შემოქმედს, ხოლო მესამე — წმიდა ელიას. ანალოგიური აზრია გამოთქმული სხვა ქართულ, სხვა და სხვა კუთხეების თქმულებებშიც. თუმცა ჩვეულებრივ საქრისტიანო მოძღვრების მიხედვით, ამ სამ პირთა შორის ყველაზე მაღლა ღმერთი — შემოქმედი უნდა იდგეს [32, გვ. 85].

ქართველი ერის მიერ წმიდა გიორგისადმი პატივისცემა მარტო ქართული თქმულებებით არაა გამოხატული. თვით ცხოვრებაშიც ქართველი ერი მას თაყვანსა სცემს ყველაზე მეტად. არც მამა ღმერთისა და იესო ქრისტეს, და არც ერთი სხვა წმიდანის სახელზე საქართველოში არ მოიპოვება იმდენი ტაძარი, რამდენიც წმიდა გიორგის სახელზეა აშენებული [32, გვ. 88].

ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, ქართველი ხალხის აზროვნებაში, **წმიდა გიორგის**, ძველი წარმართობის დროინდელი ქართველების მთავარი ღვთაების — **მთვარის** ადგილი უკავია.

ივ. ჯავახიშვილი აღწერს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებული წმიდა გიორგის ეკლესიების გიორგობის დღესასწაულებს და გამოაქვს დასკვნა, რომ მთელი ჩვეულებები მთვარის ძველი, წარმართობისდროინდელი, დღესასწაულის ნაშთია [32].

აკადემიკოს **გ. კეკელიძის** მიხედვით, საქართველოში მეტად პოპულარული ყოფილა **მითრაიზმი**. მისი დამარცხების შემდეგ მისი კულტი შეუერთდა წმინდა გიორგის კულტს, რადგანაც ამ ღვთაებასაც ბევრი რამ ჰქონდა საერთო მასთან: ორივე გამორჩეული მეომრები იყვნენ, ორივე ებრძოდა ბოროტებას და ამარცხებდა მას. მითრას სამსხვერპლო ცხოველს ხარი წარმოადგენდა, წმინდა გიორგის დღესასწაულზეც ხარი იკვლებოდა. მითრაიზმს ბევრი საერთო აქვს ქრისტიანობასთან: ორივე რელიგია აღიარებს სულის უკვდავებას; ორივე რელიგიის მიხედვით, მორ-



სურ. 25: წმიდა გიორგი.

წმუნემ ცათა სასუფეველი უნდა მოიპოვოს წმინდა ცხოვრებით, მუდმივი ლოცვითა და მარხვით. მითრა, როგორც ქრისტე, არის

5. ქართველთა რელიგიების შესახებ

„ნათელი ნათლისგან“ და შუაკაცი ღმერთსა და კაცს შორის.

ვლ. ვახანიას მტკიცებით, იერუსალიმელი წმიდა გიორგი იყო ქალღ-მეგრელი კაცი იმ იბერ-ჯიბერელთა წარმომადგენელი, რომლებიც იყვნენ ქრისტეს ურყევი მიმდევარნი და ქრისტიანობის პირველი ტალღის მცნობნი. ქრისტეს წმიდა მოწამე გიორგი იყო კაბადოკიის ქვეყნიდან. ის იყო განთქმული ადამიანი თავისი ფიზიკური ძლიერებით და ქონებრივი საშუალებით. მას შეეძლო შეძლებულად და უმტკივნეულოდ ეცხოვრა, მაგრამ სულ სხვა გზა აირჩია; მთელი თავისი ქონება დაურიგა ღარიბებს და გაემზადა მოწამებრივი ცხოვრებისათვის [10, გვ. 306].

9 კაბადოკიის შესახებ

საქართველოში ქრისტიანობის დანერგვის საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული **კაბადოკიასთან**.

კაბადოკია არის აღმოსავლეთ მცირე აზიაში, თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ისტორიული ოლქის სახელწოდება. ეს ტერიტორია ხასიათდება განსაკუთრებით საინტერესო ვულკანური წარმოშობის ლანდშაფტით, კლდეში ნაკვეთი მიწისქვეშა ქალაქებით, რომლებიც დაარსდა ძვ.წ. I ათასწლეულში.

რამდენიმე მილიონი წლის წინ სამი ვულკანის ამოფრქვევამ ასი კილომეტრის რადიუსის ტერიტორიაზე წარმოშვა უცნაური ფორმის ულამაზესი ლანდშაფტი, რომელზეც საუკუნეების მანძილზე ადამიანებმა შექმნეს იდუმალებით მოსილი ქვეყანა წმინდა ცხოვრებით. კაბადოკიას უწოდებენ მერვე საოცრებას, რადგანაც მას ადვილად შეუძლია მისი მნახველი ადამიანის გაცემა (სურ. 24).

თავის დროზე დიდი **ილია ჭავჭავაძე** დაინტერესდა კაბადოკიის საკითხით. მას მიაჩნდა, რომ „წმიდა მამანი — იოანე ზედაზნელი და მისი თორმეტი მოწაფენი, რომელნიც მოვიდნენ საქართველოში ქრისტიანობის დანერგვისა და გამტკიცებისათვის, კაბადოკიელი ქართველები იყვნენ. მათ, რომ ქართული არა სცოდნოდათ, ძნელი საფიქრობელია, იმედი ჰქონოდათ უენოდ გაერიგებინათ რამ, და მოემწიფებინათ ერი.“ ამას წერს

ილია ცნობილი ქართველი ენათმეცნიერისა და რუსთველოლოგის დავით ჩუბინაშვილის თხზულებებზე დაყრდნობით, რომელიც, თავის მხრივ, ცნობილი ევროპელი მეცნიერების შრომებს ეყრდნობა [2, გვ. 510].

კაბადოკია არ იყო მონოეთნოსური ქვეყანა. იქ ცხოვრობდა სხვადასხვა ეთნოსი, მათ შორის ქართველურიც.

ილ. ჭავჭავაძის მიხედვით: „... კაბადოკიაში ოდესღაც ქართველები მკვიდრობდნენ და ეს ქვეყანა ჰკუთნებიათ. ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ დღესაც იმ ადგილებს, მდინარეებსა და მთებს, სადაც კაპადოკია იყო, ქართული სახელები შემორჩენიათ“ [2, გვ. 506].

ლ. ალფაიდის მოსაზრებით, კაბადოკიაში საუკუნეების მანძილზე იცვლებოდა ეთნოსი, მოძრაობდნენ სხვადასხვა ტომები და ხალხები, მაგრამ როგორც ბევრი ავტორი ამტკიცებს, იყო დრო, როცა კაბადოკია ქართული ტომებით იყო დასახლებული. არსებობს გადმოცემა, მითი, რომლის მიხედვით, წმიდა გიორგის სამშობლოს საქართველოს „გეორგია“ ჰქვია წმიდა გიორგის პატივსაცემად. ...ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ საქართველოს ქრისტიანობამდელი წარმართული სახელი „გიორგია“ (ბერძნულად „მიწათმოქმედთა ქვეყანა“), ქრისტეს შემდეგ „წმიდა გიორგის ქვეყნად“ იქნა მოაზრებული [2, გვ. 508].

ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილი წერდა, რომ საქართველოს სახელი „გიორგია“ წმიდა გიორგისგან უნდა მომდინარეობდესო [2, გვ. 516].

წმ. გიორგი რომ კაბადოკიელია, მაგრამ ჭანია, ამაზე, ვფიქრობთ, ისიც მიგვანიშნებს, რომ სწორედ ჭანეთში, ლაზეთში, კოლხეთშია მხოლოდ „363 წმიდა გიორგი“. არსად მსოფლიოში ამდენი წმიდა გიორგი არ არსებობს, თუმცა მისი კულტი მთელ მსოფლიოშია გავრცელებული. უცხოელ მოგზაურთა მოწმობითაც, საქართველოში ყველა ბორცვსა და მთაზე წმიდა გიორგის ეკლესია დგას [2, გვ. 515].

ილია ჭავჭავაძეს მიაჩნდა, რომ წმიდა გიორგის ნათესავი იყო მოციქულთა სწორი წმიდა ნინო. ის აგრეთვე იყო კაბადოკიელი, მაშასადამე, მცოდნე ქართული ენისა, უამისოდ არ შეეძლო ქადაგება ქრისტეს სარწმუნეობისა და ქართველთა მოქცევა.

5. ქართველთა რელიგიების შესახებ

კაბადოკიელთა ქართველობაზე მიუთითებენ კაბადოკიის ქართული ტოპონიმებიც: თიანეთი, ჭალა, ქაჯთა-კარი, დედამთა, ორგუბე, თეძამი, თავშენი, ატენი, ჩხორუმი, ფარხალი და სხვა [2, გვ. 511].

10 საქართველოს ქრისტიანული რელიქვიები

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის კვართი. ზუგდიდში, დადიანების სასახლეში დაბრძანებულია ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სამოსელი (მოსასხამი) რომელსაც იგი ლოცვის დროს იხსამდა. წმიდა მარიაში მიძინების წინ განიმოსა, იხმო ერთი ქალწული, მას გადასცა კვართი და აკურთხა, ყოფილიყო მისი მცველი, ხოლო როდესაც ამქვეყნიურ აღსასრულს იგრძნობდა, გადაეცა სხვა ქალწულისათვის. ასე იმოგზაურა კვართმა V საუკუნემდე სანამ მას, კონსტანტინეპოლში, ვლადიმერის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძარში არ დაასვენებდნენ. XV საუკუნეში, კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ, კვართი და სხვა სიწმინდეები საქართველოში გადმოაბრძანეს და უკვე 5 საუკუნეზე მეტია რაც ეს უდიდესი სიწმინდე საქართველოშია დაცული. ყველა ისტორიული წყარო ადასტურებს, რომ ის იყო ღვთისმშობლის ნაქონი (სურ. 26).

ნახშირბადის მეთოდით, მისი მოქსოვის თარიღის დადგენა არ მოხერხდა. მას არ აკადრეს, ამისთვის საჭირო მცირე ნაწილის ჩამოჭრა, რადგანაც, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II თვალსაზრისით, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის კვართს უნდა მოვექცეთ ისე, როგორც **ცოცხალ არსებას**. ქრისტიანულმა სამყარომ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის კვართის ადგილსამყოფელის შესახებ სულ 10-15 წლის წინ არაფერი იცოდა. ეს სასწაულის ტოლფასი საიდუმლო გაცხადდა ზუგდიდში: ღვთისმშობლის კვართი ესვენა ზუგდიდის დადიანების სასახლის კედლებში, ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში — საქართველოში. ეს ამბავი საზოგადოებას პირველად აუწყა საგანძურის მცველმა ლილი ბერაიამ საბჭოთა დიქტატურის მარცხის შემდეგ.

წმიდა ნაწილები მოთავსებულია ვერცხლით მოჭედილი პატარა ზომის სასახლეში. იგი შემკულია თვლებით, ღვთისმშობლის

10. საქართველოს ქრისტიანული რელიქვიები

გამოსახულებითა და აქვს წარწერა (სურ.26 გვ.135). ექვთიმე თაყაიშვილის მოსაზრებით, წარწერა ეკუთვნის დიდ ლევან დადიანს, და გაკეთებულია 1639-1657 წლებში.

ისტორიული ცნობების მიხედვით, არსებობს ყოვლადწმიდა



სურ. 26: ღვთისმშობლის კვართი [45]

5. ქართველთა რელიგიების შესახებ

ღვთისმშობლის კვართის საქართველოში მოხვედრის ორი ვერსია: პირველის მიხედვით, ის VIII საუკუნეში, როგორც სიწმინდე გაარიდეს ხატმებრძოლებს და ბიზანტიის დედაქალაქ კონსტანტინეპოლიდან ჩამოიტანეს საქართველოში. მეორის მიხედვით, კვართი ჩვენში ჩამოტანილ იქნა მე-15 საუკუნეში, კონსტანტინეპოლის თურქთაგან დაპყრობის (1453 წ) შემდეგ, მისი გადარჩენის მიზნით.

ღვთისმშობლის კვართი ინახებოდა ხობის ღვთისმშობლის მონასტერში, რომელიც აგებულია მე-12-13 საუკუნეებში. ღვთისმშობლის კვართი ტილოს მსგავსი ქსოვილია. თავის დროზე ეს ნაქსოვი ტილო მოხატულიც ყოფილა ყვავილებით. ღვთისმშობლის კვართი (190 × 180) კვ. სმ-ს ზომისაა. დამზადებულია სელისგან. ქსოვილის ცვლილება არ ხდება. მას არ სჭირდება განსაკუთრებული შენახვა. საყელო არა აქვს. გააჩნია პატარა ამონაჭერი ტუჩებისათვის. ღმრთისმშობელი მას იხვევდა ლოცვის დროს. ღვთისმშობელმა ამ კვართში გაახვია თავისი ჩვილი.

აღმოჩნდა, რომ ღვთისმშობლის კვართს შეუძლია სასწაულის მოხდენა — კურნავს უიმედო მდგომარეობაში მყოფ ადამიანს. ღვთისმშობლის კვართის ახალი სასწაული მოხდა 2000 წლის მიჯნაზე. კვართზე გამოისახა იესო ქრისტეს გამოსახულება. მისი დანახვა მხოლოდ კინოობიექტივის მეშვეობით გახდა შესაძლებელი. ის აღმოაჩინეს სტუდია „მემატიანის“ ოპერატორებმა — გურამ როგავამ და დავით ასათიანმა. კვართის გადაღების დროს გამოჩნდა ქრისტეს გამოსახულება (სურ. 27).

თუ რა მოვლენასთან გვაქვს საქმე, ამის ახსნა ამჟამინდელი ოფიციალური მეცნიერებით, ჯერ-ჯერობით, შეუძლებელია.

ქრისტიანულ სამყაროს გააჩნია მაცხოვრის სამი ხელთუქმნელი გამოსახულება: ერთი პირსახოცზე, სახეზე დაფარებისას აღბეჭდილი გამოსახულება, მეორე — ტურინის სუდარისეული და მესამე — ზუგდიდისეულ კვართზე გამოჩენილი ხატი. იესოს გამოსახულება სამოსელზე ადამიანის მიერ შექმნილი რომ ყოფილიყო, ის შეუიარაღებელი თვალისთვისაც შესაძინევი იქნებოდა.

15 ივლისი არის ზუგდიდის მუზეუმში დაბრძანებული ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სამოსელის — კვართის დღესასწაული. ამ დღეს ხდება კვართის გამობრძანება მუზეუმიდან და მონასტერში



სურ. 27: ქრისტეს გამოსახულება ღვთისმშობლის კვართზე [45]

დაბრძანება, რათა ხალხს მიეცეს საშუალება მოინახულოს და თაყვანი სცეს ამ უწმიდეს სასწაულმოქმედ რელიქვიას.

მაცხოვრის კვართი — იესო ქრისტეს პერანგი, უკერველად მოქსოვილი თვით ღვთისმშობლის მიერ, მომავალი მღვდელთმოდღვისათვის.

ჩვ.წ. I ს-ში, როდესაც მოახლოვდა მაცხოვრის ჯვარცმის უამი,

5. ქართველთა რელიგიების შესახებ

წმ. ელია წინასწარმეტყველის შთამომავალმა ერთმა მცხეთელმა ქართველმა ებრაელმა ქალმა, იერუსალიმში პასექზე მიმავალ თავის ვაჟს, ელიოზს და ლონგინოზ კარსნელს სიტყვა ჩამოართვა, რომ ისინი არავითარ შემთხვევაში არ მიიღებდნენ მონაწილეობას მაცხოვრის წინააღმდეგ ქმედებაში [14, გვ. 63].

იერუსალიმში ქრისტეს ჯვარცმას ესწრებოდნენ ელიოზი და მისი მეგობრები, რომელთაც არ მიუღიათ მონაწილეობა მაცხოვრის წინააღმდეგ ქმედებაში.

იესოს მიმდევარმა იუდეველმა გადაწყვიტეს, რომ უსამართლოდ დასჯილი მათი მეფის კვართი დავანებულიყო ღვთიურ წმიდა ადგილზე — საქართველოში, კერძოთ კი მცხეთის წმიდა მიწაზე [11, გვ. 339].

რამეთუ უფალს წინასწარვე ჰქონდა გადაწყვეტილი ქართველი ერის ახალ, ქრისტიან რჩეულ ერად, ახალ ისრაელად გადაქცევა და კვართით დაწინდვა, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრობით აკურთხა უფალმა რჩეულ ერად ივერია. უფალმა წინასწარვე განსაზღვრა, რომ მცხეთა შეიქმნებოდა ზეციური ქალაქის მიმბაძავ, მეორე იერუსალიმად წოდებულ წმიდა ქალაქად [14, გვ. 63].

მცხეთაში დაბრუნებულ ელიოზს ქალაქის შესასვლელში შეეგება მისი და — სიდონია. გამოართვა ძმას ხელთუქმნელი კვართი უფლისა და გულში ჩაიხუტა უზომო სიხარულით. როცა გაიგო მაცხოვრის წამების შესახებ, სიდონია განუზომელი მწუხარებისაგან გარდაიცვალა.

იესო ქრისტე იშვა **მეფე ადერკის** მეფობისას ქართლში. არსებობს მოსაზრება, რომ მეფე ადერკიმ მოისურვა გარდაცვლილი სიდონიასთვის გამოერთმია გულში ჩახუტებული ქრისტეს კვართი. ამ დროს იგი ხელით შეეხო ქრისტეს კვართს, რის გამოც მასზე, როგორც მეფეზე, და სამეფო დინასტიაზე გადავიდა უფლის მადლი. მაგრამ სიდონიას ხელიდან ვერაფრით გამოაცალეს კვართი უფლისა და დაკრძალეს მასთან ერთად, როგორც საქართველოს წმინდანი.

სიდონიას საფლავზე აღმოცენდა დიდი ხე „კვიპაროსი“ (ლიბანის ნაძვი). ხეს საოცარი სურნელი ჰქონდა.

მაცხოვრის კვართის დაკრძალვის ადგილას, წმიდა ნინოს,

ქართლის მეფისა და დედოფლის თანდასწრებით, აშენდა პირველი ხის ეკლესია, რომელიც დაეყრდნო სიდონიას საფლავზე ამოსულ მირონმდინარე ნაძვის სვეტს. თვით ამ ეკლესიის შენება არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეპიზოდი მთელი ქრისტიანული სამყაროსათვის.

ამ ეკლესიის ასაშენებლად, სიდონიას საფლავზე ამოსული კვიპაროსისაგან დაამზადეს 7 სვეტი. 6 სვეტი ჩვეულებრივ დაამაგრეს, მაგრამ მეშვიდე სვეტი ადგილიდან ვერ დაძრეს. მეფე, დედოფალი და სხვები, იმედგაცრუებულნი, გამოდრდნენ ადგილს. დარჩნენ მხოლოდ წმიდა ნინო და თორმეტი დედა. წმინდა ნინოს, ლოცვის დროს, გამოეცხადა უფლის ანგელოზი ჭაბუკი, რომელმაც დაუძღვევლი სვეტი ზეცაში აიტანა. შემდეგ ეს სვეტი დაეშვა დედამიწაზე „ცეცხლოვანი სახით“, და „დაეფუძნა“ სიდონიას საფლავზე ამოსული ნაძვის ხის გადანაჭერზე.

სწორედ ეს ტაძარია სვეტიცხოველი. ის აგებულია 12 მოციქულის სახელზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ის არის ახალი ისრაელის ტაძარი.

სვეტიცხოვლის ძველ ფენაში, მართლაც აღმოჩენილია შვიდ-სვეტიანი ეკლესიის არქეოლოგიური ნაშთი.

ქრისტიანობის მსოფლიო რელიგად ჩამოყალიბებამ მორწმუნეთათვის იესოს კვართ-სამოსელი აქცია უმაღლესი რელიგიური სიწმინდისა და თაყვანისცემის ობიექტად [11, გვ. 339].

მცხეთა, სადაც დაკრძალულია უფლის კვართი, არის ახალი სარწმუნოების დადგინების ადგილი, ანუ ადგილი ახალი სარწმუნოების მატარებელი ხალხისა. ირკვევა, რომ უმნიშვნელოვანესი ქრისტიანული რელიკვიის - უფლის წმ. კვართის ადგილსამყფლად ადრეც და დღესაც ქრისტიანული რელიგიის მესვეურთათვის მიჩნეული იყო მცხეთის მიწა და საზოგადოდ კი — საქართველო [11, გვ. 340].

თავი 6

ქართული ენის შესახებ

შესავალი

ბიბლიის მიხედვით, ღვთის მიერ პირველშექმნილი ადამიანების საცხოვრისს წარმოადგენდა სამოთხე — ედემის ბაღი, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, ძველი ხალხების მიერ, ქალღვეველ ქართველთა პირველსამშობლოს ტერიტორიულ სივრცეში იყო გააზრებული. ანთროპოლოგიური კვლევების შედეგებით კი ჩანს, რომ მოაზროვნე ადამიანების წარმოშობა მოხდა დედამიწის ხუთივე კონტინენტზე [11, გვ. 465].

ქრისტიანობის მსოფლიო რელიგიად ჩამოყალიბების შემდეგ კაცობრიობის უდიდეს ნაწილში ბიბლიაზე დაყრდნობით ჩამოყალიბდა შეხედულება ებრაული ენის როგორც „ერთადერთი ღვთიური ფუძე-ენის“ შესახებ, რომლისაგაც წარმოიშვა თითქოსდა ყველა არსებული ენა, რაც ემყარებოდა ხალხთა ერთიანი წარმომავლობის ბიბლიურ დოქტრინას [11, გვ. 445].

ჩვენი წელთაღრიცხვის პირველივე საუკუნეებში გაჩნდა კითხვები: რა ენაზე თქვა ღმერთმა ფრაზა — „იყოს ნათელი!“, ან რა ენაზე უწოდა ღმერთმა ნათელს „დღე“, ხოლო ბნელს — „ღამე“. ან რა ენაზე დაარქვა ადამმა, როგორც ადამიანმა, სახელები ღვთის ქმნილებებს?

საყოველთაოდ მიღებულად ითვლება, რომ მსოფლიო ენები წარმოიქმნენ „ერთპირ და ერთ ენაზე მეტყველი ერთი ხალხის“ ენის „აღრვეის“ შედეგად. ენათმეცნიერებს სურთ გამოიკვლიონ კაცობრიობის პირველადი ენა [33, გვ. 19].

გამოჩენილი მეცნიერები რწმუნდებიან, რომ კაცობრიობის ორი უმთავრესი რასის სემიტურისა და ინდოგერმანელების ფუძე ენები გამოსულნი არიან ერთი საერთო პირველწყაროდან. თუ როგორი იყო ეს პირველყოფილი ენა – მთელი კაცობრიობის, ძველ ღვთისმეტყველთა და თანამედროვე ლინგვისტების ძიების საგანს წარმოადგენს [33, გვ. 16].

6. ქართული ენის შესახებ

ბიბლიის მიხედვით, ბაბილონის გოდოლის დანგრევამდე კაცობრიობას ერთი საერთო ენა, ადამის ენა, ჰქონდა. ადამის ენას ბაბილონის გოდოლის დანგრევამდე მიუღწევია, შემდეგ იგი დაშლილა და მისგან სხვადასხვა ენები წარმოშობილა. ბაბილონის გოდოლის ისტორია ბიბლიაში იმდენად მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, რომ კაცობრიობის საერთო ენის არსებობის თემა არასოდეს დამდგარა ეჭვქვეშ. ამიტომ ბაბილონში პროტოენის დაშლის ისტორია იმდენად შთამბეჭდავადაა წარმოდგენილი, რომ ყველა ეპოქაში იგი მოაზროვნეთა ამოსავალ დებულებას წარმოადგენდა. ორ ათასწლეულზე მეტია კაცობრიობა ცდილობს გაარკვიოს თუ რომელი იყო ის ენა, რომელზედაც, ბაბილონში დაშლამდე, მთელი კაცობრიობა ლაპარაკობდა.

მიჩნეულია, რომ ნოე ადამის ენაზე მეტყველებდა, რომელიც შემდეგ თავის შთამომავლებს გადასცა.

ბაბილონის გოდოლის დაცემის შემდეგ, ენათა აღრევის შედეგად წარმოქმნილი ხალხები „უფალმა ღმერთმა გაფანტა მთელ დედამიწაზე“. დაბადებაში მოხსენიებულია თობელები და მოსოხები, რომლებიც მიჩნეულნი არიან პროტოქართველებად. შესძლეს თუ არა პროტო-ქართველებმა გაფანტვის შემდეგ თავიანთი ეთნიკური სახის შენარჩუნება და რომელ ქვეყანაში ჩანს მათი კვალი? ეს საკითხი ყოველთვის აინტერესებდათ ეკლესიის მამებს, ისტორიკოსებსა და ლინგვისტებს [33, გვ. 18].

ახალი წელთაღრიცხვის პირველივე საუკუნეებში, ბუნებრივად დამკვიდრდა მოსაზრება, რომ პირველადი ენა ებრაული იყო. ეს დებულება ჭეშმარიტად მიაჩნდათ, როგორც ებრაელ, ისე ქრისტიან მოაზროვნეებს. ამ მოსაზრებას ისიც აძლიერებდა, რომ ებრაელებს გააჩნდათ ერთ-ერთი უძველესი ანბანური სისტემა, რომელშიც ყოველი ასო და ბგერა ღრმა მისტიკური ინტერპრეტაციის საშუალებას იძლეოდა. მისი ასოების გრაფიკული მოხაზულობა, რიცხვითი მნიშვნელობა, განლაგების ადგილი და მათი კომბინირება ძალზე შთამბეჭდავად გადმოსცემდა სამყაროს უღრმეს საიდუმლოებებს [24, გვ. 7].

მაგრამ, მალე ებრაულ ენას სერიოზული კონკურენტები გამოუჩნდნენ, ჯერ ბერძნული და ლათინური ენების სახით, ხოლო შემდეგ ირლანდიური ენის სახით [24, გვ. 8].

შემდეგ, სხვა ევროპული ენების წარმომადგენლებმაც განაცხადეს, რომ მათი ენა ყველაზე ახლოა ადამის ენასთან. XVII-XVIII საუკუნეებში მეცნიერული აზრი გაჯერებული იყო სხვადასხვა ეროვნული ენების ადამის ენად წარმოდგენის ჰიპოთეზებით [24, გვ. 12].

მას შემდეგ, რაც ენათმეცნიერება დამოუკიდებელ დისციპლინად გამოყალიბდა, იგი ბუნებრივად მიადგა იმ პრობლემებს, რომელთა წინაშეც ათეული საუკუნეების განმავლობაში იდგნენ ძველი მოაზროვნეებიც. ენათმეცნიერებს სურთ გამოიკვლიონ კაცობრიობის პირველადი ენა.

ნ. მარის მოწაფეთა თვალსაზრისით, ენათა შორის მსოფლიო კავშირის იდეის დასაბუთება ენათმეცნიერებაში დაწყებულია ქართული ენის ბუნებისა და თვისების გამოკვლევის შემდგომ [33, გვ. 19].

ისმის კითხვა: რა ადგილი უჭირავს ქართული ენის შესწავლას მსოფლიოს სხვა ენების მიმართ? აღმოჩნდა, რომ ქართული ენა გაჟღერებულია უძველესი ეპოქების ჩარჩენილობებით, რელიქტური კავშირებითა და ელემენტებით, გარდმონაცხოვრით.

ნ. მარს ქართული ენის ბუნების შეცნობის შემდეგ სწორედ ამოუკითხავს „მსოფლიო ენათა განვითარების კულტურული შუბლი“. ნ. მარს მიაჩნდა, რომ ქართული ენის შეუსწავლად, მის მიერ აღმოჩენილ საშუალებათა გაუცნობიერებლად, კაცობრიობის ვერც ერთი კულტურული სიძველის საკითხი ვერ გადაიჭრება. მას სურდა მსოფლიო ენათა შორის ქართული ენის თავდაპირველობის წარმოჩინება [33, გვ. 20].

ენათმეცნიერების მნიშვნელოვანი ნაწილის გამოწველივი გამოკვლევის შედეგად შეიძლება დაგუშვათ, რომ ბაბილონის გოდოლის დაქცევის შემდეგ, პროტოქართული ენის მატარებელი ეთნოსის ერთი ნაწილი დარჩა წინა აზიაში, ხოლო სხვები დაიფანტნენ დედამიწის ზურგზე, კერძოდ დასახლდნენ კავკასიაში, ხმელთაშუა ზღვის-პირეთის ქვეყნებში, ბალკანეთში, აპენინისა და პირინეის ნახევარკუნძულებზე. მათ, როგორც ენათმეცნიერთა გამოკვლევებიდან ჩანს, შეუნარჩუნებიათ თავიანთი ეთნიკური სახე და, გარკვეულ დრომდე, ენაც [33, გვ. 24].

ენათმეცნიერებამ თავისი კვლევის მეთოდები ლოგიკური აზ-

6. ქართული ენის შესახებ

როვნების აპარატზე დააფუძნა. იგი იკვლევს არა მხოლოდ არსებულ განსხვავებებს ენათა შორის, არამედ მათ მსგავსებასაც. სწორედ ამ მსგავსებათა ანალიზის შედეგად დადგინდა იქნა, რომ თურმე ერთმანეთისაგან დიდად დაშორებულ ქვეყნებშიც კი ხშირად მონათესავე ენებზე ლაპარაკობენ. ასე აღმოაჩინეს ენათა ისეთი დიდი ოჯახები, როგორცაა: ინდოევროპული, სემიტური და სხვა. ამ ოჯახების შემდგომმა შედარებამ მათ შორის არსებული საერთო ნიშნებიც აღმოაჩინა. ამიტომ ბევრი მეცნიერი უკვე ალაპარაკდა ყველა ენათა საერთო ნათესაობაზე [24, გვ. 14].

ბიბლიური წარმოდგენების მსგავსად, აღმოსავლეთშიც არსებობს რწმენა იმისა, რომ ოდესღაც კაცობრიობა ერთ საერთო ენაზე ლაპარაკობდა. ამ წარმოდგენის მიხედვით, კაცობრიობის ეს წინარე ენა, ისეთივე ბუნებრივი ენა იყო, როგორც დღეს ჩიტების და ცხოველების ენაა. იგი ბუნებრივად გამოხატავს ადამიანის გრძნობებსა და მოთხოვნებს. ცხადია, ის არ იქნებოდა რთული აგებულების. ასეთი პროენა გამოხატული იყო ცალკეული ბგერებისა და მარცვლების ბუნებრივი მნიშვნელობებით. ცალკეულ ბგერასა და მარცვალს შეესაბამებოდა თავისი შინაარსი. ადამიანები მათი გარკვეული ინტონაციით წარმოთქმით გამოხატავდნენ საკუთარ გრძნობებსა და განცდებს, სიხარულსა და მრისხანებას, მოსალოდნელ საშიშროებასა და სიხარულს. შემდგომში, კაცობრიობის ევოლუციის პროცესში, ადამიანს მეტყველებით უფრო და უფრო მეტი ჰქონდა სათქმელი და თანდათან ენაც გაფართოვდა, სიტყვების რაოდენობაც გაიზარდა [24, გვ. 20].

აღმოსავლეთის მოძღვრებაში ძალზე ღრმად იყო გაცნობიერებული ის ფაქტი, რომ წმიდა სიტყვები და მარცვლები არ შეიძლება მიეკუთვნოს ერთ სამეტყველო ენას. იგი ზოგადსაკაცობრიო კუთვნილებაა. ყოველ ენას თავად შეუძლია მოიპოვოს იგი. ცხადია, ყველა ხალხსა და ენას (ცხოვრების სხვადასხვა გეოგრაფიული და ისტორიული გარემოებების გამო) თავისებურებები გააჩნია და სიტყვების ფორმირებაც ამ თავისებურებებს ეფუძნება, რაც, თავის მხრივ, საფუძველია ენათა მრავალფეროვნებისა [24, გვ. 21].

ოთ. ქვრივიშვილი დაწვრილებით განიხილავს მრავალ ასპექტს, რომელიც სიტყვის წარმოქმნაზე მოქმედებს და ასკვნის: ცხადია, რომ ასეთ პირობებში ძალზე ძნელია ცალკეული სიტყვების წარმოშობის წარსულს მივდიოთ, მაგრამ, შესაძლებელია, ლექსიკის გარკვეული კლასიფიკაცია, სიტყვათა წარმომავლობის გათვალისწინებით [24, გვ. 31].

1 ენის წარმოშობის ბუნებრივი გზა

სტატისტიკური მონაცემებით დადამიწაზე მცხოვრებ 7,5 მილიარდ ადამიანში გამოიყოფა 13523 ხალხი. ენათმეცნიერთა მიერ დედამიწაზე აღნუსხულია 6914 ენა. აქედან 310 ენა მკვდარ ენად ითვლება. ხოლო 71 ენაზე ლაპარაკობს 2 მილიონამდე ადამიანი, რომლებიც გაბნეულნი არიან მცირე ეთნიკურ ჯგუფებად დედამიწის სხვადასხვა კუთხეში. ანუ ეთნოსთა მხოლოდ 40%-ს გააჩნია საკუთარი სამეტყველო ენა. რაც იმაზე მიუთითებს, რომ ენა თავისი გამართული სახით ლექსიკური მარაგის სიმდიდრით და დახვეწილი გრამატიკული წყობით, უძველეს დროში ყველა ეთნოსს სრულყოფილად არ ჩამოუყალიბებია [11, გვ. 469].

პირველი სიტყვა ადამიანის გონებაში დაიბადა მისი ბუნებასთან მიმართების პირობებში. ანუ ის არქმევდა სახელებს იმ საგნებს, რაც მას გარს ერტყა. ამ სახელებმა შექმნა ის ლექსიკური მარაგი, რაც გახდა სამეტყველო ენის საფუძველი [11, გვ. 468].

ცოცხალ ორგანიზმებზე დაკვირვება წარმოაჩენს, რომ დედამიწაზე არსებობს „გონება“, როგორც მატერიის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც ხასიათდება ინტელექტის სხვადასხვა დონით. ინტელექტი, განვითარების სხვადასხვა დონით, ყველა ცოცხალ არსებას ახასიათებს, ხოლო ადამიანი არის უმაღლესი ინტელექტის მქონე მოაზროვნე არსება.

ადამიანური შრომა იმით განსხვავდება ცხოველური შრომისაგან, რომ ის წარმოადგენს აზროვნების მემკვიდრით წარმართულ გეგმაზომიერ პროცესს. ასეთებია თუნდაც მიწათმოქმედება და მეჯოგეობა.

შრომამ კი არ შექმნა მოაზროვნე ადამიანი, არამედ პირიქით

6. ქართული ენის შესახებ

— აზროვნებამ შექმნა შრომა, ხოლო უმაღლესი ინტელექტის მქონე არსებამ — ადამიანმა უმარტივეს ბიოლოგიურ ინსტიქტებზე დაფუძნებული შრომითი პროცესი გარდაქმნა რთულ, გონებაში წინასწარ დაგეგმილი შრომის სახედ.

ადამიანი არის მოაზროვნე არსება, რომლის გონება დაჯილდოებულია შემოქმედებითი ბუნებით, რომელმაც განაპირობა კაცობრიობის განვითარება პრიმიტიული ცხოვრების სახიდან, განსაცვიფრებელი ტექნოლოგიური და ტექნიკური საშუალებების მქონე თანამედროვე ცივილიზაციამდე. ადამიანის გონებაა შემოქმედი იმ სულიერი ღირებულობებისა, რომელშიც ენა და მწიგნობრობაობა იგულისხმება [11, გვ. 468].

სიტყვათწარმოქმნის საშუალებები. არსებობს სიტყვათ წარმოქმნის რამდენიმე საშუალება. ოთ. ქვრივიშვილი განიხილავს სიტყვათწარმოქმნის შემდეგ საშუალებებს:

„ხმაბაძვითი“ სიტყვები. ბგერათმეცყველებით გარემოს ასახვის ყველაზე პრიმიტიული გამოვლინებაა მიბაძვა. ეს თვისება ადამიანის ქვეცნობიერ სფეროს უკავშირდება. მეცყველების ეს ფორმა დამახასიათებელია მცირეწლოვანი ბავშვებისათვის, როცა ისინი რაიმე საგნებს, ან მოვლენებს სახელებს იმის მიხედვით არქმევენ, როგორც ისინი ხმოვანებით გამოცემენ. ამიტომაც, რომ ისინი ძალღს „აუას“ ეძახიან. ხმის მიბაძვით მიღებული სიტყვები ყველა ერთი მრავლად მოიპოვება. ეს ის სიტყვებია, რომლებში შემავალი ბგერებიც პირველყოფილი სახით გადმოსცემენ სიტყვის შინაარსს. როცა ენაში რომელიმე საგნის ან მოვლენის ამსახველი სიტყვა შეესაბამება იმავე საგნის (ობიექტის), ან მოვლენის რაიმე მნიშვნელოვან თვისებას, ან წარმოადგენს მისი ფუნქცია-დანიშნულების ასახვას. ამ შემთხვევაში სიტყვის შინაარსი მასში შემავალი ბგერების მნიშვნელობების პირდაპირ გამოხატულებას წარმოადგენს. ენების საფუძვლების მსგავსებაზე საუბრისას, სწორედ სიტყვების ეს კლასია გასათვალისწინებელი, რადგან ცალკეული ბგერების მნიშვნელობები მათში, ძირითადად, საერთოა. ამგვარი სიტყვები, ხშირად მოკლეა, მცირემარცვლოვანი და ზოგჯერ ერთმარცვლოვანიც კი. ეს სიტყვები ყველა ენაშია და სხვადასხვა მოვლენებს გამოხატავს. ხშირად ამგვარ სიტყვებში კონკრეტული ბგერების შინაარსები გარკვე-

ული კანონზომიერებით კავშირშია შესაბამის მოვლენასთან ან არსებასთან [24, გვ. 32].

ქართულ ენაში ხმამობაძვითი სიტყვების მაგალითებია: კაკანი, კაკუნი, წივწივი, წიკწიკი, ყიყინი, სისინი, ზუზუნი, წკავწკავი, ყროყინი, ყარყარი, შიშინი, ჩურჩული, ჭრიჭინი, ღრღნა, ღრუტუნი, ხრამუნი და სხვა.

„მიმსგავსებითი“ სიტყვები. „მიმსგავსებითი“ სიტყვები იქმნება ერთი ცნებიდან წარმოშობილი ასოციაციის გადატანით სხვა ცნებაზე. მაგალითად, თევზის ერთ-ერთ სახეობას ჰქვია „ხმალა“. რადგანაც ეს თევზი გარკვეული ნიშნით, კეძოდ, კონკრეტული ფორმით, იწვევს ხმლის ასოციაციას.

„ნასესხები“ სიტყვები. ეს ის სიტყვებია, რომლებიც ერთი ენიდან მეორეში გადადის. ხშირად მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი იმდენად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, რომ ენები ვეღარ ასწრებენ შესაბამისი ლექსიკის საკუთარ ენობრივ წიაღში გამოუმუშავებას და ხშირად ტერმინს მექანიკურად სხვა ენიდან იღებენ.

„ხელოვნური“ და მიზანდასახულად შექმნილი სიტყვები. ეს სიტყვები შეიძლება წარმოიშვას ახალი ცნების გაჩენისას და ძირითადად, ტერმინების სახით არსებობენ. მათ შეიძლება ჰყავდეთ კონკრეტული ავტორი, რომელიც პირადი შეხედულებით, ამა თუ იმ საგანს, ან მოვლენას არქმევს სახელს. ასე შექმნილი სიტყვები მეტყველებაში მექანიკურად მკვიდრდება. არსებობენ მიზანდასახულად შექმნილი სიტყვები. მაგალითად, ქურუმების მიერ გარკვეული მიზნითა და მეთოდით შექმნილი სიტყვები.

ხმოვნების არქაული მნიშვნელობები. სამეტყველო ენაში არსებობენ ხმოვანი და თანხმოვანი ბგერები. მიუხედავად იმისა, რომ მეტყველებაში ხმოვნები და თანხმოვნები ყოველთვის შერეული სახით არსებობენ, მათი ზოგადი თვისებების განხილვისას, აშკარაა, რომ ბგერათა ეს ორი ჯგუფი ერთმანეთს ემიჯნება. ხმოვნები ადამიანში გამოხატავენ იმას, რაც მასში გრძნობებისა და ემოციების სახით არსებობს. მაგალითად, სიმღერისას ადამიანი ესწრაფვის თავისი გრძნობების გადმოღვრას შიგნიდან გარეთ. ამას იგი ახერხებს ხმოვნების მეშვეობით. აშკარაა, რომ

6. ქართული ენის შესახებ

თითოეული ხმოვანი (ცალკე აღებულიც კი) ნათლად გადმოსცემს ადამიანის შინაგან განწყობას (ო...! ა...! ი...! ე...! უ...!). ამავ დროს, ეს ერთბგერიანი „სიტყვები“ მთელი კაცობრიობისათვის ერთსა და იმავეს გამოხატავს [24, გვ. 39].

შეიძლება მოკლედ განვიხილოთ ცალკეული ხმოვნების მნიშვნელობები.

ბგერა A (ა). ცალკე მდგომი ა-ბგერა, სხვა ხმოვნების მსგავსად, დამოუკიდებელი, დასრულებული შინაარსის შემცველია. ა-ბგერით ადამიანი გამოხატავს გაოცებას, გაკვირვებას: ა!

სიტყვები, რომლითაც ადამიანი ღმერთს აღიძებს, ხშირად ა-ბგერით გამოისახება. ერთადერთი არსება, ვისაც დედამიწაზე გაოცება შეუძლია, ღმერთის მსგავსი არსება – ადამიანია. უძველეს მისტიკურ წარმოდგენებში, ბგერა ა ადამიანთან ასოცირდება. ძველ ებრაულ ანბანში, პირველ ადგილზე მდგომი ასონიშანი „ალეფ“ ადამიანს ნიშნავს. თავად პირველი ადამიანის დასახელებაც სწორედ ამ ბგერით იწყება – „ადამ“ და ამ ბგერით გამოისახება. უძველეს მაიას კულტურაშიც პირველი მითოსური ადამიანი მსგავსი სიტყვით აღინიშნებოდა – „ანომ“ [24, გვ. 165].

განა უაღრესად მნიშვნელოვანი არ არის ის ფაქტი, რომ ქართულ ენაში, ადამიანის ცნება, სიტყვა „ადამიანი“-თ გამოიხატება. განა ეს არ მეტყველებს მის არქაულობაზე!

ასევე ინდური სიტყვა „მაია“-ც ა-ბგერის ერთ-ერთ ასპექტს წარმოადგენს. ეს სიტყვა ნიშნავს „დიად არარაობას“. ამ სიტყვაში ა უარყოფის გამომხატველი ბგერაა [24, გვ. 188].

ა - ბგერის ეს მნიშვნელობა ქართულ ენაშიც უარყოფის გამომხატველია ნაწილაკების „არ“, „არა“ -ს სახით. იგივე მნიშვნელობით იხმარება თავსართი ნაწილაკიც - „ა“ (პოლიტიკოსი - ა-პოლიტიკოსი).

ბგერა I (ი). ი ბგერის წარმოთქმა უკავშირდება რალაცისკენ სწრაფვას, რალაცასთან შეერთების სურვილს. ის არის ღვთაებისკენ სწრაფვის ტენდენციის გამომხატველი. ეს თვისება კარგადაა გამოხატული ქართულ სიტყვიერებაში: ის; იქ; იქით, ...

ი ბგერა გამოხატავს ადამიანის მსუბუქ სიხარულს. მაგალითად, ის მკვეთრადაა გამოკვეთილი ადამიანის მსუბუქი სიცილისას, ჩაცინების დროს [24, გვ. 168].

ბგერა E (ე). ე ბგერა ემოციის დონეზე გამოხატავს ერთგვარ მსუბუქ სასიხარულო გაკვირვებას. ეს გამოიხატება ცალკე მდგომი დამოუკიდებელი ბგერითაც – ე! ბგერა ე -ს წარმოთქმისას ადამიანი საკუთარ თავს გამოყოფს გარემოსგან. იგი თავის „მე“-ს ამალღებულად განიცდის. ამ ასოციაციას ცალსახად გამოხატავს ქართული სიტყვა – **მე**. ბგერაში ე გამოხატულია უფლისადმი მარადიული ლოცვითი თაყვანისცემა. ქართულ ასომთავრულ ანბანში ასო-ნიშანი ე მე-5 ადგილზეა და რიცხვს 5-ს გამოხატავს. მისი მისტიკური მნიშვნელობა დაკავშირებულია საკრალურ ცნებასთან „**მხსნელ**“-ი. ქართულ სიტყვიერებაშიც ხომ ცნება „მხსნელ-ი“-ს გამოხატველ სიტყვაში ბგერა ე ერთადერთი ხმოვანია (აქ ბგერა ი სიტყვის სახელობითი ბრუნვის ნიშანია) [24, გვ. 169]. შემთხვევითი არ უნდა იყოს ბგერა ე-ს არსებობა ქართულ სიტყვებში „ერთ-ი“ და „ღმერთ-ი“.

U(უ) ბგერა. ბგერა უ სულიერ სფეროსთან მიმართებაში იძლევა მთელი ღვთაებრივი სამყაროს განცდის სურვილს, იგი განაცხადებს ღვთაებრივ სიმშვიდეს. უ-ბგერის თანამახასიათებელია სიმშვიდისა და დუმილის მდგომარეობა. უ ბგერის თვისება ზუსტადაა გამოხატული ქართულ სიტყვებში: უფალი, სუფევა, სასუფეველი, დუმილი, ჩუმი [24, გვ. 170].

ბგერა O(ო). ბგერით **ო**, ადამიანი გარე სამყაროს აღქმას ცდილობს. ეს განცდა ყოვლისმომცველია. ადამიანი თითქოს სიყვარულის გრძნობით ცდილობს ყოველივე მის ირგვლივ არსებულის მოცვას [24, გვ. 170].

ო-ბგერის ეს თვისება გამოხატულია ქართული სიტყვებით: სოფელი, მსოფლიო და საეთაშორისო სიტყვით „კოსმოსი“. არც ისაა შემთხვევითი, რომ ბევრ ანბანში „ო“ ასო-ნიშანს მომრგვალებული წრიული ფორმა აქვს. ქართულ ასომთავრულშიც „ო“ ასო-ნიშანს — **ღ** წრიული ფორმა აქვს, მცირე განსხვავებით.

ო-ბგერის წარმოთქმისას ადამიანი განიცდის მოულოდნელ გაოცებას. საგანი მოულოდნელად გაცხადდება და მის მიმართ ადამიანის დამოკიდებულება გაურკვეველი, ხშირად ნეგატიურიც შეიძლება იყოს – **ო!**, განსხვავებით ა ბგერაში განცდილი ისეთი გაკვირვებისაგან, რომელსაც ადამიანი სიხარულით იღებს – **ა!** [24, გვ. 171].

თანმოვნების არქაული მნიშვნელობანი. თანმოვანი ბგერები საგანთა და მოვლენათა გარკვეულ ფორმებსა და თვისებებს შეესაბამებიან. თანმოვნების მეშვეობით ადამიანი აზმოვანებს იმ განწყობილებას, რასაც წარმოასახავს და გამოხატავს გარეგანი საგნებისა და მოვლენების მიმართ, რადგანაც ეს განწყობილებები სხვადასხვა ადამიანში, ერთსა და იმავე მოვლენის მიმართაც კი, შეიძლება სრულიდ სხვადასხვანაირი იყოს, მათ ისინი გამოხატავენ სხვადასხვა თანმოვნების მეშვეობით, ანუ სრულიად სხვადასხვა სიტყვებით. თანმოვნები განსაზღვრავენ სიტყვის შინაარსს. სხვადასხვა ენაში თანმოვანთა რაოდენობა განსხვავებულია. ზოგი თანმოვანი თითქმის ყველა ენაში გვხვდება, ზოგი კი მხოლოდ ცალკეულ ენებში არსებობს. სხვა ენებთან შედარებით, ყველაზე მეტი თანმოვანი ქართულ ენაშია. ქართული ანბანური ჯგუფი შეიცავს სხვა ენებისაგან განსხვავებულ თანმოვნებსაც: **ღ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჭ, ხ, ჰ, ჯ.**

D, T (დ, ტ) ბგერების მნიშვნელობა. ოთ. ქვრივიშვილის მიხედვით, **დ** და **ტ** ბგერები გამოსახავენ რაღაც ისეთს, რის მიმართაც ადამიანს აქვს ისეთი განცდა, რომ თითქოს ის წარმოადგენს **ზეციურის გამოვლინებას** ხილულ სამყაროში [24, გვ. 50].

დ ბგერის მეშვეობით გამოიხატება ცნება „ბედი“, რომელიც ამ ქვეყნად, ყველა ხალხის აზრით, ზეციური ნების მიხედვით ვლინდება. ამ განწყობილებას საოცარი სიზუსტით გამოხატავს ქართული სიტყვა „ბედი“. ანალოგიურადაა გამოხატული ცნება „ბედი“ ბევრ სხვა ენებშიც [24, გვ. 54].

ასეთივე მდგომარეობას აქვს ადგილი ზეციური წესრიგის გამოხატველი სიტყვების: „ადათი“, „მადლი“, „დღე“-ს შემთხვევაში. ზენა მოქმედების მიწიერში გამოვლინების შედეგს წარმოადგენს ადამიანის შექმნა, რასაც ებრაული ტრადიციის მიხედვით, „ადამი“ ეწოდა. (არის სხვა მოსაზრებაც: სიტყვა ადამი ქალდეურ-ქართული სიტყვაა). ადამიანის დედამიწაზე დაბადება ღვთაებრივი აქტია – სული ღვთაებრივი სამყაროდან ეშვება და მინერალურ სამყოფელში იბუდება. **დედამიწაზე დაბადება** ზეციური გამოწვევის შედეგია, მაგრამ იგი ფიზიკურად დედის მეშვეობით ხორციელდება. იგი, უპირველეს ყოვლისა, სიტყვა

დედაში ვლინდება. სწორედ ამიტომაც ქართულ ენაში გვაქვს სიტყვები - „დედა“, „დიდედა“, „დაბადება“, სადაც ხაზგასმულად დომინირებს ბგერა **დ**. ამ სიტყვებში ბგერა **ე** ემოციის დონეზე გამოხატავს ერთგვარ მსუბუქ სასიხარულო გაკვირვებას.

G, K, Q (გ,კ, ქ და ყ) ბგერების მნიშვნელობა. ოთ. ქვრივიშვილის მიხედვით, ენების უმრავლესობაში ამ ბგერებით გამოიხატება სიმაგრე, სიმყარე და სიმკვრივე. ამ აზრს კარგად გამოხატავენ შემდეგი ქართული სიტყვებიც: მაგარი, მკვრივი, მტკიცე, მყარი, საყრდენი, კედელი, კლდე, კლიტე, კუ, კურკა, კაკალი, გალავანი, ქალა, ქვა, საძირკველი, ყორე ... მცენარეულ სამყაროში **გ,კ, ქ-ს** შინაარსი ყველაზე ხაზგასმულად გამოიხატება ნაყოფის ისეთ მკვრივ ნაწილში, როგორცაა **კურკა**. იგი თავის თავში მტკიცედ ინახავს შესაბამისი მცენარის ყველა ნიშანთვისებებს, თესლის სახით. **კურკის** ეს სიმყარე თითქმის ყველა ენაში მულავნდება მის დასახელებაში [24, გვ. 69].

S (ს) ბგერის მნიშვნელობა. ოთ. ქვრივიშვილის მიხედვით, **ს** ბგერაში ორ, ერთმანეთისაგან თითქოსდა დიდად განსხვავებულ ძალას ხედავენ. ერთი მხრივ, მას გააჩნია დამამშვიდებელი მნიშვნელობა. აღვზნებული ბავშვის დამშვიდებისათვის ძალზე ეფექტურია ამ ერთი ბგერის წარმოთქმაც კი: „სსს...!“.

მეორე მხრივ, **ს-ბგერის** მთავარი თვისებაა წონასწორობა შეუნარჩუნოს ყოველივე მას, რაც წონასწორობას კარგავს, ეცემა. ასო **ს** გამოხატავს იმ ძალას, რომელსაც ძალუძს მიწაზე მხოლავი გველიც კი წამოაყენოს და ვერტიკალურ მდგომარეობაში ამყოფოს. **ს-ბგერა** გამოხატავს საგნის ვერტიკალურობის თვისებას: სწორად, სვეტი, სარი. **სარი-ს** დანიშნულებაა ვერტიკალურად ჩაერჭოს და რომელიმე, მიწაზე გართხმის ტენდენციის მქონე მცენარე, ვერტიკალურად აამაღლოს. **ს-ბგერის** ვერტიკალურობის ნიშანი ზუსტადაა გამოხატული ქართულ ასო-ნიშნებში. **ს-ბგერა** სიტყვა „სარი“-ში ზუსტად გამოხატავს მის პირველად შინაარსს. ანალოგიური შინაარსია მოცემული სიტყვებში - „სწორი“ და „სვეტი“ [24, გვ. 102].

B (ბ) ბგერის შესახებ ოთ. ქვრივიშვილის აზრით, ბგერა **ბ** გამოხატავს თავშესაფარს, ქონს. სემიტურ ანბანში ასო **ბ-ს** დასახელება bet ნიშნავს „სახლს“. ქართულ ანბანში ასო **ბ-ს**

6. ქართული ენის შესახებ

დასახელებაა – „ბან“, ანუ „ბანი“, ანუ ადამიანის საცხოვრისი. ამის შესაბამისია ქართული სიტყვები: ბინა, ბუდე, ბოსელი, ბუნაგი, ბაგა, ბედელი, ბანაკი, ამბარი, ქვაბული, კიდობანი და ა. შ. ანალოგიური სიტუაციაა სხვა ენებშიც.

R(რ) ბგერის შესახებ ოთ. ქვრივიშვილის მიხედვით, თვით **რ** ბგერის წარმოთქმაც თავისთავად ვიბრირებადი პროცესია, რომელიც ხორხში წარმოიქმნება. ეს ფაქტი ქართულ ენაში შემდეგი სიტყვებით გამოიხატება: ხორხი, ბგერა, ხვრინვა, ხრიალი, ხროტინი, ხანხარი და სხვა. ოთ. ქვრივიშვილის აზრით, **რ**-ბგერა არის მთრთოლი ბგერა, რომელიც ღრმად უკავშირდება ყველა იმ პროცესს, რაც ადამიანში რიტმს განსაზღვრავს. ეს არის სუნთქვის რიტმი. **რ**-ბგერის წარმოთქმისას ადამიანს აქვს განცდა იმისა, რომ მასში რაღაც ირხევა, რაღაც რიტმულად ვიბრირებს [24, გვ. 121].

ქართულ ენაში ჰაერის მოძრაობაც ბგერა **რ**-სთან არის დაკავშირებული, რადგან ბუნებაშიც მას იმპულსური და მთრთოლი (ვიბრირებადი) ხასიათი აქვს: ჰაერი, ქარი, ქროლა, ბერვა. სხვა ენებშიც **რ**-ბგერით გამოიხატება ანალოგიური პროცესები [24, გვ. 122].

რიტმულ მოძრაობასთანაა დაკავშირებული სიტყვები: ფრენა, ფრინველი, ფრთა, მარაო, წრე, წრეწირი, რადიუსი, დიამეტრი, ორბიტა, რკალი, რგოლი, ღერძი, მრგვალი, ფარგალი, ბრუნვა, ბორბალი, ტრიალი, გორვა, გრენა, როკვა, რყევა, თრთოლვა, რწევა, ღრუტუნი, წრუწუნი, წრიპინი.

რიტმულ მოძრაობასა და ერთდროულად სიმაგრესთან (სიძლიერესთან) დაკავშირებული სიტყვებია: კარი, ქარი, ქროლა, ყროყინი, ყარყარი.

ადვილად შევამჩნევთ, რომ ქართული ასომთავრული ანბანის ასო **რ** გრაფიკული ფორმით სწორედ ბრუნვით მოძრაობას გამოიხატავს – **ჟ**.

ჩვენი აზრით, ბგერა **რ** ქართულ ენაში არა მარტო ბრუნვით და რიტმულ მოძრაობას, არამედ მდინარებასაც გამოიხატავს: ჩქერი, ჩანჩქერი, წყარო, მდინარე, (მტკვარი, იორი, არაგვი, თერგი, რიონი, ხრამი, ვერე და სხვა). ბგერა **რ** მჟღერ, ნარნარა ბგერას წარმოადგენს და წარმოთქმისას თითქოსდა მეორდება.

1. ენის წარმოშობის ბუნებრივი გზა

შესაბამისად, ბგერა **რ** ქართულ ენაში სიმრავლეს, განმეორებასა და გამრავლებასაც გამოხატავს: მრავალი, რიგი, მწკრივი, ჯარი, ბევრი, ფარა, ნახირი, ხროვა, გროვა, რემა, და სხვ.

წ - ბგერის შესახებ. ბგერა **წ** მარტო ქართული ენისთვისაა დამახასიათებელი და განსაკუთრებულ როლს ასრულებს, როგორც ქართულ ენაში, ისე ქართულ ანბანში. **წ**- ბგერა მკვეთრი ყრუ თანხმოვანია, გამოითქმის მოკლედ და მცირე სიმძლავრით. ჩვენი აზრით, ამ ბგერით გამოიხატება საგნის (ობიექტის) სიმცირე, სიმწირე, ან მოკლენის ხანმოკლეობა. მაგ: წვრილი, წვლილი, წერტილი, წიბო, წირი, ბეწვი, წიწვი, ხიწვი, წვერი, ნაწილაკი, წინ, წყალი, წამწამი, წამი, ნაწილი, წუთი, წმინდა, წამალი, წკეპლა, წიწილა, წივწივი, წკავწკავი, წრიპინი, წველა და სხვ.

წიწილა წივწივებს. აქ წწარმოადგენს ბგერას, რომელსაც გამოცემს წიწილა წივწივის დროს. ანუ სიტყვა „წივწივი“, ზუსტად ასახავს შესაბამის პროცესს, ხოლო სიტყვა „წიწილა“ – საგანს, რომელიც ერთის მხრივ ამ პროცესს იწვევს, ხოლო მეორე მხრივ ასახავს მის გარეგნულ ფორმას, როგორც საგანის სიმცირეს. ამრიგად, გამოთქმა „წიწილა წივწივებს“ ზუსტად ასახავს შესაბამის პროცესსაც და საგანსაც, სათანადო ბგერის გამოცემისა და სიმცირის თვალსაზრისით. ანალოგიურია აგრეთვე სიტყვები: წრუწუნა წრიპინებს.

თ, ფ - ბგერების შესახებ. ბგერები **თ** და **ფ** ყრუ, ფშვინვიერი თანხმოვნებია. ჩემი აზრით, ქართულ ენაში ბგერები **თ**, **ფ** გამოხატავენ სიგლუვეს, სინაზეს, სათუთობას, განფენილობას, ფართობას: თუთა, ფიფქი, ფერფლი, თოვლი, თათი, ფაფუკი, ფუნთუშა, ფერფლი, სიფრიფანა, თოთო, თივთიკი, ფოთოლი, თუთუნი, ფუთფუთი, ფაფა, ფართო, ჭაფა, ჭაფობი, თეფში, ფირფიტა, ფთილა¹.

ბგერა **თ**-ით გამოისახება ზეციური სფეროდან მომდინარე მზის ნათელი, ნათება, სინათლე, გათენება, განთიადი, დოგ-

¹ბგერა **თ** და **ფ**-ს შესაბამისი ასო-ნიშნები „თ“ და „ფ“ თავ-თავისი ფორმითაც კარგად შეესაბამებიან იმ დატვირთვასა და შინაარსს, რაც, ჩვენი აზრით, ამ ბგერების ფუნქციით განისაზღვრება.

6. ქართული ენის შესახებ

ლათი.

ჯ-ბგერა. ბგერა ჯ მჟღერი თანხმოვანია. იგი გამოხატავს ჯმუხობას, სიბლაგვეს, სიტლანქეს, უხემობას, სიმაგრეს. მაგ.: ჯმუხნი, ჯარგვალი, ჯაგანი, ჯავშანი, ჯაჭვი, ჯორი, ჯოჯო, ჯირკი, **ჯანჯალი**, ჯარგვალი, ჯალჯი, ჯლანი, ჯაყვა, ნაჯახი, ჯახუნი, ჯებირი, ჯართი, ჯიჯგი და სხვა².

ჰ - ბგერა უკავშირდება ადამიანის სუნთქვის პროცესს. მას გააჩნია გაფართოვებადი ბუნება. მისი ეს თვისება კარგად ჩანს ისეთ სიტყვაში, როგორიცაა – ჰაერი, ჰქრის. ჰდა რ ბგერები საოცარი სიზუსტით გადმოსცემენ ცნება ჰაერის, როგორც საგნის არსს. ჰაერი უმაღვე იკავებს იმ არეს მთელ მოცულობას, რომლითაც ის არის შემოსაზღვრული.

2 სიტყვების მიზანდასახულად ქმნალობა

არსებობს სიტყვაწარმოქმნის მიზანდასახული გზა, როცა სიბრძნისმეტყველები და ქურუმები, რომელთაც ხელეწიფებოდათ ახალი სიტყვების დაფუძნება, სიტყვის წამოქმნისას ხელმძღვანელობდნენ იმ მოსაზრებით, რომ საგნის ან მოვლენის შესატყვისი სიტყვა უნდა ყოფილიყო იმავე საგნის ან მოვლენის ძირითადი არსის, თვისების, მისი ფუნქციური დანიშნულების გამოხატველი ბგერათა წყობის მეშვეობით.

სიტყვა - „საქართველოს“ შესახებ. ლეონტი მროველის მიხედვით, ნოეს ერთ-ერთი შთამომავალი „ქართლოს მოვიდა პირველად ადგილსა მას, სადაც შეერთვის არაგვ მტკვარსა, და განვიდა მთასა მას ზედა, რომელსა ეწოდების არმაზი. და პირველად შექმნა მუნ ზედა სიმაგრე, და იშენა მუნ ზედა სახლი. და ვიდრე აღიმართებამდე მუნ ზედა კერპისა არმაზისა ერქვა მთასა მას **ქართლი**, და მის გამო ეწოდა ყოველსა ქართლსა ქართლი, ხუნანიტიდან ვიდრე ზღუამდე სპერისა“ [22].

ანუ ქართლოსმა „ყოველსა ქართლსა“ სახელი „ქართლი“ ეწოდა იმიტომ, რომ მან „ქართლი“-ს სახელით ცნობილ მთაზე

²ბგერა ჯ-ს შესაბამისი ასო-ნიშანი — ჯ თავისი დაჯღვარკული ფორმით კარგად შეესაბამება იმ დატვირთვასა და შინაარსს, რაც, ჩვენი აზრით, ბგერა ჯ-ს ფუნქციას შეესაბამება

2. სიტყვების მიზანდასახულად ქმნადობა

(ქედზე) აღმართა კერპი „არმაზი“. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ადგილობრივ მცხოვრებთათვის სახელწოდება „ქართლი“ ცნობილი იყო გაცილებით ადრეული ხანიდან. ჩვენის აზრით, სახელი „ქართლი“ შეიძლება რქმეოდა არა მარტო მთას, არამედ ამჟამინდელ „შიდა ქართლის“ ველსაც.

ამჟამინდელ მკვლევართა აზრით, ქართველების თვითსახელწოდებას „ქართველი//ქართი“ გააჩნია ოთხი ათას წელზე მეტი ხნოვანება. ეს ეთნონიმი პიველ რიგში გააზრებული უნდა იქნეს, როგორც გეოგრაფიული ტერმინი, რადგან ის თავისი შინაარსით ესადაგება იმ ბუნებრივ გარემოს, რომელშიც ცხოვრობდნენ პროტოქართველები [11, გვ. 48].

ავტორების კვლევით, ეთნონიმი „ქართი“ თავისი ეტიმოლოგიით იქნება „კლდოვანი მთა“, „ქედების მთა“, ან ზოგადად „მთიანეთი“. და საბოლოოდ გამოაქვთ დასკვნა, რომ ეთნონიმ „ქართის“ ეტიმოლოგიის ქრონოგრაფიული ისტორიის სახვადასხვა ეტაპის შესაბამისად მისი შინაარსია: მთიანეთი, მთების ქვეყანა; მთვარის ქვეყანა; შემოქმედის ქვეყანა; გმირთა ქვეყანი [11, გვ. 50].

გრ. გიორგაძის თვალსაზრისით, ადამიანთა ერთობა – ეთნოსი მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც ჩამოყალიბებულია არა მარტო თვითშეგნება, არამედ, როცა წარმოქმნილია თვითსახელწოდება, როგორც ეთნიკური ერთობის ფორმირების საწყისი ეტაპი. ეთნოსის თვითსახელწოდება შეიძლება გახდეს რომელიმე ტოპონიმის **თვითსახელწოდება**. სწორედ ასეთ შემთხვევას უნდა ჰქონოდა ადგილი **ქართველთა** თვითსახელწოდების წარმოქმნისას. ქართველ მეცნიერთა ნაწილი ქართველური ეთნოსის თვითსახელწოდებად მიიჩნევს „ქართლს“, რომელიც წარმოდგარი უნდა ყოფილიყო ტოპონიმიდან „ქართ“ — აქედან კი „მთა ქართლი“. ე. ი. ქართველურ ტომთა გაერთიანების ცენტრი, სახელწოდება, საიდანაც დასაბამს იღებს აღმოსავლურ-ქართული ერთობა [7, გვ. 161].

ანალოგიური აზრი, ქართულ ტოპონიმთან დაკავშირებით, გამოთქმულია ჩვენს მიერ შრომაში [25].

ქარი. ქართულ სიტყვიერებაში, სიტყვა „ქართლი“-სთან მიმართებაში, უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იქცევს სიტყვა

6. ქართული ენის შესახებ

„ქარ-ი“.

სიტყვა „ქარ“-ი ასახავს ჰაერის მოძრაობას, რომლის მთავარი მახასიათებელია დროში და სივრცეში ჩქარი გადაადგილება და რიტმულობა [24, გვ. 70].

ოთ. ქვრივიშვილის აზრით, სიტყვაში **ქ-ა-რ-ი**, ბგერა **ქ** გამოხატავს სიმაგრეს (**ქ-ვა**). რაც მიანიშნებს ჰაერის გადაადგილების დიდ სიჩქარესა და სიმძლავრეზე. ხოლო ბგერა **რ** გამოხატავს მის მოძრაობასა და რიტმულობას [24, გვ. 143].

ცარიელ სივრცეში ქროლვისას, ქარი გამოსცემს „ქრ,..ქრ, ქრ,..“-ს ხმის ბგერებს. ამ შემთხვევაში ქართული გამოთქმა „ქარი ჰქრის“ ზუსტად გამოხატავს ქარის ქროლვის ფიზიკურ მხარეს, მისი თვისებებისა და გამოცემული ხმის შესაბამისობის თვალსაზრისით.

„ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ფოთლები მიჰქრიან ქარდაქარ“.

რა კარგად შეესაბამება გალაქტიონის სიტყვებში ჩაქსოვილი აზრი ბუნებრივ პროცესსა და ბგერათა ჰარმონიას.

დავუკვირდეთ, ახლა რას უნდა ნიშნავდეს სიტყვები „ქართლი“ და „საქართველო“ – „სა-ქართ-ველო“ – „სა-ქართა-ველო“ – „სა-ქართა-ველი“ ანუ ადგილი სადაც ჰქრის ქარი.

წარმოვიდგინოთ ახლა გეოგრაფიული მდებარეობა შიდა ქართლისა, ანუ, საქართველოს გეოგრაფიული „გულისა“. ჩრდილოეთიდან მას საზღვრავს დიდი კავკასიონის ქედი, სამხრეთიდან სამხრეთ კავკასიონის შედარებით დაბალი ქართლის ქედი, დასავლეთიდან მას საზღვრავს შედარებით კიდევ უფრო მცირე სიმაღლის იმერეთის – ლიხის ქედი, რომელიც შიდა ქართლის ველს გამოყოფს დასავლეთ საქართველოს დაბლობისაგან. ამ დაბლობის სივრცულ გაგრძელებას კი შავი ზღვა, ხმელთაშუა ზღვა და წყნარი ოკეანე წარმოადგენს.

ასერომ, დასავლეთიდან წამოსული ჰაერის დიდი მასები ქარის სახით, ექცევა კანიონში და შედარებით დაბალი ზღუდის (იმერეთის ქედის) ადვილად გადალახვის შემდეგ თავისუფლად აღწევს ქართლის ველს. ეს ველი კი აღმოსავლეთიდან შედარებით დაბალი ქართლის ქედითა და მტკვრის ხეობით უშუალოდ ერთვის აღმოსავლეთის უკიდევანო სივრცეს ქვემო ქართლის

2. სიტყვების მიზანდასახულად ქმნადობა

ველით, აზერბაიჯანის დაბლობითა და კასპიის ზღვის გავლით. ამიტომ დასავლეთიდან წამოსული ჰაერის ნაკადი – ქარი თავისუფლად ჰქრის ქართლის ველზე. ანალოგიურად, აღმოსავლეთიდან წამოსული ჰაერის მასებიც თავისუფლად აღწევენ და, ქართლის ველის გავლით, გადადიან დასავლეთში აღმოსავლეთის ქარების სახით.

ამრიგად, ქართლის ველი წარმოადგენს „ქართა ველს“, სადაც ხან დასავლეთიდან და ხან აღმოსავლეთიდან, თითქმის ყოველთვის ჰქრის ქარი. ამიტომ, „საქართველო“ უნდა ნიშნავდეს „სა-ქართა-ველო“-ს. შესაბამისად, „ქართლი“ (შიდა „ქართლი“, ქვემო „ქართლი“) უნდა ნიშნავდეს შემოკლებით გამოთქმულ „ქართა ველს“. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა სახელი „ქართლი“ („ქართლის ქედი“) უწოდეს იმ მთასაც, რომელიც სამხრეთიდან საზღვრავს „ქართლის ველს“.

როგორც აღვნიშნეთ, ისტორიკოსების აზრით, სახელი „ქართლი“ კავკასიურ გეოგრაფიულ არეზე წარმოქმნილი ქვეყანაა. სავარაუდოა, რომ შუაბრინჯაოს ხანაში უნდა დაწინაურებულიყო „ქართუ“-ს ტომი, რომლის განსახლების ცენტრიც უნდა ყოფილიყო „მთა ქართლი“ (გვიანდელი „არმაზი“) — მცხეთის პირდაპირ, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე [3, გვ. 127].

ჩვენი მოსაზრებით, აქ ნახსენები სიტყვა „მთა ქართლი“ წარმოშობილია, ველთან დაკავშირებული სიტყვა „ქართლი“-სგან და არა პირიქით. სიტყვა „ქართლელი“ კი გამოხატავს „ქართლის ველზე“ მცხოვრებ ადგილობრივ მოსახლეობას.

ხოლო, როგორც ლეონტი მროველი მიგვანიშნებს, მას შემდეგ, რაც ქართლოსმა მთა „ქართლი“-ზე აღმართა არმაზის კერპი, სახელი „ქართლი“ მან უწოდა „ყოველსა ქართლსა“, რომელიც მოიცავდა შიდა ქართლისა და ლიხის მცხოვრები ქართული მოდგმის ხალხების მთელ ტერიტორიას [22].

მას შემდეგ, რაც მეფე ფარნავაზმა (284-219 წწ) გააერთიანა აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთსაქართველო, ქართული ენა სახელმწიფო ენად გამოაცხადა, რის გამოც ქართულის გარდა სხვა ენა ქართლში არ იხმარებოდა. მანვე შექმნა ქართული მწიგნობრობა [33, გვ. 83].

ცნობილია, რომ „ქართლის ცხოვრების“ მაჩაბლისეული

6. ქართული ენის შესახებ

(H-2135) ნუსხის მიხედვით: „ამან განავრცო ენა ქართლისა და არლა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულსა... ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული.“

რაც იმას ნიშნავს, რომ ქართლის დიალექტი საფუძვლად დაედო ზოგადქართულ მწიგნობრივ ენას.

ქართველი ქურუმების მიერ ქართული ჰემატრიის გამოყენებით მიზანმიმართულად შექმნილი შიტყვების შესახებ მოთხრობილა მერვე თავში.

3 ცალკეული სიტყვების ბგერათმეტყველება

ოთ. ქვრივიშვილის მოსაზრებით, ცხადია, სიტყვისაგან მომდინარე განცდა და შინაარსი მისი მხოლოდ ერთი ბგერით არ განისაზღვრება. არც ის იქნებოდა სწორი, ვიფიქროთ, რომ სიტყვაში შემავალი ყველა ბგერა ცალ-ცალკე შინაარსებით მექანიკურად უნდა შეიკრიბოს. ბგერებს ერთმანეთთან სრულიად თავისებური ურთიერთობები აქვთ [24, გვ. 173].

აღსანიშნავია, რომ ერთი და იმავე ცნების აღსანიშნავად ხშირად ერთსა და იმავე ენაში რამდენიმე სინონიმი შეიძლება არსებობდეს. ხშირად ისინი სხვადასხვა ბგერებზე არიან დაფუძნებული. ეს გარემოება იმითაა გამოწვეული, რომ სიტყვის შინაარსი, ან საგნის არსი ცალსახა არაა და გააჩნია სხვადასხვა ასპექტები [24, გვ. 175].

სიტყვა „მე“. ქართული სიტყვა „მე“ საოცარი სიზუსტით გამოხატავს მასში შემავალი ბგერების შინაარსს.

სიტყვა ქარი. სიტყვა ქარი ასახავს ჰაერის ჩქარ მოძრაობას: ქროლვას, ბერვას, რომლის მთავარი არსი დროში და სივრცეში ჩქარი გადაადგილებითა და რიტმულობით გამოიხატება [24, გვ. 70]. აქ ბგერა **ქ**, სიმაგრეს გამოხატავს, რაც მიანიშნებს ჰაერის გადაადგილების დიდ სიჩქარესა და სიმძლავრეზე, ხოლო ბგერა **რ** გამოხატავს მოძრაობასა და განმეორებადობას.

სიტყვა „კურვა“. კურვის ცნება კარგადაა ცნობილი ყველა ხალხისათვის. ყოველ საგანს მისი თვისებების და ძირითადი ნიშნების მიხედვით უნდა ეწოდოს ესა თუ ის სახელი.

კურვის ყველაზე თვალსაჩინო თვისებას მისი სიმყარე წარ-

3. ცალკეული სიტყვების ბგერათმეცნიერება

მოადგენს. როგორც ვიცით, საგნის ეს თვისება ბგერა **კ**-სა და **გ**-ს მეშვეობით გამოიხატება.

ამჟამად, რომ კურკის გარსი გარეშე ზემოქმედებისაგან იფარავს და დიდი ხნის მანძილზე ინახავს მის შიგნით მოთავსებულ ძალზე მნიშვნელოვან ნაწილს, რომლიდანაც მცენარის იგივე სახეობა უნდა დაიბადოს გარკვეულ პირობებში. ანუ კურკა ასრულებს შესაბამისი მცენარის განმეორების, გამრავლების ფუნქციას. ეს ფუნქცია კი სიტყვაში ბგერა **რ**-ს მეშვეობით გამოიხატება.

აგრეთვე ამჟამად, რომ ქართული სიტყვა – „**კურკა**“ – შეიცავს სამ თანხმოვანს: **კ-რ-კ**. ესე იგი, ამ სიტყვაში ორი **კ** ბგერაა და მათ შორის მოქცეულია ერთი **რ** ბგერა. **კ** ბგერის ორმაგობა ცხადად აჩვენებს, რომ ამ ქართულ სიტყვაში აქცენტირებულია კურკის სიმყარისა და მდგრადობის თვისების ორმაგობა. კურკის ამ თვისების გამოხატულება გვხვდება სხვა ენებშიც [24, გვ. 179].

ორ **კ**-ბგერის შორის მოქცეული **რ** ბგერა მიაჩნდება მის გამრავლების თვისებას. კურკა ფორმითაც ზედმიწევნით ზუსტად შეესაბამება მასში შემავალი თანხმოვნების **კ-რ-კ** განლაგებას. ამრიგად, ქართულ სიტყვა „კურკას“ თანხმოვანთა მეტყველება ძალზე ცხადად გამოხატავს კურკის თითქმის ყველა თვისებას.

სიტყვაში „**რკო**“ ბგერები **რ** და **კ** გამოხატავენ საგნის გამრავლებისა და სიმყარის თვისებას, მაგრამ ერთი **კ** ბგერა მიაჩნდება იმაზე, რომ მისი გარსი შედგება 1 (მთლიანი) ნაწილისაგან, რითაც ის განსხვავდება კურკის ორმაგი გარსისაგან.

სიტყვა „კვარკი“. სიტყვა **კ-ვ-ა-რ-კ-ი**, ქართულ ენაში ნასესხები სიტყვაა. იგი ნივთიერი სამყაროს უმცირესი და უმდგრადესი ნაწილაკის – კვარკის სახელია და მშვენივრად მოერგო ქართულ ენას. მასში არსებული ორი ბგერა **კ**-ს მეშვეობით ასახულია მისი უდიდესი სიმყარის თვისება. გარდა ამისა უახლესი სიმების თეორიის მიხედვით, კვარკი უმცირესი ზომის რხევად - ვიბრირებად სიმს წარმოადგენს, რაც მასში ბგერა **რ** -ს მეშვეობით გამოიხატება. აქ ბგერა **ა** გამოხატავს მის საკვირველ თვისებას. **ვ**-ბგერას გააჩნია **კ**-ბგერის შერბილების ფუნქცია. ამიტომაც, რომ უცხო სიტყვა „კვარკი“ მშვენივრად შეეთვისა ქართულ ენას.

სიტყვა „დრო“. დრო წარმოდგენს ურთულეს ცნებას. დროის ცნება ძალზე მრავალმხრივი ინტერპრეტაციის საშუალებას

6. ქართული ენის შესახებ

იძლევა. დრო უკავშირდება ადამიანის არსებობის პერიოდს, რაც ადამიანს ზეციური განმგებლობით ეძლევა, რაც **დ**, **რ** და **თ** ბგერებით გამოიხატება. დროის ზეციური გამოვლინება **დ**-ბგერით გამოიხატება. დროის მეორე თვისებაა პერიოდულობა და გრძლივობა, რაც **რ**-ბგერით გამოიხატება [24, გვ. 187].

ჩვენი აზრით, დროს გააჩნია მესამე ნიშანიც. იგი (სამყაროსეული დრო) ასახავს სამყაროში, როგორც მთლიანში, მიმდინარე მოვლენებს, რაც მის ყოვლისმომცველობაში მდგომარეობს. დროის ყოვლისმომცველობა და მთლიანობა კი **ო**-ბგერით გამოიხატება.

ქართულ ენაში დროის ეს სამივე ნიშანი ძალზე ზუსტად და ლაკონურადაა გამოხატული სიტყვაში: „დრო“ – „**დ-რ-ო**“.

სიტყვა „ცა“. ცის ცნება შეიძლება განუსაზღვრელად ფართო მნიშვნელობით დახასიათდეს. ყველა ხალხში და ყველა დროში ცას უკავშირდებოდა მითოსური, თუ რელიგიური წარმოდგენების ფართო სპექტრი. ცხადია ხილულ **ცა**-საც ფიზიკურად გარკვეული წარმოდგენები უკავშირდება. მაგალითად, მზე, მთვარე, ვარსკვლავები, ჰეჰა-ქუხილი და სხვ. აღსანიშნავია, რომ სამყაროს შემქმნელი უნილავი მამა ღმერთის სამყოფელი ცის მიღმა მოიპყრება, ხოლო ცის მნათობები – დღისით მზე და ღამით მთვარე, მამა ღმერთის ფიზიკურ – სახიერ გამოვლინებებადაა მიჩნეული. ქართულ წარმართულ (წალმართულ) სარწმუნოებაშიც ქვეყნის შემქმნელი „**მამა ღმერთის**“ სამყოფელ ადგილად, ცის თაღის მიღმა მიიჩნევდნენ, ხოლო მის ხილულ სახეებად მზე და მთვარე ეგულებოდათ. ცის ცნების ასეთი სიფართოვის გამო, ცხადია მისი შესაბამისი სიტყვის შექმნისას სხვადასხვა ხალხი სხვადასხვა თვალსაზრისს ირჩევდა.

ძალიან ლაკონიურია ცის ცნების გამომხატველი ქართული სიტყვა – **ცა**. აქ მხოლოდ ერთი თანხმოვანია – **ც**. ბგერა **ც** გამოხატავს დედამიწიდან ზესწრაფვის ტენდენციას, რაც ცხადია, გარკვეულ რელიგიურ განწყობილებასაც გულისხმობს – ადამიანი ცისკენ, ანუ სულებთისაკენ ისწრაფვის. სიტყვაში **ც-ა** ბგერა **ა** კი, გაცემას გამოხატავს [24, გვ. 192].

„შეხედე, რა **ცა-ა!** ესაა, რაცაა!“ – უთქვამს გალაქტიონს!

სიტყვა „სივრცე“. მეტად საინტერესოა არამატერიალური

3. ცალკეული სიტყვების ბგერათმეცხველება

და ცარიელი რაობის გამომხატველი ცნება – „სივრცე“ – **ს-ი-ვ-რ-ც-ე**, რაც ქართულ ენაში დაკავშირებული სიტყვასთან - **ცა**. აღმოჩნდა, რომ სივრცე წარმოადგენს საოცარ რაობას. ჩვენი სივრცე 3-განზომილებიანია, რაც აუცილებელი და საკმარისია მასში, როგორც მინერალური სამყაროს, ისე სიცოცხლის წარმოქმნისა და არსებობისათვის. ჩვენი სამყარო წარმოიქმნა 14 მილიარდი წლის წინ 10-განზომილებიანი ბუმტულაკის სახით, რომელმაც დაიწყო უსწრაფესი გაფართოება და ამჟამადც განუწყვეტლივ ფართოვდება. ჩვენი სივრცე ბრტყელია, რაც იმას ნიშნავს, რომ სივრცის ორ წერტილს შორის უმოკლესი მანძილი **სწორი** ხაზის მონაკვეთის სიგრძით განისაზღვრება. სივრცეს აღმოაჩნდა კიდევ ერთი **განსაცვიფრებელი** თვისება, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი თითქოსდა ცარიელი ფიზიკური სივრცე, შეიცავს **ყველაფერს**: ენერჯისა და ყველა იმ ელემენტარულ ნაწილაკს, ვირტუალური ფორმით, რომელიც წარმოადგენს მთელი ნივთიერი სამყაროს არსებობის საფუძველს. გარდა ამისა სივრცე ხასიათდება ყოვლის **მომცველობისა** და **ზესწრაფვობის** თვისებაც.

ქართულ სიტყვაში **ს-ი-ვ-რ-ც-ე** ასახულია მისი შესატყვისი საგნის ყველა ზემოთხსენებული თვისება: **ს** ბგერით გამოხატულია სივრცის სისწორის თვისება, ბგერა **რ** გამოხატავს მის სწრაფვას გაფართოებისაკენ, ბგერა **ც** — მის ზესწრაფობის თვისებას, ხოლო ბგერა **ე** – მის გასაოცარ – ყოვლის მომცველობისა და ყველაფრის შემცველობის – თვისებას.

სიტყვა „კვერცხი“. **კ-ვ-ე-რ-ც-ი**-ს, როგორც საგანს, კურკის მსგავსად გააჩნია შიგთავსის დაცვითი ფუნქცია, რაც ბგერა **კ**-ს მეშვეობით გამოიხატება. შიგთავსს გააჩნია გამრავლების ფუნქცია, რაც **რ** ბგერით გამოიხატება. კვერცხში მოცემულია ზესწრაფვის, ანუ სიმძიმის ძალის დაძლევის პოტენცია, რაც **ც** ბგერით გამოიხატება. **ე** ბგერა გამოხატავს კვერცხში არსებულ საკვირველებას, რაც გულისხმობს გარკვეულ პირობებში მის ფრინველად გადაქცევას, რომელიც აგრეთვე **ცისკენ** ისწრაფვის. **ვ**-ბგერას კი გააჩნია **ვ**-ბგერის შერბილების ფუნქცია.

ანუ, ქართულ სიტყვაში „კვერცხი“, მისი ეს ოთხივე ნიშან-თვისება ძალზე კარგადაა წარმოდგენილი სიტყვით: **კ-ვ-ე-რ-ც-**

6. ქართული ენის შესახებ

-ნი [24, გვ. 189].

ამრიგად, განა შეიძლება ვინმეს ეჭვი შეეპაროს იმაში, რომ ქართული ენა ღმერთისეული ენაა?

4 ქრისტეს ბოლო სიტყვის შესახებ

უადრესად საინტერესოა იესო ქრისტეს სალაპარაკო ენის საკითხი. არსებობს მოსაზრება, რომ იესო ქრისტე ლაპარაკობდა არამეულ ენაზე. როგორც აღვნიშნეთ არამეული ენა გაიგივებულია ქალდეურ ენასთან, ხოლო ქალდეური ენა მიჩნეულია პროტოქართულ ენად (თავი 4).

ვლ. ვახანიას კვლევით, ქალდ-მეგრელებს გააჩნდათ თავისი დიასპორა ისრაელში (იუდეაში). ამ დიასპორას ეკუთვნოდა იესო ქრისტე და მისი „წმიდა ოჯახი“, როგორც მონათესავე ლაზარეს ოჯახიც [10, გვ. 297].

ვლ. ვახანიას კვლევით, ირკვევა, რომ იესო ქრისტეს ენის ქართველურობაზე მის მიერ წარმოთქმული **ბოლო სიტყვაც** მეტყველებს. ვლ. ვახანიას მოსაზრებით, ბიბლიას კითხულობს მთელი მსოფლიო და სამწუხაროდ, 20 საუკუნეზე მეტია ქრისტეს ბოლო სიტყვებს იგებს დამახინჯებულად. ბიბლიის „ახალი აღთქმის“ წერა დამთავრებული იყო ბერძენთა მიერ I საუკუნის ბოლოს, და მერე ამ ორიგინალური ტექსტიდან გადაითარგმნა მრავალ ენაზე. ბოლო სიტყვები ქრისტეს არ უთქვამს არც ებრაულ და არც ბერძნულ ენაზე. მოციქულებმა მათემ და მარკოზმა თავის სახარებაში მოიტანეს ქრისტეს მიერ წარმოთქმული დედანი (ორიგინალური) სიტყვები, ისე, როგორც პირდაპირ თქვა ქრისტემ, და არც ერთმა მათგანმა არ იცოდა მათი ნამდვილი შინაარსი, ამიტომ მათ თავისი მოსაზრებით თარგმნეს მისი სიტყვები. ქრისტეს მოციქულების თომას, მათესი და მარკოზის სახარებაში შემდეგნაირადაა აღწერილი ქრისტეს უკანასკნელი წუთები:

„და ასე, მეცხრე საათს ხმამაღლა შელაღადა იესომ: „ელი, ელი! ლამა საბაქთანო?“. რაც ნიშნავს: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! რატომ მიმატოვე მე?“ [ბიბლია; გვ. 989].

ქრისტემ ორჯერ გაიმეორა ეს სიტყვები დიდი ხმით და სული

4. ქრისტეს ბოლო სიტყვის შესახებ

განუტყვა. ამ თარგმანიდან გამოდის, რომ ქრისტეს ეჭვი გაუჩნდა მამადმერთის მიმართ, რაც თვით ქრისტეს არსიდან გამომდინარე, არსებითად გამორიცხულია [10, გვ. 257].

სხვაგა მოსაზრებით, ჯვარცმული იესოს ბოლო წარმოთქმული სიტყვებია: „ელოი, ელოი, ღამა საბაქთან?“ ეს სიტყვები სხვადასხვა ბიბლიაში სახვადასხვანაირად წერია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ იესოს მიერ წარმოთქმული ბოლო ფრაზა არაა ჩაწერილი უშუალოდ ამ ფრაზის მომსმენის მიერ და ის შემდგომ არის მოციქულ მათეს მიერ უზუსტოდ ჩაწერილი [11, გვ. 108].

მართლმადიდებლობის ქრისტიანული რწმენის ძირითადი ნიშანი ის არის, რომ ქრისტე არის „ერთარსი მამისა“. ამიტომ, რა თქმა უნდა, როგორც ერთარსი მამისა, ქრისტე არ ეტყოდა მამა-ღმერთს: „**რატომ მიმატოვე მე?**“, და ისიც კითხვის ნიშნით. ქრისტეს ეს სიტყვები არ უთქვამს, ეს სიტყვები არის მოციქულების მოსაზრება, რადგან არ ფლობდნენ ქრისტეს ამ სიტყვების ენას [10, გვ. 263].

ისმის კითხვა: რა ენაზე წარმოთქვა ქრისტემ თავისი უკანასკნელი სიტყვები? ამ გაუგებრობას ფარდა ახადა ვ. ვახანიამ.

ვ. ვახანიას კვლევის მიხედვით, ქრისტემ თავისი უკანასკნელი სიტყვები თქვა და მიმართა მამა-ღმერთს ძველქართულ, მეგრულ-ლაზურ ენაზე. სიტყვა „**ელი**“ კოლხურ-მეგრულ ენაზე ნიშნავს მზეს, ნათელს, სინათლეს. ამავე დროს სიტყვა „**ელი**“ არის ფუძემდებელი სიტყვა პირველყოფილ შემოქმედი-ღმერთისა, როგორც სამყაროს გამჩენი მამა-ღმერთისა [10, გვ. 264].

ვ. ვახანიას კვლევით, ქრისტეს ბოლო სიტყვების — „**ელი, ელი! ღამა საბაქთან?**“, შინაარსი ძველ ლაზურ-მეგრულ ენაზე იშიფრება: **ელი, ელი** — ღმერთო, ნათელო (მამაო ღმერთო); **ღამა** — ვაპირებ, ველოდები შენთან შეხვედრას დღეს, ახლავე; **საბაქთანი** — საღმრთო-სასუფეველი. შეჯამებული შინაარსობრივი ანალიზის მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ქრისტეს უკანასკნელი სიტყვებია: „**მამაო, ღმერთო! მოვდივარ შენთან**“ [10, გვ. 270].

ვ. ვახანიას კვლევა-მოსაზრებით, ქრისტემ უკანასკნელი სიტყვები თქვა ძველ ქართულ ენაზე, კოლხურ, ლაზურ-მეგრულ ენაზე, რითაც, ფაქტობრივად მან მიმართა ქართველ ერს, საქარ-

6. ქართული ენის შესახებ

თველოს. ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ ეს მხარე დედამიწაზე არის მის მიერ ამორჩეული, ეს არის ადგილი, სადაც გაჩნდა ღმერთის პირველი სიტყვა [10, გვ. 272].

აღსანიშნავია, რომ „ახალ აღთქმაში“ მხოლოდ იოანე მოციქულს (თავის სახარებაში) არა აქვს საერთოდ მოტანილი ქრისტეს უკანასკნელი სიტყვები. რატომ? იმიტომ, რომ იოანე მოციქულმა იცოდა ქრისტეს ამ სიტყვების არსი, შინაარსი და საიდუმლოება. მოციქული იოანე ფლობდა ლაზურ-მეგრულ ენას, მაგრამ ეს არ გაუმზილა სხვა მოციქულებს. იოანეს არ შეეძლო მოეტანა თავის სახარებაში ქრისტეს უკანასკნელი სიტყვები, რადგანაც მას შეეძლო სიცრუის დაწერა იმ თარგმნით, რომელიც მას მისცეს მოციქულებმა თომამ და მარკოზმა. სწორედ ამიტომ, იოანე მოციქულს არ მოაქვს ქრისტეს ეს სიტყვები, და არა იმიტომ, რომ არ იცოდა [10, გვ. 309].

ვ. ვახანიას მიხედვით, ლაზარე იყო ქრისტეს მეგობარი და ახლო ნათესავი. ამავ დროს ადგილი დასაშვებია, რომ ლაზარე იყო ლაზი, მაშინ სავსებით დასაშვებია ქრისტეს ლაზ-მეგრული წარმოშობაც და ამ ენაზე მეტყველებაც, რაც ხდებოდა მხოლოდ ვიწრო წრეში. სავსებით დასაშვებია, რომ მან თავისი ბოლო სიტყვა წარმოთქვა ლაზურ-მეგრულ ენაზე. ერთი რამ კი ცხადია, რომ ქრისტე არ ეკუთვნოდა ებრაელ ერს [10, გვ. 290].

ვ. ვახანიას მოსაზრებით, ქრისტეს ბოლო სიტყვების შინაარსი იცოდნენ ღვთისმშობელმა, ლაზარემ და მისმა დებმა — მართამ და მარიამმა. სავსებით გასაგებია (სულ არაა შემთხვევითი), თუ რატომღაც საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. ვ. ვახანიას ეს მოსაზრება ვერსიად კი არა, ფაქტად მიაჩნია. იგი გამომდინარეობს ბიბლიის შინაარსიდან, ქრისტეს ქადაგებიდან და, რაც დასტურდება, ლაზურ-მეგრული ენიდან, დარჩენილ ძველ ქართულ იბერიულ-კოლხური ენიდან, რომლის დარჩენილ მხარეს დღეს, უპირველესად, წარმოადგენს აფხაზეთი, სვანეთი და სამეგრელო [10, გვ. 109].

აღ. აღფაიძე სიტყვას „ელი“-ს აკავშირებს კოლხურ-ქართველურ სიტყვასთან „ჰელ“ („ჰელიოსი“). მისი აზრით, „ჰელ“ საოცარი ქართველური სიტყვაა და კოლხურად ნიშნავს „ნათელს“ და ეს სახელი ჰქვია კოლხეთის მეფეთა მზის დინასტიის უდიდე-

4. ქრისტეს ბოლო სიტყვის შესახებ

სი მეფის აიეტის მამას, მზის ღმერთს „ჰელი-ოსს“. ეს კოლხური სიტყვა „ელ“ გადადის ბერძნულ ენასა და მითოლოგიაში და იქ მკვიდრდება „ჰელი-ოს“ -ის სახით. რომელიც შემდეგ ეგვიპტურ ცივილიზაციაში მკვიდრდება „ჰელიოპოლის“ სახით. ქრისტიანობაში, „ნათელი“ არის ღმერთის სინონიმი. (ყოველი ქრისტიანი გარდაცვლილის სულს უსურვებს „ნათელში“, ანუ ღმერთთან ყოფნას. აქ იგულისხმება „გონის ნათება“, სიკეთე და არა ფიზიკური სინათლე). სიტყვა „ელი, ელი“ კოლხურიდან ჯერ ბერძნულშია შესული, ხოლო ბერძნულიდან სახარებაში [1, გვ. 354].

ქრისტეც იმავე სახელს ეძახის მამაღმერთს: „ელი, ელი“-ს. ანუ ქრისტე მამამისს, მამაღმერთს „ჰელი-ოსის“ სახელს ეძახის [1, გვ. 353].

ძველქართველურ ენაზე ნათქვამი ქრისტეს ბოლო სიტყვები, თანამედროვე ქათული ენით, ასეთნაირად გამოითქმის:

„მამაო, ღმერთო! მოვდივარ შენთან“.

მიჩნეულია, რომ პალესტინაში იესო ქრისტეს დროს იხმარებოდა არამეული ენა, ხოლო მაცხოვრის ენა არამეული ენაა.

ამრიგად, სავსებით შესაძლებელია, ქრისტემ თავისი ბოლო სიტყვა წარმოთქა არამეულ პროტოქართულ ენაზე, რაც შეიძლება სავსებით შეესაბამებოდეს ძველ ლაზურ-კოლხურ ქართველურ ენასაც.

თავი 7

ქართული დამწერლობის შესახებ

შესავალი

მეცნიერებას, რომელიც სწავლობს დამწერლობას, დამწერლობათმცოდნეობა ეწოდება. დამწერლობა არის მეტყველების გადმოცემის გრაფიკული საშუალება. დამწერლობები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან იმის მიხედვით, თუ რა ფონეტიკური ერთეულის მნიშვნელობისა არიან დამწერლობის გრაფიკული ნიშნები. მაგალითად არსებობს მორფემული დამწერლობა (ჩინური), იეროგრაფიული (ეგვიპტური), სიტყვაობრივ-მარცვლოვანი (შუამდინარული), წმინდა სახის მარცვლოვანი (იაპონური). რაც შეეხება ანბანურ დამწერლობას, რ. პატარიძის აზრით, იგი მხოლოდ ერთგზის შეიქმნა და შექმნა იგი ერთმა ხალხმა.

ქართული დამწერლობა ზოგადი დამწერლობათმცოდნეობის, და კერძოდ ანბანური დამწერლობათმცოდნეობის, ერთ-ერთი დარგია. მას საფუძველი ჩაუყარა ივანე ჯავახიშვილმა. იგი ამტკიცებდა ქართული დამწერლობის თვითმყოფადობასა და ეროვნულობას. რამაზ პატარიძემ ივანე ჯავახიშვილის ხსოვნას მიუძღვნა თავისი წიგნი „ქართული ასომთავრული“, რომელსაც საფუძვლად დაუდო ივ. ჯავახიშვილის „ქართული პალეონტოლოგია“ [19, გვ. 6].

მიჩნეულია, რომ მსოფლიოში არსებული 5000-მდე ენიდან დამწერლობა აქვს მხოლოდ რამდენიმე ასეულს, რომლებიც კულტურულ ენებად იწოდებიან. მათგან მხოლოდ 14-ია მიჩნეული ძირითად დამწერლობად. ესენია: ქართული, ლათინური, ბერძნული, კირილიცა, სომხური, არაბული, ებრაული, სირიული, ეთიოპიური, იაპონური, კორეული, ჩინური, ინდური, მონღოლური, რომლებსაც სხვადასხვა ენები იყენებენ. (ამათგან ჩინური, კორეული და იაპონური მარცვლოვან-ლოგოგრაფიული დამწერლობებია). არსებული დამწერლობები შეიქმნა მესოპოტამიაში, ინდოეთში, ეგვიპტეში და ხმელთაშუაზღვის აუზის ქვეყნებში.

7. ქართული დამწერლობის შესახებ

დამწერლობის შემოღება თან სდევს სახელმწიფოების შექმნას, ცივილიზაციის გაჩენას, დიდ ძვრებს ხელოსნობაში, ვაჭრობაში, წარმოებაში, მეტალურგიაში. ცივილიზაცია ვერ იარსებებს დამწერლობის გარეშე.

დამწერლობის შემქმნელები იყვნენ კულტურული იდეების მატარებელი ქურუმები. ქართული ანბანი არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უძველესი სრულყოფილი ანბანური სისტემა.

ქართულ ანბანურ დამწერლობას მხოლდ ჩვენ, ქართველები ვიყენებთ.

ქართული დამწერლობა სამი ისტორიული სისტემისაგან შედგება: ასომთავრული, ნუსხური და მხედრული. ასომთავრულია ცვალებადობის თვალსაზრისით ნუსხური დამწერლობა ასომთავრულის განვითარების შედეგია, ხოლო მხედრული — ნუსხურისა. დამწერლობის სამივე საფეხურის მთავარი დამახასიათებელი ის არის, რომ ყოველ ბგერას თავისი შესაბამისი ასო-ნიშანი გააჩნია. ეს არის **დიდი ღირსება** ქართული ანბანისა.

1 დამწერლობის შესახებ

აღმოჩნდა, რომ ევროპულ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულია მსოფლიოს ენათა დამწერლობების წარმოშობის ქრონოლოგიური სქემა, რომლის მიხედვით ქართული და არმენული დამწერლობების საფუძვლად მიჩნეულია არამეული დამწერლობა, რომლის წარმოშობაც თარიღდება ძვ.წ. 900 წლით. ქალდეურ-არამეული ანბანური დამწერლობა, ისე როგორც ფინიკიური ანბანური დამწერლობა, სათავეს იღებს ძვ.წ. 3500 წელს შექმნილი პიკტოგრაფიკული დამწერლობიდან [11, გვ. 400].

როგორც ისტორიული წყაროებით, ისე ბიბლიით დამწერლობის შემქმნელებად მიჩნეულია პროტოქართველები, რაც მეცნიერულადაც დასტურდება. ქალდეველთა მიერ შექმნილმა დამწერლობამ წარმოშვა ეგვიპტური პიკტოგრაფიული დამწერლობა (დაახ. ძვ.წ. 3000 წ.) [11, გვ. 402].

ბერძნული წყაროებით დასტურდება, რომ ქალდეველები პიკტოგრაფიულ დამწერლობას იყენებდნენ უძველეს დროში, ანუ გაცილებით ადრე — ფარნავაზის ეპოქამდე [11, გვ. 403].

2. ძველკოლხური ოქროდამწერლობის შესახებ

მარცვლოვანი დამწერლობის მოთხოვნილებებმა წარმოშვეს წერტილოვანი დამწერლობა, ჯერ კიდევ მაშინ სანამ ფინიკიური და ძველბერძნული დამწერლობა შემოვიდოდა. საქართველოს მთიანეთში შემორჩენილია წერტილოვანი დამწერლობის სიმბოლოები. ამას ადასტურებს ქართულ ენაში არსებული სიტყვები: წერტილი, წერა, ჭრა, ამოწერა, წერაქვი, ბედისწერა, მწერელი და სხვა.

ცნობილი პოეტი გიორგი გიგაური [54] იკვლევს ძველ-ქართული წერაქვული დამწერლობის ასო-ნიშნებს. გ. გიგაურის აზრით, ასომთავრულის დახვეწილი ასო-ნიშნები შექმნილია არა ალალბედზე ან ფანტაზიით, არამედ ძველი დამწერლობის ნიშნების მიხედვით. არსებოს თეორია, რომლის მიხედვით, ფინიკიური მარცვლოვანი დამწერლობის წარმომშობ დედნად მიჩნეულ იქნა კრეტული და იბერიული ნიშნები. მარცვლოვანი დამწერლობის მოთხოვნილებებმა წარმოშვეს (წერაქვული) წერტილოვანი დამწერლობა, ვიდრე ფინიკიური და ძველბერძნული დამწერლობა შემოვიდოდა.

როცა მეცნიერებმა ხევსურეთში ნაპოვნი გეომეტრიული ორნამენტები შეადარეს ხმელთაშუაზღვისპირეთის ცნობილ ხაზოვან ნიშნებს, კრეტა — იბერიულ — კვიპროსულ ნიშნებს, აღმოაჩინეს მსგავსება არა მარტო მოხაზულობაში არამედ დასახელებებშიც.

საქართველოს ტერიტორიაზე შეკრებისა და დახარისხების შემდეგ გამოჩნდა 40-მდე ძირითადი ნიშანი (დამწერლობითი), აქედან 30-ზე მეტი მსგავსებაშია კრეტულთან და იბერიულთან.

2 ძველკოლხური ოქროდამწერლობის შესახებ

1908 წლის 3 ივნისს, საბერძნეთში, კუნძულ კრეტაზე, ქალაქ ფესტოსში, მინოსის სასახლის ნანგრევებში, გათხრების დროს აღმოაჩინეს „ფესტოსის დისკო“ — მსოფლიოში პირველი ბეჭდვითი რელიგიურ-ლიტერატურული დოკუმენტი. იგი წარმოადგენს 16 სმ დიამეტრისა და 380 გრამი თიხის ფირფიტას. მასზე ამოტვიფრულია 61 სიტყვა-კომპოზიტი, 244 ნახატ-ნიშანი ოქროს ყალიბით და შემდეგ ცეცხლშია გამომწვარი. დისკო პი-

7. ქართული დამწერლობის შესახებ

რობითად დათარიღებულია ძვ.წ. 1850-1600 წლებით (სურ. 28).

იგი ამჟამად ინახება კრეტის მთავარ პორტ-ქალაქში, ჰერაკლიონის არქეოლოგიის მუზეუმში.

ამ დრომდე იყო „ფესტოსის დისკოს“ ნიშანთა კომპლექსის გაშიფვრის მცდელობები ძველ ენებზე: ბერძნულ დიალექტებზე, ფილიტიმურზე, ხეთურზე, ლუვიურზე, ეგვიპტურზე, სემიტურზე და ა.შ., მაგრამ უშედეგოდ.

ავსტრიელმა მკვლევარმა ჰერბერტ ძებიშმა 1988 წლის სექტემბერში, ბუდაპეშტში, ეირენეს კომიტეტის XVIII საერთაშორისო კონგრესზე განაცხადა, რომ „ფესტოსის დისკოს“ წარწერის ენა პროტოქართული — კოლხურია. მისი აზრით, ამ დისკოს წაკითხვა ინდოევროპულ ენაზე შეუძლებელია. იგი თავის წიგნებში ამტკიცებს, რომ წინაბერძნული მოსახლეობის ენა, კერძოდ, „პელაზგური — ქართველურ ენათა დედაა“.

პ. ძებიშის თეორიის მიხედვით, ძველ ენებს — ეტრუსკულსა და პელაზგურს ფესვები ჰქონდა ძველკოლხურში და, რომ ტროაში ყველამ იცოდა ძველკოლხური ენა, რომელზეც ლაპარაკი შეწყდა ტროას დაცემის შემდეგ.



სურ. 28: ფესტოსის დისკოს მხარეები [39]

წინარებერძნული მოსახლეობისა და კავკასიური ენების ნათესაობის შესახებ ჰიპოთეზები გამოთქმული აქვთ მეცნიერებს:

2. ძველკოლხური ოქროდამწერლობის შესახებ

ვ. ჰუმბოლდტს, პ. კრეჩმერს, ან. მეიეს, ედ. შვიცერს, ფ. შახერმეიერს, ვლ. გეორგიევს, ედ. ფურნეს, და მათ შორის — ქართველ მეცნიერებს — ს. ყაუხჩიშვილს, ს. ჯანაშიას, აკ. ურუშაძეს, თ. გამყრელიძეს, რ. გორდენიანს, ზ. გამსახურდიას და სხვ.

ცნობილი მეცნიერის გ. კვაშილაავას აზრით, უძველესი ქართველური ტომების ენა ამჟამად ნაწილობრივ მეგრულ-ლაზურში, სვანურში და იმ ძველქართულ სიტყვებშია შემონახული, რომელიც სულხან-საბას ლექსიკონშია თავმოყრილი. სწორედ ამ ენებში დაცული სიტყვების ძირების საფუძველზე მოახდინა გ. კვაშილაავამ „ფესტოსის დისკოს“ ტექსტის გაშიფრვა [39].

ცნობილია, რომ კოლხებს ჰქონდათ დამწერლობა, რომელსაც საიდუმლოდ ინახავდნენ. მას „ოქრომწერლობა“ ერქვა. ამ დამწერლობით შექმნილი ტექსტებით ქურუმები ღვთაებებს საგალობლებს უძღვნიდნენ. მას არ იყენებდნენ საყოფაცხოვრებო ტექსტების შედგენისას.

გ. კვაშილაავას მოსაზრებით, მის მიერ გაწეული 17-წლიანი კვლევებით დასაბუთდა, რომ „ფესტოსის დისკოს“ წარწერის ნახატ-ნიშნებს ცალსახად შეესაბამება მეგრულ-სვანური და ძველქართული სახელების პირველი ასო-ნიშნები, რაც ადასტურებს, რომ „ფესტოსის დისკოს“ წარწერის ენა პროტოქართულია. გ. კვაშილაავას აზრით, A-ხაზოვანი და „ფესტოსის დისკოს“ დამწერლობა ერთსა და იმავე ენაზეა შესრულებული და ის არის პროტოქართული — კოლხური ენა. პროტოქართველური ენა შემდეგ გაიყო ქართულ, სვანურ, ლაზურ და მეგრულ ენებად.

გ. კვაშილაავას მტკიცებით, „ფესტოსის დისკოს“ წარწერა სიტყვით-მარცვლოვანია, ხოლო A-ხაზოვანი და B-ხაზოვანი დამწერლობა მარცვლოვანი დამწერლობებია.

გ. კვაშილაავა „ფესტოსის დისკოს“ წარწერის გაშიფრვით მივიდა შემდეგ დასკვნამდე:

1. კოლხი ქურუმების მიერ შექმნილი „ფესტოსის დისკოს“ წარწერის ენა ქართველურია, კერძოდ, **კოლხურია**;
2. დისკოზე დაბეჭდილი ნახატ-ნიშნები „კოლხური ოქროდამწერლობაა“;
3. დისკოს ტექსტი წარმოადგენს საგალობელს — „**ნენანას**“,

7. ქართული დამწერლობის შესახებ

რომელიც ეძღვნება „აია-ნემკარის“ მფარველ, პელაზგურ-კოლხურ ნაყოფიერებისა და მიწის დიდ დედალვთაება **ნენა//ნანა** -ს [39].

ვლ. ვახანიას მოსაზრებით, ფესტოსის დისკო, როგორც კოლხური ოქროდამწერლობა არის მსოფლიოში პირველი ბეჭდური დამწერლობის დადასტურებული ნივთმტკიცებულება [10, გვ. 33].

ეს დისკო ბეჭდური დამწერლობის პირველი და ერთადერთი ნიმუშია მსოფლიოში, რაც კერძოდ, დაადასტურა ბრიტანეთის არქეოლოგიის აკადემიამ. ამ დისკოს აღმოჩენით ფაქტობრივად დამტკიცდა, რომ კოლხ-ქართველებს დამწერლობა ჰქონიათ 4 000 წლის წინ, ძალზე ადრე, ვიდრე ეგვიპტელებს, ბერძნებს, ებრაელებს და ყველა სხვა ერებს [10, გვ. 34].

3 A-ხაზოვანი დამწერლობის შესახებ

1900 წელს არქეოლოგმა **სერ არტურ ევენსმა**, კნოსოსში, მინოსის სასახლის გათხრების დროს სამი ათასამდე ფირფიტა აღმოაჩინა. მან ისინი A-ხაზოვან და B-ხაზოვან დამწერლობებად დაყო. 1953 წელს ინგლისელმა არქიტექტორმა **მაიკლ ვენტრისმა** გაშიფრა B-ხაზოვანი დამწერლობა და დაადგინა, რომ იგი იყო მიკენური ბერძნული. მაიკლ ვენტრისმა და მისმა პარტნიორმა **ჯონ ჩედვიკმა** აღნიშნეს, რომ A-ხაზოვანი დამწერლობა არ იყო ბერძნული, მაგრამ ვერ დაადგინეს თუ რომელ ენას მიეკუთვნებოდა.

აკაკი ურუშაძის აზრით, A-ხაზოვანი დამწერლობა შეიძლება გაიშიფროს პელაზგურისა და მცირე აზიის ძველი ენების ცოცხალი გადმონაშთის — კოლხური ენით.

კონტინენტურ საბერძნეთში, სხვა ელინურ ტომებთან ერთად, ძვ.წ. 1900 წლების შემდეგ ჩასახლებულან აქაველები. ამ დროს მოხდა ე.წ. წინარე ბერძნების დამკვიდრება საბერძნეთში. ბერძნული ენა წარმოიშვა ადგილობრივი მოსახლეობისა და სხვა ენაზე მოლაპარაკე დამპყრობლების შერევის შედეგად. მოგვიანებით სახელწოდება „აქაველები“ სხვა ბერძნულ ტომებშიც გავრცელდა. ისინი ჯერ მატერიკზე სახლობდნენ, ხოლო შემდეგ

კუნძულებზე და, კუნძულ კრეტაზეც გადასახლდნენ. კრეტაზე ძველბერძნული ტომების — აქაველების განსახლების დროს A-ხაზოვანი დამწერლობა, ბერძნული ენის ჟღერადობის ყაიდაზე, B-ხაზოვან დამწერლობად გადაკეთდა. ასე შეიქმნა კრეტაზე B-ხაზოვანი დამწერლობა, რომლის გაშიფრვა მეცნიერებმა შესძლეს ბერძნულ ენაზე დაყრდნობით. ამ მეთოდით მათ ვერ გაშიფრეს A-ხაზოვანი დამწერლობა. მათ ვერ მიაგნეს მის გასაშიფრავად საჭირო იმ უცხო ენას, რომელზედაც A-ხაზოვანით შესრულებული თიხის ფირფიტები იყო დაწერილი [5, გვ. 139].

ალ. ბესელიას მტკიცებით, სიტყვა „ოქრო“ A-ხაზოვანი დამწერლობიდან B-ხაზოვანში (khroso) და შემდეგ ბერძნულშიც პელასგურიდან გადავიდა. რაც იმაზეც მიუთითებს, რომ კუნძულ კრეტაზე პელაზგებმა ოქრომწერლობაც განავითარეს [5, გვ. 144].

კრეტაზე ანალოგიური მდგომარეობა განმეორდა ძველბერძნული ტომების — აქაველების განსახლების დროსაც.

ძვ.წ. მე-15-13 საუკუნეებში მათ შექმნეს მიკენური სამეფო და კულტურა. აქაველური ენა შემოინახა B-ხაზოვანმა დამწერლობამ, რომელიც ძირითადად შემორჩენილია თიხის ფირფიტების სახით.

აქაველებს უწოდებდნენ ტროას ომის ეპოქის ბერძნებს. ლეგენდარული ქალაქი ტროა, აღწერილი ჰომეროსის მიერ ძველ ბერძნულ ეპოსში, არქეოლოგიური მიდამო ანატოლიაში, მდებარეობს ზღვის პირას, დარდანელის სრუტის სამხრეთ-დასავლეთს მთა იდას ქვეშ. 1870 წელს გერმანელი არქეოლოგის ჰენრიხ შლიმანის მიერ ამ ადგილას გათხრების შედეგად აღმოჩენილი ყველაზე ადრინდელი ქალაქი, ჰომეროსის ტროად იქნა მიჩნეული.

4 „გრაკლიანის“ წარწერა

როგორც აღვნიშნეთ, გრაკლიანის გორა წარმოადგენს 11-ფენიან არქეოლოგიურ ძეგს, სადაც დასტურდება საზოგადოებრივი ცხოვრების 300.000 წლიანი ისტორიული განვითარება ქვის ხანიდან დაწყებული რომაული პერიოდის ჩათვლით. 2015

7. ქართული დამწერლობის შესახებ



სურ. 29: გრაკლიანის წარწერა [41]

წლის აგვისტოში, გრაკლიანის არქეოგოლიური ძეგლის კვლევის პროცესში გამოვლინდა ახალი აღმოჩენა — ძვ.წ VII საუკუნის წარმართული ტაძარი, ორი საკურთხეველი და საკურთხევლის პოსტამენტზე დღემდე უცნობი დამწერლობის შესანიშნავად შესრულებული ერთსტრიქონიანი **წარწერა** (სურ.29).

ეს წარწერა ყველაზე ადრეულია საქართველოში აღმოჩენილ წარწერათა შორის. მართალია, მისი გაშიფრვის პროცესი შეიძლება დიდ ხანს გაგრძელდეს, მაგრამ როგორც მინიმუმ, უკვე ცხადყოფს საქართველოში დამწერლობის გამოყენების 2700 წლის ისტორიას.

ვ. ლიხელის მოსაზრებით, ამ წარწერას არაფერი საერთო არა აქვს ძვ.წ. მე-7 საუკუნის დამწერლობებთან. საფიქრობელია, რომ ეს არის ორიგინალური დამწერლობის სისტემა.

წარწერა შესაძლებელია არის რელიგიური შინაარსის მქონე წარწერა, მიძღვნილი იმ ღთაებისადმი, ვისთვისაც ეს ტაძარი იყო აშენებული.

ეს უნიკალური წარწერა სრულიად გამორჩეულ, ინდივიდუალ-

ლურ დამწერლობას მიეკუთვნება, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არა აქვს.

მეცნიერთა აზრით, იგი შეცვლის არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიო დამწერლობის ისტორიის გარკვეულ ეტაპს.

როგორც ირკვევა, ძვ.წ. მეშვიდე საუკუნეში, ქართველები თაყვანს სცემდნენ ციურ მნათობებს მზეს, მთვარესა და ვარსკვლავებს, მაგრამ მათ არ დავიწყებით „ღმერთი დამბადებელი ყოვლისა“, ანუ ერთი ჭეშმარიტი უჩინარი მამა ღმერთი (იხ. თავი 5).

ჩვენი აზრით, „გრაკლიანის“ გორაზე აღმოჩენილი ტაძარი და მასში არსებული უძველესი წარწერა სავსებით შესაძლებელია, რომ მიძღვნილი ყოფილიყო ერთი „ჭეშმირიტი ღმერთისადმი“.

მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ უსახსრობის გამო მოხდა გრაკლიანის გათხრების დაკონსერვება. ამასთან დაკავშირებით თსუ-ს არქეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორმა ვ. ლიხელიძე განაცხადა, რომ გრაკლიანის გორაზე არქეოლოგიური კვლევები არ შეწყვეტილა. გრაკლიანის გორაზე ექსპედიციამ აღმოაჩინა ახალი არქეოფაქტი, რომელიც მეცნიერთა აზრით, შეცვლის არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიო დამწერლობის ისტორიის გარკვეულ ეტაპს. უნიკალური წარწერა სრულიად გამორჩეულ, ინდივიდუალურ დამწერლობას მიეკუთვნება, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არა აქვს.

ამჟამად, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური დახმარებით იგეგმება ტერიტორიის კონსერვაცია და გრაკლიანის გორაზე ღია არქეოლოგიური მუზეუმის მოწყობა.

სპეციალიზების განცხადებით, ყველა ძეგლს სჭირდება კონსერვაცია და ეს არის მიღებული წესი. გრაკლიანის გორაზე ახლად აღმოჩენილი ძეგლი საჭიროებს გამაგრებით სამუშაოებს, რადგან იქ არის თიხნარი, რომელსაც არ შეიძლება მოხვდეს ქარი და წვიმა. როგორც წესი, კეთდება საკონსერვაციო ფენა, რათა წარწერის სრულ შესწავლამდე არ მოხდეს მისი დაზიანება. მნიშვნელობა აქვს სეზონსაც. წლევანდელი სეზონი უკვე მიწურულია. ამიტომ არის საჭირო ძეგლის დაცვა გაზაფხულამდე. ახლა საჭიროა წარწერის კონსერვაცია, რომ არ დაზიანდეს. კეთდება შემინული გადახურვა და გამაგრებითი სამუშაობიც.

7. ქართული დამწერლობის შესახებ

ამჟამად, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური დახმარებით იგეგმება ტერიტორიის კონსერვაცია და გრაკლიანის გორაზე ღია არქეოლოგიური მუზეუმის მოწყობა.

5 ქართული ანბანის ფუძისდება

ანბანურია ისეთი დამწერლობა, როცა ცალკეული გრაფიკულ ასო-ნიშანს ცალკეული ბგერის მნიშვნელობა შეესაბამება. ანბანურ დამწერლობაში გრაფიკული ნიშანი (გრაფემა) არც იდეოგრამაა და არც სილაბოგრამა, არამედ ენის უმცირესი ფონეტიკური ერთეულის — ბგერის აღმნიშვნელი ნიშანია [19, გვ. 19].

პავლე ინგოროყვას მიხედვით, ქართული ასომთავრული ანბანი ეკუთვნის არქაული პერიოდის მცირე აზიის ალფაბეტების ჯგუფს. ქართული ანბანი არაა შექმნილი თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ იგი ჩამოყალიბებულია ჯერ კიდევ იმ ხანაში, როცა ქართველი ხალხის ერთი ნაწილი ჰიბერები (თობელები) და მესხები მცირე აზიის ტერიტორიაზე მკვიდრობდნენ. ჰიბერებს და მესხებს, როგორც ირკვევა, თავდაპირველად იეროგლიფური დამწერლობა ჰქონდათ [33, გვ. 65].

თ. გამყრელიძის აზრით, ქართული ალფაბეტი შემოღებული იყო ქრისტეშობამდე ასწლეულობით ადრე მეფე ფარნავაზის მიერ. ეპისკოპოსი ლეონტი მროველი კი ფარნავაზს მიიჩნევს არა ქართული ანბანის შემომღებად, არამედ მანამდე არსებულის გამავრცელებლად. ე.ი. ფარნავაზამდე ქართულ ანბანს რამდენიმე საუკუნის ისტორია ჰქონია [33, გვ. 65].

ს. ჯანაშიას მიხედვით, ქართული ანბანი შეთვისებული უნდა იყოს მცირე აზიაში არა უგვიანეს მეშვიდე საუკუნისა ქრისტეს წინ [33, გვ. 66].

მეცნიერთა ერთი ნაწილის თვალსაზრისით, მეფე ფარნავაზმა ანბანი კი არ შექმნა, არამედ, მან უკვე არსებული, მოსახლეობის მხოლოდ ერთი ნაწილისათვის ცნობილი დამწერლობა, სრულიად საქართველოს სახელმწიფოში გაავრცელა [33, გვ. 67].

რ. პატარიძის თვალსაზრისით, რომელიც ეყრდნობა ქართული ასომთავრული ასო-ნიშნების გრაფიკულ ანალიზს, ქართული დამწერლობა შექმნილია ქართველი ქურუმების მიერ ფინიკიური

დამწერლობის საფუძველზე ქრისტეშობამდე მეექვსე საუკუნის დასასრულს [19, გვ. 268].

რ. პატარიძის კვლევების შედეგების მიხედვით, სრულიად ქართული დამწერლობის ოფიციალურად შემოღება ემთხვევა ქართული ეროვნული წელთაღრიცხვის დასაწყისის. მისივე მტკიცებით ქართული ასომთავრული ანბანის შექმნის თარიღი არის ძვ.წ. 540 წელი.

ვახუშტის თანახმად, ფარნავაზი გამეფდა 303 წელს. ე.ი ფარნავაზს თავისი გამეფების 19 წლის შემდეგ უკვე არსებული ქართული დამწერლობა გაუვრცლებია მთელს საქართველოში და შემოულია ქართული ეროვნული წელთაღრიცხვა. ვახუშტის ცნობით, დასაბამიდან ანუ ქვეყნის გაჩენიდან ქრისტეშობამდე ქართული ანგარიშით გასულა $284 + (10 \times 532) = 5604$ წელი. (აქ იგულისხმება $19 \times 24 = 532$ წლიანი დიდი ინდუქტიონი, რომლის საფუძველს მზის 28-წლიანი და მთვარის 19-წლიანი ციკლები წარმოადგენს) [33, გვ. 67].

დამწერლობის მკვლევართა ერთი ჯგუფის მიხედვით, ქართული ანბანი სათავეს იღებს უცხოური დამწერლობებიდან, ხოლო მეორე ჯგუფის მიხედვით, ქართული ანბანი წარმოიშვა დამოუკიდებლად [14, გვ. 43].

ქართული ისტორიული ტრადიციის მიხედვით ასომთავრული ანბანი ფინიკიური ანბანიდან იღებს სათავეს.

რ. პატარიძის აზრით, ფინიკიური დამწერლობა და ქართული ასომთავრული ანბანი შექმნილია ერთი და იმავე პრინციპით. რის გამოც, მას მიაჩნია, რომ ქართული ანბანი შექმნილია ფინიკიური ანბანის საფუძველზე. მეორე მხრივ, ქართული ანბანური დამწერლობის გრაფიკა არ არის ფინიკიური დამწერლობის ევოლუციის შედეგი, არამედ, იგი შექმნილია ერთ დროს და ერთდროულად (ქართველი ქურუმების მიერ) [19, გვ. 592].

ანალოგიური დასკვნა გამოაქვს ანა მესხსაც: ქართული ასომთავრული ანბანი ერთდროული და მიზანმიმართული (ხელოვნური) შემოქმედების ნაყოფია [15, გვ. 266].

დღევანდელი გადასახედიდან, როცა ასომთავრული ანბანის მწკრივთა რიგს, ფინიკიურსა და არამეულს ამსგავსებენ, სწორი შენიშვნაა. თუმცა ჩვენ არ ვიცით, ფინიკიურმა თვითონ მოიგონა

7. ქართული დამწერლობის შესახებ

ასეთი მწკრივი, თუ მათაც აღებული აქვთ წინარე დამწერლობიდან. შესაძლოა, ასომთავრულის ნიშნებმა სხვა გზა გაიარა გამარტივება-მოქნილობის (სრულყოფილების) მისაღწევად, ხოლო ფინიკიურ-ბერძნულმა ხაზმა — სულ სხვა გზა.

არსებობს თეორია, რომლის მიხედვით, ფინიკიური მარცვლოვანი დამწერლობის წარმოშობა დედნად მიჩნეულ იქნა კრეტული და იბერიული ნიშნები.

კრეტულ A-ხაზოვანი დამწერლობის ნიშნებთან გარეგნულად მსგავსია ქართული ასომთავრულის შემდეგი ასო-ნიშნები: ს, ვ, ქ, პ, ჟ, ღ, შ, ჩ, ჯ, ძ, წ.

ზ. გამსახურდიას, ბაბილონის დაცემამდე არსებულ ერთიან საკაცობრიო ენად პროტო-იბერიული, ანუ პროტო-ქართული ენა მიაჩნდა. ანუ დედამიწაზე კაცობრიული მოდგმების გაჩენისას, ერთ-ერთ პირველ მოდგმას პროტოიბერები წარმოადგენდნენ [6, გვ. 62].

არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი იმის შესახებ, რომ ქართველები ჯერ კიდევ ძვ.წ. მე-5 საუკუნეში წერდნენ. მოგვიანებით, ქართლის მეფემ ფარნავაზმა ქართული ენა გაერთიანებული სახელმწიფოს ენად ჰყო და, საფიქრებელია, რომ ასომთავრულმა დამწერლობამაც ამ პერიოდში მიიღო უფრო სრულყოფილი სახე.

ასომთავრული უძველესია ქართულ დამწერლობათა შორის. ნაწერები მოიპოვება ძვ.წ. I საუკუნიდან და ითვლება, რომ ამ დრომდე ეს ერთადერთი ქართული დამწერლობა იყო. ასომთავრულით შესრულებული ადრეული ნიმუშებია დავათის სტელა და ნეკრესის წარწერები.

რ. პატარიძის აზრით, რაკი ბერძნული დამწერლობა ფინიკიური დამწერლობის მონუმენტური ნაირსახეობაა, ბერძნული მაგალითის გათვალისწინების საფუძველზე საქართველოში (ქართველი ქურუმების მიერ) შეიქმნა ფინიკიური დამწერლობის ქართული მონუმენტური ნაირსახეობა, ქართული ასომთავრული ანბანის სახით. ანუ, ქართულ ასომთავრულ ანბანში განხორციელებულია ფინიკიური უსწორმასწორო ასოწინების გასწორება-ზოგნების ზოგადი ბერძნული მონუმენტურ გრაფიკული პრინციპი, ოღონდ ამ ზოგადი მონუმენტური პრინციპის საფუძველზე შექმნილია ბერძნულისაგან განსხვავებული, დამწერლობის ქართული

მონუმენტური ნაირსახეობა — მრგლოვანი ასომთავრული [19, გვ. 591].

რ. პატარიძის მიხედვით, ქართული ასომთავრული დამწერლობა უნდა შექმნილიყო ფინიკიური დამწერლობის საფუძველზე, არა თანდათანობით, არამედ ერთ დროს და ერთდროულად, ფინიკიური დედა-ანბანური დამწერლობის ყველა ანბანური ასპექტის გათვალისწინების შედეგად და ქართული მონუმენტური გრაფიკის შექმნის შედეგად.

ჩვენი აზრით, იმის გამო, რომ ფინიკიური დამწერლობა და ქართული ასომთავრული ანბანი შექმნილია ერთი და იმავე პრინციპით, ჩავთვალეთ, რომ თითქოს ქართული ანბანი აუცილებლად შექმნილი უნდა იყოს ფინიკიური ანბანის საფუძველზე და მისი გამოყენებით, არასწორია.

გარდა ამისა, სამყაროს ციკლურობის გათვალისწინებით, სავარაუდოდ, მიგვაჩნია, რომ ანბანური დამწერლობის ზოგადი პრინციპები ჩაწერილია კოსმიურ გონში. ხოლო, ქართული ენა შემონახული იყო კოსმიურ გონში ჯერ კიდევ წინა პერიოდის კოსმოსური სამყაროდან. ხოლო, როგორც ფინიკიური, ისე ქართული ანბანი შექმნილ იქნა შემოქმედის ნებით, კოსმიურ გონთან კავშირის უშუალოდ დამყარებით, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ეროვნების მქონე ქურუმების მიერ, სხვადასხვა ქვეყანაში, თავ-თავისი გრაფიკული ასო-ნიშნების შემოღებით.

მწერალმა თამაზ ჩხენკელმა, შეისწავლა რა ქართული ასომთავრულის გრაფიკული სისტემა, დაასკვნა, რომ ქართული ასომთავრული ანბანის მოხაზულობა ეწინააღმდეგება პირწმინდად ზუსტ, ზედმიწევნით პროპორციულ და სიმეტრიულ მოდელს, რომელიც შიშველი აბსტრაქტულობით ამჟღავნებს მის გეომეტრიულ სტრუქტურას. საერთოდ, ესთეტიკური ფენომენი (და ასეთია ასომთავრული ანბანი) ყოველთვის გულისხმობს მოდელიდან ან სტანდარტულიდან აუცილებელ გადახრას, „სიცოცხლე **ძრწის** მეტისმეტი სიზუსტის, აბსოლუტური სისწორის წინაშე... ზედმიწევნით პროპორციულობასა და ცივ სიმეტრიულობაში არის რაღაც ავბედითი, ანტიორგანული, სიცოცხლისადმი მტრული“ [თომას მანი]. ვინაიდან, როცა მეტისმეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება წესრიგს, „ცოცხალი სუბსტანციის“ რაოდენობა კლებუ-

7. ქართული დამწერლობის შესახებ

ლობს. აბსტრაქტული მოდელიდან „გამაცოცხლებელი გადახრა“ ანიჭებს ასოებს ბუნებრიობას. ასომთავრულის შემოქმედს ბრწყინვალედ აქვს გადაჭრილი ეს ამოცანაც. ქართული ასომთავრული ანბანის შემოქმედი მარტო დიდი მოაზროვნე და ანალიტიკოსი კი არ იყო, არამედ — უდიდესი ხელოვანიც [44].

თ. ჩხენკელის ეს მოსაზრება ჭეშმარიტია: აღმოჩნდა, რომ თვით სამყაროს ევოლუციური განვითარებისათვის აუცილებელია საყოველთაოდ ცნობილი სივრცე-დროითი სიმეტრიის უმცირესი დარღვევა.

ანა მესხის გამოკვლევით, მრავალი მკვლევარის ნაშრომების მიხედვით, ქართული ასომთავრული ანბანი არ არის მხოლოდ ხილულად მოცემული ანბანი. იგი ძლიერ რთული, მრავალშრიანი და მისტიკური სისტემაა. მასში დაკოდირებულია უძველესი ასტრონომიული, რელიგიური, მათემატიკური, არქიტექტურული, გეომეტრიული ფაქტები. არ არის გამორიცხული, რომ ანბანში მისი შექმნის თარიღი მოცემული იყოს კალენდრის ათვლის წერტილით. ამიტომ შესაძლებელია, რომ 5604 წელი შეიძლება გთავაზობდეს ინფორმაციას კაცობრიობის განათლებული არსებობის დასაწყისისა და მისი განვითარების უმაღლესი, ანბანური საფეხურის შესახებ. 5604 წელი ფუნდამენტური რიცხვია, როგორც კალენდარული, ისე ანბანური თვალსაზრისით. კაცობრიობის სრულფასოვანი ცივილიზაციის არსებობის ჟამთაღრიცხვა მხოლოდ ბგერითი დამწერლობით — აბსტრაქტული აზროვნების უმაღლესი საფეხურით განისაზღვრება. რაც, შეესაბამება, დღესაც მეცნიერების მიერ, ჭეშმარიტებად მიღებულ დებულებას: „ცივილიზაცია არ არსებობს დამწერლობის გარეშე“ [15, გვ. 47].

6 ქართული ანბანის გრაფიკული სახეები

საუკუნეთა და ათასწლეულების განმავლობაში, ქართველი ხალხი სარგებლობს ეროვნული ქართული ანბანით. არსებობს მისი სამი სახე: ასომთავრულ-ხუცური, ნუსხა-ხუცური და მხედრული. V-VI საუკუნეებში გამოიყენებოდა ასომთავრულ-ხუცური შრიფტი, VIII-IX საუკუნეებში გამოიყენებოდა ნუსხა-ხუცური შრიფტი, მხედრული შრიფტი შემოღებულია XI საუკუნის შემდეგ.

6. ქართული ანბანის გრაფიკული სახეები

მიღებულად ითვლება, რომ ასომთავრული შრიფტის განვითარების შედეგად მიღებულია ნუსხა-ხუცური, ამ უკანასკნელისგან კი მხედრული (სურ. 30).

ა	Ⴀ	Ⴁ	1	ს	Ⴂ	Ⴃ	200
ბ	Ⴃ	Ⴄ	2	ტ	Ⴅ	Ⴆ	300
გ	Ⴄ	Ⴅ	3	ვ	Ⴇ	Ⴈ	
დ	Ⴅ	Ⴆ	4	უ	Ⴉ	Ⴊ	400
ე	Ⴆ	Ⴇ	5	ფ	Ⴋ	Ⴌ	500
ვ	Ⴇ	Ⴈ	6	ქ	Ⴍ	Ⴎ	600
ზ	Ⴈ	Ⴉ	7	ღ	Ⴏ	Ⴐ	700
ყ	Ⴉ	Ⴊ	8	ყ	Ⴑ	Ⴒ	800
თ	Ⴊ	Ⴋ	9	შ	Ⴓ	Ⴔ	900
ი	Ⴋ	Ⴌ	10	ჩ	Ⴕ	Ⴖ	1000
კ	Ⴌ	Ⴍ	20	ც	Ⴗ	Ⴘ	2000
ლ	Ⴍ	Ⴎ	30	ძ	Ⴙ	Ⴚ	3000
მ	Ⴎ	Ⴏ	40	წ	Ⴛ	Ⴜ	4000
ნ	Ⴏ	Ⴐ	50	ჭ	Ⴝ	Ⴞ	5000
ძ	Ⴐ	Ⴑ	60	ხ	Ⴟ	Ⴀ	6000
ო	Ⴑ	Ⴒ	70	ჰ	Ⴁ	Ⴂ	7000
პ	Ⴒ	Ⴓ	80	ჯ	Ⴃ	Ⴄ	8000
ჟ	Ⴓ	Ⴔ	90	ჟ	Ⴅ	Ⴆ	9000
რ	Ⴔ	Ⴕ	100	გ	Ⴇ	Ⴈ	10 000

სურ. 30: ქართული ანბანი

საეკლესიო და საღვთო საჭიროებისათვის საქართველოში ყოველთვის ხუცური შრიფტი გამოიყენებოდა. ხუცური სრულყოფილი ანბანია იმიტომ, რომ მას აქვს ე.წ. მთავრული და ნუსხური ასოები, როგორც სხვა ევროპულ ანბანებს, მაშინ როცა მხედრულს მთავრული ასოები არ გააჩნია. მიღებულია, რომ ასომთავრული შრიფტი პირველსაფეხველია. მისგან განვითარდა ნუსხური და მხედრული [33, გვ. 64].

არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, მხედრული დამწერლობის შესახებ: თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართულიმა დამწერლობამ და მწიგნობრობამ „დღიდან შექმისა“, ანუ ძვ.წ.

7. ქართული დამწერლობის შესახებ

მეორე ათასწლეულის ბოლოდან გაიარა თავის ფესვებზე დაყრდნობილი დამწერლობის ყველა საფეხური პიქტოგრაფიული სახის დამწერლობიდან, ჯერ ანბანურ უძველესი სახის ქალდეურ დამწერლობამდე, შემდეგ კი არამეულ-არმაზულ და მისი განვითარების შედეგად წარმოშობილ სრულყოფილი სახის დამწერლობამდე. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე მხედრული დამწერლობა არის საზოგადოდ პროტოქართველ-ქალდეველთა მიერ შექმნილი დამწერლობის განვითარება-სახეცვლილების ევოლუციური შედეგი, და არა ასომთავრულ-ნუსხურის გრაფიკული განვითარების შედეგი [11, გვ. 404].

ასომთავრულის, ზუცურისა და მხედრული ანბანის გრაფემები ისეთი დახვეწილი სრულყოფილებით გამოირჩევიან, რომ არა ერთი მეცნიერი მისი შექმნის თარიღად გაცილებით უფრო ადრეულ ხანას ვარაუდობს [15, გვ. 37].

დგინდება, რომ ქართული ანბანის სამივე სახეობა ერთი და იმავე თვისებების მქონეა:

- უადრეს წარწერებშიც კი ისინი უკვე კარგად ჩამონაკვთული და დახვეწილია;
- სამივე სისტემის დასრულებული და ჩამოქნილი ასო-ნიშნები იძლევა იმის საფუძველს, რომ მათი შექმნა გაცილებით ადრე ვივარაუდოთ, ვიდრე ჩვენამდე მოღწეული მასალის დათარიღებით არის განსაზღვრული;
- სხვა ანბანებთან შედარებით, მდგრადობის გასაოცარი ხარისხით ხასიათდება [15, გვ. 37].

7 ასომთავრული ანბანის განსაკუთრებულობა

რ. პატარიძის მიხედვით, ქართული ანბანი ხასიათდება შემდეგი მნიშვნელოვანი თვისებებით:

1. სრულყოფილება. ქართულ ანბანში დაცულია ასო-ნიშნების თანმიმდევრობის უძველესი ანბანური რიგი და ასო-ნიშნების უძველესი ანბანური სათვალავი 1-დან 10000-დე. ანბანური დამწერლობის ეს 2 ასპექტი ქართულ ანბანში ზუსტად და სრულყოფილადაა განხორციელებული. ამ თვალსაზრისით ქართული ანბანი ყველაზე სრულყოფილი ანბანია. რაც იმის

7. ასომთავრული ანბანის განსაკუთრებულობა

მომასწავლებელია, რომ ამ დამწერლობის შემოღების შემდგომ ქართულ ანბანურ მწკრივს არც რაიმე ასო-ნიშანი გამოკლება და არც რაიმე ასო-ნიშანი ჩამატებია [19, გვ. 82].

1	2	3	4	5	6	7	8	9	○
1 1 1	2 2 2	3 3 3	4 4 4	5 5 5	6 6 6	7 7 7	8 8 8	9 9 9	37 10000 37
10 10 10	11 20 11	12 30 12	13 40 13	14 50 14	15 60 15	16 70 16	17 80 17	18 90 18	38 20000 38
19 100 19	20 200 20	21 300 21	22 400 22	23 500 23	24 600 24	25 700 25	26 800 26	27 900 27	39 30000 39
28 1000 28	29 2000 29	30 3000 30	31 4000 31	32 5000 32	33 6000 33	34 7000 34	35 8000 35	36 9000 36	40 40000 40

ძართული ასომთავრული — ათწლის ეტალონი

სქემა 3

2. ერთობის პრინციპი. რ. პატარიძის აზრით, ქართული ასომთავრული ანბანი აგებულია ერთობის პრინციპით: იგი იწყება „ან“ — Ⴀ ასო-ნიშნით, რაც **მთვარის ღვთაების** იდეოგრაფიას წარმოადგენს, სრულდება 34-ე ყ — „ვარ“ ასო-ნიშნით, ხოლო დამთავრების ნიშნად 35-ე X — „ჯან“ — ია დასმული. „ხარ“ — „har“ შუმერული სიტყვაა და **ხარს** ნიშნავს. შუმერულ ღვთაებათა პანთეონში კი ირიცხება იმავე სახელწოდების მქონე ღვთაებაც — („Har“), რომელიც ითვლება მთვარის ღვთაების შვილად, ანუ მთვარის ღვთაების საკულტო ცხოველად [19, გვ. 99].

„ჯან“ — X-ასო-ნიშანი კი ჯვარს გამოხატავს, რაც გამოიყენება ანბანის დასრულების ნიშნად.

გარდა ამისა, რიცხვს 34, პითაგორისეული ალგებრით შეესაბამება რიცხვი 7 ($34 = 30 + 4 = 3 + 4 = 7$). ხოლო ქართული ანბანის ასო-ნიშნების სრული რიცხვია 35, რაც ხუთ 7-ეულს მოიცავს. რიცხვი 7 კი წმინდა, საკრალურ რიცხვადაა მიჩნე-

7. ქართული დამწერლობის შესახებ

ული. ამრიგად, სამი იდეოგრამა - აკრაფონი — მთვარისა, ხარისა და ჯვრისა, უზრუნველყოფს ქართული ანბანის ერთიანობის (მთლიანობის) პრინციპს.

ქართული ასომთავრულის 35 გრაფემის მთლიანობა, ანუ ერთობა, არ არის შემთხვევითი ნიშან-თვისება. მასში განხორციელებულია ყოვლადი კოსმოსური ერთობის პრინციპი. ამ ყოვლად ერთობის საწყისი და საფუძველია საკრალური რიცხვი 7 და სამების პრინციპი [19, გვ. 89].

3. სამების (ტრიადის) პრინციპი. ქართული ანბანი შექმნილია სამ-ერთობის, ანუ ტრიადის პრინციპის საფუძველზე. გარდა იმისა, რომ ქართული ანბანის ერთობა განხორციელებულია სამი იდეოგრამის მეშვეობით, მისი ერთობა აერთიანებს სამ ანბანურ ჯგუფს; 1. „სემური“ ანბანური ჯგუფი: ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, ჟ, თ, კ, ლ, მ, ნ, დ, ო, პ, ჟ, ფ, რ, ს, ტ.
2. „ბერძნული“ ანბანური ჯგუფი: უ, ფ, ძ, ლ.
3. ქართული ანბანური ჯგუფი: ლ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჳ, ხ, ჳ, ჯ.

ჩემი მოსაზრებით, ქართული ანბანის 3-ჯგუფიანობას საფუძველად დაედო ქართულ ენაში გამოყენებული ბგერების მრავალფეროვნება: პირველ ჯგუფს განეკუთვნებიან ის ბგერები, რომლებიც, **ქართულის** გარდა, თითქმის ყველა სხვა ენაშიც გამოიყენება, მეორე ჯგუფს – რომლებიც გამოიყენება ქართულ და **რომელიმე** სხვა (ბერძნულ) ენაში, ხოლო მესამე ჯგუფი მოიცავს ბგერებს, რომლებსაც თითქმის მხოლოდ ქართული ენა იყენებს (ჯამში 38-დე ბგერა). ცხადია არსებობს მსოფლიოს სხვა ენებში გამოყენებული ბგერი ისეთი ბგერა, რომლებიც ქართულ ენაში არ გამოიყენება.

მართალია ქართული ასომთავრული ანბანური დამწერლობა სამი ანბანური ჯგუფისაგან შედგება, მაგრამ იგი ანბანური ჯგუფების უბრალო „მექანიკური“ თანმიმდევრობა კი არაა, არამედ ის წარმოადგენს ერთიან, მთელ სისტემას, გაერთიანებულს სამ-ერთობის პრინციპით: „სემური“ და „ბერძნული“ ანბანური ჯგუფები გაერთიანებულია „ფან“ გრაფემის მეშვეობით, ხოლო „ბერძნული“ და „ქართული“ ანბანური ჯგუფები — „დან“ გრაფემის მეშვეობით. გარდა ამისა იგი ითვალისწინებს გრაფიკულ-

7. ასომთავრული ანბანის განსაკუთრებულობა

ფონეტიკურ კავშირებს, რომელიც განხორციელებულია ურთულესი მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით და ანბანის მთლიანობის პრინციპით [19, გვ. 102].

ამრიგად, ქართულ ასომთავრულ ანბანში განხორციელებულია 3 ანბანური ჯგუფის ერთობა სამ-ერთობისა და მთლიანობის პრინციპით.

საკრალური რიცხვი 7 ქართულ ანბანში. ძველი პითაგორული მოძღვრების თანახმად, რიცხვი 7 არის **არსის** რაობის ჭეშმარიტი გამომსახველი. მისით და მასში მჟღავნდება არსის საიდუმლო.

რ. პატარაძის მიხედვით, ქართულ ასომთავრულ ანბანში გათვალისწინებულია რიცხვი 7-ის საკრალურობა. ქართული ანბანის „სემური“ მწკრივი შეიცავს 21 ასო-ნიშანს, ხოლო „ბერძნულ-ქართული“ — 14 ასო-ნიშანს. ჯამში ქართული ანბანი შეიცავს 35 ასო-ნიშანს. საგულისხმოა, რომ 14 ს, 21-სა და 35-ის ერთადერთი საერთო გამყოფია რიცხვი 7. რიცხვი 7 კი უხსოვარი დროიდან ყველა ხალხებს წმინდა — საკრალურ რიცხვად მიაჩნდათ [19, გვ. 106].

ქართულ ასომთავრულ ანბანში ასო-ნიშან „გარ“-ს შეესაბამება რიცხვი 7000, რაც ისევ წმინდა რიცხვს 7-ს შეესაბამება. „გარ“-ის რიგითი ნომერია 34, რომელიც პითაგორისეული ალგებრით $34=3+4=7$, ანუ ისევ საკრალური რიცხვია. როგორც აღვნიშნეთ, მთვარის ღვთაების ზოდომორფული ნიშანია „გარ“-ი, რომელიც მთვარის წმინდა რიცხვის — 7-ის განმახორციელებელია.

ქართულ ასომთავრულ ანბანში 25-ე ასო-ნიშანია „ღან“ — ი, რომელიც უხილავი მამა-ღმერთის სიმბოლოა. მისი შესაბამისი რიცხვია 700, რაც ისევ წმინდა რიცხვს 7-ს შეესაბამება. ანუ მამაღმერთის წმინდა რიცხვიც 7-ა.

ღვთაებათა სიმბოლური გამოხატვა იდეოგრამ-აკროფონებით. უძველესი ქართული ასომთავრული ანბანი წარმოადგენს ერთიან (მთლიან), სრულყოფილ სისტემას, რომელშიც გამოხატულია მთვარის ღვთაების, მზის ღვთაებისა და უჩინარი მამაღმერთის იდეოგრამები.

სპეციალურ ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი, რომ ქარ-

7. ქართული დამწერლობის შესახებ

თველები წარმართულ ხანაში, გარდა სამყაროს შემქმნელი მამა-ღმერთისა, მთვარეს, მზესა და ცისკრის ვარსკვლავს ეთაყვანებოდნენ.

ცხადია, რომ ყოველივე ეს უნდა ასახულიყო ქართველი ქურუმების მიერ შექმნილ ასომთავრულ ანბანში. მთვარის ღვთაების სიმბოლოა C, რაც ასომთავრულის პირველი ასონიშანიცაა. ანუ, იგი მთვარის იდეოგრაფია-აკროფონია, რომლის რიცხვითი მნიშვნელობა 1-ის ტოლია. მთვარის ზოომორფული ნიშანია P, რომელიც ასომთავრულის 34-ე „გარ“ — P ასონიშანია. იგი ხარის იდეოგრაფია-აკროფონია, რომლის რიცხვითი მნიშვნელობა 7000-ის ტოლია, ანუ მთვარის საკრალური რიცხვი 7-ის ტოლია.

წარმართულ საქართველოში არსებობდა მზის ძლიერი კულტი. ვ. ბარდაველიძის მიხედვით, მზის ღვთაების ქართული წარმართული ნიშანია წრე და წრეზე დასმული ჯვარი. ქართულ ასომთავრულში ასეთი ნიშანი არის „დონ“ — D. შესაბამისად, მზის ღვთაების სახელი ქართულ ენაში „დ“ ბგერით უნდა იწყებოდეს. მართლაც, ივ. ჯავახიშვილისა და ვ. ბარდაველიძის გამოკვლევით მზეს წარმართულ ქართულში დღე ეწოდებოდა. ე.ი. ქართულ ასომთავრულ „დონ“-ში მზის ღვთაება — დღე იგულისხმება [19, გვ. 124].

ხოლო, მზის წმინდა რიცხვი იყო 9. ქართულ სიტყვიერებაში ოდითგანვე იხმარება გამოთქმა — „ცხრათვალა მზე“. ეს ვითარება ასახულია ქართულ ასომთავრულ ანბანში: ქართული ასომთავრული ანბანის მე-9 ასონიშანს წარმოადგენს „თან“ — T, რომელიც სიმბოლოურად თვალს განასახიერებს. თვალი კი მზის ღვთაების სიმბოლოა, რომლის წმინდა რიცხვი არის 9 [19, გვ. 107].

ციური ღვთაებების მესამე წევრია ცისკრის ვარსკვლავი — ასული ცის ღმერთისა. ცის კარის იდეოგრაფული ნიშანია ასონიშანი „ცან“ — C.

როგორც აღვნიშნეთ, წარმართულ საქართველოში მნათობლღვთაებათა ტრიადის გარდა, ოდითგანვე არსებობდა უმაღლესი ღვთაების კულტი დიდი ღმერთისა, ქვეყნის შემქმნელისა. რომელიც, ძველი ქართული წარმართული მსოფლმხედველობის ზოგადქართული მრწამსია. ყოველის დამბადებელი უხილავი

ღმერთის ადგილ-სამყოფელი კი ცაში იგულისხმებოდა. ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში ხშირად მოიხსენიებოდა ღმერთთან დაკავშირებული „ღვთის კარი“ — დამბადებელი ღმერთის ადგილ სამყოფელი [19, გვ. 232].

ეს წარმოდგენა ასახულია ქართულ ასომთავრულ ანბანში რიგით 25-ე „ღან“ ი ასო-ნიშნით, რომელსაც თალის ფორმა აქვს. იგი, ერთის მხრივ, **ღმერთის** სახელის პირველი ბგერის აღმნიშვნელი სიმბოლოა, და ერთდროულად, უხილავი ღმერთის სამყოფელის, „ღვთის კარის“ — გამომხატველი სიმბოლო. მისი რიცხვითი მნიშვნელობა 700-ის ტოლია, რაც პითაგორას ალგებრით, წმინდა რიცხვს 7-ს შეესაბამება.

ასომთავრულის 35-ე ასო-ნიშანი „ჯან“ — ჯ — ჯვარი, ანბანის დასრულების იდეოგრამული ნიშანია [19, გვ. 130].

ამრიგად ქართულ ასომთავრულ ანბანში გვაქვს შემდეგი 7 იდეოგრამ-აკროფონური ნიშანი.

1	2	3	4	5	6	7
Ⴀ	Ⴂ	Ⴃ	Ⴄ	Ⴅ	Ⴆ	Ⴇ
ა	დ	თ	ღ	ც	წ	ჯ

შვიდ იდეოგრამა-აკროფონს შორის ღვთის კარს — ი შუა, ანუ ცენტრალური ადგილი უკავია [19, გვ. 131].

8 კალენდარი ასომთავრულ ანბანში

ქართული ანბანის კალენდარული მონაცემები გამოწვლილ-ვით აქვს მიმოხილული თავის წიგნში რამაზ პატარიძეს.

რ. პატარიძემ, რომელიც ქართული დამწერლობის ყველაზე ნაყოფიერი მკვლევარია საქართველოში, დიდი ივანე ჯავახიშვილის შემდეგ, აღმოაჩინა, რომ ჩვენი ანბანი ამავე დროს ასრულებდა კალენდრის მოვალეობასაც [33, გვ. 70].

რ. პატარიძის გამოკვლევით, ქართული წარმართულ კალენდარს აქვს შემდეგი სახე (იხ. სქემა 4 გვ.188):

ანბანის 7 ასო-ნიშანი შვიდეული დღე-ღამე, ანუ ერთი მსგეფსია; ანბანის 12 ასო-ნიშანი წელიწადის 12 თვეა; ანბანის 19 ასო-ნიშანი მზისა და მთვარის 19-წლიანი მეტონის ციკლია; ანბანის 24 ასო-ნიშანი დღე-ღამის 24 საათია; ანბანის 31 ასო-ნიშანი ნა-

7. ქართული დამწერლობის შესახებ

1. - ა	13. - მ	25. - ღ
2. - ბ	14. - ნ	26. - ყ
3. - გ	15. - დ	27. - შ
4. - დ	16. - ლ	28. - ჩ
5. - ე	17. - ვ	29. - ც
6. - ვ	18. - ქ	30. - ძ
7. - ზ	19. - რ	31. - წ
8. - ზ	20. - ს	31. - წ
9. - თ	21. - ტ	32. - ჭ
10. - ი	22. - უ	33. - ხ
11. - კ	23. - ფ	34. - ც
12. - ლ	24. - ქ	35. - ჯ

სქემა 4: ქართული წარმართული კალენდარი

კიანი წელიწადის ოთხწლიანი და 128-წლიანი ციკლებია; ანბანის 5 უკანასკნელი ასო-ნიშანი („წილ“-„ჯან“) წელიწადის 5 ეპაგომენი დღე-ღამეა. ნაკიანი წელიწადის გამო ასო-ნიშანი „წილ“ — **წ** კალენდარში ორჯერ იანგარიშება [19, გვ. 526].

ამრიგად, ქართულ ასომთავრულ ანბანში განხორციელებულია მზის კალენდარი, რომლის მიხედვით, წელიწადში 12 თვეა, თვეში 30 დღეა. ანუ წელიწადში 360 დღე-ღამეა. მაგრამ, ტროპიკული მზის წელიწადი 365,2422 დღე-ღამეა. ამიტომ, ქართული მზის კალენდარული სისტემა 3 უნაკო წელიწადს 5 დღე-ღამეს უმატებდა, ხოლო ნაკიან მეოთხე წელიწადს — 6 დღე-ღამეს, რაც საშუალოდ კი ყოველ წელიწადში 365,25 დღე-ღამეა.

ტროპიკულ წელიწადში კი 365 დღე-ღამე, 5 საათი, 48 წუთი და 45, 9747 წამია, რაც წელიწადში 11 წთ. 14,0253 წამის ცდომილებას იძლევა. მაგრამ, თურმე ქართულ ასომთავრულ ანბანში განხორციელებული მზის კალენდარი ამ ცდომილება-საც ითვალისწინებს. კერძოდ, როგორც რ. პატარიძე აღნიშნავს, ამ ცდომილების შესწორების როლს ქართულ ასომთავრულ ანბანში ასო-ნიშნები „დონ“-ი და „წილ“-ი ასრულებენ. „დონ“-ი რიგით მეოთხე ასო-ნიშანია. მას გააჩნია დაფარული რიცხვითი მნიშვნელობა, რომელიც $d+n=4+70+50=124$ -ის ტოლია.

„წილ“-ი კი რიგით 31-ე ადგილზეა და ორმაგ ფუნქციას ასრუ-

ლებს: ერთ შემთხვევაში იგი „ყოველ 4 წელიწადში ერთ ნაკიან წელიწადს (3+1), ხოლო მეორე შემთხვევაში „წილ“-ი 31 ნაკიან წელიწადს ანგარიშობს, ხოლო 31 ნაკიანი წელიწადი $31 \times 4 = 124$ წელიწადის ტოლია. 41 ოთხწლეულის შემდეგ 32-ე ოთხწლეული უნაკო იქნება, ამიტომ ქართული ასომთავრული ანბანის მიხედვით 128 წალიწადში (124+4) ერთი დიდი ციკლი მთავრდება, ხოლო 128-წლიანი ციკლის მიხედვით, წელიწადის ხანგრძლივობა 365 დღე-ღამე, 5 საათი, 48 წუთი და 45 წამი იქნება. ამრიგად, ჭეშმარიტ ტროპიკულ მზის წელიწადსა და ძველქართულ 128-წლიანი ციკლის ერთ კალენდარულ წელიწადს შორის განსხვავება მხოლოდ 1 წამის რიგისაა.

რ. პატარიძის აზრით, სწორედ ქართველი პითაგორელების მიერ უნდა შექმნილიყო ქართული ანბანი, რომელშიც დასტურდება ცოდნა, როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური ცივილიზაციისა. საქართველოში შემოსულ ოდესდაც დიდი ცივილიზაციის მემკვიდრე ქართულ ტომებს უნდა შემოეტანათ ეგვიპტური მზისა და ბაბილონური მთვარის კალენდრები, რომლებიც შემდგომ ქართულ ანბან-კალენდარში შენივთდა. ქართული ანბან-კალენდარი, მსგავსად პითაგორული მოძღვრებისა, საიდუმლო ყოფილა. ის მხოლოდ ქურუმთა ვიწრო წრეში ყოფილა ცნობილი, ფარნავაზის დროს მას რამდენადმე გავრცელება მიუღია სრულიად საქართველოს ქურუმთა შორის. ქრისტეშობის შემდეგ, ქრისტიან ქართველობას სწორედ ეს, უკვე არსებული, ანბანი გამოუყენებია საეკლესიო საჭიროებისათვის [33, გვ. 73].

ეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის აზრით, ანბანი, რომლითაც ქართულ ენაზე დაიწერა ბიბლიის წიგნები, ახალი აღთქმა, ქადაგებანი, რომლებსაც ათასწლეულთა მანძილზე ნაწერით გადმოცემული საღმრთო დიდების მეტყველება ეფუძნებოდა, შეუძლებელია შექმნილიყო სულიწმინდის მონაწილეობის გარეშე. უთუოდ, ქართული ასომთავრული ხუცური და ნუსხა-ხუცური ანბანიც **სულიწმინდის შთაგონების** შედეგია [33, გვ. 73].

9 ოქროს კვეთა ასომთავრულ ანბანში

ქართული ასომთავრული ანბანი შედგება 5 შვიდეულისაგან, რომლებიც გეომეტრიულად ხუთი ტოლი მონაკვეთის გეომეტრიულ ერთობას, ანუ წესიერ ხუთკუთხედს ქმნიან, ხოლო მასზე შემოწერილი წირით განისაზღვრება ქართული ასომთავრული ანბანის შესაბამისი წრეწირი. მასში ჩახაზული წესიერი ხუთკუთხედის დიაგონალები კი ქმნიან ვარსკვლავურ ხუთკუთხედს ანუ პენტაგრამას [19, გვ. 490].


პითაგორას მოძღვრებაში რიცხვი 5 იყო პენტაგრამის სიმბოლო. პენტაგრამა კი პითაგორელთათვის საღმრთო (წმიდა) გეომეტრიულ ფიგურად იყო მიჩნეული, რადგანაც ის ერთდროულად წარმოადგენს სიმეტრიულ ფიგურას და თავის თავში გამოსახავს ასიმეტრიასაც — „ოქროს პროპორციის“ სახით (წრეში ჩახაზული ხუთკუთხედის გვერდზე დაყრდნობილი ტოლფერდა სამკუთხედის გვერდის შეფარდება მის ფუძესთან, ოქროს რიცხვის 1.618-ის ტოლია).

ეს იმას ნიშნავს, რომ ქართულ ასომთავრულ ანბანში დამარხულია ოქროს კვეთის საიდუმლო.

გავიხსენოთ ოქროს კვეთის არსი. „ოქროს პროპორცია“ ეწოდება შემდეგი სახის პროპორციას:

$$a/b = b/c = \varphi \tag{1}$$

რომელშიც შუალედური წევრი b კიდურა წევრების საშუალო გეომეტრიულის ტოლია: $b = \sqrt{ac}$.



სურ. 31: ოქროს კვეთა

ტოლობა (1)-დან გამომდინარე ცხადია, რომ ოქროს პროპორციის რიცხვებისათვის ადგილი აქვს შემდეგ ტოლობებს:

$$b = \varphi c; a = \varphi^2 c; \tag{2}$$

9. ოქროს კვეთა ასომთავრულ ანბანში

როცა $a > b > c$, ცხადია, რომ $\varphi > 1$. ზრდადობის მიხედვით დალაგებული ოქროს პროპორციის რიცხვებით შედგენილი მიმდევრობა წარმოადგენს გეომეტრიულ პროგრესიას საწყისი წევრით c და მნიშვნელით φ :

$$c, \varphi c, \varphi^2 c, \dots \quad (3)$$

ოქროს კვეთა. „ოქროს კვეთა“ ეწოდება $|AC| = a$ სიგრძის მონაკვეთის ისეთ b და c სიგრძის მონაკვეთებად გაყოფას, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ პირობას:

$$\begin{aligned} a &= b + c \\ a/b &= \frac{b+c}{b} = \frac{b}{c} = \varphi \end{aligned} \quad (4)$$

ამ პირობებში ფარდობა φ -ს გააჩნია ერთადერთი რიცხვითი მნიშვნელობა. (2)-სა (4) თანაფარდობების გამოყენებით მივიღებთ შემდეგ განტოლებას:

$$c\varphi^2 = c + \varphi c \quad (5)$$

ამ განტოლებიდან φ -ს მიმართ ვიღებთ შემდეგ კვადრატულ განტოლებას:

$$\varphi^2 - \varphi - 1 = 0 \quad (6)$$

რომლის ფესვია:

$$\varphi = \frac{1 + \sqrt{5}}{2} \approx 1,618 \quad (7)$$

სწორედ ესაა „ოქროს კვეთის“ შესაბამისი ოქროს რიცხვის გამოსახულება.

აღმოჩნდა, რომ „ოქროს რიცხვი“ ხასიათდება მეტად საინტერესო მათემატიკური თვისებებით.

მაგალითად: φ -არის ერთადერთი რიცხვი რომელიც ერთის გამოკლების შედეგად იძლევა თავის ინვერსიას $1/\varphi$:

$$\varphi^{-1} = 1/\varphi = 1/1.618 = \frac{2}{1 + \sqrt{5}} = \frac{\sqrt{5} - 1}{2} \approx 0,618; \quad (8)$$

7. ქართული დამწერლობის შესახებ

გარდა ამისა:

$$\varphi^2 = 1 + \varphi = \frac{3 + \sqrt{5}}{2} \approx 2.618;$$

$$\text{ხოლო, } \varphi^{-2} = 1 - 1/\varphi = \frac{3 - \sqrt{5}}{2} \approx 0,382.$$

იმ შემთხვევაში, თუ „ოქროს კვეთის“ მცირე c მონაკვეთს 1-ის ტოლად მივიჩნევთ, მაშინ მიმდევრობა (3) მიიღებს შემდეგ მზარდ სახეს:

$$\{c, \varphi c, \varphi^2 c\} \rightarrow \{1, \varphi, \varphi^2\} \rightarrow \left\{1, \frac{1 + \sqrt{5}}{2}, \frac{3 + \sqrt{5}}{2}\right\} \quad (9)$$

ხოლო იმ შემთხვევაში, როცა „ოქროს კვეთის“ მთელ a მონაკვეთს მივიჩნევთ 1-ის ტოლად, მაშინ მიმდევრობა (3) მიიღებს შემდეგ კლებად სახეს:

$$\{a, a/\varphi, a/\varphi^2\} \rightarrow \{1, 1/\varphi, 1/\varphi^2\} \rightarrow \left\{1, \frac{\sqrt{5} - 1}{2}, \frac{3 - \sqrt{5}}{2}\right\} \quad (10)$$

ზრდადობის მიხედვით დალაგებული „ოქროს კვეთის“ შესაბამისი რიცხვები ჰქმნიან შემდეგ მზარდ მიმდევრობას:

$$O_n = \left\{ \frac{3 - \sqrt{5}}{2}; \frac{-1 + \sqrt{5}}{2}; 1; \frac{1 + \sqrt{5}}{2}; \frac{3 + \sqrt{5}}{2} \right\} \quad (11)$$

ამ მიმდევრობას მიახლოებით ათწილადებში შემდეგი სახე ექნება

$$O_n = \{0.382; 0.618; 1; 1.618; 2.618\} \quad (12)$$

ძირითადად ეს რიცხვებია მიჩნეული, ოქროს კვეთის გამომხატველად.

ამკარაა, რომ „ოქროს კვეთის“ რიცხვთა მიმდევრობაში რიცხვ 1-ს ცენტრალური ადგილი უკავია. ხოლო მისგან მარცხნივ და მარჯვნივ მდებარე თანაბრად დამორებული წევრების ნამრავლი 1-ის ტოლია.

9. ოქროს კვეთა ასომთავრულ ანბანში

ამკარაა, რომ „ოქროს კვეთის“ მიმდევრობის თითოეული წევრი, დაწყებული მეორედან, მიიღება წინა წევრისაგან ოქროს (φ) რიცხვზე გამრავლებით და ტოლია მეზობელი წევრების საშუალო გეომეტრიულისა.

„ოქროს კვეთის“ მიმდევრობის ყოველი O_n წევრის შეფარდება წინა წევრთან ოქროს რიცხვის ტოლია:

$$O_n/O_{n-1} = A_u = \frac{1 + \sqrt{5}}{2} \approx 1,618\dots$$

გარდა ამისა „ოქროს“ მიმდევრობის ყოველი წევრი დაწყებული მესამედან ტოლია **წინა 2 წევრის ჯამისა**. ეს ყოველივე იმაზე მიუთითებს, რომ „ოქროს კვეთის“ მიმდევრობის წევრები ქმნიან ერთიან **ჰარმონიულ** სისტემას [28, გვ. 68].

რ. პატარიძის მიხედვით, „ოქროს კვეთის“ მონაკვეთებს ქართულ ანბანში უნდა შეესაბამებოდეს რაღაცა „ოქროს რიცხვები“.

აღმოჩნდა, რამ ასეთი „ოქროს რიცხვები“ ქართულ ანბანში მართლა მოიძებნება.

რ. პატარიძის აზრით, ქართულ ასომთავრულ ანბანში მოიძებნება „ოქროს კვეთის“ მცირე და დიდი მონაკვეთების შესაბამისი რიცხვები. მართლაც ქართულ ასომთავრულ ანბანში განხორციელებულია მზისა და მთვარის კალენდარული ტოლობის 19 წლიანი მეტონის ციკლი „ოქროს რიცხვები“ 12 და 19. ქართულ ასომთავრულ ანბანში ამ რიცხვების შესაბამისი ასო-ნიშნების ღვთაებრივი, ასტრონომიული თუ მათემატიკური მნიშვნელობანი კალენდარულმა მოთხოვნილებამ განაპირობა.

კერძოდ, **რიცხვი 12:**

- ა. თევზის ზოდიაქოს რიცხვია;
- ბ. თევზის ღვთაების — ღვთაება ლასის რიცხვია;
- გ. მეტონის ციკლის ძირითადი მათემატიკური რიცხვია;
- დ. მზისა და მთვარის წელიწადის კალენდარული რიცხვია.

ცხადია, მე-12 ასო-ნიშანი ქართული ანბანისა და შესაბამისად რიცხვი 12 კალენდარული რიცხვია და მეტონის ციკლის ოქროს რიცხვია [19, გვ. 497].

7. ქართული დამწერლობის შესახებ

ხოლო რიცხვი19:

- ა. ეგვიპტური მზე-ღმერთის რიცხვია;
- ბ. მთვარის ცაზე მოძრაობის 19-წლიანი ასტრონომიული პერიოდის რიცხვია;
- გ. მეტონის ციკლის ძირითადი მათემატიკური რიცხვია;
- დ. მზისა და მთვარის 19-წლიანი კალენდარული ტოლობის რიცხვია.

ამრიგად, რ. პატარაიდის აზრით, რიცხვები 12 და 19 მეტონის ციკლის „ოქროს რიცხვებია“, რომლებიც მან „ოქროს კვეთის“ შედეგად მიღებულ მცირე და დიდ რიცხვებად მიიჩნია. მაშინ საძიებელი მთელი მონაკვეთის შესაბამისი ოქროს რიცხვი მათი ჯამი იქნება:

$$12 + 19 = 31$$

რიცხვი 31 კი ქართულ ასომთავრულ ანბანში ასო-ნიშანი „წილ“-ის რიგითი ნომერია, და აგრეთვე კალენდარული რიცხვია.

რ. პატარაიდის გამოკვლევით, „წილ“-ის მეშვეობით განისაზღვრება წრეწირის სიგრძისა და მისი დიამეტრის შეფარდების, ანუ რიცხვის მიახლოებითი მნიშვნელობა 3.14.

როგორც ცნობილია, „ოქროს კვეთა“ მთელის ისეთი გაყოფაა, რომლის დიდი ნაწილი (19) მთელის (31) 0.618 ნაწილს წარმოადგენს, ხოლო მცირე ნაწილი (12) – 0,382 ნაწილს. მართლაც:

$$31 \times 0.618 = 19.158 \approx 19$$

$$31 \times 0.312 = 11,842 \approx 12$$

მაშასადამე, ქართული ასომთავრული ანბანის უძველესი წერილობითი წყაროა, სადაც „ოქროს კვეთის“ არა მარტო პირველი, არამედ ამავე დროს, უნიკალური ნიმუში დასტურდება [19, გვ. 501].

ამრიგად, ქართულიასომთავრული ანბანის შემქმნელი ქართველი ქურუმები ფლობდნენ ცოდნას „ოქროს კვეთის“ შესახებ, რომელიც, როგორც ირკვევა კოსმოსური სამყაროს ჰარმონიულობის მათემატიკურ საფუძველს წარმოადგენს.

10 დამწერლობა ღვთაებრივი შემოქმედების ნაყოფია

ჩვენი მოსაზრებით, როგორც ჩვენი კოსმოსური სამყარო, სიცოცხლე და ადამიანი, ისე ენაც და ანბანიც **ღვთაებრივი შემოქმედების** ნაყოფია. ეს აზრი შესაბამისობაშია ანა მესხის მიერ გამოთქმულ მოსაზრებასთან დამწერლობის ღვთაებრივი წარმოშობის შესახებ [15].

ანა მესხის თვალსაზრისით, შუმერული და ეგვიპტური დამწერლობების ერთ საერთო თვისებას მათი **ღვთაებრივი წარმოშობა** წარმოადგენს. შუმერებსა და ეგვიპტელებს სწამდათ, რომ დამწერლობა ღვთაებრივი შემოქმედების ნაყოფია. შუმერული დამწერლობის ღმერთად მიჩნეული იყო **ნაბუ**. იგი მიიჩნეოდა დამწერლობისა და გადამწერთა მფარველად, „დამწერლობის ასო-ნიშანთა და ყოველგვარი განსწავლულობის შემქმნელად და შემოქმედად“. **ნაბუ**-ს ატრიბუტს და მის ღვთაებრივ სიმბოლოს სამკუთხოვანი წვეროს მქონე კალამი წარმოადგენდა. შუმერული დამწერლობის ანალოგიური სურათი გვაქვს ეგვიპტურშიც, სადაც დამწერლობის შემქმნელად და გადამწერების პატრონად ითვლებოდა მთვარის ღვთაება **თოთი**. იგი იყო წმიდა წიგნების, გადამწერებისა და ცოდნის ღმერთი და პატრონი. ხოლო მის ატრიბუტსა და ღვთაებრივ სიმბოლოს **ჩალის დაფა** წარმოადგენდა. ცოდნა, რომელსაც მესოპოტამიაში ნაბუ, ხოლო ეგვიპტეში თოთი პატრონობდა, წმინდა იყო და ამიტომაც საიდუმლოდ ინახებოდა საკრალურ ბიბლიოთეკებში, სადაც შესვლის უფლება მხოლოდ ქურუმებსა და მმართველ ელიტას გააჩნდა [15, გვ. 56].

დ. ალფენიძის მტკიცებით, ეგვიპტელების ღმერთი „თოთი“ („თუთა“) მთვარის ღმერთი, იყო დამწერლობის ღმერთიც [2, გვ. 344]. ეგვიპტური „თოთი“ იყო კოლხური „თუთას“ და „თუთაშხა“-ს არქეტიპი. კოლხეთში მოქმედებდა „თოთის“ — მთვარის კალენდარი. ხოლო **თვეს** ერქვა მთვარის სახელი „თუთა“ [2, გვ. 374].

„ნაბუ“ და „თოთი“ გარეგნულად განსხვავებული ღვთაებებია, თუმცა, არსებითად, ერთი მთლიანობის ორ განუყოფელ სახეს წარმოადგენენ. ისინი დამწერლობისათვის აუცილებელ მხოლოდ

7. ქართული დამწერლობის შესახებ

თითო-თითო ინსტრუმენტს ფლობენ. „ნაბუ“ და „თოთი“ არიან ორი განსხვავებული ცივილიზაციის ღმერთები. ისინი, თვით შუმერებისა და ეგვიპტელების აზრით, დამწერლობის შემქმნელი ერთი ღმერთის ორი განუყოფელი სახეა, ღმერთისა, რომელმაც ამ ორი ცივილიზაციის დამწერლობის ღვთაებებს საკუთარი საწერი ინსტრუმენტები გაუნაწილა [15, გვ. 57].

ლოგიკურია, ვივარაუდოთ, რომ „ნაბუსა“ და „თოთის“ უკან დგას დამწერლობის **ჭეშმარიტი ღმერთი**. ანუ შუმერული და ეგვიპტური დამწერლობის ღმერთები დამწერლობის ერთი ღმერთის ორი განსხვავებული ეთნიკური სახეებია. ერთი ჭეშმარიტი ღმერთი უხილავია და პირდაპირ აღქმას არ ექვემდებარება და მამასადამე ეზოთერიზმის სფეროს მიეკუთვნება, რაც გარკვეული მიზნით შექმნილ კოდურ სისტემას უნდა წარმოადგენდეს, რომლის გახსნა შესაძლებელია მხოლოდ იმ გასაღებით, რომლითაც მოხდა აღნიშნული კოდის ჩაწერა. „ნაბუ“ და „თოთი“ ამგვარი კოდის ნაწილს უნდა წარმოადგენდნენ, მაშინ ეს შუმერულ-ეგვიპტური ღვთაებრივი წყვილი უნდა გვიმაღავდეს 5000 წლის ხელშეუხებელ ინფორმაციას [15, გვ. 58].

ანა მესხის ლინგვისტური ანალიზით ირკვევა, რომ სიტყვა „ნაბუ“ შესაბამისობაშია ქართულ სიტყვასთან „ნება“.

ანა მესხი, „წარმოდგენილი ლინგვისტური ანალიზისა და მიღებული ზეინფორმაციის საფუძველზე“, ასკვნის, რომ **„შუმერულ-ეგვიპტური განზოგადებული ღმერთი, რომელსაც ორი საწერი ინსტრუმენტი ეკუთვნის, არის ქართველი ხალხი, მისი ენა და კულტურა“** [15, გვ. 74].

ანა მესხის კვლევის მიხედვით, ქართველური „თუთა“-სა და ეგვიპტური „თოთი“-ს შედარება ნათელს ხდის მათ ფონეტიკურ იგივეობას [15, გვ. 79].

ეგვიპტური „თოთი“ მთვარის ღმერთს განასახიერებდა და მთვარის კალენდარს მეთაურობდა. ხოლო ქართველური „თუთა“ სემანტიკით უკავშირდება ქართული ასომთავრულ ანბანის პირველ ასო-ნიშანს Ⴀ - „ან“-ის. ასო-ნიშანი Ⴀ-ც მთვარის ღმერთის განმასახიერებელია, მთვარის კალენდარს მეთაურობს და ასტრონომიული ცოდნის სათავსოა. ორივე ღმერთი დამწერლობის სისტემის საკუთრებაა. „თოთი“-ს ეგვიპტური დამწერლობის

შემოქმედ ღვთაებად მიიჩნევდნენ და ქართული ანბანის თავში მყოფი ასო-ნიშანი Γ -ც იმავე ფუნქციას ასრულებს [15, გვ. 82].

რ. პატარიძის მოსაზრებით, სამყაროს შემოქმედ უჩინარ და ერთადერთ ღმერთს, რომელიც ქართულ ასომთავრულ ანბანში ასო-ნიშან „ღან“-ით — Π გამოისახება, გააჩნია საკუთარი ღვთიური თვალის (რომლითაც უმზერს მის მიერვე შექმნილ სამყაროს), რომელიც ქართულ ასომთავრულ ანბანში ასო-ბგერა „თან“ — Θ -ით გამოისახება, და ანბანური სათვალავით მე-9 ადგილზეა [19].

ანა მესხის კვლევის მიხედვით, ღვთაებრივ თვალს წარმოადგენს სემიტური „'აინ“-იც (\aleph). მაშასადამე, ქართველურ უჩინარ ღვთაებას გააჩნია ორი ღვთაებრივი თვალი და სამყაროს უმზერს ქართული „თან“-ით და სემიტური „'აინ“-ით. ცხადია, რომ ანბანური კუთვნილების მიუხედავად, ორივე თვალს ერთი და იგივე ფუნქცია აკისრია [15, გვ. 87].

როგორც აღვნიშნეთ, ქართულ ასომთავრულ ანბანში ასო-ნიშნებს ფიქსირებული ანბანური რიგი და ინდივიდუალური რიცხვითი მნიშვნელობა გააჩნიათ. იგივე თვისებებით ხასიათდებიან ფინიკიური და ბერძნული ანბანებიც. ქართულ ასომთავრულ ანბანში ასო-ნიშან „ღან“-ს 25 ადგილი უკავია. ხოლო ფინიკიურში ასო-ნიშან „'აინ“-ს — მე-16 ადგილი. ისინი კი გეომეტრიულად მართკუთხა სამკუთხედის შესაბამისნი არიან, რომელშიც რიცხვები 4 და 3 კათეტების, ხოლო რიცხვი 5 ჰიპოტენუზის სიდიდეებს შეესაბამებიან. მათ შორის არსებული მათემატიკური კანონზომიერება ცნობილი პითაგორას თეორემით გამოისახება ($9+16=25$). ანუ გეომეტრიულად ასო-ნიშანი „ღანი“ მართკუთხა სამკუთხედის ჰიპოტენუზაა, ხოლო ასო-ნიშანი „'აინ“-ი იმავე მართკუთხა სამკუთხედის ერთ-ერთი კათეტია. თუ დავაკვირდებით, ამ ორ ასო-ნიშნის ადგილმდებარეობას შორის მანძილი 9-ს ტოლია. რიცხვი 9 კი, ერთის მხრივ, ზემოხსენებული მართკუთხა სამკუთხედის მცირე კათეტს შეესაბამება, ხოლო, მეორეს მხრივ, ქართულ ასომთავრულ ანბანში ასო-ნიშან „თან“-ის ანბანური სათვალავია.

შესაბამისად, ანა მესხი ასკვნის, რომ ქართული ასომთავრული ანბანის ღვთაებრივი თვალი „თან“-ი და ფინიკიური „'აინ“-ი ქართველურ უხილავ შემოქმედ ღმერთთან „ღან“-თან მიმარ-

7. ქართული დამწერლობის შესახებ

თებაში იდენტურ გეომეტრიულ და მათემატიკურ ფუნქციებს ასრულებენ [15, გვ. 96].

ეს დასკვნა შესაბამისობაშია იმ აზრთან, რომ ქართული „თან“-იც და სემიტური „'აინ“-იც ქართველური უჩინარი შემოქმედი ღმერთის „ღან“-ის თვალეხია [15, გვ. 97].

ანა მესხი, თავისი კვლევებით, მიდის შემდეგ დასკვნამდე: ქართული ასომთავრული „ღან“-ი და ფინიკიური „'აინ“-ი დაკავშირებულნი არიან რთული მრავალპლანიანი (ლინგვისტური, რელიგიური, მათემატიკური, გეომეტრიული) ურთიერთქმედებებით, რომელთა კოდირება ანბანურ ასო-ნიშნებში მხოლოდ თვით ანბანის შექმნის პროცესშია შესაძლებელი.

წარმოდგენილ მსჯელობას ეწინააღმდეგება ერთი გარემოება, პითაგორული სისტემის გამოყენება ფინიკიური ანბანთრიგისა და ასო-ნიშნების გეომეტრიული მნიშვნელობების მიმართ. როგორც ცნობილია, ჩრდილო-სემიტური ანბანის შექმნა ივარაუდება მეორე ათასწლეულის დასასრულს (ძვ.წ. XI ს.), მაშინ, როდესაც პითაგორა ძვ. წ. 569-475 წწ. მოღვაწეობდა [15, გვ. 97].

ამ მოსაზრებას აქარწყლებს შემდეგი გარემოების გათვალისწინება. ცნობილია, რომ ბერძენმა მეცნიერებმა (პითაგორას ჩათვლით) განათლება ბაბილონელი ქურუმებისაგან მიიღეს. ხოლო ბაბილონელ ქურუმთა ცოდნაზე დიდი გავლენა იქონია ქალდეურმა კულტურამ. ძველი ქალდეა ყოველთვის ითვლებოდა მისტიკური მეცნიერებებისა და რიცხვითი მისტიციზმის სამშობლოდ. პითაგორამ ქალდეველი და სირიელი სწავლულების შემდეგ ეგვიპტელ ქურუმებთან გაიღრმავა ცოდნა. აქედან გამომდინარე, პითაგორას ცოდნა მისი პირადი მეცნიერული კვლევის შედეგად კი არა, არამედ ქალდეველ-ეგვიპტელ ქურუმთა ჩაკეტილი ოლიგარქიის კუთვნილებად უნდა მივიჩნიოთ [15, გვ. 98].

ჲ - „ჯარ“-ი როგორც დამწერლობის სიმბოლო. ასომთავრული ასო-ნიშანი ჲ — „ჯარ“-ი, როგორც დამწერლობის სიმბოლო, სამეცნიერო ლიტერატურაში, „ღია ტექსტი“, ჯერ-ჯერობით არსად არ გვხვდება. სამაგიეროდ როგორც დამწერლობის, ისე რელიგიურ ძეგლებში მრავლად მოიძებნება მასალა, რომელიც ადასტურებს, რომ ჲ დამწერლობის სიმბოლოა. შუმერში ხა-

10. დამწერლობა ღვთაებრივი შემოქმედების ნაყოფია

რის თავის სტილიზებული ფორმა გვხვდება პიქტოგრამის სახით, რაც ქართული ასომთავრული Կ-ის იდენტურია [15, გვ. 157].

შუმერული ენის ლექსიკაში არსებობდა სიტყვა „Har“, ანუ „**ჰარ**“-ი, რომელშიც ჩვეულებრივი ცხოველი კი არა, ღვთაებრივი „**ჰარ**“-ი იგულისხმება. შუმერული რელიგიური შეხედულებების თანახმად, „**ჰარ**“-ი (Կ) მთვარის შვილია, ასტრალური მთვარის ღმერთის მიწიერი და ზოომორფული გამოსახულებაა დედამიწაზე. ქართულ ასომთავრულში პირველი ასო-ნიშანი Ը-„ან“-ი მთვარის ღვთაების გამოსახულებაა, ხოლო 34-ე ადგილზე მდგარი ასო-ნიშანი Կ მისი შვილია, და ქართველური მთვარის ღმერთის ზოომორფული გამოსახულებაა [15, გვ. 158].

შუმერთან შედარებით, დამწერლობა ეგვიპტეში ოდნავ გვიან იწყებს ჩამოყალიბებას. ეგვიპტური ტერმინი „იეროგლიფი“ **ღმერთის სიტყვას** ნიშნავს, რაც მის საკრალურ და ღვთაებრივ არსზე მიუთითებს. ღვთაებრივი ბუნების გამო, იეროგლიფები მხოლოდ რელიგიური მიზნით გამოიყენებოდა — ტაძრებსა და აკლდამებში, წარწერების შესასრულებლად [15, გვ. 159].

„ხარი“-ს თაყვანისცემა ეგვიპტურ ცივილიზაციაში ნეოლითური ხანიდან შეიმჩნევა. ხარის გამოსახულება — Կ ეგვიპტის რელიგიურ და კულტურულ ცხოვრებას მისი დასაწყისიდან დასასრულამდე მსჭვალავს. შემუშავებულ იქნა ხარის თავის გამოსახულების მრავალი იეროგლიფი, მათ შორის ხარის რქების რეალისტური გამოსახულება [15, გვ. 161].

ეგვიპტელი ქურუმები საწერ ნიშნად იყენებდნენ იეროგლიფს, რომელიც ქართული ასომთავრული Կ-ის იდენტურია.

ანა მესხი ასკვნის, რომ მიუხედავად ათასწლიანი გეოგრაფიული და ქრონოლოგიური დისტანციისა, სამივე ნიშანი, გრაფიკულად, ერთი და იმავე „ხარ“-ის გამოსახულებას წარმოადგენს და ქართველური კულტურიდან მომდინარეობს [15, გვ. 163].

ანა მესხის მოსაზრებით, ქართველური ასო-ნიშანი Կ-ის მონახაზი, რელიგიური მნიშვნელობა და დამწერლობითი ფუნქცია, რომლებსაც დამწერლობის გარიჟრაჟზე ვხედავთ, ქართულ ასომთავრულ „**ჰარ**“-ში 5000 წლის შემდეგ კვლავ შენარჩუნებულია... ათასწლოვანი უცვლელობის მიზეზი უნდა ვეძიოთ შემქმნელთა მიზანში — შეენარჩუნებინათ სიმბოლოს რთული სემანტიკური

7. ქართული დამწერლობის შესახებ

სისტემა საოცრად დამორებული მომავალი თაობებისათვის [15, გვ. 239]. ამავე გამოკვლევით, „ჭარ“-ის პირველ გამოსახულებებსა (ძვ. წ. 3300-3200 წწ.) და ქართულ ამჟამინდელ ასომთავრულ ო-ს შორის სულ ცოტა 5000-წლიანი ქრონოლოგიური „უფესკრულია“, რომელიც სადამწერლობო სისტემათა განვითარების მთლიან ციკლს მოიცავს — პიქტოგრამებიდან დაწყებული ანბანამდე. დღევანდელი გადმოსახედიდან, თიხის ფირფიტებზე აღბეჭდილ ნიშნებს შორის პიქტოგრაფიულ-ანბანურ საოცრებად მოჩანს 5000-წლიანი, მაგრამ დღესაც ისეთივე დახვეწილი და ცოცხალი იეროგლიფ-ასო-ნიშნის არსებობა, როგორც ქართული ასომთავრული ო-ია [15, გვ. 240].

ანა მესხის აზრით, მიზანშეწონილია, რომ ასო-ნიშანი ო მივიჩნიოთ დამწერლობის განზოგადებულ სიმბოლოდ. რადგანაც მისი მეშვეობით დამწერლობაში იქნა შემოტანილი უძველესი ასტრონომიული ცოდნა, რაც „ჭარ“-ის ყველა სიმბოლომ გაიზიარა, სადაც კი დამწერლობის თესლი დაითესა [15, გვ. 241].

მისივე კვლევით, უძველესი ქართველური აკადემიის რიგებში იყვნენ ხელდასხმული ქურუმები, რომლებიც ფლობდნენ და განაგებდნენ მრავლისთვის მიუწვდომელ ცოდნას. ეს ცოდნა კოდირებულ იქნა ასომთავრულ ანბანში და გამიზნული იყო მომავალი გაშიფრვისათვის. „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“-ს შემქმნელები, რომლებიც აღნიშნული კასტის წევრებს წარმოადგენდნენ, ღია ტექსტით გვატყობინებენ, რომ ქართველურ ფენომენში დამარხული საიდუმლო აუცილებლად უნდა გამოვიდეს სამზვოზე, ვინაიდან „ნუუკუე გემინიან მათგან, რამეთუ არა არს დაფარული, რომელი არა გამოჩნდეს, და არცა საიდუმლოი, რომელიც არა გამოცხადნეს“ [15, გვ. 303].

რაც არ უნდა გასაკვირად მოგვეჩვენოს, იოანე ზოსიმეს მიერ გამოთქმული მოსაზრება ქართულ ასომთავრულ ანბანში კოდირებული ცოდნის საიდუმლოს გაცხადების შესახებ აღსრულდა XXI საუკუნეში ქართველი მეცნიერის ალექო ცინცაძის მიერ გამოქვეყნებული შრომებით: „მოელის დღესა მას მეორედ მოსვლასა...“ [29] და „ქართული ჰემატრია“ [30], რომლებშიც გაშიფრულია ქართულ ენაში ჩადებული საიდუმლოებანი ქართულივე ჰემატრიის მეშვეობით (იხ. თავი 8).

10. დამწერლობა ღვთაებრივი შემოქმედების ნაყოფია

რ. მამალაძის თვალსაზრისით, ქართული ენის სამი დამწერლობა ჩვენი ეროვნულობის გენეტიკური კოდია, მასშია განფენილი ქართული, ეროვნული მსოფლშემეცნებითი სამყარო. მისი სახელია „დედა-ენა“, რომელიც გვიჩვენებს ქართველი ხალხის დამოკიდებულებას არა მხოლოდ ქართული ენისადმი, არამედ მის მიმართებასაც სხვა ენებთან... „დედა-ენა“ პრეისტორიული წარმონაქმნი და ერის ცხოვრების თანამგზავრია. ქართული ანბანი ინახავს ჭეშმარიტ ინფორმაციას ერის განზოგადებული თვალთახედვის, შემეცნების, სამყაროს აღქმის თაობაზე.

მტკიცდება, რომ ქართული ენა აბსოლუტური სრულყოფილებით გადმოსცემს ადამიანთა გონებაში წარმოშობილ ნებისმიერ ნააზრევს, ადამიანის სამეტყველო აპარატის მიერ წარმოთქმულ ნებისმიერ ბგერათა შესატყვის ზუსტ ჟღერადობას. და, რაც მთავარია, მას გააჩნია ისეთი ასომთავრული ანბანი, რომელიც უნიკალური, უაღრესად დახვეწილი და სრულყოფილია ყველა იმ ანბანურ დამწერლობათა შორის, რომელიც კი შექმნილა ოდესმე ადამიანის გონების მიერ. ეს ანბანი მისი შემოქმედის მიერ საოცრად ბუნებრივადაა მისადაგებული ქართული ბგერების წარმოთქმა-ჟღერადობასთან და ძალუძს მათი ჩაწერა თითქმის სრულიად დაუმახინჯებლად [11, გვ. 373].

ქართულ ასომთავრულში სრულყოფილად არის განხორციელებული ანბანური დამწერლობის ყველა ასპექტი: ქართული ანბანი ზუსტად ასახავს ქართული ენის ფონეტიკას, მასში განხორციელებულია ვოკალიზაციის სრულყოფილი პრინციპი. ქართული ანბანის გრაფიკა სრულყოფილია არა მარტო გეომეტრიულად, არამედ შინაარსობრივი თვალსაზრისითაც. ყველა ასპექტის გათვალისწინებით ქართული ასომთავრული ანბანი ყველაზე მეტად სრულყოფილი ანბანური დამწერლობაა მსოფლიოში.

თავი 8

ქართული ჰემატრიის შესახებ

შესავალი

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი ალ. ცინცაძე პროფესიით მათემატიკოსია. მან ალბათობის თეორიაზე დაყრდნობით აღადგინა ქართული ჰემატრიის წესები. ჰემატრია, როგორც გაშიფრის მექანიზმი მან გამოიყენა იოანე ზოსიმეს ხელნაწერის „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაის“ გასაშიფრად. მან ამომწურავი და სრული პასუხი გასცა ყოველ იმ იდუმალ კითხვას, რასაც ეს ხელნაწერი მოიცავდა.

ალ. ცინცაძის მოსაზრებით, დიდი იბერია და იბერები, სავარაუდოდ, ხმელთაშუა ზღვის ნაპირის, პირინეის ნახევარკუნძულის, ეგეოსის ზღვის ნაპირის, ბალკანეთის, მცირე აზიისა და კავკასიის მკვიდრნი გახლდათ. მან დასაბამი დაუდო პირველად მინოსის, ეგეოსის, კოლხურ კულტურებს... თავის დროზე დიდ იბერიას კარგად განვითარებული მეცნიერება (მათემატიკა, ჰემატრია), მედიცინა, ასტრონომია, მეტალურგია და ა.შ. და ზოგადსაკაცობრიო ცივილიზაციისათვის განმსაზღვრელი სულიერ-კულტურული ღირებულებები გააჩნდა [30, გვ. 304].

ალ. ცინცაძის კვლევით, ქართული ჰემატრია უკავშირდება კაბალასა და ოკულტიზმს.

1 ოკულტიზმის შესახებ

კოსმოსური სამყაროს არსებობის საფუძველს მატერია წარმოადგენს. დიალექტიკური მატერიალიზმის თვალსაზრისით, მატერია არის ობიექტური რეალობა, რომელიც შეგრძნებაში გვეძლევა. ამ განმარტებაში მატერიის ქვეშ იგულისხმება მისი არსებობის სახიერი ფორმები, რომლებიც აღიქმებიან ან ადამიანის სენსორული გრძნობის ორგანოებით, ან მის მიერ დამზადებული სპეციალური ხელსაწყოების მეშვეობით.

მაგრამ, სავსებით ლოგიკურია დავუშვათ, რომ მატერიის

8. ქართული ჰემატრიის შესახებ

აღქმად-დაკვირვებადი ფორმების გარდა, რეალურად არსებობენ მისი „უჩინარი“ ფორმებიც, რომელებიც არ შეიძლება გარკვეულ გავლენას არ ახდენდეს მატერიის დაკვირვებად ფორმებზე. არსებობს მოსაზრება, რომ ადამიანს ხუთი სენსორული გრძნობის ორგანოს გარდა, დამატებით გააჩნია ე.წ. X-შესაძლებლობები, რომლებიც, როგორც წესი, ჩახშობილ მდგომარეობაში იმყოფებიან. მხოლოდ ზოგიერთ ადამიანს, გარკვეულ მდგომარეობაში ყოფნისას, მცირე ხნით ეძლევა მათი რეალიზაციისა და უჩინარის აღქმა-შემეცნების საშუალება.

მატერიის უჩინარი – არადაკვირვებადი ფორმის რეალურად არსებობის შემთხვევაში კოსმიური სამყარო და მასში არსებული საგნები უნდა წარმოადგენდნენ მატერიის როგორც აღქმადი, ისე უჩინარი ფორმების ერთობას. მოსალოდნელია, რომ უჩინარის არსებობა უფრო ადვილად გამომჟღავნდეს ცოცხალი ორგანიზმებისა და განსაკუთრებით ადამიანის შეწავლის მეშვეობით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი სამყაროს შემეცნებისათვის, ჰეშმარიტების დასადგენად იყენებენ გრძნობის ორგანობებისა და ინტელექტუალური ინტუიციის საშუალებით მიღებულ ინფორმაციას; ცნებით აზროვნებასა და ლოგიკური ინდუქციის მეთოდს; ხოლო თეოსოფიური და მეტაფიზიკური მეცნიერებანი — ინტუიციას, სიმბოლურ (მისტიკურ) აზროვნებასა და ლოგიკური დედუქციის მეთოდს.

მატერიალისტები უგულვებელყოფენ მეტაფიზიკური მეცნიერებების მიერ მიღებულ მონაცემებს, ხოლო თეოსოფიურად მოაზროვნები საყვედურობენ ზუსტი მეცნიერების წარმომადგენლებს, რომ ისინი ვერ პასუხობენ ადამიანის სულის მოთხოვნებს.

ამრიგად, ადამიანის სული და გონი, ორი ურთიერთდამოუკიდებელი გზით, მისწრაფვის ჰეშმარიტებისაკენ. მიუხედავად ამისა, ჩვენი მოსაზრებით, ამ ორმა სხვადასხვაგვარმა ცოდნამ ერთმანეთი უნდა შეავსოს, რადგანაც სამყაროში ყოველი რაობა, რომელსაც გააჩნია საპირისპირო, ცდილობს შეუერთდეს მას მესამე (საშუალო) რაობის მეშვეობით, ისე, რომ თავისებრივად შეინარჩუნოს თავისი თავი. ამრიგად, სამყაროს შემეცნების ორ ურთიერთსაპირისპირო გზას შორის უნდა არსებობდეს მესამე, შემეცნების შუალედური მიმართულება. მით უმეტეს, რომ ორი

სახის ცოდნას შორის არ შეიძლება არსებობდეს უფსკრული [36].

შუალედური მიმართულების მეცნიერების კვლევის საგანს უნდა წარმოადგენდეს მატერიის როგორც დაკვირვებადი, ისე უჩინარი ფორმები. იგი უნდა ფლობდეს როგორც რაციონალურ, ისე მეტაფიზიკურ მეცნიერებათა მეთოდებსა და თვისებებს. მან უნდა შეძლოს, ხილულ სამყაროში გამოვლენილი მოვლენების შესწავლის საშუალებით, უჩინარი სამყაროს თვისებების ახსნა. ასეთი მეცნიერება თურმე არსებობს, იგი კაცობრიობის აზროვნების გარიჟრაჟიდან იღებს სათავეს და მას **ოკულტიზმს** უწოდებენ.

სიტყვა „*Occulta*“ ნიშნავს იდუმალს.

ოკულტიზმი, რომელიც ქართულად „ნათლისგნებას“ ნიშნავს, წარმოადგენს იდუმალ მეცნიერებას, რომლის შემეცნების საგანს მატერიის არსებობის, როგორც „ხილული“ ისე „უჩინარი“, ფორმა წარმოადგენს.

დ-რ პაპიუსის აზრით, ოკულტიზმი არის:

1. ფილოსოფიური სისტემა, რომლის მიზანია სხვადასხვა მეცნიერების მიერ მოპოვებული ცოდნის სინთეზირება იმ უზოგადესი კანონების დადგენისათვის, რომელთა საშუალებით აიხსნება ბუნებაში არსებული ყოველი მოვლენა.
2. მეცნიერებათა წყება, რომელიც შეისწავლის უჩინარ (იდუმალ) სამყაროს და მის გამოვლინებას სახიერ სამყაროში, რისთვისაც ის, ლოგიკური ინდუქციისა და დედუქციის მეთოდის გარდა, იყენებს მესამე მეთოდსაც — ანალოგიის სახით.

დ-რ პაპიუსის მიხედვით, ფიზიკური მეცნიერება ხილული და გარეგანია, მაშინ, როცა ოკულტიზმი არის იდუმალი და შინაგანი, რომლის მიზანია საგნის ძირითადი დანიშნულებისა და ფარული არსის გახსნა [36].

ოკულტიზმი, როგორც ფილოსოფიური სისტემა, ემყარება შემდეგ ზოგად პრინციპებს:

1. ობიექტურად არსებობს მატერიის როგორც დაკვირვებადი (უხეში), ისე „უჩინარი“ (ნატიფი) ფორმები. ამასთან, მატერიის ნატიფი ფორმა მიჩნეულია მის ძირითად ფორმად.

8. ქართული ჰემატრიის შესახებ

2. ყოველი რეალურ-დაკვირვებადი საგნის არსი გამოიხატება მისი ფორმით.
3. ხილული კოსმოსური სამყარო წარმოადგენს „უჩინარი“ კოსმიური სამყაროს სარკისებრ ანარეკლს.
4. ტერნერის, ანუ სამების პრინციპი, რომლის თანახმად მთელი კოსმოსური სამყარო და მასში არსებული ყოველი დამოუკიდებლად არსებული რაობა წარმოადგენს სამების: აქტიურის, პასიურისა და საშუალოს ერთობას.
5. დაკვირვებადი კოსმოსური სამყარო შედგება სამების: მინერალური, ბიოლოგიური და საზოგადოებრივი სამყაროსაგან.
6. თითოეული სამყარო, სტრუქტურულობის სირთულის მიხედვით, წარმოადგენს 7-საფეხურიან სისტემას.
7. ანალოგიურობისა და შესაბამისობის პრინციპი, რომლის თანახმად, თუ ერთი საგანი ანალოგიურია მეორესი, მაშინ ყოველი ნაწილი, რისგანაც იგი შედგება, ანალოგიურია მეორის შესაბამისი ნაწილებისა.
8. ნატიფ სამყაროში არსებობს ინფორმაციული სტრუქტურები ევროგორების (რეალური საგნის ინფორმაციული ასახვა უჩინარ სამყაროში) სახით.
9. კოსმიური სამყარო ევოლუციურად თვითგანვითარებადი და თვითკმარი სამყაროა, რაც გამოწვეულია მატერიის ნატიფი („უჩინარი“) ფორმისა და უხეში („აღქმადი“) ფორმის დიალექტიკური ერთობით.
10. ადამიანი განიხილება სამების: ფიზიკური სხეულის, სამშინველისა და სულის ერთობად. სულის საფუძველს ნატიფი („ნათელი“) სუბსტანცია წარმოადგენს, რომელიც არ ემორჩილება წარმოქმნასა და მოსპობას, მაშინ, როცა ყოველი ფიზიკური სხეული წარმოქმნადი და მოსპობადია [35]

2 კაბალას შესახებ

ებრაელი მეცნიერები კაბალას უკავშირებენ ოკულტიზმს.

კაბალა არის მეცნიერება კოსმიური სამყაროს შესახებ, რომლის შემადგენელ ნაწილს ჩვენც წარმოვადგენთ. კაბალა არის

მეცნიერება, რომელიც შეისწავლის კოსმიურ სამყაროს, როგორც ერთიან მთლიან, შეკრულ, დაუნაწევრებად სისტემას. ჩვენ ამ სამყაროს მხოლოდ ერთ ნაწილს აღვიჭვამთ. ის ოფიციალური მეცნიერების შემეცნების საგანს წარმოადგენს, რომელსაც „ჩვენს კოსმოსურ სამყაროს“ ვუწოდებთ. მეორე ნაწილს კი, რომელიც მარადიული და უსასრულოა, „უმაღლესი სამყარო“ ეწოდება. იგი მართავს ჩვენს კონკრეტულ კოსმოსურ სამყაროს და დაფარულია ჩვენი სენსორული გრძნობის ორგანოებისათვის. ამიტომაც, რომ ჩვენ ცხოვრებაში მოხდენილი ბევრი მოვლენის ნამდვილი მიზეზი და შედეგი ჩვენთვის გაურკვეველია.

დაფარული „უმაღლესი სამყარო“ წარმოადგენს სულიერ სამყაროს. თითოეული ადამიანის სული ამ სულიერი სამყაროს უმცირეს ნაწილს წარმოადგენს.

განსაზღვრების მიხედვით, კაბალა არის ადამიანის მიერ უმაღლესი ძალის - „ქვეყნის შემოქმედის“ შეცნობის მეთოდის, რის გამოც ის ერთეულთა ხვედრია. საუკუნეების განმავლობაში მართლაც ასე იყო.

კაბალისტური მეთოდის საშუალებას აძლევს ადამიანს დაიწყოს მისგან დაფარული უმაღლესი საინფორმაციო დონის შეგრძნება, რომელიც მართავს მის შინაგან სამყაროს. იგი ადამიანს აძლევს საკუთარი თავის უკეთ შეგრძნება-შეცნობის, კოსმოსში მისი გაჩენის მიზნის გაგებისა და, მთელი ისტორიის მანძილზე, მასზე მომხდარის გააზრების საშუალებას. იგი არის სარწმუნოებრივ ტექსტებში არსებული დაფარული ინფორმაციის ამოცნობის მეთოდების ერთობლიობა. სარწმუნოებრივ-მსოფლმხედველობითი სიბრძნე კი, როგორც განსაკუთრებული და საკრალური ცოდნა, დაფარვასა და გასაიდუმლოებას საჭიროებდა.

კაბალას მეშვეობით შესაძლებელია ბიბლიური ტექსტების გაშიფრვა და მათში დაფარული ცოდნის ამოცნობა.

ებრაული „კაბალა“ ბოლო 2000 წელი ფარულად ვითარდებოდა.

ალ. ცინცადის კვლევით, ებრაელ მეცნიერებს „კაბალა“ მიაჩნიათ სუფთა ებრაულ შემოქმედებად. მაგრამ, თვითონ ებრაელი მეცნიერებიც აღიარებენ, რომ არქაული კაბალა ებრაელებმა მზასახნით მიიღეს. იგი ებრაელებს ქალდეაში გადაეცათ ძვ.წ. მეექვ-

8. ქართული ჰემატრიის შესახებ

ვსე საუკუნეში. ეს საუკუნე ე.წ. ქალდეური პერიოდია. ებრაულმა კაბალამ სწორედ ამის შემდეგ დაიწყო არსებობა. კაბალას იმდენად დიდი ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა აქვს, რომ ცხადია: ვინც შექმნა კაბალა, სწორედ იმ ხალხმა შექმნა დღევანდელი ცივილიზაციის საწყისები [30, გვ. 23].

გარემომცველი ბუნების პირველმა კვლევებმა, მითუმეტეს საწყისმა ცდებმა ასტრონომიასა და მათემატიკაში, იმდროინდელი ადამიანის ცნობიერებისათვის მრავალი მოულოდნელი კანონზომიერება წარმოაჩინა, და მისთვის აუხსნელმა „აღმოჩენებმა“ შექმნა **მისტიციზმის** საფუძველი. მისტიციზმი იდუმალი, ზებუნებრივი ძალების რწმენაა; სწავლებაა, რომელიც გამოდის იქიდან, რომ ჰემარიტი რეალობის აღქმა მიღწევადია მხოლოდ ინტუიციურ-ირაციონალური, ანუ მეტაფიზიკური წვდომით (ჰემარიტების შესაცნობად არაა საკმარისი არსებულ სამყაროზე მხოლოდ მეცნიერული დაკვირვება და ცნებით-რაციონალური აზროვნებით შესწავლა). დღეს მეცნიერებს უკვე დადასტურებულად მიაჩნიათ ფაქტი — ადამიანში წინაპართა ინფორმაციის დაფარული სახით არსებობაზე, და რომ მისტერიაში შეიძლება ამ ინფორმაციაში შეღწევა. ეს კი შეიძლება იყოს ეზოთერიზმის მატერიალური საფუძველი [30, გვ. 30].

ქართული ჰემატრიის საფუძველს ქართული კაბალა წარმოადგენს, რომელიც შეიქმნა ქალდეაში, უძველეს პერიოდში.

3 რა არის ჰემატრია

იყო პერიოდი, როცა თვლის შვიდობით და ათობით სისტემაში ციფრული ჩაწერის გაჩენამდე, კაცობრიობას მხოლოდ ანბანი ჰქონდა, და რიცხვების ჩაწერაც ანბანის გამოყენებით ხდებოდა. ამისთვის ანბანის თითოეულ ასო-ნიშანს მიანიჭეს რიცხვული მნიშვნელობა.

ქართული ასომთავრული ანბანის შემქმნელმა ქართველმა ქურუმებმა ასო-ნიშნები განალაგეს რიგითი სათვალავისა და მათთვის მინიჭებული რიცხვ-მნიშვნელობების მიხედვით. შესაბამისად, ქართული ასო-ნიშნები, პარალელურად, ასრულებდნენ რიცხვ-ნიშნების როლსაც, 1-დან დაწყებული 40000-დე (ცხრ. 1).

რიცხვების ასო-ნიშნებით ჩაწერისას დღეს მიღებული ციფრულ-პოზიციური მეთოდის ნაცვლად იყენებდნენ შეკრების მეთოდს. სასურველი რიცხვი მიიღებოდა სათანადო რიცხვ-ნიშნების შეკრებით და შესაბამისი ასო-ნიშნებით ჩაიწერებოდა. მაგალითად რიცხვი 6431 ჩაიწერებოდა როგორც:

$$6431 = 6000 + 400 + 30 + 1.$$

ცხრილის შესაბამისად, რიცხვ-ნიშნების მიხედვით ეს რიცხვი ჩაიწერება, როგორც „ხულა“, რაც აზრობრივად ნიშნავს ქოხივით ნაგებობას (ხუ-ხულა).

ანალოგიურად რიცხვი 221 ჩაიწერება, როგორც „სკა“.

ამრიგად, ასო-ნიშნების მეშვეობით რიცხვების ჩაწერისას შეიძლება წარმოიშვას აზრობრივი დატვირთვის მქონე (სემანტიკა) სიტყვები, შესაბამისად, გაჩნდა ბუნებრივი კავშირი რიცხვებსა და სიტყვებს შორის [30, გვ. 11].

სიტყვის (ფრაზის), აზრისა და რიცხვის სწორედ ეს კავშირი დაედო საფუძვლად ცოდნის, ინფორმაციის დაფარვის მეთოდს, რომელიც ცნობილია **გემატრიის (ჰემატრიის)** სახელწოდებით.

რადგანაც ასო-ნიშნებს გააჩნიათ როგორც რიგითი, ისე რიცხვითი მნიშვნელობები, ამიტომ ცხადია თითოეული ასო-ნიშანი სხვადასხვა გზით შეიძლება გარდაიქმნას რიცხვად. იგივე შეიძლება ითქვას სიტყვაზე ან ფრაზაზე, რადგანაც ისინი ასოების კრებისით ფორმებს წარმოადგენენ.

ნებისმიერ სიტყვის, ან ფრაზის, შემადგენელი ასო-ნიშნების შესაბამისი რიცხვითი მნიშვნელობების ჩასმითა და მათი შეკრებით მივიღებთ სიტყვის, ან ფრაზის, შესაბამის რიცხვით მნიშვნელობას.

ჰემატრიაში დაუშვებელია სიტყვის ერთი ასო-ნიშნისათვის გამოვიყენოთ მისი რიგითი სათვალავი, ხოლო მეორისათვის რიცხვითი მნიშვნელობა.

აქ მოვიტანეთ სიტყვის შესაბამისი რიცხვის მხოლოდ 2 ვარიანტი — ალგორითმი. არსებობს სიტყვის შესაბამისი რიცხვითი მნიშვნელობების სხვა ვარიანტებიც (ალგორითმებიც). მაგალითად, ებრაულ გემატრიაში გამოიყენება 75 სხვადასხვა ჰემატრიული ალგორითმი.

8. ქართული ჰემატრიის შესახებ

ალგორითმის ესა თუ ის ვარიანტი, სხვადასხვა ინტენსივობით, გამოიყენება ებრაულ, ბერძნულ და ქართულ ჰემატრიებში.

ქართულ ჰემატრიაში გამოიყენება მხოლოდ რამდენიმე ალგორითმი, ძირითადად ისეთები, რომლებიც არ გვხვდება სხვა ჰემატრიებში, თანაც მათში უმაღლეს დონეზეა აყვანილი აზრის დაფარვის ხელოვნება [30, გვ. 13].

ჰემატრიაში სიტყვებს (ფრაზებს) გარდაქმნიან რიცხვებად და მიღებული რიცხვების – შიგთავსების ურთიერთმიმართებით ირგვევა კავშირები სიტყვებს (ფრაზებს) შორის.

სად და როდის შეიქმნა ჰემატრია. სიტყვა „გემატრია“ (ჰემატრია) არის დამახინჯებული ფორმა ბერძნული სიტყვისა „გეომეტრია“. მაგრამ ის ფაქტი, რომ სიტყვა „გემეტრია“ ბერძნული წარმოშობისაა, არ ადასტურებს ამ დარგის საბერძნეთში წარმოშობას; რადგან ბერძნებზე გაცილებით ადრე ეგვიპტელები უკვე ფლობდნენ გეომეტრიის ურთულეს ხელოვნებას, რასაც მათ მიერ აგებული პირამიდები ადასტურებენ.

ალ. ცინცადის მიხედვით, ქართული ანბანური რიგი მკაცრად და უცვლელადაა მოწესრიგებული, იმიტომ რომ სწორედ თანმიმდევრობა, ანუ რიგითი სათვალავია არქაულ ჰემატრიაში ინფორმაციის დაფარვის რიცხვული სისტემის უმთავრესი რგოლი. რიგით სათვალავთა ჰემატრიას შეიძლება ანბანის შექმნის დღიდან ვარსება. არსებულთაგან, რიგით სათვალავზე ორიენტირებული ერთადერთი ჰემატრიაა ცნობილი და ის ქართული არქაული ჰემატრიაა. სწორედ ესაა ამ ჰემატრიის პირველადობის ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანი. ბოლო კვლევებმა დაადასტურა, რომ ქართული ჰემატრია ძვ.წ. მეოთხე ათასწლეულის პირმოა. ანუ, ისიც და ქართული ანბანიც პირველადი თვისებების მატარებელია. ანბანი კი ებმის და წინ უსწრებს ჰემატრიას. შუემერი და ქალდეა ამ უდიდეს ცოდნას იბერიულ-კავკასიური სივრციდან იღებენ [30, გვ. 24].

რ. პატარიძის აზრით, ქართული ანბანის რიგით სათვალავში ქართული ანბანის საიდუმლოა დამალული [19, გვ. 325].

ალ. ცინცადის კვლევით დგინდება, რომ ქართული ჰემატრია თვისობრივად განსხვავდება სხვა ხალხების ჰემატრიებისგან; რიგით სათვალავზე ორიენტირების, სიმარტივისა და სიცხადის

გარდა, მის ძირითად უპირატესობად, სწორედაც ასტრონომიული საწყისი (ცოდნა) უნდა მივიჩნიოთ. იგი დგას ასტრონომიული ინფორმაციის საფუძველზე. ასეთ პრეცედენტს არ იცნობს ჰემატრიის ისტორია [30, გვ. 25].

ქრისტიანობის შემდეგ ქართული არქაული ჰემატრიის პირველადმომჩენად მათე საუკუნის სასულიერო მოღვაწე იოანე ზოსიმე უნდა ჩაითვალოს. მან აღმოაჩინა ქართული ჰემატრია, რომელიც თვისობრივად აღემატება კიდევ იქამდე ცნობილ არსებულ ჰემატრიას. სწორედ ამ ნიადაგზე მან ქართული ენა უფლის ენად მიიჩნია და დაწერა ქართული ენის ქებათა-ქება – „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ და თავისი ხელნაწერიც იმავე (ჰემატრიული) მეთოდით დაშიფრა [30, გვ. 26].

4 ქართული ჰემატრია

ყოველ დროში „ღმერთების საიდუმლოდ“ „დაფარულ კოდად“ ითვლებოდა რიცხვული კოდი, რომელსაც ქურუმები მხოლოდ განდობილებს უმხელდნენ. ქალდეაში 8 ითვლებოდა საკრალურ რიცხვად, საიდანაც მან შეაღწია ებრაულსა და ბერძნულ ცნობიერებაში და მზე-ღმერთს დაუკავშირდა. ამ ხალხებისათვის მზე — რვათვალა იყო. ისინი 8-ს მაგიურ ძალას ანიჭებდნენ. შესაბამისად უმაღლესი შემოქმედის მზე-ღმერთის რიცხვი, ებრაულ და ბერძნულ ჰემატრიებში, გახდა 88 და 888. ე.ი. მზის თვალთა რიცხვის ორჯერ, სამჯერ განმეორება ნიშნავდა ღმერთის რიცხვს ამ ჰემატრიებში [30, გვ. 38].

ქართველი მზეს ხედავს 9-თვალას. არქეოლოგიურ მასალებში ცხრათვალა მზის გამოსახულება ფიქსირდება ძვ.წ. მესამე ათასწლეულში.

ჩვენში ყოველი ტაძრის მოხატვისას ტაძრის შინაგან სივრცეს ისე წარმოადგენდნენ, თითქოს კედლებზე ცხრა ცაა. (ციური სხეულებისათვის მთვარის ცის სფეროს შემდეგ აითვლებოდა ცის 7 სფერო და მეცხრე სფერო მიიჩნეოდა უძრავი ციური სხეულების, ვარსკვლავების სფეროდ, რომლის მიღმა არსებობდა უხილავი ღმერთისეული სამყოფელი-საუფლო).

იგივე ჩანს ქართულ ზეპირსიტყვიერებაში:

8. ქართული ჰემატრიის შესახებ

„დავწვები, დამეძინება,
პირჯვარი დამეწერება,
ცხნა ხატი, ცხნა ანგელოზი,
სულ თავით დამესვენება.“

ქართულ სიტყვიერებაში ცხრაობითი თვლა დღევანდლამდე შემორჩენილი: „ცხრა უღელი ხარ-კამეჩი“, „ცხრაპირი ოფელი“, „ცხრა მთა და ცხრა ზღვა გადაიარა“. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ რიცხი 9 ქართველთათვის „საკრალური“ რიცხვია. (აღსანიშნავია, რომ სტალინს, თურმე, სწორედ ეს ფაქტი გაუთვალისწინებია, როცა ჰიტლერურ ფაშიზმზე კაცობრიობის გამარჯვების დღედ „9 მაისი“ დაადგინა).

აქედან დასტურდება, რომ ქართულ სინამდვილეში ცხრათვალა მზის, ღმერთის სიმბოლო სჰემატრიად უნდა გამოეყენებინათ ორი ცხრიანი – 99, ან სამი ცხრიანი – 999. შესაბამისად ქართულ ჰემატრიაში ღმერთის რიცხვი 99 და 999 უნდა ყოფილიყო [29, გვ. 39].

ქართულ ენაში გვაქვს სიტყვა, რომელიც თან ღმერთს აღნიშნავს და თანაც ამ ორ რიცხვს სინთეზში იძლევა (!):

ეს სიტყვაა – **ღორღნთ**-ი \longleftrightarrow ღმერთი (მეგრ.).

ღ(25,700) ო(16,70) რ(19,100) ო(16,70) ნ(14,50) თ(9,9)-ი;

ფრჩხილებში ნაჩვენებია პირველი რიცხვი – ასო-ნიშნის რიგითი სათვალავია, მეორე მისი რიცხვ-ნიშანი.

ამ სიტყვის შემადგენელი ასოების რიგითი სათვალავების ჯამი:

$$25 + 16 + 19 + 16 + 14 + 9 = 99(!);$$

ხოლო რიცხვ-ნიშანთა ჯამი:

$$700 + 70 + 100 + 70 + 50 + 9 = 999(!!).$$

მივიღეთ გასაკვირი შედეგი:

$$99 \longleftrightarrow \text{ღორღნთ} - ი \longleftrightarrow 999.$$

რაც იმაზე მიუთითებს, რომ სიტყვა „ღორღნთი“ (ღმერთი) ხელოვნურად, სწავლულთა მიერ სპეციალურად შექმნილი სიტყვაა, ქართული ჰემატრიისა და ქართულ ასომთავრულ ანბანზე

დაყრდნობით მაშინ, როცა ქართული ანბანი უკვე შექმნილია და ასო-ნიშნების რიგი და რიცხვითი მნიშვნელობები განსაზღვრული [29, გვ. 71].

ირკვევა, რომ ზოგადად, ქართულ ღმერთთა პანთეონის სახელების ჰემატრია, ქართული ანბანის გათვალისწინებით, 99-ია.

მაგალითად: წარმართული პერიოდის, უძველესი ხევსურული ქალ-ღვთაება, რომელსაც უმაღლესი შემოქმედის ადგილი ეჭირა, „დღესინდელი“ იყო. მისი ჰემატრიაც 99-ა.

დ(4) ღ(25) ე(5) ს(20) ი(10) ნ(14) დ(4) ე(5) ლ(12) -ი

$$4 + 25 + 5 + 20 + 10 + 14 + 4 + 5 + 12 = 99.$$

ანალოგიურად, საღმრთო „გუდანის ხატი“:

გ(3) უ(22) დ(4) ა(1) ნ(14) -ის ხ(33) ა(1) ტ(21)-ი,

$$3 + 22 + 4 + 1 + 14 + 33 + 1 + 21 = 99,$$

და სვანური ცხრათვალა „გირგელის ხატი“-ც (!).

გ(3) ი(10) რ(19) გ(3) ე(5) დ(4)-ს ხ(33) ა(1) ტ(21)-ი,

$$3 + 10 + 19 + 3 + 5 + 4 + 33 + 1 + 21 = 99.$$

მაშინ, აგრეთვე 99 უნდა იყოს „მამა ღმერთისა“ და „ქრისტეს“ ჰემატრიებიც:

მ(13) ა(1) მ(13) ა(1) ღ(25) მ(13) ე(5) რ(19) თ(9)-ი,

$$13 + 1 + 13 + 1 + 25 + 13 + 5 + 19 + 9 = 99.$$

ქრისტეს ჰემატრია:

ქ(24;600) რ(19;100) ი(10;100) ს(20;200) ტ (21;300) ე(5;5);

სიტყვა **ქრისტეს** შემადგენელი ასოების რიგითი ნომრების ჯამია:

8. ქართული ჰემატრიის შესახებ

$$24+19+10+20+21+5 = 99.$$

ანუ, ქართული ჰემატრიის მიხედვით, ქრისტეს ჰემატრია 99-ა ქრისტე(99).

99 = 99, რაც ჰემატრიის პრინციპის მიხედვით, იმას ნიშნავს, რომ **ქრისტე = მამა ღმერთ-ი-ს**, და „**ქრისტე**“ — იესოს „**მამა ღმერთი**“-სგან გადმოიპყვა.

ალბათობა იმისა, რომ ეს შემთხვევითი დამთხვევაა, 10^{-20} -ს რიგისაა. ზემო-განხილული სიტყვები სწავლულთა მიერ ქართული ჰემატრიის წესების დაცვით შექმნილი სიტყვებია. ე.ი. დასტურდება, რომ არის ქართველი ქურუმების მიერ ხელოვნურად შექმნილი სიტყვები [30, გვ. 42].

ანუ, დადასტურდა, რომ ქართულ ენაში არის ხელოვნურად შექმნილი სიტყვები, რისთვისაც ჩვენი სწავლული წინაპრები ქართულ ჰემატრიას იყენებდნენ.

ჰემატრიის საფუძველზე, გარკვეული რიცხვითი შიგთავსის მატარებელი სიტყვები უნდა შექმნილიყო ანბანში ასოების, მათი რიგითი სათვალავისა და რიცხვითი მნიშვნელობის დადგენის შემდეგ. ანუ, ანბანის შექმნა წინ უნდა უსწრებდეს სიტყვის შესაქმნელს, რაც საშუალებას იძლევა დათარიღდეს ანბანის შექმნის პერიოდი.

ა. ცინცადის მიხედვით, ქართული ჰემატრიის გათვალისწინებით, ქართული ანბანი სრულყოფილ სახეს **ძვ.წ. 2160-1000 წლების** პერიოდში იღებს [29, გვ. 177].

ალ. ცინცადის თვალსაზრისით, შეიძლება გამოვყოთ ქართული ჰემატრიის აღმავლობის 3 პერიოდი, პირველი — არქაული, მეორე — ფარნავაზის მეფობის წლები, მესამე — იოანე ზოსიმეს მოღვაწეობის წლები.

არქაულ წლებში ქართული ჰემატრია იქმნება ანბანთან ერთად. ამ დროს იქმნება პირველი ანბანურ-ჰემატრიული სიტყვა „ელ-ი“.

სიტყვა „ელ“-ი მოიცავს $12 \times 30 + 5 = 365$ რიცხვს, რომელიც არის დღეების რაოდენობა მზის მოძრაე კალენდარში. ამრიგად, „ელ“-ი სრულად იმეორებს მზის მოძრაე კალენდრის რიცხვებს ჰემატრიის წესების დაცვით მათზე მოქმედებისას [29, გვ. 81].

ეს ქურუმთა საიდუმლო ენის პირველი სიტყვაა.

იბერიულ-კავკასიურ სივრცეში ანბანსა და ჰემატრიაზე დაყრდნობით შშის უძრავი – პირველი კალენდრის რიცხვული სქემა, სიტყვის სტრუქტურაში იდება და ამ სიტყვას მზე-ღმერთის, უმაღლესი შემოქმედი ღმერთის სახელად თვლიან. ეს ის სიტყვაა, რომელზეც სახარებაში იოანე დაწერს: „პირველად იყო **სიტყვა** და სიტყვა იყო ღმერთისა **თანა**, და სიტყვა იგი იყო **ღმერთი...**“ და ეს სიტყვა „**ელი**“-ა! ასკვნის ალ. ცინცაძე [30, გვ. 47].

დ. ალფენიძის კვლევის მიხედვით, „ელ“ — კოლხური სიტყვაა და მამა-ღმერთს ნიშნავს [1, გვ. 353].

სიტყვა „ელ“ ქართული ანბანის შექმნის შემდეგ ქართველი ქურუმების მიერ დაწერილი პირველი სიტყვაა. პირველი ანბანურად დაწერილი სიტყვა ღვთის მიერ დაწერილ სიტყვად უნდა მივიჩნიოთ, რომელიც ქართველმა ქურუმებმა ამოიცნეს (ეს კი იმას ნიშნავს, ქართული ასომთავრული ანბანი შეიძლება ჩვენი სამყაროს დამაარსებელი მამა-ღმერთის შექმნილად მივიჩნიოთ), მაგრამ მას ჯერ მხოლოდ ძველ ლაზურ-მეგრულ (ძველ იბერო-კავკასიურ) სივრცეში ჰქონდა ღმერთის მნიშვნელობა... შემდეგში იგი ხდება მზე-ქალღმერთი, სიცოცხლის, შვილიერების, ნაყოფიერების ღმერთი... [30, გვ. 47].

ჯვარცმული იესოს ბოლო წარმოთქმული სიტყვებია: „ელი, ელი, ლამა საბაჰთანია?“ ეს სიტყვები სხვადასხვა ბიბლიაში სხვადასხვანაირად წერია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ იესოს მიერ წარმოთქმული ბოლო ფრაზა არაა ჩაწერილი უშუალოდ ამ ფრაზის მომსმენის მიერ და ის შემდეგ არის მოციქულ მათეს მიერ შეცდომით-უზუსტოთ ჩაწერილი [11, გვ. 108].

უაღრესად საინტერესოა, რომ „ლამა საბაჰთანია“-ს ორივე სიტყვის ასო ნიშნების რიგითი სათვალავის – ლამა(27) -სა საბაჰთანია(72) -ის ჯამი: $27 + 72 = 99$, რაც ღმერთის ღვთაებრივი ბუნების რიცხვია [30, გვ. 52].

მეორე მხრივ, „ლამა საბაჰთანია“-ს ორივე სიტყვის ასო-ნიშნების რიცხვითი მნიშვნელობებისათვის – ლამა(27) -სა საბაჰთანია(864) -ის ჯამი: $27 + 864 = 936$. ეს ჯვარცმის ჰემატრიულად მოცემული სიუჟეტის ფრაგმენტია, და 999-მდე (ანუ უმაღლესი მისტერიის აღსრულებამდე — ღმერთად გადაქცევამდე) 63

8. ქართული ჰემატრიის შესახებ

აკლია. იესოს ღმერთამდე ამალლების მისტერია კი მიწიერი „აღდგომით“ სრულდება, ხოლო სიტყვა „აღდგომა“-ს ასო-ნიშნების რიგით სათვალავთა ჰემატრია 63 -ის ტოლია.

შედგად მივიღეთ:

„ლამა საბაქთანი“ (936) + „აღდგომა“(63) = 999! [30, გვ. 157].

999 = „ქრისტე“-ს ჰემატრიას = „მამა ღმერთ“-ის ჰემატრიას = 999.

მიწისეული „იესო“, ჯვარცმითა და „აღდგომით“, იქცა ღმერთისეულ „ქრისტე“-დ, საყოველთაო „ღმერთად“ ქრისტიანული სამყაროსათვის.

და ეს ყოველივე ჩადებული და ნაწინასწარმეტყველები იყო ქართულ ასომთავრულ ანბანში, ქართველი ქურუმების მიერ, მისი შექმნისთანავე.

ჩვენი აზრით, კომენტარი ზედმეტია!

5 ერთის, სამყაროსა და ღმერთის იგივეობა

სიტყვა ერთის შესახებ. მათემატიკის თვალსაზრისით ერთი — 1 ყველაზე მდგრადი, უცვლელი რიცხვია: „გაყავით 1 თავის თავზე — ისევ ერთია, გაამრავლეთ იგივეზე — ისევ ერთია და არ შეიცვალა. ამრიგად რიცხვი ერთი არის უდიდესი, უცვლელი სიმბოლო ყოველივე არსებულის უცვლელის მამისა“. აქედან ჩანს, რომ ღმერთის კოდში რიცხვით სახელს — **ერთი**, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ეს საწყისი მოცემულობა, შუამდინარული ცოდნაა და მისი გათვალისწინებით უკვე ძველ ქართულში, მის სარწმუნეობრივ ლექსიკაში, დაფარული საიდუმლოს მოძიებას ვიწყებთ“, ასკვნის ალ. ცინცაძე [30, გვ. 167].

ზაქარია წინასწარმეტყველი უფალმა, ჯერ კიდევ ჭაბუკობისას, გამოარჩია და არაამქვეყნიური სახილველების ჭვრეტის ღირსი გახადა. მან იწინასწარმეტყველა მაცხოვრის მიწიერი ცხოვრების უკანასკნელი მოვლენები. იგი ძველ აღთქმაში ასე წერს: „და იყოს უფალი მეუფედ ყოველსა ქვეყანასა ზედა. მას დღესა იყოს უფალი მხოლოდ **ერთ** და სახელი მისი **ერთ**“. ისმის კითხვა: რატომ თვლის წინასწარმეტყველი, რომ უფალი ღმერთის სახელია **ერთ**?

ამ შეკითხვაზე ჩვენი პასუხია: — **ერთია** კოსმიური სამყარო, მაგამ ის მოიცავს **ყველაფერს**. **ერთ**-ი არის ყოვლის მომცველი, ანუ მთელი **კოსმიური სამყაროს** მომცველი რაობა, ხოლო კოსმიური სამყარო არის ჩვენი კოსმოსური, აღქმადი სამყაროს შემოქმედი და მეუფე, ანუ **მამა-ღმერთი**. ამიტომ უფალი – მამა ღმერთის სახელი შეიძლება იყოს **ერთ**-ი [28, გვ. 337].

მეორე მხრივ, ალ. ცინცადის კვლევით, სიტყვა „**ერთ**“-ის ქართული ჰემატრიის თვალსაზრისით განხილვა იძლევა უაღრესად საინტერესო შედეგს.

გამოვიყენოთ ქართული ჰემატრიის ერთ-ერთი, უმნიშვნელოვანესი კოდის მოცემის წესი: ჩავწეროთ სიტყვა „ერთ“-ის ასონიშნების რიგითი სათვალავები:

ე(5) რ(19) თ(9).

გადავწეროთ ამ რიცხვების ციფრთა მიმდევრობა, რადგანაც ქართულ ჰემატრიაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ციფრებს.

5, 19, 9,

მიღებული მიმდევრობის პირველი ორი ციფრის ერთობლიობა 5 1, იესოს (51) ჰემატრიას წარმოადგენს, მეორე წყვილი კი 99 ქრისტეს(99) ჰემატრიას.

ამკარაა, რომ სიტყვა „**ერთ**“ კოდია, რომელიც ციფრულად სრულად შეიცავს „იესო“-სა და „ქრისტეს“ ჰემატრიებს, მისი კაცობრივი და ღვთაებრივი ბუნების რიცხვულ სიმბოლოებს:

„ერთ“ – 5 19 9 <-> 51 99;

იესო(51) – ქრისტე(99).

გარდა ამისა, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სიტყვა „ერთ“-ის ასო ნიშნების ჯამი 33-ის — ქრისტეს ჯვარცმის ასაკის ტოლია!

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ პირველი ნატურალური რიცხვი 1 – „ერთ“-ი, ანბანურად მთვარის — „ან“ ღვთაების რიცხვია, და სრულად იძლევა, როგორც „იესო ქრისტე“-ს ჰემატრიას, ისე მის ასაკს. ანუ, სიტყვა **ერთ** ქრისტეობის კოდია.

ქრისტე, რომლის მოსვლა დიდი ხნით ადრე იყო ნაწინასწარმეტყველები, დაბადებული არ იყო, და უკვე არსებობდა მისი ჰემატრიული სურათი, რომელსაც უნდა დაქვემდებარებოდა მისი სახელი [29, გვ. 170].

8. ქართული ჰემატრიის შესახებ

ე.ი. „**ერთ**“ კოდია და არა ჩვეულებრივი სიტყვა. ასეთი დონის სარწმუნოებრივი, დაფარული ინფორმაცია მხოლოდ და მხოლოდ ქურუმთა ჩაკეტილი კასტის კუთვნილება იყო... იგი მოიცავს არა მარტო იმ (მისი შემოღების) პერიოდს, არამედ, ნათელხილვით ინფორმაციასაც, რადგან მერმისის სარწმუნოებასაც ეხება. ე.ი. როცა ქართული სიტყვა „**ერთ**“-ი შეიქმნა, ანბანი უკვე შექმნილი და ღმერთების კოდი განსაზღვრული იყო... როცა პროტოქართველმა ქურუმმა თვლა დაიწყო და სულ პირველი რიცხვი თქვა: „ერთი“, „ღმ-ერთი“, უკვე „იცოდა“, თუ ვინ იყო „ერთ“-ის კოდში დაფარული ღვთიური საიდუმლო, რომელიც შემდგომში, დედამიწაზე იესო ქრისტეს ხორციელად მოსვლითა და მისი 33 წლის ასაკში ჯვართამაღლებით ასრულდა! [29, გვ. 214].

როგორ ითქვა, ალ. ცინცაძის ჰემატრიული ანალიზის მიხედვით, „მამა ღმერთი“-ს ჰემატრიაც 99-ია.

ჰემატრიული ანალიზით, „ერთ“-ი ნიშნავს ქრისტეს „ძე-ღმერთობას“. ჩვენი ანალიზის მიხედვით, „ერთი“ ყველაფრის მომცველია და ამით სამყაროს შემქმნელი უფლის „მამა ღმერთის“ ტოლფასია. ამიტომ, ჩვენ „ღმერთი“-ის ქვეშ ვგულისხმობთ სამყაროს შემოქმედ უხილავ უფალს „მამა-ღმერთს“. ეს აზრი შესაბამისობაშია იოანეს სახარებასთან, რომლის მიხედვით, „ძე და მამა **ერთ** ვართ“. რაც იმაზე მიუთითებს, ჯერ ერთი, „**ერთ**“ არის მამა-ღმერთის და ძე-ღმერთის საერთო სახელი, ხოლო მეორე მხრივ, „მამა ღმერთი“ და „ძე ღმერთი“ **ერთნი** არიან. მართლმადიდებლური მრწამსიც ხომ მამა-ღმერთის, ძე-ღმერთისა და სულიწმიდა-ღმერთის ერთობას ეყრდნობა.

აღსანიშნავია, რომ ქართულ სიტყვაში „**ერთ**“ ჩადებული კოდი იესო ქრისტეს მოსვლისას ამოქმედდა... იმ ხალხმა, რომელმაც პირველმა შექმნა სარწმუნოებრივად **უცვლელი** კოდი „**ერთ**“, ფაქტობრივად განსაზღვრა სარწმუნოების პირველისტორიაცა და მომავალიც [29, გვ. 212].

„**ერთ**“-ის კოდის რიცხობრივი ფორმულა მიგვანიშნებს, რომ „ღმერთი“ – ერთია და ორბუნებოვანი. 51 მისი ადამიანური ბუნებაა, ხოლო 99 — ღვთაებრივი. „**ერთ**“-ში, როგორც **კოდში**, ჩადებული სარწმუნოებრივი, დაფარული ინფორმაცია მხოლოდ ჩაკეტილი კასტის კუთვნილება იყო [30, გვ. 171].

„ერთ“-ით დაცული კოდი უცვლელია დროში და ამით იგი სარწმუნოებრივი მემკვიდრეობითობის ეტალონია [30, გვ. 172].

ქართულ ენაში ქართულ წარმართულ ჰემატრიაზე დაყრდნობით ხდება ქრისტიანული ჰემატრიის დაფუძნება... ქართული ანბანი, ქართულ ჰემატრიასთან ერთად, უფლის ენის შიფრის გასაღებია [29, გვ. 219].

სიტყვა მერთი. ალ. ცინცაძის მიხედვით, ასონაკლული (ღ)მერთი, ანუ **მერთი** ძველქართულად ნიშნავს სამყაროს (ძველქართული ლექსიკონი). (უაღრესად საინტერესოა სიტყვები **ი-მერ-ი**, **ა-მერ-ი**, **ი-მერ-ეთ-ი** ხომ მხარეს, ქვეყანას მიგვანიშნებენ). სიტყვა **მერთ-ში** სიტყვა **ერთ-ის** არსებობა ნიშნავს იმას, რომ სიტყვა **ერთ** და მისი დაფარული ჰემატრიული კოორდინატები (52, 99, 33) ხილული სამყაროს ღმერთის რიცხვებია [30, გვ. 175].

განვიხილოთ სიტყვა „**ღმერთი**“. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ სიტყვა „ღმერთი“, რომელიც ქართულ ენაში სამყაროს უმაღლესი შემოქმედი ღვთაების აღმნიშვნელი სიტყვაა, შექმნილია წარმართულ პერიოდში. მაგრამ ქართულ სინამდვილეში უკვე გვქონდა შესაბამისი სიტყვა „**ელი**“-ს სახით.

ალ. ცინცაძის კვლევის მიხედვით, ამ სარწმუნოებრივ გარდაქმნას საფუძვლად დაედო დაახლოებით ძვ. წ. 1000 წლიდან დაწყებული ასტრონომიული სურათის ცვლილება; სწორედ ამ ცვლილების შემდეგ გააქტიურდა ქალდეველ ქურუმთა „ფანატიკური კასტა“ და შექმნა ე.წ. „ქალდეური პერიოდი“ ... ეს უმნიშვნელოვანესი ზოგადსაკაცობრიო სარწმუნოებრივი მომენტია [30, გვ. 173].

თავის მხრივ, სიტყვა „ღმერთი“ საფუძველს უყრის სამების ერთობას (ჩვენი აზრით, იგივეობას):

ღმერთი ↔ **მერთი**(სამყარო) ↔ **ერთი** [30, გვ. 176].

ანალოგიური აზრი გვაქვს გამოთქმული ჩვენ შრომაში [25].

თუ პროტოქართული მოდემის ქურუმებმა იცოდნენ სიტყვა „**ერთის**“ მნიშვნელობა, მათ ისიც იცოდნენ, რომ ამ უმშვენიერესა და ჰარმონიულად მოწყობილ სამყაროს ჰყავს შემოქმედი გამგებელი, რომელსაც ქართულად მოკლედ უფალს — **ღვთაებას** ვუწოდებთ. მათ კარგად უწყოდნენ ისიც, რომ უფალი ერთადერ-

8. ქართული ჰემატრიის შესახებ

თია და მარადიულად არსებული. ამიტომ „უფალსა“ და „ერთს“ შორის უნდა არსებობდეს გარკვეული ურთიერთშესაბამისობა. მეორე მხრივ, მათ ისიც კარგად უწყოდნენ, რომ უფალი დედამიწისა და ცის მიღმა იმყოფება. რის გამოც უხილავი ღმერთის სამყოფელის გამომხატველ სიმბოლოდ, ცის თაღის გამომხატველი ნიშანი - Π - ღვთის კარი მიიჩნიეს, რომელიც ქართულ ასომთავრულში ბგერა „ღ“-ს გამომხატველი ასო-ნიშანია.

ამიტომ, ჩვენი აზრით, სიტყვა „ღმერთის“ შემქმნელმა ქართველმა ქურუმებმა უფლის გამომხატველ სიტყვა „მერთ“-ის წინ, ურთიერთშესაბამისობის ნიშნად დაურთეს ასო-ნიშანი Π, და ჩაწერეს შემდეგი გამოსახულება: „Π - მერთი“, ანუ „Π-მერთი“. ასო-ნიშანთა ეს გამოსახულება კი იკითხება როგორც „ღმერთი“.

ეს ყველაფერი ადასტურებს, ჩვენ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ყოვლის შემოქმედი **ღმერთი**-სა, და ყოვლის მომცველი, მარადიული **კოსმიური სამყარო**-ს ცნებები ურთიერთშესაბამისია.

6 ქართული ჰემატრიული სიტყვები

აღ. ცინცადის კვლევის მიხედვით, ქართველ ქურუმთა ფარული ენის, ღვთის ნებით, გააზრებულად, ხელოვნურად შექმნილი რიცხვული შიგთავსის მქონე ქართული სიტყვებია: ელი, ერთი, ღმერთი, მამა ღმერთი, მანძილი, ღვთაება, მოქცევა, ღორღთი, ქურუმი, ხვეისბერი, ქორა მახვში, თუთა, ფარნავაზ, სამარ, არმაზი, ბადაგონი, (თეთრი, წმიდა) გიორგი, ნენანა, დადინანა, მზე, მთვარე, ბუნიობა, კუართი, კუალთა, კუერთხი, უკუნისი, კაბალა, იბერია, ქალდეა, მესხ(ეთ), ლაზ(ეთ)ი, ივერია, გურია, ამერ(ეთ)ი, არიან-ქართლი, კახ(ეთ)ი, ამერ-იმერი, სამანი, იასამანი, წილი და სხვა [29, გვ. 4].

ანუ დადასტურდა, რომ ქართულ ენაში არის ხელოვნურად შექმნილი მრავალი სიტყვა, რისთვისაც ჩვენი სწავლული წინაპრები ქართულ ჰემატრიასა და ქართულ ასომთავრულ ანბანს იყენებდნენ.

ქართული ანბანისა და ჰემატრიის გამოყენებით შექმნილია სიტყვები **წელი** და **წელიწადი**, რომლებიც მზის მოძრაობა და შესაბამისად, უძრავ კალენდარს ასახავენ.

სიტყვა „წელი“. ალ. ცინცადის მიხედვით, როგორც აღმოჩნდა, ქართული კალენდარი ანბანთან ერთად, სიტყვაშიც დევს. დადგინდა ისიც, რომ დროის ერთეულად მიჩნეულ სიტყვაში კალენდრის რიცხვული მექანიზმის ჩადების ტრადიცია წმინდა წინარექართული ტრადიციაა. როცა დროის უმნიშვნელოვანეს ერთეულში, რომელიც მზის გარშემო დედამიწის ერთი შემობრუნების აღმნიშვნელია, მთელ კალენდარს ვპოულობთ, ეს უკვე თვისობრივად განსხვავებული დონეა, ვიდრე, თუნდაც იგივე კალენდრის ანბანში ხილვა. აქ ნათლად ჩანს, რომ ის, ვინც ეს სიტყვა შექმნა კალენდრის შემოქმედი იყო [29].

ალ. ცინცადის ჰემატრიული გამოკვლევით, მზის მოძრავი კალენდარი ყველაზე მოხერხებულად, ორგანულად და მარტივად თვითონ ქართულ სიტყვაში განხორციელდა, თანაც მზის გარშემო დედამიწის ერთი შემოვლის დროის ერთეულად მიღებულ სიტყვაში — „წელი“. აღმოჩნდა, რომ ქართული სიტყვა „წელი“ დიდი და გასაიდუმლოებული საკრალური ინფორმაციის მატარებელია. უმნიშვნელოვანესია ისიც, რომ „წელი“ ჩვეულებრივი, რიგითი სიტყვა კი არ გახლავთ, არამედ კალენდრის ერთეულია.

სიტყვაში „წელი“ აუცილებელია სიტყვის თითოეული ასოს რიგით სათვალავთა და რიცხვ-მნიშვნელობათა ერთობლიობის გათვალისწინება, რაც ქართული ანბანის მიხედვით შემდეგია: წ(31,4000) ე(5,5) ლ(12,30) -ი.

მართლაც, ქართულ ანბანში ასო-ნიშან ლ - „ლას“-ის რიგითი სათვალავია 12, ხოლო რიცხვ-მნიშვნელობა - 30. ამ ორი რიცხვის ერთ ასო-ნიშანში თავმოყრა, ერთიანობა, ჰემატრიის წესით, მათი გამრავლების შესაძლებლობას გვაძლევს. ნამრავლი თავის მხრივ, იმ შედეგს იძლევა, რაც უკვე მოსალოდნელი, და ასტრონომიულად გამართლებულიც იყო. იგი იძლევა ერთ სრულ წრეს, 3600-ს, და წლის 360 დღეს: $12 \times 30 = 360$. მოძრავი მზის კალენდარის სრულყოფისთვის აუცილებელია დამატებით 5 დღე, რომელსაც სიტყვაში „წელი-ი“ ასო-ნიშანი ე (5) გვაძლევს:

$$5 + 360 = 365.$$

ამდენად, „ელ“-ი სრულად იმეორებს მზის მოძრავი კალენდრის რიცხვებს და ჰემატრიის წესების დაცვით მათზე მოქმედე-

8. ქართული ჰემატრიის შესახებ

ბისას($12 \times 30 = 360$; $360 + 5 = 365$) - კალენდარს [30, გვ. 61]. კალენდრის შინაგან, უმარტივეს ვარიანტს სიტყვა - „ელ“-ი (365) იძლევა. იგი პირველადი კვალია, მაგრამ მისი სრულყოფილი სახე, რა თქმა უნდა, სიტყვა „წელი“-ა. სიტყვაში „წელი“-ი ასო-ნიშანი „ი“ ბრუნვის აღმნიშვნელია [29, გვ. 83].

საჭიროა გაირკვეს, თუ რა როლს ასრულებს სიტყვაში- „წელი“ არსებული პირველი ასო-ნიშანი „წ“. ქართულ ანბანში „წ“ ასო-ნიშნის რიგითი სათვალავია 31, ხოლო რიცხვითი მნიშვნელობა 4000. რ. პატარიძის მოსაზრებით, ამ რიცხვების კომბინაცია 314000, პითაგორას მოძღვრების გათვალისწინებით, იძლევა წრის დამახასიათებელ რიცხვს — 3.14. მეორე მხრივ, რიგითი სათვალავის 31-ის შემადგენელი რიცხვები 3 და 1 მიაწინებებს ცოდნაზე იმის შესახებ, რომ კალენდარში ყოველი 3 წლის შემდეგ 1 წელი განსხვავებული, ნაკიანი წელი უნდა ყოფილიყო. ანუ, ცოდნა მზის უძრავი კალენდრის შესახებ თავიდანვე არსებობდა ქართულ ენაში სიტყვა „წელი“-ს სახით [29, გვ. 84].

ამრიგად, ქართული სიტყვა „წელი“ ასრულებს მზის მოძრავი კალენდრის როლს. ცხადია, რომ სიტყვა „წელი“ შექმნილია ქართველი ქურუმების მიერ, ქართულ ჰემატრიაზე დაყრდნობით, ქართული ასომთავრული ანბანის შექმნის შემდეგ. საინტერესოა, თუ როდის შექმნეს ქართველთა ქურუმებმა მზის მოძრავი კალენდარი ქართული სიტყვით „წელი“.

ალ. ცინცაძის მოსაზრებით, ქართველი ქურუმები მზის მოძრავ კალენდარს მაშინ ხომ არ შექმნიდნენ, როცა კალენდარული რეფორმა რომში უკვე განხორციელებული იყო (ძვ.წ. 46 წელი), ხოლო მზის მოძრავი კალენდარი - ხმარებიდან გამოსული. მითუმეტეს, რომ ამ პერიოდისთვის ქართულ სახელმწიფო წარმონაქმნებს რომთან ინტენსიური ურთიერთობები ჰქონდათ. ამდენად, სიტყვა „წელი“ უფრო ადრინდელია [29, გვ. 87].

სასწაულია ქართული სიტყვიერი კალენდრის შექმნა, როცა სიტყვაში კალენდრების ჩადების ტრადიციას ანალოგი არ მოეპოვება.

„წელიწადი“ - მზის უძრავი სრულყოფილი კალენდარი. ტროპიკულ წელსა (დედამიწის მზის გარშემოვლის რეალური დრო) და 365-დღიან კალენდარულ წელს შორის დაზუსტებული

6. ქართული ჰემატრიული სიტყვები

სხვაობა 5 საათი 48 წუთი და 46 წამია. ზემოთ აღწერილი მზის უძრავი კალენდრით, ანუ იმ კალენდრით, რითაც დღეს ვსარგებლობთ, ოთხწლეულში ერთი დამატებითი დღე შემოგვაქვს. ე.ი. საშუალოდ წლიურად ემატება $24 : 4 = 6$ საათი. გამოდის, რომ მზის უძრავი კალენდარი წელზე 11 წუთითა და 14 წამით მეტს ითვლის, ე.ი. უფრო მეტს ვამატებთ, ვიდრე საჭიროა, ამიტომაც მას დაახლოებით ყოველი 128 წლის შემდეგ სჭირდება კორექტირება, უკვე მთელი ერთი დღის დაკლება. ქრისტეშობის, ანუ ახალი წელთაღრიცხვის შემოტანის შემდეგ არსებული კალენდრის კორექტირება, ე.წ. „ახალ სტილზე გადასვლა“ ერთბაშად, წინა საუკუნეში განხორციელდა და ეს მზის უძრავი კალენდრით დაგროვილი ცდომილების აღმოსაფხვრელად გაკეთდა. ე.ი. თუ მზის მოძრავ კალენდარს 5 საათი 48 წუთი და 46 წამი ჰქონდა ტროპიკულ წელთან სხვაობა, მზის უძრავ კალენდარში ეს სხვაობა 11 წუთსა და 14 წამამდე შემცირდა, მაგრამ სულ არ გამქრალა, ამიტომაც ისევ სჭირდება მზის უძრავ კალენდარს კორექტირება; თუმცა 4 წელიწადში კი არა, არამედ უკვე 128 წელიწადში ერთხელ.

აღ. ცინცადის მოსაზრებით, კალენდრის სრულყოფა მზის კალენდრის განვითარებას უნდა მოეცა, ეს ლოგიკურად სრულიად ცხადია. ამისთვის, ახალ კალენდარს წინარეს სიტყვიერი და რიცხვული ნაწილის გამეორება სჭირდებოდა, ასე იქნა მიღებული მზის უძრავი კალენდარი, იდენტური რიცხვული კონსტრუქციით — „წელიწადი“. იგი არა მხოლოდ პირდაპირ ინარჩუნებს რთულ ფუძეში „წელ“-ს, არამედ გაცილებით მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოაქვს სემანტიკურ და ჰემატრიულ შრეში. კალენდრად გამოყენების შემდეგ მაკორექტირებელი ფუძე „წადი“, წასვლის მნიშვნელობის მქონე ზმნაში გადადის და ამასაც აქვს ლოგიკურად გამართლებული საფუძველი. სიტყვიდან „წადი“ ასო-ნიშან „წ“-ს რიგითი სათვალავი - 31, ციფრულად 3 და 1-ია, ანუ ჯამში ოთხი: $3 + 1 = 4$. ეს მიგვანიშნებს იმას, რომ ყოველ ოთხ წელში სამჯერ 365-დღიანი წელია, ხოლო იმ ერთ ნაკიან წელს, მას 366-ე დღე ემატება. „ყოველ ოთხწლეულში ერთი დამატებითი დღე-ღამის საიდუმლო... ასო „წილ“-ის ფორმულაშია დამარხული“ (რ.პატარიძე). ამ ერთ, დასამატებელ დღეს სიტყვაში ასო-

8. ქართული ჰემატრიის შესახებ

ნიშანი „ა“ (1) იძლევა. 128 წელში რეალური, ტროპიკული წელიწადებით გასული დრო, მზის უძრავი კალენდრით აღრიცხულზე 1,0016 დღე-ღამით ნაკლებია. ასეთი თვალსაჩინო ცდომილების გამოწვევების შესაძლებლობას მაკორექტირებელი ასო-ნიშანი, სიტყვის ბოლოს „დ“ (დონ-ი) იძლევა. მისი რიგითი სათვალავია 4, ხოლო სახელდება „დონ“-ი, მართლაც განსაკუთრებული რიცხვითი შიგთავსი: [30, გვ. 186]

$$დ(4) ო(70) ნ(50) - ი, 4 + 70 + 50 = 124.$$

ჰემატრიით მიღებული 124, წელთა ის რაოდენობაა, რომელსაც „წელიწადი“, როგორც მზის უძრავი კალენდარი ითვლის. „სახელდება „დონ“-ი შემთხვევითი ხასიათისა კი არ არის, არამედ (ანბანში) მას ერთდროულად საიდუმლო რიცხვითი მნიშვნელობა აქვს და ასტრონომიულ-კალენდარულ ფუნქციებს ასრულებს“ (რ.პატარიძე) [19].

ალ. ცინცაძის აზრით, არა მხოლოდ ანბანში, არამედ სიტყვაშიც - „წელიწადი“ ასო-ნიშანი „დ“ ასრულებს კალენდარულ ფუნქციას. 124 წელში 31 ნაკიანი წელია, სწორედ ასე ითვლის მზის უძრავი კალენდარი დღეებს და იგივე ხდება მზის უზუსტეს კალენდარში. მაგრამ შემდეგი ოთხი წელი, განსაკუთრებული წლებია, რომელშიც უკვე ნაკიანი წელი აღარ გვხვდება. ამაზე ინფორმაციას იძლევა „დ“ ასო-ნიშნის რიგითი სათვალავი, რომელიც 4-ს ტოლია. ე.ი. კალენდარი „წელიწადი“ 124 წელს 31 ნაკიანი წლით გადის ($124 : 4 = 31$, აქ 124 „დონ“-ის ჰემატრია და 4, მისი რიგითი სათვალავია); ხოლო შემდეგი ოთხწლელი უნაკიანო წლებია (4, ისევე „დონ“-ის რიგითი სათვალავია). ამით კალენდარი თვითონვე ახდენს ზედმეტი ერთი დღის კორექტირებას. [30, გვ. 126]

ამრიგად, მივიღეთ ე.წ. უზუსტესი ქართული კალენდარი, მასში $124 + 4 = 128$ წელიწადში 32-ს ნაცვლად, 31 ნაკიანი წელია. ეს, ერთი შეხედვით უმნიშვნელო კორექცია გამოაოგნებელ შედეგს იძლევა: ტროპიკული წლის ხანგრძლივობა 365,2422 დღე-ღამეა, 128 წელში იგი $128 \times 365,2422 = 46751,0016$ დღე-ღამეს. ე.წ. ქართული კალენდრით ჩვენ 128 წლიდან 31 გვაქვს ნაკიანი, ანუ $31 \times 366 + (128 - 31) \times 365 = 46751$ დღე-ღამე.

ფაქტობრივად, სხვაობა უსასრულოდ მცირეა, ეს სხვაობა 128

წელიწადმა მოგვცა: $46751,0016 - 46751 = 0,0016$ დღე-ღამე. თუ მზის უძრავ კალენდარს 1,0016 დღე-ღამე ჰქონდა ცდომილება, ახლა ქართული კალენდრით იგი 1 დღე-ღამით შემცირდა და 0,0016 დღე-ღამე გახდა. გადავიყვანოთ იგი წამებში და გადავიანგარიშოთ ერთ წელზე, ანუ გავყოთ 128-ზე და წელიწადში სულ 1 წამიანი სხვაობა გვრჩება (მას კორექტირება მხოლოდ 86400 წლის შემდეგ დასჭირდება) [30, გვ. 126].

ჩვ.წ. მეთერთმეტე საუკუნეში შუა აზიური (ომარ ხაიამის) კალენდრით მიღწეული იქნა 19 წამიანი სიზუსტე, ადრე მაიას ცივილიზაციამ 17 წამიან სიზუსტეს მიაღწია, ქართული კალენდარი გაცილებით ძველია და როგორც ვხედავთ, უფრო ზუსტიც. იგი 850-ჯერ ზუსტია, ვიდრე დღეს ხმარებული კალენდარი და 170-ჯერ უფრო ზუსტი, ვიდრე ეგვიპტელთა ცოდნა, ანუ, ის, ზემოხსენებული, ეგვიპტელ ქურუმითაგან აკრძალული კალენდარი [30, გვ. 187].

1980 წელს ქართველ მეცნიერთა ჯგუფმა ქართულ ანბანში 128-წლიან ციკლებში თვითკორექტირებად კალენდარს მიაგნო. ახლა ვხედავთ, რომ იგივე კალენდარი ჩადებულია მზის გარშემო დედამიწის შემოვლის დროის ერთეულად მიღებულ სიტყვაში - „წელიწადი“. ის, რომ ქართულ ანბანსა და სიტყვაში დატანებული კალენდრები იდენტურია, საბოლოოდ ამტკიცებს მის რეალურობასა და ქართულ წარმოშობას [29].

დასკვნა

ალ. ცინცაძის მოსაზრებით, მის მიერ წარმოებულ ჰემატრიული კვლევის შედეგებს აქვთ შემდეგი სახის ღირებულებები:

1. **მეცნიერული:** ძირითადად იცვლება მათემატიკის, ასტრონომიის, ანბანთმცოდნეობის, კალენდარმცოდნეობის და სარწმუნოების მსოფლიო პირველისტორია; თავიდანაა დასაწერი და გასააზრებელი წინარეჟრისტიანული პერიოდის საქართველოს ისტორია.
2. **სარწმუნოებრივი:** მათემატიკურად ზუსტად მტკიცდება, რომ ქართველები არა მარტო ბიბლიური ხალხია, არამედ ბიბლიურად, სწორედ ღმერთის შექმნილი პირველკაცის —

8. ქართული ჰემატრიის შესახებ

ადამის ძეგბია.

3. **პოლიტიკური:** ახლებურად წარმოჩინდა წინარექრისტიანული საქართველოს წვლილი მსოფლიო პირველისტორიაში; საქართველო, როგორც მსოფლიო ცივილიზაციის პირველსაწყისის მემკვიდრე, თვისობრივად ახლებურ დამოკიდებულებას იმსახურებს.

ალ. ცინცაძე აცხადებს: „ქართულ ენაში დამარხული საიდუმლო იმდენად დიდია, რომ თუ არა ღმერთის შეწევნა, „უხილავი ხელი“, ხელდასხმა შესაქმესას, სხვა ვერანაირი ახსნა ვერ მოვუძებნე ამას ...“ [29, გვ. 343].

თავი 9

გლობალიზაციის შესახებ

„გლობალიზაცია ჩვეულებრივი მოვლენაა და ვერვინ შეაჩვენებს ამას“.

უშიდესი და უნეტანესი ილია II

შესავალი

გლობალიზაცია, როგორც ცნება, ერთი მხრივ, უკავშირდება ინგლისურ სიტყვას **Globe**-ს, რაც დედამიწას, გლობუსს ნიშნავს. ხოლო მეორე მხრივ, ის მოდის სიტყვიდან **Global**, რაც ფრანგულად საყოველთაოს, მთლიანს, საერთოს ნიშნავს. აქედან, ადვილი მისახვედრია, რომ ეს ცნება აღნიშნავს „გასაყოველთაობას“.

ამჟამად გლობალიზაციის პროცესთან დაკავშირებით, ზოგადად, არსებობს ორი რადიკალურად განსხვავებული შეხედულება:

1. გლობალიზაცია წარმოადგენს პროგრესულ პროცესს, რომელიც ხელს შეუწყობს მთლიანად მსოფლიოს ეკონომიკისა და ცივილიზაციის განვითარებას.
2. გლობალიზაცია არის ნეგატიური პროცესი, რომელიც ემუქრება არა მარტო ცალკეულ ეროვნულ სახელმწიფოებს, ერებს და მათ კულტურულ თავისებურებებს, არამედ ხელს უწყობს მხოლოდ რამდენიმე ქვეყნის მიერ მსოფლიო ძალაუფლების ხელში ჩაგდებას.

გლობალიზაცია არის კაცობრიობის ცივილიზაციის (და არა კულტურის) განვითარების შედეგი. იგი მოქმედი პროცესია, რომელიც მეცნიერთათვის ჯერ უცნობი კანონებით ვითარდება. ამ ცნებას თავდაპირველად მხოლოდ ეკონომიკური დატვირთვა ჰქონდა, მაგრამ დღეს იგი მოიცავს ცხოვრების ყველა სფეროს.

9. გლობალიზაციის შესახებ

როს: ეკონომიკურს, პოლიტიკურს, სოციალურს და კულტურულ-რელიგიურსაც. გლობალიზაცია ასახავს ყველა იმ პროცესს, რომელთა მეშვეობითაც მსოფლიოს ხალხები ერთ „მსოფლიო საზოგადოებაში“ (კაცობრიობაში) ერთიანდებიან.

დამკვიდრებული აზრის მიხედვით, ყველა ერი კაცობრიობის პოლიტიკური, საზოგადოებრივი და სულიერი ცნობიერების ნაწილია. თუმცა ჩნდება კითხვა — რა არის თვითონ კაცობრიობა?

საზოგადოების ერთი ნაწილი კაცობრიობას სოციალურ ფუნქციად მიიჩნევს, და ერების იდეალიზაციას, ერების თავისებურებების (ეროვნულობის) შენარჩუნებას იზიარებს. მეორე ნაწილი კი — ერების თავისებურების დაკარგვასა და მათ სრული გაერთიანების იდეას იზიარებს. ისმის კითხვა — სად უნდა გადიოდეს მათ შორის სიმართლის მეცნიერული ხაზი? მაგრამ, დადასტურებულია, რომ ცხოვრება ორივე ცალსახა მიდგომას უარყოფს. შეუძლებელია კაცობრიობას ერი შესწირო და პირიქით, ეროვნულობის გამო კაცობრიობა უარყო [17, გვ. 8].

მიგვაჩნია, რომ კაცობრიობა, თავისი ევოლუციური განვითარების გარკვეულ ეტაპზე განხილულ უნდა იქნას, როგორც ერთიანი, მთლიანი, ურთულესი სტრუქტურის მქონე, ცოცხალი, თვითრეგულირებადი და ევოლუციურად თვითგანვითარებადი ღია სისტემა. კაცობრიობაზე ასეთი წარმოდგენის ერთ-ერთ საფუძვლად მიგვაჩნია თვით მისი უძირითადესი ელემენტის — ადამიანის ბუნება-დანიშნულება.

უზენაესმა **შემოქმედმა** ადამიანი შექმნა მიზნობრივად, როგორც გონიერი, შემოქმედების უნარის მქონე და თავისუფალი არსება. ადამიანის ფუნქცია-დანიშნულება მდგომარეობს შემოქმედებით შრომაში, რითაც გარკვეული წვლილი შეაქვს თავისივე წარმომქმნელი უზენაესი შემოქმედის — კოსმიური გონის სწრაფვაში აბსოლუტური სრულყოფილებისაკენ.

შემოქმედებით შრომაში იგულისხმება არა მხოლოდ მეცნიერებაში და ხელოვნების სხვადასხვა დარგებში მომუშავე ადამიანების შრომა, არამედ შრომაც ყოველი ადამიანისა, ვინც გონივრულად გეგმავს და სინდისიერად აკეთებს მისთვის განკუთვნილ, ღმერთის მიერ ბოძებულ, საქმეს.

მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია ყოველი ადა-

მიანისა და მისი შთამომავლების ფიზიკურად გადარჩენა. ცხადია, რომ თითოეული ადამიანი ცალკე ვერ გადარჩება. ამისთვის ადამიანები ერთიანდებიან ოჯახებად, გვარებად, ეთნოსებად, ერებად, სახელმწიფოებად და ბოლოს, კაცობრიობად.

კაცობრიობაში (როგორც ერთიან თვითგანვითარებად მთელში) დედამიწაზე მცხოვრები ყველა ადამიანის უბრალო დუზინქციური ჯამი კი არ იგულისხმება, არამედ მათი ერთობა ერთიანი საკაცობრიო მიზნებით, ამოცანებით, ფუნქციებით, ცნობიერებითა და ერთიანი საკაცობრიო გონითა და სულიერებით.

კაცობრიობა ერთ მთლიან თვითგანვითარებად ცოცხალ სისტემად ჩამოყალიბდება ბუნებრივი გლობალიზაციით, რომლის დროსაც ეროვნული სახელმწიფოები კი არ უნდა მოისპოს, არამედ, პირიქით, ხელი უნდა შეეწყოს მათი თავისუფალი, თვითმყოფადი კულტურისა და სულიერების განვითარებას, რადგანაც მთელი ვერ იარსებებს შემადგენელი ნაწილების ფუნქციონირების გარეშე.

ბუნებრივი გლობალიზაცია წარიმართება ერების მიერ იმის გაცნობიერებისა და გათვალისწინების საფუძველზე, რომ კოსმიური სამყარო ერთია, დედამიწა ყველას სამშობლოა და ერთია, ჭეშმარიტება ერთია, სამყაროს შემოქმედი ღმერთიც ერთია და მხოლოდ მასთან მიმავალი გზებია განსხვავებული სახისა და ფორმისა, სხვადასხვა ერისათვის (საცხოვრებელი ადგილისა და განვითარების დონის მიხედვით).

თითოეული ადამიანი, თითოეული გვარი, თემი, ეთნოსი, ერი და სახელმწიფო, რაგინდ მცირე არ უნდა იყოს იგი, ღმერთისმიერი უნიკალური წარმონაქმნია და ხელი უნდა შეეწყოს მის არსებობას, ეკონომიკურ და სულიერ განვითარებას. მათ, თითოეულს, განსაკუთრებული ფუნქცია-დანიშნულება გააჩნია, რათა გარკვეული, მისთვის შესატყვისი წვლილი შეიტანოს კაცობრიობის ევოლუციურ განვითარებაში. ამისთვის საჭიროა მათ მიერ ჰარმონიული ურთიერთდამოკიდებულების აუცილებლობის გაცნობიერება, რაც თანდათან გადავა ქვეცნობიერში და რწმენად გადაიქცევა. სწორედ ეს უნდა ნიშნავდეს ბუნებრივ გლობალიზაციას.

1 ს. მასხარაშვილი გლობალიზაციის შესახებ

ისტორიკოს სიმონ მასხარაშვილის მიხედვით, უმთავრესად ღვთის ნება და გენეტიკა განსაზღვრავს როგორც ინდივიდის, ისე ერის არსებობასა და მოღვაწეობას. ისევე როგორც ცალკეული ადამიანი, ერიც ერთიანი ცოცხალი ორგანიზმია, და არა ადამიანთა მექანიკური ერთობა. ერი, უპირველესყოვლისა, რაღაც ბოლომდე შეუცნობი, სულიერი ორგანიზმია, რომლის არსებობასაც ღვთის ნება და ის მისია განაპირობებს, რომელიც მას (უფლისაგან) დაეკისრა. უარყო ერი, როგორც სულიერი ინდივიდი, ნიშნავს უარყო ეროვნული კულტურა. არადა, მსოფლიო ცივილიზაცია სწორედ ეროვნულ კულტურათა ერთობლიობაა. სწორედ ეროვნულ კულტურათა მრავალფეროვნებაა კაცობრიობის მშვენიერება! ღმერთს რომ ეროვნული და ენობრივი ნიშნით არადიფერენცირებული სამყარო ნდომებოდა, მაშინ 7 ათასი წლის წინათ არ დაარღვევდა ბაბილონის გოდოლს [14, გვ. 10].

სვ. მასხარაშვილის მოსაზრებით, კაცობრიობის ერთფეროვნებისა და უნიტარულობის შენარჩუნების პირველი ცდა იყო ბაბილონის გოდოლის შენება შუამდინარეთში მცხოვრები, ღვთისაგან განდგომილი, ხალხების მიერ. მართლაც, უფლის ნება იყო, რომ ადამიანები, როგორც პიროვნულად, ისე ერების — „ნათესავების“ სახით ინდივიდუალურნი, თვითმყოფადნი, თავისებურნი (ურთიერთგანსხვავებულნი) ყოფილიყვნენ (რადგან საპირისპიროთა ერთიანობა და ბრძოლა წარმოადგენს ევოლუციური განვითარების საფუძველს). ამიტომაც, რომ უფალმა შეწყვიტა მათი ფიზიკურად ერთად ყოფნის ნიშანსვეტის — ბაბილონის გოდოლის შენება. მაგრამ, სამოთხის ბალიდან ადამიანის გამოძევების შემდეგ ყოველთვის არსებობდნენ რჩეული ადამიანები, რომლებიც არ ივიწყებდნენ უფლის ჭემმარიტ სიტყვას და უფლის მორჩილად რჩებოდნენ. როგორც საეკლესიო გადმოცემა გვაუწყებს, გოდოლის შენებისას იყო ერთი „ნათესავი“ („მოღვმა“) — **ებერის მოღვმა**, რომელიც არ მონაწილეობდა ბაბილონის გოდოლის შენებაში. ებერთა შთამომავალნი თავისი საქციელით, დანარჩენ კაცობრიობასთან შედარებით, იყვნენ ინდივიდუალურნი, თვითმყოფადნი და ორიგინალურნი [14, გვ. 12].

ძვ.წ. IV ათასწლეულში სემიტ-ებერიელთა სამხედრო ძალით ძლევა არ ხელეწიფებოდა ერთად აღებულ დანარჩენ კაცობრიობას, რადგანაც ბრინჯაოს დნობისა და მედიცინის საიდუმლოების ფლობა არნახულ უპირატესობას ანიჭებდა ებერიანელებს დანარჩენ მსოფლიოსთან შედარებით. მაგრამ არსებობდა ამ ღვთისნიერი მოდგმის გარყვნისა და დაცემის სხვა, უფრო მდაბალი და მზაკვრული, გზა, რომელიც გამონახეს აფრიკიდან მოსულმა ქამიტებმა [14, გვ. 36].

ბაბილონის გოდოლის შენების ინიციატორ ქამიტ-ნებროთიანთა უშუალო შთამომავალი აქადველები ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებში მივიდნენ და დასახლება დაიწყეს შუმერთა ქალაქებში. ქალდეური გენეტიკის მქონე (იხ. თავი 4) შუმერები დაქორწინდნენ აქადელ ქალებზე, რის შედეგადაც შუმერები თანდათანობით ქამიტური გავლენის ქვეშ მოექცნენ. შერეული ოჯახების საშუალებით ქამიტები თანდათანობით გაეცვნენ და დაეუფლნენ ბრინჯაოს მეტალურგიის საიდუმლოს [14, გვ. 37].

თანდათან ხდებოდა ძირძველი ხურიტული ასურისა და ოდესღაც შუმერული ბაბილონის ქამიტობაცია; მიმდინარეობდა ქალდეური გენეტიკის გარყვნა, რასაც მოჰყვა რელიგიისა და კულტურის დეგრადაცია [14, გვ. 38].

ძვ.წ. XV- XIV სს-ში ხეთების სამეფო, შუამდინარეთი, ეგვიპტე და ქანაანი იქცნენ მცირე „ბაბილონის გოდოლებად“, სადაც კერპთმსახურება, ქვენარე გრძნობებით ნაკარნახევი პოლიტიკური ზრახვები და ადამიანური სიხარბე ცხოვრების წესად იქცა. ამ დროს შეურყვნელად გადარჩენილი, აზიაში მცხოვრები, სემიტ-იბერიელი მესხები, ლაზები, ქაშქები, ნაირელები და ხურიტები თავგანწირულად იბრძოდნენ სისხლის სიწმინდისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის. მართალია, ამ დროისათვის უკვე განადგურებულია მტკვარ-არაქსის კულტურა, მაგრამ ისიც ნათელია, რომ ეს ხალხი მაინც ინარჩუნებს კულტურის პირველ სახეს და არ ითქვიფება გოდოლისტურ სახელმწიფოებში.

ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისიდან ეგეოსის ზღვის აუზში მცხოვრები იბერიული მოდგმის ხალხებში ინტენსიურად შეერივნენ ინდოევროპული მოდგმის ტომები [14, გვ. 43].

ძვ.წ. XIII-XII სს-ის მიჯნაზე „ზღვის ხალხების“ შემოსევათა

9. გლობალიზაციის შესახებ

წყალობით განადგურდა გოდოლისტური ხეთი, ბაბილონი, აქაველთა სამყარო.

ამ ყოველივეს პარალელურად, ძვ.წ. 1260-1200 წლებს შორის დაეცა ტროაც, რომელიც ძირითადად, სემიტურ-იბერიული იყო. ტროას დაცემაც, ალბათ კანონზომიერებას წარმოადგენდა:

1. ტროაც ძველი „ბრინჯაოს ხანის“ ნაშთი იყო;
2. ტროამაც, გარკვეულწილად, განიცადა ქამიტოზაცია.

ტროას სამეფო სახლის ნაწილი, ქალაქის დაცემის შემდეგ, გადასახლდა დასავლეთში და მისმა შთამომავლებმა ძვ.წ. VIII ს-ში დაარსეს ქალაქი რომი [14, გვ. 47].

სვ. მასხარაშვილის თვალსაზრისით, „ზღვის ხალხების“ მოძრაობა, თუ „ტროას ომი“ იყო ღვთის რისხვის გამომჟღავნება. სწორედ უფალმა დაამხო ძველი მსოფლიოს გოდოლისტური წესრიგი. საუკუნოდ დაემხო ბრინჯაოს ხანა და ახალი „რკინის ერა“ დაიწყო. „რკინის კულტურამ“ ხელი შეუწყო ახალი წესრიგის დამყარებას. რკინის საიდუმლოს ამომხსნელნი კი სწორედ სემიტურ-იბერიულ-ქალდეები იყვნენ [14, გვ. 47].

ძვ.წ. 1200 წელს ისრაელი პალესტინაში შევიდა. წმიდა მიწაზე მისვლის წინ, უფლისაგან ისრაელს ებრძანა ქამიტთა მოსპობა. იმ დროს პალესტინაში გაბატონებულები იყვნენ ის ქამიტური ტომები, რომელთა თანდათანობითი შერევით, დაამხეს უძველესი შუმერული კულტურა და თავიანთი გარყვნილი გოდოლისტური ღირებულებები თავს მოახვიეს ოდესღაც უფლის ერთგულ, ძირძველ სემიტ-იბერიელებს [14, გვ. 48].

„აბრეშუმის გზის“ დაბადება. სვ. მასხარაშვილის მიხედვით, წარსულში ბუნებრივი გლობალიზაციის მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ „აბრეშუმის გზის“ დაბადება. ჯერ კიდევ ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში კაცობრიობა იმ დონეზე გამრავლდა, რომ სხვადასხვა ტომები უშუალოდ დაუმეზობლდნენ ერთმანეთს. აქედან გამომდინარე, ბუნებრივად დაიბადა ინფორმაციისა და წარმოებულის პროდუქციის გაცვლის სურვილიც. ძვ.წ. VI ს-ში დაიწყო მსოფლიო ისტორიის სრულიად ახალი ეტაპი. დაიწყო მშვიდობიანი კავშირების დამყარება ათასობით კილომეტრებით დამორებული ქვეყნების მკვიდრთა შორის. დამყარდა სავაჭრო

ურთიერთკავშირები. ამ დროს შეიქმნა ე.წ. „აბრეშუმის გზა“, რომელმაც ერთიან სავაჭრო სისტემაში გააერთიანა თანამედროვე ესპანეთიდან ჩინეთამდე მდებარე ქვეყნები. ერთიანი მსოფლიოს სავაჭრო ეკონომიურ სისტემას შეედლო ხელი შეეწყო **ახალი გო-დოლისტური** სისტემის ჩამოყალიბებისათვის. მაგრამ უფალმა ესპანეთ-ჩინეთის ხაზზე ყოველ ერში შექმნა თვითმყოფადობის შემანარჩუნებელი ახალი ბერკეტები.

ძვ.წ. VI ს-ში გაჩნდა ყოველი ცივილიზებული ერისთვის თვითმყოფადობის შემანარჩუნებელი სრულიად ახალი **ორიგინალური მექანიზმი**: რომის რესპუბლიკა (510-509 წწ); ბერძნული მწერლობა; ირანში გაბატონდა ზოროასტრიზმი; ინდოეთში მოღვაწეობდა ბუდა; ჩინეთში — ლაო ძი და კონფუცი; საქართველოში დაარსდა მეორე იერულსალიმი — წმიდა მცხეთა. თანამედროვე მსოფლიო კულტურა მთლიანდ ეფუძნება სწორედ ზემოთ ჩამოთვლილ (ღმერთისეულ) ღირებულებებს [14, გვ. 60].

ერთი სიტყვით, ძვ.წ. VI ს-ში, ერთიანი მსოფლიო სავაჭრო სისტემის პარალელურად, გაჩნდა ისეთი ფაქტორებიც, რომლებიც შემდგომში „ცივილიზაციათა“ (კულტურათა) თვითმყოფადობის შენარჩუნების საფუძვლად იქცა [14, გვ. 62].

მაცხოვარმა ჯვარცმით, ქრიტემ, როგორც კაცმა, სიკვდილითა და მკვდრეთით აღდგომით ადამის პირველქმნილი ცოდვისაგან იხსნა და სასუფეველში დამკვიდრების გზა გაუხსნა კაცობრიობას — განურჩევლად ეროვნული წარმომავლობისა. ამიერიდან არსებობდა ერთი — ხალხთა ღვთაებრივი ერთობა, ახალი ერი, რომელსაც ქრისტიანი ერი ეწოდა. მაგრამ (ამ ერთობაში) ქრისტიანთა შორის ყოველი მოდგმა თუ ნათესავი ინარჩუნებდა თვითმყოფად ქრისტიანულ-ეროვნულ კულტურას, ენას და ინდივიდუალიზმს [14, გვ. 62].

ამით, იმ ეპოქაში, თავიდან იქნა აცილებული ძალდატანებითი კულტურული გლობალიზაცია.

(აღსანიშნავია, რომ ამჟამად ხელახლა დაიბადა „აბრეშუმის“ გზის პროექტის აღორძინების იდეა, სავაჭრო-ეკონომიკური კავშირის დასამყარებლად ჩინეთისა და „ევროკავშირის“ ქვეყნების უზარმაზარ ბაზრებს შორის. ამ პროექტის განხორციელებაში ცენტრალური როლის შესრულებას აკისრებენ საქართველოს, რაც

9. გლობალიზაციის შესახებ

განპირობებულია, როგორც ამ ქვეყნის სტრატეგიული მდებარეობით, ისე მისი მშვიდობიანი განვითარების პერსპექტივით).

2 „მცირე იმპერიის“ შესახებ

ჩვენს მიერ წინამდებარე წიგნის მე-4 თავში „ქართველთა ქალდეველობის“ საკითხის განხილვისას, აღნიშნულ იქნა, რომ სპარსთა ლაშქარი, ბაბილონელ მოგვთა აქტიური მხარდაჭერით, უბრძოლველად შევიდა ქალდეველთა დედაქალაქში. ეს ტრაგიკული ფაქტი ახსნილ იქნა იმით, რომ ჯერ კიდევ უძველეს დროში ქართველთა წინაპრების — ქალდეველების მიერ შექმნილი იმპერია აგებული იყო ბუნებრივი გლობალიზაციის ჰუმანურ პრინციპებზე, მაშინ, როცა მის გარშემო არსებული სამყარო ბარბაროსული იყო, რამაც განაპირობა ქალდეველების ბაბილონური იმპერიის დანგრევა.

ანალოგიურ მოვლენას ჰქონდა ადგილი XI-XII საუკუნეებში, რამაც გამოიწვია ქართველების მიერ ჰუმანურ პრინციპებზე აშენებული სამაგალითო სახელმწიფოს — „მცირე იმპერიის“ დანგრევა, რაზეც ყურადღება გაამახვილმა „იდეოლოგთა კლუბის“ გამგეობის თავმჯდომარემ ისტორიკოსმა ელ. ბატიაშვილმა. მან გამოაქვეყნა ნაშრომი „**გლობალიზმი და ნაციონალიზმი**“, რომელშიც ყურადღება გაამახვილა საქართველოში არსებულ ე.წ. „მცირე იმპერიაზე“, როგორც ბუნებრივი და არა ძალდატანებითი გლობალიზაციის ერთ-ერთ მაგალითზე. გლობალიზმის განსჯისა და ანალიზისათვის ჩვენმა წინაპრებმა დიდი და მრავალმხრივი მასალა დაგვიტოვეს [4, გვ. 3].

ქართველი ერისათვის ოდითგანვე უცხო არ იყო ზოგად-კაცობრიული ღირებულობები. ამაზე მეტყველებს ქართული ენა, რომელმაც უხსოვარი დროიდან შემოგვინახა ზოგად-კაცობრიული სიტყვები: „კაცი“ – „კაცობრიობა“, „დედა“ – „დედა-მიწა“, „ქვეყანა“ – „ქვეყნიერება“, რომლებიც მიგვანიშნებენ ქართველი კაცის მსოფლგაგებაზე. ქართული სიტყვა „სოფელი“-ც ორგვარი სემანტიკური მნიშვნელობით იხმარება. იგი ნიშნავს კაცის ერთ კონკრეტულ საცხოვრისსა და გლობალურად საწუთისოფლოსაამქვეყნოსაც [4, გვ. 3].

2. „მცირე იმპერიის“ შესახებ

კაცობრიობის ბუნებრივი გლობალიზაციის საფუძვლად შეიძლება მივიჩნიოთ ილ. ჭავჭავაძის „საერთო ნიადაგის თეორია“, რომლის თეორიული საუბკველია: „დაპირისპირებულ ძალთა ბედნიერი მორიგება ერთმანეთის დაუმონებლად და შეუბღალავად“ [4, გვ. 12].

ისტორიის თვალსაზრისით, XI-XII საუკუნეების საქართველო წარმოადგენდა „მცირე იმპერიას“. მართლაც, შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე გადაჭიმული ეს არიალი, ქართლის ცხოვრების მიხედვით: „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ოკსეთიდან არეგაცამდე გადაჭიმული“, საქართველო კავკასიის ყველა ხალხს აერთიანებდა ერთ პოლიტიკურ წარმონაქმნად, მაგრამ საკითხავია რა ზნეობრივ და სულიერ ღირებულებებს ეფუძნებოდა იგი!

აღ. ბატიაშვილის თვალსაზრისით, ალბათ, ვერ ვნახავთ კაცობრიობის ისტორიაში ამ ე.წ. „მცირე იმპერიის“ მსგავსს სახელმწიფოებრივ წარმონაქმს. ილ. ჭავჭავაძის მიხედვით: „... დავით აღმაშენებელი სადიდებელია ჩვენგან არა მარტო სახელოვან მეფობითა, არამედ თავის დიდბუნებოვან კაცობითაც. იგი, თავდადებული მოყვარე თავის ეროვნულობისა და მართლმადიდებლური სარწმუნეობისა, დიდი პატივისმცემელი იყო სხვისი ეროვნებისაც და სარწმუნოებისაც. სხვა ერის ღირსების თაყვანისმცემელი...“ [4, გვ. 37].

ილია აქ მარტო ჩვენს ჟამთაღმწერელ ისტორიკოსებს კი არ იმოწმებდა, არამედ არაერთ უცხოურ: არაბულ, სომხურ, ბიზანტიურ წყაროსაც. არავისგან სასწავლებელი არა გვაქვს ტოლერანტობა, ეროვნულ და რელიგიურ უმცირესობათა პატივისცემა და შემწყნარებლობა. სწორედ ამ ღირებულებობზე შეიქმნა მაშინდელი კავკასიის ეს პოლიტიკური, კულტურული და სოციალ-ეკონომიკური ერთობა და არა სხვა ხალხებისა და ქვეყნების დაპყრობა-მიტაცების მიზნით... [4, გვ. 38].

ამის დასტურად ის ფაქტიც მოწმობს, რომ იმდროინდელ ისტორიულ წყაროებში მაშინდელი ჩვენი მეფეების რეგალიებში ხშირად ვხვდებით გამოთქმას „შვიდთა სამეფოთა მეფე“. ეს ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ბაგრატიონთა დინასტიის მაშინდელი მეფენი თავიანთ სამეფოში შემავალ კავკასიის ხალხებსა და ქვეყნებს თანაბარუფლებიან სუბიექტებად განიხილავდნენ...

9. გლობალიზაციის შესახებ

ივანე ჯავახიშვილის მიხედვით, „...ბაგრატიონთა დინასტია გამორჩეოდა თავისი დიდი ჰუმანიზმით და დემოკრატიულობით“... სწორედ ამიტომ სარგებლობდნენ ისინი დიდი ავტორიტეტით არა მარტო ქართველებში, არამედ სხვა კავკასიელ ხალხებშიც [4, გვ. 38].

მიგვაჩნია, რომ სწორედ ყოფილი ქართველური ეს „**მცირე იმპერია**“ უნდა წარმოადგენდეს კაცობრიობის ამჟამინდელი ბუნებრივი (ძალდაუტანებელი) გლობალიზაციის მცირემასშტაბიან მაგალითს, როცა სუფევდა „დაპირისპირებულ ძალთა ბედნიერი მორიგება ერთმანეთის **შეუბღალავად და დაუმონებლად**“.

განა იმ დროის საქართველოში შემოხიზნულმა უცხო ტომის წარმომადგენელმა არმიის სარდალმა ივანე მხარგძელმა (ივანე ათაბაგმა) 1225 წელს გარნისთან ჯალალ ელდინის წინააღმდეგ ბრძოლაში, ჯარის ძირითადი ნაწილის არ მიშველიებით, არ უღალატა შალვა და ივანე ახალციხელებს, რამაც განაპირობა მესხების არმიის, ხოლო შემდეგ მთელი საქართველოს დამარცხება მონღოლთა ურდოების წინააღმდეგ ბრძოლაში.

განა იგივე არ განმეორდა უკვე XXI საუკუნის თავისუფალ საქართველოში, როცა ქართველმა ხალხმა, თავი დააწია რა რუსეთის „იმპერიის კლანჭებს“, დაიწყო დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა. ამ დროს, დიდი ხნით ადრე, ქართველების კეთილგანწყობით მოსარგებლე, შიდა ქართლში შემოხიზნული ოსები, რუსეთის იმპერიალისტურად მოაზრონე მესვეურებს შეეკრნენ და ქართლის შუაგული დამოუკიდებელ სახელმწიფოდ — „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკად“ გამოაცხადეს.

3 გ. ნატროშვილი გლობალიზაციის შესახებ

2011 წელს გამოიცა ფილოლოგ გიორგი ნატროშვილის წიგნი „იბერო-ევროპული მეგაცივილიზაცია“. მასში განხილულია ხმელთაშუა ზღვის აუზში მცხოვრები, თითქმის უცნობი პროტო-იბერიული საზოგადოების არსებობის ფაქტი და მასთან დაკავშირებული კულტურათა განვითარების ასპექტები. კვლევებით დგინდება, რომ ხმელთაშუა ზღვის არეალში პირველმოსახლე უცნობი რასის ცივილიზაცია სინამდვილეში პროტოიბერიელებს

3. გ. ნატროშვილი გლობალიზაციის შესახებ

ეკუთვნით. ნაშრომის მიხედვით, ქართველები ვართ იმ ხალხის, იმ ცივილიზაციის მემკვიდრეები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს უძველეს გლობალიზაციას, რომლის ძირითადი შემოქმედნი პროტობერძელები იყვნენ [17, გვ. 7].

გ. ნატროშვილის მოსაზრებით, დღევანდლამდე გავრცელებული თეორია იმის შესახებ, რომ ევროპა, აზია, ამერიკა, ოკეანეთი და მასზე განსახლებული ხალხები ურთიერთ დამოუკიდებლად, ავტონომიურად ვითარდებოდნენ, დღეისათვის მთლიანად გადახედილია. თუმცა დგება მეორე საკითხი: საიდან, რომელი რეგიონიდან მიმდინარეობდა ცივილიზაციის განვითარების პროცესი? ვინ იყვნენ ცივილიზაციის, კულტურისა და მეცნიერების პირველი გამავრცელებლები? [17, გვ. 165].

ასეთ ცივილიზაციებად და რეგიონებად მოიაზრება ერთმანეთთან ახლოს განვითარებული პროტობერძული, ეგვიპტური და შუამდინარეთის რეგიონები და ცივილიზაციები [17, გვ. 188].

უძველეს დროში, ფაქტიურად ადგილი ჰქონდა გლობალიზაციის პროცესს, რომელიც უკავშირდება განსაზღვრულ ცენტრს, განსაზღვრულ არეალს, საიდანაც მუდმივად ხორციელდებოდა ინფორმაციისა და შრომითი პრაქტიკის გადაცემა დანარჩენ ტერიტორიაზე. აქედან მომდინარეობდა ამ ცენტრისათვის დამახასიათებელი ცივილიზაციური, ინტელექტუალური, სულიერი და კულტურული იმპულსები. ეს იყო სხვადასხვა რეგიონის ადამიანების, საზოგადოებების ინტენსიური ინტელექტუალური აზროვნების ფორმირების საწყისი პერიოდი. ძველი გლობალიზაციის ეტაპები ხასიათდებოდა ეზოთერული, სულიერი ჩასახვების და გამოვლინებების ეპოქად. ეს პროცესი მიდიოდა ახლო აღმოსავლეთის, ხმელთაშუა ზღვის აუზის ცივილიზაციათა მძლავრი ცენტრებიდან ყველა მიმართულებით [17, გვ. 166].

საზღვაო სივრცე კარგი საშუალება იყო იმისათვის, რომ ადამიანებს ერთმანეთთან დაუბრკოლებელი კავშირები ჰქონოდათ. ოკეანეები, ზღვები და მდინარეები იყო ის არხები, რომლითაც ცივილიზაცია ახერხებდა განფენას მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. გლობალიზაციის (ბუნებრივი) ურთიერთგამდიდრების პროცესი ჩაისახა გარკვეული ფილოსოფიური ხედვისა და მენტალობის ხარჯზე, რომელიც ავითარებდა მშვიდობიანი წინსვლის, ურ-

9. გლობალიზაციის შესახებ

თიერთკავშირების, ურთიერთხელშეწყობის და ურთიერთდაცვის პრინციპებს. ძლიერი, უფრო განვითარებული და პროგრესული საზოგადოების მხრიდან პასუხისმგებლობას სუსტების, ნაკლებად მობილიზებული და განვითარებული საზოგადოების მიმართ [17, გვ. 167].

გლობალიზაციის პროცესის მშვიდობიანი განვითარების „რბილი ძალა“ იყო ურთერთთანაცხოვრების, ურთიერთგაზიარებისა და ურთიერთმიღების ფილოსოფიაზე აგებული მსოფლმხედველობა. ეს იყო ის მარცვალი, გენი, რომელზედაც აიგო და განვითარდა რელიგიური თუ გლობალური დაახლოების პროცესი [17, გვ. 168].

თურმე, გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი წერდა: „მსოფლიო ისტორიაში პროგრესი მხოლოდ კავკასიის რასის წყალობით ხდებოდა“ [17, გვ. 173]. საიდან მოდის ჰეგელის ეს მოსაზრება? რით აიხსნება კავკასიისა და იბერო-არიანელთა რასის ეს განსაკუთრებული აღნიშვნა? — სვამს კითხვას წიგნის ავტორი — გ. ნატროშვილი. ავტორის მიხედვით, კვლევის პროცესში სულ უფრო დიდი ძალით გამოჩნდა, რომ თითოეული ადამიანი არ არის დამოუკიდებელი არსება. მასში მოქცეულია მთელი სამყაროს და მისი გენეტიკური ხაზის (წარსული სამყაროდან გამოყოფილი) ისტორია, რომელიც მასზე განუწყვეტელ ზემოქმედებას ახდენს. სწორედ ამიტომ, თითოეული ადამიანი საოცრად ძვირფასი და მნიშვნელოვანია ნებისმიერ საზოგადოებრივ მოდელსა და პროცესში. ადამიანის სულიერი თუ ფიზიკური გენეტიკურობის ისტორიული მემკვიდრეობის გარდასახვის ეს დაუსრულებელი პროცესი განაპირობებს იმას, თუ რას წარმოადგენთ დღეს, რითი ვხელმძღვანელობთ, რას წარმოადგენს ჩვენი ბუნებრივი ან არაბუნებრივი მდგომარეობა, რატომ ვართ ასეთები, რატომ ვდგავართ განვითარების ამ დონეზე, რომელიც დღეს გვაქვს [17, გვ. 174].

პროტოიბერიელი მოდგმის ხალხთა მოღვაწეობა გამორჩეულად აისახა ევროპის, ხმელთაშუა ზღვის არეალში. ამ საზოგადოების გააქტიურებამ და ინტენსიურმა მოღვაწეობამ ძვ.წ. VI-III ათასწლეულებში დაუდო საფუძველი ახალ განვითარებას იმ პერიოდის სამყაროში განფენილ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებსა

და კულტურებში [17, გვ. 169].

საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ჩატარებული გათხრებისას აღმოჩენილმა არქეოლოგიურმა ნაშთებმა ნათლად აჩვენა, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონიდან ადგილი ჰქონდა ხალხის მასების გადინებას ევრაზიის უკიდევანო სივრცეებში. არავითარ დავას არ იწვევს ის ფაქტი, რომ საქართველოდან ადამიანთა გარკვეულმა მოდგმამ განსახლება დაიწყო ევრაზიის სივრცეში. ისტორიის პროცესის დინამიკამ ეს ხალხი დაყო ორ ძირითად ჯგუფად: იბერო-კავკასიელებად და ინდოევროპელებად. ამ მიგრაციამ და დაყოფამ ტოტალური და აბსოლუტური როლი შეასრულა კაცობრიობის განვითარების შემდგომ ისტორიულ პროცესში [17, გვ. 18].

პროტოიბერიული რასის განსახლების ადგილი ისევ კავკასია დარჩა. მათი განსახლების ადგილი იყო აგრეთვე ხმელთაშუა ზღვის ტერიტორიები. აქ მცხოვრებმა პროტოიბერიელებმა, დროთა განმავლობაში, შექმნეს თავისი საზოგადოება და იდენტურობა [17, გვ. 20].

ეჭვს არ იწვევს, რომ ხმელთაშუა ზღვის აუზის აღმოსავლეთში და პირინეის ნახევარკუნძულზე არსებობდა მსხვილი ცივილიზაციის ცენტრები, საიდანაც შორეულ ხალხებში ვრცელდებოდა ეს ცოდნა და გამოცდილება, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ვლინდებოდა მათი განსახლების არეალში [17, გვ. 21].

პროტოიბერიელთა განსახლების, ცხოვრებისა და მოღვაწეობის სივრცეს წარმოადგენდა მიწა და ზღვა. ისინი იყვნენ ორი მამულის, ხმელეთისა და ზღვის უკიდევანო სივრცის მესაკუთრენი. ძვ.წ. VIII-VII ათასწლეულიდან ხმელთაშუა ზღვის აუზში გაჩნდა მნიშვნელოვნად განვითარებული, ორგანიზებული, მძლავრი საზოგადოებები. მათ გააჩნდათ მაღალი კულტურა, თავიანთი დამწერლობა, მეცნიერება, თეოლოგიურ-ფილოსოფიური ხედვა, ტექნიკური განვითარების მაღალი დონე და პრაქტიკული გამოცდილება. ეს იყო პროტოიბერიული საზოგადოება, რომელიც მოიცავდა საკმაოდ ვრცელ რეგიონს [17, გვ. 26].

იბერიელთა მოღვაწეობა გლობალურ პროცესებში მეტად მნიშვნელოვანია. გამომჟღავნდება კიდევ მეტი მასალა და ჩატარდება კიდევ ბევრი გამოკვლევა ამ მიმართულებით, რომელიც უფრო

9. გლობალიზაციის შესახებ

გამოკვეთს იბერიელთა მოდგმის დამსახურებას ძველი სამყაროს ბუნებრივი გლობალიზაციის პროცესში [17, გვ. 170].

გ. ნატროშვილის მიხედვით, ქართველები ვართ იმ ხალხისა და იმ ცივილიზაციის მემკვიდრეები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს უძველეს გლობალიზაციას, რომლის ძირითადი შემომქმედნი პროტობერეილები იყვნენ [17, გვ. 7].

ზოლო დღეისათვის, „პროტობერეიელი“ ხალხი წარმოდგენილია ქართულ-ლაზური და ბასკური საზოგადოების სახით.

გ. ნატროშვილის ამ ნაშრომით, გაირკვა შემდეგი ძირითადი პოსტულატები:

- ძველ სამყაროში, ცივილიზაციებს და მასთან დაკავშირებულ კულტურებს აქვთ ერთი ფუძე და წარმოშობის ადგილი. ჩაისახა შეუქცევადი ისტორიული ბუნებრივი გლობალიზაციის პროცესი, რომელიც დღესაც განუწყვეტლივ მიმდინარეობს.
- ძველი სამყაროს უმეტეს ცივილიზაციათა წარმოქმნას ხელი შეუწყო ხმელთაშუა ზღვის არეალში შექმნილმა და განვითარებულმა რამდენიმე მძლავრმა ცივილიზაციამ.
- პროტოევროპული, ტრანსატლანტიკური ცივილიზაცია შედგა ძირითადად ბასკური, ლაზურ-ქართველური საზოგადოების წინაპართა მოდგმის ინიცირებით და მათი რეგენირებული კონგლომერატების ხარჯზე. ცივილიზაციებს შორის ერთ-ერთი პირველწყარო არის პროტობერეული ცივილიზაცია, რომელიც განფენილი იყო მთელ ხმელთაშუა ზღვის სივრცეში და რომელმაც ატლანტისა და ოკეანეთის სივრცეში შესაძლო თავისი კულტურული ფორმების წარმოიქმნა.
- ქართველები არიან, აღმოსავლეთ საქართველოს ქართველური ტომების, კოლხების, ლაზების, ბასკების საერთო წინაპრების, ერთი ფესვის შთამომავალნი. მათი წინაპრები, ერთდროულად მიწისა და ზღვის ხალხს წარმოადგენდნენ [17, გვ. 170].

აღმოჩნდა, რომ ადრინდელი საზოგადოება ხასიათდებოდა საკმარისი განათლებითა და შემოქმედებითობით.

გ. ნატროშვილის მიხედვით, თანამედროვე ცნობიერებაში

3. გ. ნატროშვილი გლობალიზაციის შესახებ

დამკვიდრებული ის აზრი, რომ ადრინდელი საზოგადოება იყო ძალზე ღარიბი, განუვითარებელი, ველური, უუნარო, მარტივი ცოდნით მოქმედი, თავიდან ბოლომდე მცდარი აღმოჩნდა და მიუთითებს ჩვენს ნაკლებ ინფორმირებულობაზე. ძველი საზოგადოებები ისეთივე ცივილიზებული, ორგანიზებული და შემოქმედი გახლდათ, როგორც დღევანდელი. უფრო მეტიც ისინი ფლობდნენ ცოდნისა და განვითარების ისეთ დონეს, რომელიც მათ აძლევდათ საშუალებას იმ დროინდელი კომუნიკაციების ხარჯზე შეექმნათ ურთიერთობის, თანამონაწილეობის, ურთიერთგამდიდრების, სისტემური განვითარების, წინსვლის პროცესი, რომელსაც ჩვენ, თანამედროვე ადამიანები, ვერ ვახერხებთ (მიუხედავად ჩვენი უმაღლესი დონის ტექნიკური განვითარებისა და კომუნიკაციების არსებობისა). ძველ საზოგადოებაში დაფასებული იყო კაცთმოყვარეობა, თავისუფლება, შემოქმედი ადამიანი, ცოდნა, შრომისუნარიანობა, სამართლიანობა, თანასწორუფლებიანობა, თავგანწირვა. მათი ინფორმაციულობა სულიერი, სოციალური, ტექნიკური ცოდნა, ხშირ შემთხვევაში, უფრო ღრმა და პროგრესული იყო. მიმდინარეობდა ერთობლივი ქცევის წესების, მორალის, აზროვნების, ცოდნის დამკვიდრება [17, გვ. 175].

შესაბამისად, ბუნებრივ გლობალიზაციას ადგილი ჰქონია და აქვს, როგორც ადრინდელ, ისე თანამედროვე საზოგადოებაში.

კაცობრიობის ცივილიზაციის ისტორიაში ადგილი ჰქონდა შემდეგ გლობალიზაციებს:

- პროტოიბერიული გლობალიზაცია — მიწათმოქმედება, მეტალურგია, სოფლის მეურნეობა;
- ელინიზაცია — კულტურა, აბრეშუმის გზა;
- ქრისტიანული გლობალიზაცია;
- ტექნოლოგიების გლობალიზაცია — მეცნიერული მიღწევები, ტექნოლოგიები.
- გლობალიზაცია — სამყაროს ინტერნეტობაცია;
- კაცობრიობის ზრუნვა დედამიწის გადარჩენისათვის.

ამჟამად მიჩნეულია, რომ ქვეყნებისა და ერების კულტურული (ძალდატანებითი) გლობალიზაცია მიზნად ისახავს რელიგიური, ეთნიკური, ეროვნული და კულტურული განსხვავებების წაშლა-

9. გლობალიზაციის შესახებ

სა და ერთსახოვანი გლობალური კულტურის ფორმირებას. ის სათავეს იღებს კულტურის თანამედროვე, ახალი „კულტურული იმპერიებიდან“. მართალია, კულტურული გლობალიზაცია უარყოფით გავლენას ახდენს ცალკეული ერისა და ქვეყნის თვითმყოფად კულტურაზე, მაგრამ მას შეუძლია შეინარჩუნოს თავისი ბუნება, თუ მას გააჩნია გლობალიზაციის მავნე პროცესებისაგან გარკვეული სახის „თავდაცვითი მექანიზმები“.

ასეთებად შეიძლება მივიჩნიოთ:

1. ეროვნული ხასიათი;
2. ეროვნული ისტორია;
3. ეროვნული ენა;
4. გარკვეულ სივრცე-გარემოში არსებობა;
5. ეროვნული ღირებულებანი და ფასეულობანი;
6. ქცევის ნორმები, წესები, ტრადიციები და ჩვეულებები.

გლობალიზაციის პროცესში ერის კულტურის, თვითმყოფადობისა და მისი თვისებების შენარჩუნება დამოკიდებულია თავად იმ ქვეყნის, ერის და მოსახლეობის ეროვნულ სიძლიერეზე, ერთიანობაზე, იმაზე თუ რამდენად ძლიერია და ღრმა მათი კულტურული მახასიათებლები, ისტორიული ფესვები, რამდენად ფასეულია მისი ეს ტრადიციები.

ქართველ ერს გააჩნია დიდი შანსი იმისა, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს კაცობრიობის **ძალდატანებით კულტურულ** გლობალიზაციას და შექმნას დამოუკიდებელი და თვითმყოფადი სახელმწიფო, **საკაცობრიო ურთიერთობების** ფარგლებში.

თანამედროვე ადამიანი, თითოეული ჩვენთაგანი, ამ პროცესის ნაწილი და მისი გამგრძელებელი ვართ. გლობალიზაციის ამ პროცესში თითოეული ერი ცდილობს თავისი მნიშვნელობის დამტკიცებას, გადარჩენას და ადგილის დამკვიდრებას. ნებისმიერი საზოგადოება უფლებამოსილია იბრძოდეს ამ პროცესში და ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს. თუმცა, აუცილებელია ვიცოდეთ, რომ ახალი საზოგადოების განვითარების პარალელურად, მომავალს წარსულიც განსაზღვრავს და არა მხოლოდ აწმყო, მაგრამ არაბუნებრივად (ძალდატანებით) ვერაფერი მიიღწევა.

მიზნის განხორციელების საიდუმლოება მხოლოდ ბუნებრივ განვითარებაში დევს [17, გვ. 176].

დღევანდელ მსოფლიოში არიან ერები, რომლებიც კაცობრიობის ცივილიზაციის გენეტიკური კოდის შექმნაში მონაწილეობდნენ. ისინი თვითონ არიან გლობალიზაციის პროცესის ფუძემდებლები და, ამ განვითარებისა და წინსვლის პირველსაწყისის წყარონი. ამ ერებმა სწორ მიმართულებებს და პრინციპებს დაუდეს სათავე მაშინ, როდესაც განსაზღვრეს კაცობრიობის განვითარების მუდმივი და შეუქცევადი პროცესი. ეს პროცესი წინასწარმეტყველურია იმდენად, რამდენადაც მისით ისახება ყველა მოსალოდნელი შედეგი. ეს ერები ფლობენ სწორ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განვითარდეს გლობალიზაციის პროცესი, რა სწორი გზებია გასავლელი ამ პროცესის წარმატებულად დასრულებისათვის, ცხოვრების განვითარების როგორი პრინციპები უნდა იქნეს შემუშავებული. საჭირო იყო გლობალიზაციის ნამდვილი ბუნების, და არა ხელოვნური, მოგონილი და შეთხზული იდეოლოგიის პრინციპებზე შემდგარი მცდარი (ძალდატანებითი კულტურული გლობალიზაციის) თეორია [17, გვ. 177].

აღსანიშნავია, რომ როგორც თითოეული ადამიანი, ისე ნებისმიერი ერი, ღმერთისეული წარმონაქმნია, რომლის მისია შემოქმედებით შრომაში და სიკეთის ქმნალობაში მდგომარეობს.

გ. ნატროშვილს ბუნებრივი გლობალიზაციის მთავარ პრინციპად მიაჩნია: არ არსებობს მეორე ხარისხის საზოგადოება, არ არსებობს დიდი და პატარა, სუსტი და ძლიერი საზოგადოებები. არსებობს თანასწორობაზე, ძალდაუტანლობაზე, ძალმომრეობის გარეშე, საერთო პრინციპებზე შემდგარი სამართალი. თავისუფალი განვითარების, ურთიერთხელშეწყობის, კაცთმოყვარეობის პრინციპები არის საკაცობრიო საზოგადოების მომწიფებისა და ჩამოყალიბებისათვის [17, გვ. 177].

დღეისათვის, „პირველსაწყისი ცივილიზაციების“ წარმომადგენლები სწორედ „სამუშალო“ და „მიკრო“ ერებშია. ამიტომ, ამჟამინდელი ისტორიულ-პოლიტიკური პროცესების მიზეზით, „შეზღუდულნი“ და ჩაკეტილნი არიან. ამ ისტორიულმა, მაგრამ „მინელებულმა“ ერებმა მკაფიოდ უნა დაიმასხოვრონ, რომ არ

9. გლობალიზაციის შესახებ

დაკარგონ იმედი და კეთილდღეობას ციდან, ვილაცის ხელიდან არ უნდა ელოდნენ. ხელოვნურად ერი ვერ განვითარდება, ერი თავად უნდა გადარჩეს [17, გვ. 178].

ცხადია, რომ მათ შორის ყოფილი პროტობერძი ქართველებიც ვართ.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ბუნებრივი შერჩევის პროცესი გრძელდება და ეს სამართლიანი პროცესია. ხელოვნურად, სასათბურო პირობების შექმნით, სრულიადაც არ არის საჭირო იმ ერების შენარჩუნება, რომელიც თავისთავში ვერ გამოიხატავს შინაგან რესურსებს, დანიშნულებასა და პროდუქტიულობას. მან უნდა გამოძებნოს ლიდერები საკუთარ წიაღში, რომლებიც შეძლებენ ერში არსებული ენერგეტიკის სწორ, მიზანმიმართულ, სამართლიან გამოყენებას (და წარმართვას), ამავე ერის სასარგებლოდ. სწორედ, ამ შემთხვევაში შეძლებენ ეს პირველსაწყისი ცივილიზაციების წარმომადგენლები და მემკვიდრეები საკუთარი მისიის შესრულებას, ანუ, მათი წინაპრების მიერ გლობალიზაციის პროცესში ჩადებული გენის სწორ გამოცნობასა და გლობალურ აქტივობაში მონაწილეობის მიღებას. ერებისათვის ამ აქტივობას მოყვება არა მარტო საკუთარი ადგილის დამკვიდრება მსოფლიო თანამეგობრობაში, არამედ, კაცობრიობის საბოლოო სწორი (ღმერთისეული ბუნებრივი გლობალიზაციის) გზით წარმართვა [17, გვ. 179].

4 თავისუფლება და აუცილებლობა

ადამიანებისა და მათი სოციალური გაერთიანებებისათვის უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს მათ შორის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი. აღმოჩნდა, რომ თვითრეგულირებადი მთელის არსებობისა და განვითარებისათვის აუცილებელია მისი შემადგენელი ნაწილების ურთიერთდამოუკიდებლობისა და ურთიერთდამოკიდებულების დიალექტიკური ერთობა. ადამიანისა და მისი გენის ფიზიკური გადარჩენის მიზნით, აუცილებელია კავშირების დამყარება სხვა ადამიანებთან და საზოგადოებრივი ფორმირებების წარმოქმნა. ადამიანების ცხოვრების ფიზიკური საარსებო პირობების გაუმჯობესება მოითხოვს ტექნიკისა და

4. თავისუფლება და აუცილებლობა

ცივილიზაციის განვითარებას, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს ადამიანთა შორის სულ უფრო მრავალმხრივი და მყარი კავშირების დამყარებას, ე.ი. მათ მტკიცე ურთიერთდამოკიდებულებას. რაც წარმოადგენს ძალდატანებითი გლობალიზაციის საფუძველს.


მეორე მხრივ, ადამიანი ინდივიდუალური, გონიერი და სულიერი არსებაა, რაც განაპირობებს მის სწრაფვას სულიერებისაკენ, შემოქმედებით მუშაობას, სამყაროს იდუმალების შემეცნებასა და სიკეთის ქმნადობით სიამოვნების მიღებას.

სამყაროს იდუმალების შემეცნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას სიმბოლურ-მისტიკური აზროვნება, ანუ ეზოთერიზმი წარმოადგენს, რისთვისაც აუცილებელია ფიზიკური სიამოვნების უგულვებელყოფა, განდევილობა, ასკეტიზმი, ანუ სწრაფვა სრული სულიერი დამოუკიდებლობისაკენ. ადამიანთა სრული ურთიერთდამოუკიდებლობა გადაიზრდება ქაოსურობასა და ფანატიზმში, ფიზიკური ცხოვრების უგულვებელყოფაში, რაც, თავის მხრივ, მათ ფიზიკურ გადაშენებას გამოიწვევს.

ჰეგელის მიხედვით, ადამიანის თავისუფლება არის შეგნებული აუცილებლობა. სახელდობრ, როცა ადამიანი შეიგნებს, რომ მას არ შეუძლია ბუნების კანონების დარღვევა, მისი დარღვევის მცდელობისაგან განთავისუფლდება. საზოგადოების ერთი წევრის თავისუფლებისათვის აუცილებელია მეორის ნების გარკვეული შეზღუდვა. თავისუფლების ფენომენის თანაბრად განაწილება მთელი კაცობრიობის ისტორიულ მიზანს წარმოადგენდა და წარმოადგენს, თუმცა ეს მიზანი არასოდეს მიღწეულა და საეჭვოა, რომ ოდესმე მიიღწიოს. ამიტომ სრული თავისუფლება ყოველთვის კაცობრიობის იდეალს წარმოადგენდა და წარმოადგენს.

ადამიანის თავისუფლება მის ნებელობაში გამოვლინდება; ნებელობის არსებობა თავისუფლების არსებობას ნიშნავს. ნებელობა კი ადამიანის ერთ-ერთი აუცილებელი და განუყოფელი თვისებაა. ვიდრე ადამიანი ცოცხალია, მისი ნებელობის სრული შეზღუდვა შეუძლებელია. ნებელობის არსებობა თავისუფლების არსებობასაც ნიშნავს. საარსებო პირობების მზარდი გაუმჯობესების მიზნით, ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნები ცდილობენ განუვითარებელი ქვეყნებისა და ხალხების თავის

9. გლობალიზაციის შესახებ



სქემა 5

4. თავისუფლება და აუცილებლობა

გავლენის სფეროში მოქცევას და მართვას თავის სასარგებლოდ, ე.ი. ახორციელებენ ძალდატანებით გლობალიზაციას. ეს გამოიწვევს ადამიანთა სრულ ურთიერთ-დამოკიდებულებას, ანუ ინდივიდუალობის მოსპობას, რაც, თავის მხრივ, ნიშნავს ადამიანების სულიერების დაქვეითებას. ამ პროცესს მოჰყვება ადამიანების საბოლოო რობოტიზაცია, ე.ი. ადამიანურობის მოსპობა.

ამრიგად, ადამიანთა მოდემის გადაშენების თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია ურთიერთდამოუკიდებლობისა და ურთიერთდამოკიდებულების ერთმანეთისადმი ჰარმონიულ-დიალექტიკური შეხამება, ანუ სულიერი გადარჩენა ფიზიკური გადარჩენის საფუძველზე. ამისთვის კი აუცილებელია კულტურის (სულიერების) განვითარება წინ უსწრებდეს ცივილიზაციის (ცხოვრების დონის) განვითარებას. ადამიანებისა და ერების მიერ ჰარმონიული ურთიერთდამოკიდებულების აუცილებლობის გაცნობიერება თანდათან გადავა ქვეცნობიერში და რწმენად გადაიქცევა. სწორედ ეს უნდა ნიშნავდეს გაცნობიერებულ ურთიერთდამოკიდებულებას (იხ. სქ.5 გვ.246).

სწორედ გაცნობიერებული ურთიერთდამოკიდებულება და მაღალი სულიერება უნდა ნიშნავდეს როგორც ადამიანების, ისე ერების ნამდვილ თავისუფლებას.

ზემოთქმული შეესაბამება არა მარტო ცალკეულ ადამიანს, არამედ მათ ნებისმიერ ისეთ სოციალურ ერთობას, რომელიც შეიძლება თვითრეგულირებად მთელად ჩავთვალოთ: ოჯახები, გვარები, თემები, ეთნოსები, ერები.

მომავალში ასეთ თვითგანვითარებად ერთეულებად შეიძლება ჩამოყალიბდეს ერთა გაერთიანებანი და თვით კაცობრიობაც. ამის ერთ-ერთ გარანტიად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ კოსმიური სამყარო ერთია, დედამიწა ერთია, ბიოსამყარო ერთია, ჰემშარიტება ერთია და ღმერთიც ერთია (მარტო მისკენ მავალი გზებია სხვადასხვა). ამიტომ ყველამ ერთად, თავის შესაძლებლობის ფარგლებში, უნდა იბრძოდეს დედამიწისა და სიცოცხლის გადასარჩენად [26, გვ. 232].

ეს წარმოადგენს კაცობრიობის ბუნებრივი გლობალიზაციის საფუძველს.

5 კაცობრიობა და გლობალიზაცია თეოსოფიური თვალსაზრისით

ჯერ კიდევ იესო ქრიტეს თავის ბოლო სიტყვაში უთქვამს: „შორს არ არის ის დრო, როცა უზენაესის ნებით ხალხი განიწმინდება, გამოცხადდება ხალხთა განთავისუფლება და გაერთიანდება ერთ ოჯახში“.

ამჟამად, როგორც სრულიად კაცობრიობისათვის, ისე ქართველებისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს კაცობრიობის გლობალიზაციისა და ეროვნულობის ურთიერთმიმართების საკითხი წარმოადგენს.

გლობალიზაცია არის კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარების შედეგი. იგი მოქმედი პროცესია, რომელიც მეცნიერთათვის ჯერ კიდევ უცნობი კანონებით ვითარდება.

გლობალიზაცია ასახავს ყველა იმ პროცესს, რომელთა მეშვეობითაც მსოფლიოს ხალხები ერთ „მსოფლიო საზოგადოებაში“ ერთიანდება. ითვლება, რომ არსებობს ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული გლობალიზაცია. თითოეული წარმოადგენს ერთი მოვლენის განსხვავებულ განშტოებას. **კულტურული გლობალიზაცია** მიზნად ისახავს რელიგიური, ეთნიკური, ეროვნული და კულტურული განსხვავებების წაშლასა და ერთსახოვანი გლობალური საკაცობრიო კულტურის ფორმირებას.

თანამედროვე ფილოსოფიური თვალსაზრისით, კაცობრიობა წარმოადგენს დედამიწაზე მცხოვრებ ეროვნებათა დეზინგაციურ ერთობას, რომელიც ჩამოყალიბებულია ისტორიული და ეკონომიკური ურთიერთობების საფუძველზე.

მიგვაჩნია, რომ კაცობრიობა თავისი ევოლუციური განვითარების გარკვეულ ფაზაში განხილულ უნდა იქნეს, როგორც ერთიანი, მთლიანი, რთული სტრუქტურის მქონე ცოცხალი, თვითრეგულირებადი და ევოლუციურებადი ღია სისტემა. კაცობრიობაზე ასეთი წარმოდგენის ერთ-ერთ საფუძველად მიგვაჩნია თვით მისი უძირითადესი ელემენტის – ადამიანის ბუნება.

ადამიანის ფუნქცია-დანიშნულება მდგომარეობს შემოქმედებით მუშაობაში, რითაც გარკვეული წვლილი შეაქვს თავისივე

5. გლობალიზაცია თეოსოფიური თვალსაზრისით

წარმომქმნელი უზენაესი შემოქმედის ევოლუციურ განვითარებაში აბსოლუტური სრულყოფილებისაკენ.

მაგრამ, ამ მიზნის შესრულებისათვის აუცილებელია თითოეული ადამიანისა და მისი შთამომავლების ფიზიკურად გადარჩენა. ცხადია, რომ თითოეული ადამიანი ცალკე ვერ გადარჩება. ამ მიზნით, ადამიანები ერთიანდებიან ოჯახებად, გვარებად, ეთნოსებად, ერებად და სრულიად კაცობრიობად.

კაცობრიობა ერთ მთლიან თვითგანვითარებად ცოცხალ სისტემად ბუნებრივი გლობალიზაციით ჩამოყალიბდება, რომლის დროსაც ეროვნული სახელმწიფოები კი არ უნდა მოისპოს, არამედ, პირიქით, ხელი უნდა შეეწყოს მათი თავისუფალი თვითმყოფადი კულტურისა და სულიერების განვითარებას, რადგანაც მთელი ვერ იარსებებს შემადგენელი ნაწილების ფუნქციონირების გარეშე.

ბუნებრივი გლობალიზაცია წარიმართება ერების მიერ იმის გაცნობიერებისა და გათვალისწინების საფუძველზე, რომ კოსმიური სამყარო ერთიანია, დედამიწა ერთადერთია, ღმერთიც და ჭეშმარიტებაც ერთადერთია და მხოლოდ მასთან მიმავალი გზებია განსხვავებული სახისა და ფორმისა.

გლობალიზაციის პროცესში ერის კულტურის, თვითმყოფადობისა და მისი თვისებების შენარჩუნება დამოკიდებულია თავად იმ ქვეყნის, ერის და მოსახლეობის ეროვნულ სიძლიერეზე, ერთიანობაზე, იმაზე, თუ რამდენად ძლიერია და ღრმა მათი კულტურული მახასიათებლები, ისტორიული ფესვები, რამდენად ფასეულია მისი ეს ტრადიციები. ქართველ ერს გააჩნია დიდი შანსი იმისა, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს კაცობრიობის ძალდატანებით კულტურულ გლობალიზაციას, და შექმნას დამოუკიდებელი და თვითმყოფადი სახელმწიფო, საკაცობრიო ურთიერთობების ფარგლებში.

დღევანდელი გლობალიზმი და მის პარალელურად მომძლავრებული „ნაციონალიზმი“ (ეროვნულობა) თუ შესძლებენ ცივილიზირებულ თანაარსებობას და „ბედნიერად მორიგებას ერთმანეთის დაუმონებლად და შეუბღალავად“ — ანუ **იმის** ღვთიური სიტყვის შეცნობას და გაგებას, „**რომელმან შექმნა სამყარო...**“, მაშინ რეალობად იქცევიან ჩვენი წინაპრების ჰუმანური

9. გლობალიზაციის შესახებ

და დემოკრატიული იდეებიც, მათ შორის „ევრაზიის ერთიანი დემოკრატიული სივრცის“ იდეაც [4, გვ. 30].

გლობალიზაციის ინტეგრალური პროცესები ჩვენს თვალწინ ისეთი სწრაფი ტემპებით ვითარდება, რომ ალბათ სულ მალე, კაცობრიობის განვითარება „ევროპის შეერთებული შტატებიდან“ ბოლოს „მსოფლიოს შეერთებული შტატებისაკენ“ წარიმართება [4, გვ. 28].

მეცნიერულ-ტექნიკური და ტექნოლოგიური რევოლუციები „უსაზღვარო მსოფლიოსაკენ“ მიგვაქანებს. და საერთო-საკაცობრიო მოვლენა გახდება „პოსტინდუსტრიული საზოგადოება“ (რომელსაც გაცნობიერებული ექნება, რომ ყველასთვის ერთია დედამიწაც, სამყაროც, კაცობრიობაც და ღმერთიც), რომლის ევოლუციურობას უნდა ემსახუროს ყოველი ადამიანი. გლობალიზმის ავიც და კარგიც განპირობებულია იმისდა მიხედვით, როგორ ვიმოქმედებთ თვითონ ჩვენ და ჩვენი შემდგომი თაობები [4, გვ. 3].

ამას ვი, დასჭირდებიან ეპოქის შესატყვისი „**დიდბუნებოვანი კაცნი**“ და ისინი აუცილებლად გამოჩნდებიან [4, გვ. 38].

კაცობრიობის ბედნიერი მომავლის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ყოველი ადამიანის, ყოველი ოჯახის, ყოველი ქვეყნის გაჰუმანურებით, სამართლებრივი სახელმწიფოების შექმნით, ადამიანის უფლებების უცილობელი დაცვით, სამართლიანი, დემოკრატიული პოლიტიკურ-სოციალური გარემოს ჩამოყალიბებით დედამიწაზე დღეს არსებულ ყველა ქვეყანაში [11, გვ. 312].

ყოველივე ეს არის ბუნებრივი — ღმერთისეული გლობალიზაციის საფუძველი.

თითოეული ადამიანი, თითოეული გვარი, თემი, ეთნოსი, ერი და სახელმწიფო, რაგინდ მცირეც არ უნდა იყოს იგი, ღმერთისმიერი უნიკალური წარმონაქმნია და ხელი უნდა შეეწყოს მის არსებობას, ეკონომიკურ და სულიერ განვითარებას. მათ, თითოეულს, განსაკუთრებული ფუნქცია-დანიშნულება გააჩნიათ, რათა გარკვეული, მათთვის შესატყვისი წვლილი შეიტანონ კაცობრიობის ევოლუციურ განვითარებაში.

ქართველი ერის მისიის შესახებ

ყოველ ერსა და თითოეულ ადამიანს აქვს უდიდესი ღირებულება, უდიდესი მისია და პასუხისმგებლობა ეკისრება კაცობრიობის, სამყაროსა და ღმერთის წინაშე. საჭიროა გავიგოთ, თუ რა მისია დააკისრა უფალმა — შემოქმედმა საქართველოსა და შესაბამისად, ყოველ ქართველს.

1 საქართველოს მისია მართლმადიდებლობის თვალსაზრისით

მართლმადიდებლობის თვალსაზრისით, ყველა ერს აქვს კონფიდენციალური და საიდუმლო მისია ღვთის წინაშე.

ქრისტეს ჯვარცმის დროს იერუსალიმში იმყოფებოდა მცხეთელი ებრაელი ელიოზი და მისი მეგობრები, რომელთაც არ მიუღიათ მონაწილეობა მაცხოვრის წინააღმდეგ ქმედებაში. ჯვარცმის შემდეგ, როდესაც წილი ჰყარეს საუფლო კვართზე, კვართი ელიოზსა და ლონგინოზს ერგოთ საქართველოში წამოსაბრძანებლად. მცხეთაში დაბრუნებულ ელიოზს ქალაქის შესასვლელში შეეგება მისი და სიდონია. გამოართვა ძმას კვართი უფლისა და უზომო სიხარულით გულში ჩაიხუტა. როცა გაიგო მაცხოვრის წამების შესახებ, სიდონია გარდაიცვალა განუზომელი მწუხარებისაგან. ქართლის მეფე ადერკს უფლის კვართი ძალიან მოეწონა, მაგრამ სიდონიას ხელიდან ვერაფრით გამოაცალეს კვართი უფლისა და მასთან ერთად დაკრძალეს, როგორც წმინდანი საქართველოსი. მცხეთა, სადაც დაკრძალულია უფლის კვართი, არის **ახალი სარწმუნოების დადგინების ადგილი**, ანუ ადგილი ახალი სარწმუნოების მატარებელი ხალხისა.

ს. მასხარაშვილის თვალსაზრისით, უფლის კვართის ჩვენთან ყოფნა ნიშნავს, რომ უფალს წინასწარვე ჰქონდა გადაწყვეტილი ქართველი ერის ახალ, ქრისტიან რჩეულ ერად, ახალ ისრაელად გადაქცევა და კვართით დაწინდვა. ყოვლადწმიდა ღვთისმშობ-

10. ქართველი ერის მისიის შესახებ

ლის წილხვედრობით აკურთხა უფალმა **რჩეულ ერად** ივერია.

მართლმადიდებლობის გადმოსახედიდან, ქართველი ერის გამორჩეულობა დასტურდება იმ ფაქტით, რომ კვართი უფლისა, იესო ქრისტესი საქართველოში არსებობს. კვართი უფლისა იესო ქრისტესი არის პერანგი, რომელიც წმიდა ღვთისმშობელმა მარიამმა მოქსოვა ჯერ კიდევ ორსულობის დროს. იგი არ შედგება ნაწილებისაგან და წარმოადგენს ერთიან ქსოვილს. იგი უდიდესი საუნჯეა არა მარტო ქართველებისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსათვის.

შემთხვევითი არ არის ის, რომ უფლის კვართი ჩამოტანილ იქნა საქართველოში. ეს არის დიდი მადლი უფლისა, რომელიც მან დააბერტყა საქართველოს. არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ საქართველო გახდა წილხვედრი წმიდა ღვთისმშობლისა. როცა წმიდა მოციქულებმა წილი ჰყარეს, ქართლის მოქცევა წილად ხვდა წმიდა ღვთისმშობელს. მაგრამ ვინაიდან მოახლოებული იყო მიძინების დღესასწაული, წმიდა მარიამმა ქართლში ქრისტეს სჯულის საქადაგებლად გამოაგზავნა ქრისტეს უახლოესი მოწაფენი ანდრია პირველწოდებული და სვიმონ კანანელი, და თან გამოატანა თავისი **ხელთუქმნელი ხატი**. ამჟამად, ღვთისმშობლის ეს ხატი ინახება თბილისში, სახელმწიფო ეროვნულ მუზეუმში.

ქრისტეს კვართი არის ქრისტეს მატერიალური სიწმინდე, ხოლო წმიდა მარიამი ქრისტეს სულიერი სიწმინდე. ამრიგად, ქრისტეს ეს ორივე უდიდესი სიწმინდე — მაცხოვრის კვართი და ღვთისმშობლის ხატი — საქართველოში ინახება. უფალმა ჩვენ ერთი ჩაგვაბარა, ხოლო მეორეს მიგვაბარა. ყოველივე ამით განსაკუთრებული მადლი მიეცა საქართველოსა და ქართველ ერს.

ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველო არის ღვთისმშობლის **განსაკუთრებული მფარველობის** ქვეშ, ხოლო ქართველი ერი შეიძლება მივიჩნიოთ **ღვთის რჩეულ ერად**. რაც იმაზე მეტყველებს, რომ ქართველ ერს გააჩნია განსაკუთრებული მისია. რაში მდგომარეობს იგი?

უფლის კვართი არის ერთიანი, მთლიანი, დაუნაწევრებლად მოქსოვილი. ამიტომ იგი მიჩნეულია ქრისტიანული სარწმუნო-

ების მთლიანობის სიმბოლოდ. უფლის კვართი წარმოადგენს ქრისტეს სიწყვას. მართლმადიდებლობის მიხედვით, ქრისტეს სიწყვა არის მადლმოსილი და სრულყოფილი. ის გადმოგვცემს საღვთო ცნებებს. მასში არ შეიძლება ცვლილების შეტანა, არც რაიმეს მიმატება და არც რაიმეს დაკლება.

საქართველო კი ფლობს უფლის კვართს, ანუ, მართლმადიდებლური სარწმუნოების ერთიანობის სიმბოლოს.

ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ამჟამინდელი სარწმუნოებრივი მისიაა შეინახოს მართლმადიდებლური სარწმუნოება უბიწოდ, შეურყვანელად და დაუნაწევრებლად იმ მთლიანობაში, რომელიც მას, წინაპრების უდიდესი ღვაწლითა და ძალისხმევით, დღემდე შენარჩუნებული აქვს.

ამრიგად, მართლმადიდებლობის მიხედვით, **საქართველოს მისია არის ქრისტეს ერთგულება და წმიდა მართლმადიდებლური სარწმუნოების დაცვა**, განუზრვლად, შეუბღალავად, რაიმეს მიუმატებლად და რაიმეს გამოუკლებლად.

ამ მისიის შესრულებაში კი ქართველ ერს მფარველობას უწევს და გაუწევს საქარველოში არსებული ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი, რომელიც ამჟამად საქართველოს ხელოვნების მუზეუმში ასვენია.

2 საქართველოს მისია მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას თვალსაზრისით

მერაბ კოსტავას აზრით, ერის მისია განისაზღვრება იმ თავისებურებებითა და იმ განსაკუთრებულობებით მის ხასიათში, მის საქმიანობაში, მისგან მომდინარე იდეებში რომ არის მოცემული. უხსოვარი დროიდან ინდოეთის, შუამდინარეთის, ეგვიპტის, ისრაელისა და არაბეთის სამხრეთელმა ხალხებმა, თანმიმდევრობით შექმნეს მსოფლიოს უდიდესი რელიგიები და მათთან დაკავშირებული კულტურები, რომელთაც იგავურ-სიმბოლური და სურათ-ხატოვანი აზროვნება მიუსადაგეს [13, გვ. 9].

ზვიად გამსახურდიას მოსაზრებით, გელათი იყო სასულიერო და საერო სიბრძნის კერა. კერა, სადაც ქრისტიანული, ბიბლიური სიბრძნე დაუკავშირდა ანტიკურ, წარმართულ სიბრძნეს, ვინა-

10. ქართველი ერის მისიის შესახებ

იდან ეს საქართველოში არასოდეს ყოფილა განცალკევებული. გელათის განათლების ცენტრის მსგავსი ცენტრი საუკუნეობრივი სიბრძნისა არ არსებულა მსოფლიოში. ნეოპლატონიზმის მიმდევარი ქართველი სარწმუნოების წარმომადგენლები სიღრმისეულად ფლობდნენ ამ ფილოსოფიურ მოძღვრებას. ამას აღიარებენ, არა მარტო ქართველი მეცნიერები, არამედ უცხოელი და რუსი მეცნიერებიც. აკადემიკოს ლოსევის აზრით, ნეოპლატონიზმი, რომელსაც მისდევდნენ ქართული რენესანსის წარმომადგენლები - იონე პეტრიწი და რუსთაველი - ანთროპოცენტრიზმია, რომელიც ბუნებას კი არ ანადგურებს, როგორც მას დასავლეთში ჰქონდა ადგილი, არამედ ბუნება მდიდრდება იმით, რომ ადამიანი იქცა პიროვნებად, რომელსაც სურს შეგრძნება და თავისებურად გარდაქმნა ყოველივესი. ასეთი მიდგომა ჩვენ უნდა ვისწავლოთ ქართველებისაგან და რაც უფრო მეტს ვისწავლით, მით უფრო გაიზრდება რუსულ-ქართული მეგობრობა. მისი აზრით, რესეთი ჩვენ ზემოდან კი არ უნდა დაგვცქეროდეს, როგორც უფროსი ძმა, არამედ პირიქით - ქართველებს ეკუთვნით უფროსი ძმის როლი. ამასვე აღიარებდა უდიდესი რუსი მწერალი ანდრეი ბელი, რომელსაც გელათი და ქუთაისი მიაჩნდა უძველესი კოლხური კულტურის ცენტრად. ანდრეი ბელი ამბობდა: „როცა ჩვენ ტყეებში დავხეხებოდით, ქართველები ქმნიდნენ უმაღლეს კულტურას“. ასეთია შეგნებული და მაღალგანვითარებული რუსების შეხედულება საქართველოზე [6, გვ. 92].

ნებისმიერ ხალხს გააჩნია საკუთარი მისია და თავისი დრო შემოქმედებისა ჟამთა დინებაში განფენილი ერთიანი საკაცობრიო კულტურის ტრადიციის უვრცეს სხეულში.

არსებობს ხალხების კულტურული მონაცვლეობისა და თანმიმდევრობის ურყევი მსოფლიო კანონი. კულტურათა მონაცვლეობის ეს წრიული მდინარება ჯერ სამხრეთიდან მოერკალა საქართველოს, ანტიკურ პერიოდში დასავლეთიდან მოექცა მას, შემდეგ შუა ევროპაში გადაინაცვლა და როდესაც უკვე, გლობალურ მასშტაბამდე აღზევებული, ევროპული კულტურის შესისხლბორცებას შეუდგა, რუსეთი, ჩრდილოეთიდან წამოადგა თავს. ასე რომ, საქართველო კულტურათა თანმიმდევრობისა და ევოლუციის ამ წრიული მდინარების ცენტრში იმყოფებოდა. გან-

გებით იგი არა მარტოდენ სივრცულ, არამედ დროთა გამყოფსა და გამწესებელსაც წარმოადგენდა, რადგანაც ამ ხალხების კულტურათა განვითარებას თავ-თავისი დრო ჰქონდა განწესებული და მათი აღრევა არც თითოეული მათგანის მისიისა და არც ერთიანი მსოფლიო კულტურის განვითარებისათვის იქნებოდა მიზანშეწონილი [13, გვ. 9]. ჩვენი მეობის, რწმენისა და სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებით, რამდენადმე უნდა გაგვეთიშა მუსულმანური გარემოცვა, ჩაგვეკეტა კავკასიონის კარიბჭე და აღგვეკვეთა ანტიკულტურული იმპულსების შემოჭრა სამხრეთიდან, აღმოსავლეთ ევროპაში. ეს განხლდათ საქართველოს სამეფოს ფარული მისია, ძნელად აღსასრულებელი და საკუთარი კეთილდღეობისათვის არასახარბიელო, მაგრამ მსოფლიო კულტურის განვითარებისათვის აუცილებელი [13, გვ. 8].

საქართველო იმყოფებოდა გლობალური საათის ისრის უძრავ ფუძესთან, ცენტრში, ჟამთა მსვლელობაში ხალხების კულტურათა ურთიერთ-მონაცვლეობის წრიულმა ხაზმა რომ შემოუარა გარს. თითქოს მარადისობას ნაზიარები უძრაობის სიმაღლიდან ჰვრეტდა იგი ჯერ კოსმიური, ხოლო შემდეგ განკაცებული და მკვდრეთით აღმდგარი ქრისტეს ზემოქმედებას ამ კულტურებზე (ვინაიდან ყველა მნიშვნელოვან კულტურებთან ჰქონია შეხება და გულში ინახავდა მათგან მომდინარე იმპულსებს). ამიტომაც, მუდამ ენთო დაფარულად კოსმიური ქრისტიანობის ცეცხლი ქართველთა გულში. მათ იმთავითვე, არამარტო საკუთარი წარმართული კულტურა მოარგეს ქრისტიანობასთან, არამედ, სადამდეც ხელი მიუწვდათ, სხვათა კულტურების მორიგებასაც ცდილან მასთან. თავად ხალხმა იმდენად შეაჯერა ქართული წარმართული მითოლოგია ქრისტიანობას, რომ მსგავსი მაგალითი არც ერთი ერის კულტურაში არ გვხვდება. ერთსა და იმავე მითში ვხვდებით ქრისტეს, ამირანს, ამ ქართულ პრომეთეს და ნადირობის ქალღმერთ დალის. წარმართული ხატობები და წარმართული გმირები კოპალა, იახსარი, წმინდა გიორგი, მჭიდროდ დაუკავშირდნენ ქრისტიანობას. ქრისტიანობის სამსახურში ჩადგა ქართული წარმართული ხელოვნების ყველაზე განვითარებული დარგები — ოქრომჭედლობა და ქვისმთელელობა [13, გვ. 19].

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენს ქართული პოეტური გენიის პრიზმაში გარდატეხილ გასაოცარ სინთეზს ღრმად ნაციონალური ძველქართული, ანტიკური (პლატონი, არისტოტელე, ნეოპლატონიზმი), პირველქრისტიანული, ქრისტიანულ-თეოლოგიური, მართლმადიდებლური, ევროპის რაინდული, ძველ-სპარსული, მანიქევლური და შედარებით გვიანად მოსავლური კულტურებისა [13, გვ. 20].

3 საქართველოს მისია გლობალიზაციის თვალსაზრისით

გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ხმელთაშუა ზღვის არიალში პირველმოსახლე უცნობი რასის ცივილიზაცია, სინამდვილეში, პროტოიბერიელების ცივილიზაცია იყო.

გ. ნატროშვილის მიხედვით, ქართველები ვართ იმ ხალხისა და იმ ცივილიზაციის მემკვიდრეები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს უძველეს გლობალიზაციას, რომლის ძირითადი შემომქმედნი პროტოიბერიელები იყვნენ [17, გვ. 7].

გ. ნატროშვილის გამოკვლევით დასტურდება, რომ „იბერიული ნიშანი“ იყო დიდი, სამყაროში მიმდინარე, გლობალური პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილი. ამასთან ერთად ის იყო მისი თვითმყოფადობის, გენეტიკური კოდის, განსხვავებული ზნეჩვეულებების მატარებელი, რომლის საფუძველზე „იბერიელი მუდამ იბერიელად“ რჩებოდა. ანუ, „იბერიული ნიშანი“ სრულყოფილია, რასაც ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ისტორიის დიდი ქარტეხილების პირობებშიც კი (სხვა ბევრ უძველეს საზოგადოებათა მსგავსად) მას არ დაუკარგავს განმასხვავებელი ნიშა და ეთნიკური სახე [17, გვ. 9].

პროტოიბერიელი ერი მეტად წინწასული, მძლავრი, მაღალ განვითარებული კულტურის მატარებელი ხალხი იყო. მათ სათავე დაუდეს ისეთ პროცესებს, რომლის ზეგავლენას გრძნობდა, გრძნობს და იგრძნობს ნებისმიერი თაობა და ნებისმიერი საზოგადოება [17, გვ. 15].

ტიბეტის ბუდისტურ მონასტრებში მოღვაწე ბერები კავკასიას თურმე დედამიწის ჭიპს უწოდებენ. ჭიპი მიჩნეულია ნაყო-

3. საქართველოს მისია გლობალიზაციის თვალსაზრისით

ფის საზრდოობასთან დაკავშირებულ კოდირებულ სიმბოლოდ, რაც რეალობაში განსაზღვრავს დედის, მშობლის კავშირს ახალ სიცოცხლესთან. ამრიგად ტიბეტელთა ბერების წარმოსახვაში სწორედ კავკასიაა ადამიანთა თოთო მოდგმის დამაკავშირებელი სამყაროს შემქმნელ ღმერთთან, მშობელთან, ღმერთისეულ ცოდნასთან და სიბრძნესთან (კოსმიურ გონთან). კავკასია იყო ის ადგილი, საიდანაც დაიწყო ადამიანთა გონისძიერი „საზრდოს“ გავრცელება მომავალი პროგრესის შემოქმედმა (პროტოიბერიულმა) რასამ ([17, გვ. 17].

ზოლო „პროტოიბერიელი“ ხალხი დღეისათვის წარმოდგენილია ქართულ-ლაზური და ბასკური საზოგადოების სახით.

გ. ნატროშვილის აზრით, იყო, არის და იქნება ისეთი საზოგადოებები, რომელთაც უნარი აქვთ გახდნენ არა მარტო თვითუზრუნველყოფილნი, არამედ თვითონ, იკისრონ კაცობრიობის წინსვლისათვის საჭირო მისია და ვალდებულებაც. ისეთი საზოგადოებები, რომლებიც მართავდნენ საკუთარი განვითარების პროცესებს და ზემოქმედებდნენ კაცობრიობის განვითარებაზე, არსებობდნენ უძველეს ისტორიულ ეპოქაშიც. წარსულში, სხვა ერების პარალელურად, დამსახურებული, ინტელექტუალური, დისციპლინირებული წარმატებული საზოგადოება შექმნეს პროტოიბერიელებმაც.

ცხადია, რომ სამყაროს გლობალიზაციის პროცესი ამჟამადაც გრძელდება.

გ. ნატროშვილის მოსაზრებით, ზოგს ეშინია ამ პროცესისა და გაურბის, იმიტომ, რომ არ იცის ძველი გლობალიზაციის (ბუნებრივი გლობალიზაციის) მახასიათებლები და იბერიელთა საუკუნოვანი მისია ამ ურთულეს პროცესში. ამჟამად, თუ გლობალიზაცია არ განვითარდა სწორი მიმართულებით, აუცილებლად, გამოიწვევს ერების უმთავრესი მახასიათებლების „ჩაყლაპვას“. ამ თვალსაზრისით, გლობალიზაცია ყველა ერს ემუქრება. გამოუნაკლისი არც ქართველი ერია, თუ ახალ ეპოქაში არ ისწავლა საკუთარი თავის მართვა და მოქმედება საკუთარი წარსულისა და ისტორიული მენსიერების საფუძველზე [17, გვ. 7].

გ. ნატროშვილის მიხედვით, ქართველი ერის ამჟამინდელი მისია სწორედ იმაშია, რომ ისტორიული გამოცდილებიდან, საკუ-

10. ქართველი ერის მისიის შესახებ

თარი მოღვაწეობის ხარჯზე, სხვებთან ერთად, სათავე დაუდოს გლობალიზაციის ნამდვილ პროცესს, მიუთითოს კაცობრიობას სწორი განვითარების გზები [17, გვ. 10].

კაცობრიობის ფუნქცია მდგომარეობს ბრძოლაში მისი ფიზიკური გადარჩენისათვის გლობალური კატასტროფებისგან და ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნა ადამიანებისათვის, რომელთა ძირითად ფუნქცია-დანიშნულება მდგომარეობს შემოქმედებითი შრომით ხელი შეუწყოს მისსავე დამბადებელ უზენაეს კოსმიურ გონს სწრაფვაში **აბსოლუტური სრულყოფისაკენ**.

4 საქართველოს მისია თეოსოფიური თვალსაზრისით

გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ხმელთაშუა ზღვის არეალში პირველმოხახლე უცნობი რასის ცივილიზაცია სინამდვილეში პროტოიბერიელების ცივილიზაცია იყო. როგორც აღვნიშნეთ, ამჟამადაც გრძელდება კაცობრიობის გლობალიზაცია.

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II მიიხნევს, რომ გლობალიზაცია ჩვეულებრივი მოვლენაა და ვერვინ შეაჩერებს ამას. იგი თავის ერთ-ერთ ეპისტოლეში აღნიშნავს:

„გლობალიზაციის წინაშე მსოფლიოს ყველა ერსა და ეთნოსს მოუწევს გამოცდის ჩაბარება თავისი ეთნოკულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებაზე. ის ვინც ვერ ჩააბარებს ამ გამოცდას, თავს დაკარგავს. გამარჯვებული გამოვა ის, ვინც თავისი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებით, მოახერხებს თავისი ეროვნული სხეულის ინტეგრირებას კაცობრიობის ერთიან სივრცეში. ამისთვის საჭიროა, რომ ერს, ხელისუფლებასა და ეკლესიას გააჩნდეს ისეთი ერთიანი იდეა, რომელსაც ხელში აიტაცებს და გაჰყვება ჩვენი ერი. ასეთ იდეას წარმოადგენს მშობელი ერისა და სამშობლოს ერთგულება“. „საქართველო მხოლოდ მაშინ გადარჩება და დაიმკვიდრებს ღირსეულ ადგილს მსოფლიოში, თუ ის, თავის ტრადიციებზე (კულტურაზე) დაყრდნობით, შექმნის თანამედროვე ტექნოლოგიებზე და მიღწევებზე დაფუძ-

4. საქართველოს მისია თეოსოფიური თვალსაზრისით

ნებულ ქართულ სახელმწიფოს“ [17, გვ. 10].

გ. ნატროშვილის მიხედვით, თუ ობიექტურად ჩავუღრმავდებით ჩვენს ისტორიულ განვითარებას, მან შეუძლებელია არ დაგვანახოს მომავალი. ამ ისტორიამ შეიძლება დაგვებრუნოს ბუნებრივ მდგომარეობაში, გაგვხადოს უფრო დახვეწილი, რაფინირებული, ჩამოყალიბებული და მიზანდასახული, უკეთ გავიგოთ რა გვინდა და რა უნდა ვაკეთოთ... [17, გვ. 174].

გუბაზ სანიკიძის თვალსაზრისით, საქართველომ უნდა შეასრულოს ხიდის როლი დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურებს შორის. ამ შემთხვევაში, როგორც ჩრდილოეთი, ისე სამხრეთი იძულებული იქნება პატივი მიაგოს მის თვითმყოფადობას.

თეოსოფიური თვალსაზრისით, საქართველოს მისია მდგომარეობს დასავლეთისა და აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის ქვეყნებისა და ხალხების კულტურებსა და ეკონომიკურ ინტერესებს შორის ურთიერთმორიგება და ამით გარკვეული წვლილის შეტანა მსოფლიო კაცობრიობის **ბუნებრივი გლობალიზაციის** პროცესში.

სავსებით შესაძლებელია, რომ საქართველოს ეკლესიისა და საქართველოს მთავრობის ერთიანი ძალისხმევით საქართველო გახდეს მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი რელიგიური და ტურისტული ქვეყანა, რაც წარმოადგენს ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური აღორძინების ერთ-ერთ რეალურ გზას [11, გვ. 340].

მომავალში, როგორც უწმინდესი და უნეტარესი ილია II ბრძანებს: „**საქართველო გაბრწყინდება**“.

ჯერჯერობით კი საჭირო და აუცილებელია ქართველი ხალხის ბრძოლა ფიზიკური გადარჩენისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის.

ეპილოგი

აღმოჩნდა, რომ თუ მატერიის ქვეშე ვიგულისხმებთ არა მარტო იმ ობიექტურ რეალობას, რომელიც შეგრძნებაში გვეძლევა, არამედ იმასაც, რომელიც აღქმაში არ გვეძლევა, მაშინ დიალექტიკურ-მატერიალისტური, თეოსოფიურ-იდეალისტური აზროვნებითა და ამჟამინდელი მეცნიერული მიღწევების გათვალისწინებით, კოსმიური სამყარო წარმოადგენს 11-განზომილებიან მარადიულ და უსასრულო, თვითკმარ, ორგანულ, გონიერ, სულიერ, თვითშემეცნებად ცოცხალ ორგანიზმს, რომელიც განიცდის განუწყვეტელ ევოლუციურ სწრაფვას აბსოლუტური სრულყოფისაკენ, რის გამოც ის, თავისსავე წიაღში მიზანშეწონილად ბადებს აღქმად, სასრულო, ცვალებად, უნიკალურ კოსმოსურ სამყაროს, ადამიანის ჩათვლით. ხოლო ყოველი ადამიანის ძირითად ფუნქცია-დანიშნულებას წარმოადგენს **მიეზმაროს თავისივე წარმოქმნელს აბსოლუტური სრულყოფილებისაკენ სწრაფვაში.**

მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა, თუ რას წარმოადგენს კერძოდ ქართველი ადამიანის ფუნქცია-დანიშნულება ჩვენი ერის, ქვეყნის, სრულიად კაცობრიობისა და უმაღლესი შემოქმედის წინაშე. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა ვიცოდეთ თუ დასაბამიდან, რას წარმოადგენდნენ ქართველი ერის წინაპრები, რა ფუნქციას ასრულებდნენ, და აქედან გამომდინარე, რა ფუნქცია-დანიშნულება შეიძლება ეკისრებოდეთ მათ მომავალში. ამ ურთულესი საკითხების გარკვევის შემდეგ შესაძლებელი იქნება ვიფიქროთ, თუ რა უნდა აკეთოს ჩვენი ქვეყნის თითოეულმა მოქალაქემ და ქართველმა ხალხმა ამჟამინდელ პირობებში.

ადამიანი თავისი რაობისა და დანიშნულების გასაცნობად საჭიროებს ისეთ ყოვლისმომცველ ცოდნას, რომელიც „ღვთიურ სიბრძნეს“ შეესაბამება, და რომლის შემეცნება შესაძლებელია აზროვნების ორი ფორმით: ცნებით-რაციონალური (ეგზოთერული) და სიმბოლურ-მისტიკური (ეზოთერული). ძველი აღმოსავ-

ლეთის მოაზროვნეები, ეგვიპტელი ქურუმები, ძველი ბერძენი და ქართველი სიბრძნისმეტყველები ერთდროულად ფლობდნენ აზროვნების ორივე ფორმას. ცნებით-რაციონალური აზროვნებით ისინი ერკვეოდნენ მეცნიერებასა და ფილოსოფიაში, ხოლო სიმბოლო-რ-მისტიკური აზროვნებით არკვევდნენ „უჩინარი“ სამყაროს იდუმალ თვისებებსა და რელიგიურ საკითხებს.

უძველესი სიბრძნისმეტყველება, დროთა განმავლობაში, ურთიერთგამოყოფის გზით, დაიშალა სამ ძირითად მიმართულებად: მეცნიერებად, ხელოვნებად და რელიგიად. ამჟამად სახეზე გვაქვს ზუსტ და არაზუსტ მეცნიერებათა მრავალი დარგი, ხელოვნებისა და მწერლობის მრავალი მიმართულება და რელიგიების მრავალფეროვნება. მეცნიერების მთავარი დანიშნულება საგნებისა და კოსმოსური სამყაროს სტრუქტურულობისა და ევოლუციურობის კანონზომიერებების შემეცნებაში მდგომარეობს; ხელოვნებისა — ადამიანის გრძნობად-ემოციური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში; რელიგიისა — ადამიანის, კაცობრიობისა და სამყაროს ფუნქციური დანიშნულების დადგენაში.

კაცობრიობის ისტორია, გარკვეული თვალსაზრისით, 2 ძირითად ეპოქად იყოფა:

- ა. ძველ, მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესამდელ, ეპოქად;
- ბ. თანამედროვე ეპოქად.

ადრინდელ ეპოქაში, ადამიანი ინტელექტუალური გადაწყვეტილების მიღებისას უმთავრესად უშუალო ხილვას ეყრდნობოდა. დღეს კი – ხილვაზე მეტად მეცნიერულ დასკვნას, ლოგიკას ეყრდნობა.

როგორც ხილვა, ისე მეცნიერული დასკვნა (ლოგიკა) შეიძლება იყოს ღვთაებრივიცა და მცდარიც. მთავარია არა ის, თუ რის საფუძველზე იქნა მიღებული გადაწყვეტილება, არამედ ის, თუ რა შედეგს მოგვიტანს ეს გადაწყვეტილება.

ამჟამად სამეცნიერო ასპარეზზე გამოვიდნენ ისეთი მკვლევარები, რომლებიც, ჰუმანიტების დასადგენად, იყენებენ არა მარტო, ოფიციალურად აღიარებული, კვლევის მეცნიერული მეთოდებით მიღებულ შედეგებს, არამედ სიმბოლო-რ-მისტიკური აზროვნებით მიღებულ შედეგებსაც. მაგალითად:

ზვ. გამსახურდიას მიხედვით, დგინდება, რომ პროტო-იბერიული, ძველკოლხური და პელაზგური კულტურა ნათელმშვილველური კულტურაა, რომელიც წინ უსწრებს ინტელექტისმიერ, აზრობრივ კულტურას. ხოლო ძველბერძნული კულტურა და მითოსი ეყრდნობა პელაზგურ — პროტოიბერიულ ნათელმშვილველურ კულტურასა და მითოსს. ზვ. გამსახურდიას ბაბილონის დაცემამდე არსებულ ერთიან საკაცობრიო ენად პროტო-იბერიული, ანუ პროტო-ქართული ენა მიაჩნდა [6].

დ. ალფანიძე, ძველკოლხური ეპოსისა და მითოლოგიის ანალიზის საფუძველზე ასკვნის, რომ კოლხეთის მეფე აიეტი — კოსმოსური წარმოშობისაა. ის მზის ღმერთის ჰელიოსის შვილია. მისი და, კირკე ფაზისელი, ასევე მზის ღმერთის — ჰელიოსის შვილია და რომის ღვთისმშობელია. ხოლო, მედეა მზის ღმერთის ჰელიოსის შვილიშვილია. პრომეთე, რომელსაც ცეცხლი ჩამოაქვს ციდან, კირკე ღვთისმშობლის ბიძაშვილია. ხოლო, კოლხეთიც და იბერიაც, მითოლოგიური ინტერპრეტაციის საფუძველზე, ციური წარმოშობის ხალხებია [1].

აღ. ბესელიამ გამოიკვლია ქართველური ისტორიის შორეული წარსული და უძველესი ქართველური ტომების — პელაზგების წარმოშობა ახლოაღმოსავლეთსა და ხმელთაშუა ზღვისპირეთში. ავტორი მოგვითხრობს მსოფლიო წარღვნის რეალურ მიზეზებზე და შედეგებზე; „ზღვათა ხალხების“ ვინაობაზე, განსახლების ადგილებზე და მათი ლაშქრობის მიზეზ-შედეგებზე [5].

ვლ. ვახანიამ ქართველური (კოლხური) ლაზურ-მეგრული ენის გამოყენებით დაადგინა, რომ ქრისტემ თავისი უკანასკნელი სიტყვები თქვა ძველ ქართულ ენაზე — კოლხურ, ლაზურ-მეგრულ ენაზე [10].

გ. ნატროშვილის კვლევით გაირკვა, რომ ძველ სამყაროში, ცივილიზაციებს და მასთან დაკავშირებულ კულტურებს აქვთ ერთი ფუძე და წარმოშობის ერთი ადგილი. უძველეს ცივილიზაციებს შორის ერთ-ერთი პირველწყარო არის პროტოიბერიული ცივილიზაცია, რომელიც განფენილი იყო მთელ ხმელთაშუა ზღვის სივრცეში. მასში ჩაისახა შეუქცევადი ისტორიული გლობალიზაციის პროცესი, რომელიც დღესაც განუწყვეტლივ მიმდინარეობს. ნატროშვილის გამოკვლევით დასტურდება, რომ

„იბერიული ნიშანი“ დიდ სამყაროში იყო გლობალური პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილი. ამასთან ერთად ის იყო მისი თვითმყოფადობის, გენეტიკური კოდის, განსხვავებული ზნე-ჩვეულებების მატარებელი, რომლის საფუძველზე „იბერიელი მუდამ იბერიელად“ რჩებოდა, ამასთან ერთად მას მეტად მნიშვნელოვანი სავაჭობრიო ფუნქცია გააჩნდა [17].

ს. მასხარაშვილი არის ისტორიკოსი, რომელიც წიგნში „მატიანე ქართველთა“ განიხილავს ქართველთა წარმოშობის არაქართლისცხოვრებისეულ, ძირძველ, მივიწყებულ ვერსიას. მისი კვლევით, ბაბილონის გოდოლის შენებისას იყო ერთი „ნათესავი“ („მოდგმა“) — **ებერის** მოდგმა, რომელიც არ მონაწილეობდა გოდოლის შენებაში. ეს სწორედ ის რჩეული მოდგმაა, რომელიც გოდოლის რღვევის შემდეგ უფალს არ განუდევნია და სხვათა მსგავსად არ განუფანტავს კავკასია-შუამდინარეთიდან. ებერთა შთამომავალნი თავისი საქციელით კაცობრიობასთან შედარებით ინდივიდუალურნი, თვითმყოფადნი და ორიგინალურნი იყვნენ. ლაზები, ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი კულტურის მქონე ქართველურ-იბერიული მოდგმა. სწორედ მათ დაუდეს სათავე მსოფლიოში რკინის მეტალურგიას. ს. მასხარაშვილი პასუხს სცემს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა: გოდოლამდელი კულტურის, ადრინდელი გლობალზაციისა და „აბრეშუმის გზი“-ს საკითხი; მცხეთის „მეორე იერუსალიმობის“ საკითხი და სხვ. ს. მასხარაშვილის მტკიცებით, ქართველი ერის რეალურ ღვაწლსა და დამსახურებას მსოფლიო ისტორიის, ცივილიზაციისა და უფლის წინაშე ოდნავადაც ვერ მიესადაგება ის მწირი სახელი და აღიარება, რომელიც ამ ერს აქვს თანამედროვე მსოფლიოში, ქართველი ერი არნახულად მეტის ღირსია. თუმცა ის რაც გვეკუთვნის ღვთისაგან, როგორ წესი, კაცთაგან თავგანწირული ბრძოლის შედეგად უნდა მოიპოვო [14].

კაცვლაშვილების კვლევით დგინდება, რომ ქალდეაკოლხეთ-საქართველო არის ღვთის მიერ პირველქმნილ ადამიანთა პირველსაცხოვრისი — „სამოთხე-ედემი“; ის, რომ ქართველები არიან შემქმნელი პირველი მონოთეისტური რელიგიისა, შთამომავანი იმ ქალდეველებისა, რომელთაც ალაშენეს ბაბილონი, აღმართეს გასაოცარი „მთა-ტაძრები“,

შექმნეს უდიდესი ცივილიზაციის იმპერიები და სამეფოები; რომ მცხეთა-არმაზი წარმოადგენდა მცირე აზიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რელიგიურ ცენტრს. ამიტომ სავსებით შესაძლებელია, რომ საქართველოს ეკლესიისა და საქართველოს მთავრობის ერთიანი ძალისხმევით საქართველო გახდეს მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი რელიგიური და ტურისტული ქვეყანა, რაც წარმოადგენს ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური აღორძინების ერთ-ერთ რეალურ გზას [11].

ანა მესხის კვლევით, დგინდება, რომ დამწერლობა ღვთაებრივი წარმოშობისაა. შუშერული დამწერლობის ღმერთად მიჩნეულია ღვთაება **ნაბუ**, ხოლო ეგვიპტურისა — ღვთაება **თოთი**. ხოლო, მათ უკან დგას დამწერლობის ერთი **ჭეშმარიტი ღმერთი**, რომელიც უხილავია და ეზოთერიზმის სფეროს მიეკუთვნება. ანა მესხი, თავისი მრავალმხრივი კვლევით, მიდის დასკვნამდე, რომ ზოგადად ანბანური დამწერლობის ღმერთად უნდა მივიჩნიოთ ქართველური **უხინარი შემოქმედი** ღმერთი, რომელიც ქართული ასომთავრული ანბანში ასო-ნაშან „ღანით“ — **ღ**-თ გამოისახება [15].

ალ. ცინცაძე, ქართული ჰემატრიის კვლევის შედეგად, ასკვნის, რომ ქართულ ენაში დამარხული საიდუმლო იმდენად დიდია, რომ მისი გაშიფრვა შესაძლებელია მხოლოდ ღმერთის შეწვევითა და ხელდასხმით. მისი მოსაზრებით, ქართული ჰემატრიული კვლევის შედეგებს აქვთ შემდეგი სახის ღირებულებები:

1. მეცნიერული: ძირითადად იცვლება მათემატიკის, ასტრონომიის, ანბანთმცოდნეობის, კალენდარმცოდნეობის მსოფლიო პირველისტორია;
2. სარწმუნოებრივი: ჰემატრიულად (მათემატიკურად) ზუსტად მტკიცდება, რომ ქართველები ღმერთის შექმნილი პირველკაცის ადამის ძეები არიან;
3. პოლიტიკური: ახლებურად წარმოჩინდა წინარეჟრისტიანული საქართველოს წვლილი მსოფლიო პირველისტორიაში.

ჰემატრიული კვლევის უმნიშვნელოვანესი შედეგებია: ქართველ ქურუმთა ფარული ენა ჰემატრიული ენაა; თანამედროვე სახის ქართული ანბანი შექმნილია ძვ.წ. 2200-1000 წწ. პერი-

ოდში; წინარეჟრისტიანული საქართველოს ისტორია თავიდანაა დასაწყერი [30].

ირკვევა, რომ ქალდეველთა თავდაპირველი განსახლების ადგილი იყო ბიბლიური „სენაარი“. ხოლო „სენაარი“ მიჩნეულია კაცობრიობის ცივილიზაციის აკვნად, არა მარტო თეოლოგების მიერ, არამედ მეცნიერთა მიერაც. აქ ჩამოყალიბდა ქალდეველთა უზარმაზარი იმპერია, რომელიც, ფაქტობრივად, მთელი მცირე აზიის ტერიტორიებს მოიცავდა. ქალდეველთა მიერ შექმნილი რელიგია ქალდეზბში, ევროპელ მეცნიერთა აზრით, მსოფლიო მონოთეისტურ რელიგიათა შორის, ყველაზე უძველესია. ირკვევა, რომ ქართველი ერი განლავთ თავისებური ცოცხალი ჰოლოგრაფიული ნამსხვრევი დიდი ქალდეური ერისა, რომელიც ინარჩუნებს ყველა იმ ფიზიკურ და სულიერ მახასიათებელს, რაც გააჩნდა შარავანდედით შემოსილ დიდებული კულტურის მქონე მათ წინაპარ ეთნოსს.

აღმოჩნდა, რომ ოდითგანვე ქართველთათვის ჭეშმარიტ ღმერთად მიიჩნეოდა „ღმერთი დამბადებელი ყოვლისა“, ანუ ერთი „ჭეშმარიტი ღმერთი“ — მამადმერთი. საქართველოში „ჭეშმარიტი ღმერთი“-ს რწმენა გრძელდებოდა ქრისტიანობამდე, რომლის აღიარების შემდეგ, ქართველი ხალხის რელიგიას წარმოადგენს ღვთისმეტყველების ყველაზე პროგრესული — ქრისტიანულ-მართლმადიდებლური ფორმა, რომელიც აღიარებს მამადმერთის, ძეღმერთისა და სულიწმიდაღმერთის სამერთობას.

მტკიცდება, რომ ქართული ენა ზუსტად ასახავს ბუნებაში არსებული საგნებისა და მიმდინარე მოვლენების თვისებებსა და ფუნქციურ დანიშნულებას, აბსოლუტური სრულყოფილებით გადმოსცემს ადამიანთა გონებაში წარმოშობილ ნებისმიერ ნააზრევს, ადამიანის სამეტყველო აპარატის მიერ წარმოთქმულ ნებისმიერ ბგერათა შესატყვის ზუსტ ჟღერადობას. არსებობს სიტყვაწარმოქმნის მიზანდასახული გზა, როცა სიბრძნისმეტყველები და ქურუმები, რომელთაც ხელეწიფებოდათ ახალი სიტყვების დაფუძნება, სიტყვის წამოქმნისას ხელმძღვანელობდნენ იმ მოსაზრებით, რომ საგნის ან მოვლენის შესატყვისი სიტყვა უნდა ყოფილიყო იმავე საგნის ან მოვლენის ძირითადი არსის, თვი-

სების, მისი ფუნქციური დანიშნულების გამომხატველი, ბგერათა წყობის მეშვეობით. ქართველი სიბრძნისმეტყველები ახალი ქართული სიტყვების დაფუძნებისას იყენებდნენ ასომთავრულ ანბანსა და ქართულ ჰემატრიას. მაგალითად, აღმოჩნდა, რომ ქართული სიტყვა „წელიწადი“, ქართულ ჰემატრიის გამოყენებით დაფუძნებული სიტყვაა, რომელიც, უაღრესად დიდი სიზუსტით, ასახავს მზის უძრავ კალენდარს. ეჭვშეუტანლად შეიძლება ითქვას, რომ **ქართული ენა დმერთისეული ენაა!**

როგორც ისტორიული წყაროებით, ისე ბიბლიით **დამწერლობის შემქმნელებად** მიჩნეულნი არიან **პროტოქართველები**, რაც მეცნიერულადაც დასტურდება.

აღმოჩნდა, რომ ქართულმა დამწერლობამ გაიარა დამწერლობის ყველა სახეობა: სიმბოლურ-სიტყვიერი, წერაქველ-წერტილოვანი, კოლხური ოქროდამწერლობა, A-ხაზოვანი დამწერლობა, სამი სახეობის ანბანური დამწერლობა. მიჩნეულია, სამივე ქართულ-ანბანური დამწერლობა **სულიწმიდის შთავგონების** შედეგია.

მტკიცდება, რომ **ასომთავრული ანბანი**, რომელიც უნიკალური, უაღრესად დახვეწილი და სრულყოფილია ყველა იმ ანბანურ დამწერლობათა შორის, რომელიც კი შექმნილა ოდესმე ადამიანის გონების მიერ. ეს ანბანი მისი შემოქმედის მიერ საოცრად ბუნებრივადაა მისადაგებული ქართული ბგერების წარმოთქმა ჟღერადობასთან და ძალუძს მათი ჩაწერა თითქმის სრულიად დაუმახინჯებლად [11, გვ. 373]

XXI საუკუნეში დგას გლობალიზაციის საკითხი. ზოგს ეშინია ამ პროცესისა და გაურბის, იმიტომ, რომ არ იცის ძველი გლობალიზაციის (ბუნებრივი გლობალიზაციის) მახასიათებლები და იბერიელთა საუკუნოვანი მისია ამ ურთულეს პროცესში. ამჟამად თუ გლობალიზაცია არ განვითარდა სწორი მიმართულებით, აუცილებლად გამოიწვევს ერების უმთავრესი მახასიათებლების „ჩაყლაპვას“. ამ თვალსაზრისით გლობალიზაცია ყველა ერს ემუქერბა. გამონაკლისი არც ქართველი ერია, თუ ახალ ეპოქაში არ ისწავლა საკუთარი თავის მართვა და მოქმედება საკუთარი წარსულისა და ისტორიული მენსიერების საფუძველზე. მეცნიერულ-ტექნიკური და ტექნოლოგიური რევოლუციები „უსაზღვარო

მსოფლიოსაკენ“ მიგვაქანებს. და საერთო-საკაცობრიო მოვლენა განდება „პოსტინდუსტრიული საზოგადოება“, რომლის ეკოლუციურობას უნდა ემსახუროს ყოველი ადამიანი.

აღმოჩნდა, რომ კაცობრიობის ბედნიერი მომავლის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ყოველი ადამიანის, ყოველი ოჯახის, ყოველი ქვეყნის **გაპუმანურებით, სამართლებლივი სახელმწიფოების შექმნით, ადამიანის უფლებების უცილობელი დაცვით**, სამართლიან-დემოკრატიული და პოლიტიკურ-სოციალური გარემოს ჩამოყალიბებით, დედამიწაზე დღეს არსებულ ყველა ქვეყანაში.

მტკიცდება, ქართველები ვართ იმ ხალხისა და იმ ცივილიზაციის მემკვიდრეები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ბუნებრივ გლობალიზაციას უძველეს ხანაში, რომლის ძირითადი შემომქმედნი პროტოიბერიელები იყვნენ.

ქართველ ერს ამჟამადაც გააჩნია დიდი შანსი იმისა, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს კაცობრიობის **ძალდატანებით კულტურულ** გლობალიზაციას და შექმნას დამოუკიდებელი და თვითმყოფადი სახელმწიფო, **საკაცობრიო ურთიერთობების** ფარგლებში.

„საქართველო მხოლოდ მაშინ გადარჩება და დაიმკვიდრებს ღირსეულ ადგილს მსოფლოში, თუ ის, თავის ტრადიციებზე (კულტურაზე) დაყრდნობით, შექმნის თანამედროვე ტექნოლოგიებზე და მიღწევებზე დაფუძნებულ ქართულ სახელმწიფოს“. იგი დასავლეთისა და აღმოსავლეთის, ან ჩრდილოეთისა და სამხრეთის დაპირისპირების ბრძოლის არენად კი არ უნდა იქცეს, არამედ მათი ურთიერთდამაკავშირებელი რგოლის ფუნქციის შემსრულებლობა უნდა იკისროს. ალბათ ესაა მისი ძირითადი ფუნქციური მისია კაცობრიობის ბუნებრივი გლობალიზაციის ეპოქაში.

აღსანიშნავია, რომ როგორც თითოეული ადამიანი, ისე ნებისმიერი ერი, ღმერთისეული წარმონაქმნია, რომლის მისია შემოქმედებით შრომაში და სიკეთის ქმნადობაში მდგომარეობს.

ძალზე მნიშვნელოვანია საქართველოს ისტორიის იმდაგვარად წარმოჩინება, რომ აღდგეს ლოგიკური კავშირი აწმყოსა და წარსულს შორის, რათა ვიგრძნოთ ეროვნული ღირსება. ღირსება

დაბრუნებული საქართველო კვლავაც შესძლებს იქცეს ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ მსოფლიო.

ამას ვი, როგორც წმიდა ილია იტყოდა, „დასჭირდებიან ეპოქის შესაბამისი „დიდბუნებოვანი კაცნი“ და ისინი აუცილებლად გამოჩნდებიან“.

თეოსოფიური თვალსაზრისით, საქართველოს მისია წარმოადგენს დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნების კულტურული და ეკონომიკური ინტერესების ურთიერთდაბალანსება, და ამით გარკვეული წვლილის შეტანა კაცობრიობის ბუნებრივი გლობალიზაციის პროცესში.

ამ შემთხვევაში, როგორც ჩრდილოეთის, ისე სამხრეთის ქვეყნები იძულებულნი იქნებიან პატივი მიაგონ საქართველოს თავისუფლებასა და თვითმყოფადობას.

ილია ჭავჭავაძე არაერთხელ აფრთხილებდა ქართველ ერს, რომ „წარსულის დავიწყება იყო მომავალზე უარის თქმა. ამდენად თანამედროვე ქართველებმა მტკიცედ უნდა გაიცნობიერონ და სამუდამოდ შეისიხლხორცონ ის ისტორიული ჭეშმარიტება, რომ ისინი არიან ერთადერთი შთამომავალნი და მემკვიდრენი კაცობრიობის ერთ-ერთი უძველესი ცივილიზაციის შემქმნელი ქალდეველებისა და საკუთარი წამომავლობის ეს ცოდნა უნდა დაედოს მყარ საფუძვლად ჩვენი ერისა და ქვეყნის დღევანდელ და სამომავლო ცხოვრებას“.

ლ. ალფენიძის აზრით, „ჭეშმარიტების აბსოლუტური გასადები არავის არ უჭირავს ხელში. ჯერ კიდევ ბევრი რამ ხელახლა შეფასდება და გადაფასდება. ის, რაც დღეს შეუვალი ჭეშმარიტება გვგონია, ხვალ შეიძლება დრომოჭმულ ჰიპოთეზადაც არ გამოდგეს. მაგრამ თუ ვერაფერს მივუმატებთ ერის ისტორიას, ნურაფერს მაინც ნუ დავაკლებთ მას“ [2, გვ. 514].

„აღაპიანო!
შენ ღმერთი გენდო,
მეტი რა გინდა!“¹

¹უცნობი ქართველი პოეტი

ლიტერატურა

- [1] ალფენიძე, ა. *რჩეული თხზულებანი*. ტ. 1. თბ.: „სამშობლო“, 1997.
- [2] ალფენიძე, ა. *რჩეული თხზულებანი*. ტ. 3. თბ.: „სამშობლო“, 1997.
- [3] „საქართველოს ისტორია 4-ტომად“: (რედ. აფაქიძე, ა., ჯაფარიძე, ო. და მუსხელიშვილი, დ.). „პალიტრა“, 2012.
- [4] ბატიაშვილი, ელ. *გლობალიზმი და ნაციონალიზმი*. თბ.: „საქართველოს პარლამენტის ილ. ჭავჭავაძის სახ. ეროვნული ბიბლიოთეკა“, 2014.
- [5] ბესელია, ალ. *ქართველების კვალი ახლო აღმოსავლეთში და ხმელთაშუა ზღვისპირეთში*. თბ.: „უნივერსალი“, 2012.
- [6] გამსახურდია, ზ. *საქართველოს სულიერი მისია*. თბ.: „განათლება“, 1990.
- [7] გიორგაძე, გრ. *უძველესი ახლოაღმოსავლური ეთნოსები და ქართველთა წარმომავლობა*. თბ.: სულხან-საბას სახ. პედაგ. უნივერსიტეტი, 2002.
- [8] ვაშაკიძე, ვ. და პაიჭაძე, დ. *ქართველი ერის ჩამოყალიბება*. თბ., 1990.
- [9] ვაწაძე, ვლ. *იბერიის სამეფოს წარმართული ღვთაებები*. თბ.: „უნივერსალი“, 2007.
- [10] ვახანია, ვლ. *კოლხეთ საქართველოს ეპოსი*. თბ.: „ინოვაცია“, 2011.
- [11] კაცელაშვილი ბასილაძე, ზ., კაცელაშვილი, ლ. და კაცელაშვილი, მ. *აბატ ლორენსო ჰერვას პანდუროს „მსოფლიო ენათა კატალოგები“ და ზენაარელი ქალდეველ-ქართველები*. თბ., 2014.
- [12] კოკოშაშვილი, გ. *„ტერმინ წარმართობისათვის“: შრომები: საერთაშორისო კონფერენცია „მეცნიერება და რელიგია“*. თბ.: საქ. ტექ. უნივ., 2010, გვ. 31.

- [13] კოსტავა, მ. *ფიქრები საქართველოს მისიაზე*. თბ.: „საქართველო“, 1991.
- [14] მასხარაშვილი, სვ. *მატიანე ქართველთა*. თბ.: ელფის გამომცემლობა, 2006.
- [15] მესხი, ან. *ქართველურ-მუშერულ-ეგვიპტური ლინგვოკულტუროლოგია*. წიგნი I. თბ.: „მწიგნობრობა“, 2011.
- [16] ნადირაძე, ელ. *მსოფლიო რელიგიები*. თბ., 1996.
- [17] ნატროშვილი, გ. *იბერო - ევროპული მეგაცივილიზაცია*. თბ.: „პოლიტრანსი“, 2011.
- [18] ორბელიანი, სულხან-საბა. *ლექსიკონი ქართული*. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1966.
- [19] პატარიძე, რ. *ქართული ასომთავრული*. თბ., 1980.
- [20] სალუაშვილი, ს. *ქართული წარმართული პანთეონის ქრონოლოგიის საკითხისათვის. (ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით)*. თბ., 2011.
- [21] *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*. ტ. 1. „საბჭოთა საქართველო“, 2007.
- [22] *ქართლის ცხოვრება*. ტ. 1. „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, 2012.
- [23] ქაფიანიძე, ზ. და მიბჩუანი, თ. *კაცობრიობის პირველი ანბანი. მუშერულ-ქართული პარალელები*. „ფორმა“, 2002.
- [24] ქვრივიშვილი, ოთ. *ენის არქაული ძირები*. „ნეკერი“, 2010.
- [25] შოშიაშვილი, შ. „ზოგიერთი ქართული სიტყვის წარმოშობის შესახებ“: *საქართველოს ბიბლიოთეკა №2* (2007).
- [26] შოშიაშვილი, შ. *სამყარო მეცნიერება რელიგია*. თბ.: „მერიდიანი“, 2008.
- [27] შოშიაშვილი, შ. *კოსმიური სამყარო თეოსოფიური გადმოსახედიდან*. წ. I. თბ.: „მერიდიანი“, 2012.
- [28] შოშიაშვილი, შ. *კოსმიური სამყარო თეოსოფიური გადმოსახედიდან*. წ. II. თბ.: „მერიდიანი“, 2012.
- [29] ცინცაძე, ალ. *მოელის დღესა მას მეორედ მოსვლასა...* თბ., 2013.
- [30] ცინცაძე, ალ. *ქართული ჰემატრია*. თბ., 2015.

- [31] ჭავჭავაძე, ილ.: *თხზულებანი 5 ტომად*. ტ. 4. „საბჭოთა საქართველო“, 1987.
- [32] ჯავახიშვილი, ივ. *ქართველი ერის ისტორია*. ტ. 1. თბ.: თსუ, 1979.
- [33] ჯაფარიძე, მიტროპოლიტი ანანია. *საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია*. ტ. 1. თბ.: „გუმბათი“, 2012.
- [34] ჯაფარიძე, მიტროპოლიტი ანანია. *საქართველოს ისტორია (საქართველოს რუკები)*. თბ.: „გუმბათი“, 2014.
- [35] Богданович, В.Н.. *Чаша кармы*. „Диамат“, 1995.
- [36] Папюс. *Оккультизм*. Москва: „Селена“, 1994.

ინტერნეტ რესურსები

- [37] *ახალი არქეოლოგიური აღმოჩენა შირაქის ველზე*.
<http://rustavi2.com/ka/news/5639>. *ნაქალაქარი შირაქის ველზე*.
<http://www.ambebi.ge/regionebi/118916-shirax>.
- [38] *ბაბილონის გოდოლი*.
https://ka.wikipedia.org/wiki/ბაბილონის_გოდოლი.
- [39] *გია კვაშილავა*.
<http://saunje.ge/index.php?id=1555&lang=ka>.
- [40] *გიობეკლი-თეფე*.
https://en.wikipedia.org/wiki/G%C3%83%C2%B6bekli_Tepe.
- [41] *გრაკლიანის წარწერა*.
www.netgazeti.ge/GE/105/cultur9072.
- [42] *დაკიდული ბალები*.
https://ka.wikipedia.org/wiki/ბაბილონის_დაკიდებული_ბალები.
- [43] *დმანისის აღმოჩენა*.
<https://www.about.ge/ka/pois/?poid=894>.
- [44] *თამაზ ჩხენკელი*.
https://ka.wikipedia.org/wiki/თამაზ_ჩხენკელი.
- [45] *საქართველოს ქრისტიანული რელიქვიები*.
<http://www.orthodoxy.ge/sitsmindeebi.htm>.
- [46] *საყდრისი - ოქროს უძველესი წარმოების კერა*.
<https://iberiana.wordpress.com/iberiana/sakdrisi/>.

- [47] *საყდრის-ყაჩალიანის გორა აფეთქებამდე.*
<http://saunje.ge/index.php?id=1482&lang=ka>.
- [48] *საყდრის-ყაჩალიანის გორის ნგრევა.*
<https://iberiana.wordpress.com/iberiana/sakdrisi/>.
- [49] *სტოუნჰენჯი.*
<http://ucnauri.com/208855/stonehenge//>.
- [50] *„ჩვენი სანუჯე“. დმანისის ნაქალაქარი.*
<http://www.saunje.ge/index.php?id=731&lang=ka>.
- [51] *ძველი ანატოლია.*
<http://saunje.ge/index.php?id=935&lang=ka>.
- [52] *წარღვნა და ცივილიზაცია.*
<http://ucnauri.com/194020/მეცნიერული-წარღვნა-და-ცი/>.
- [53] *წარღვნამდელი ცივილიზაცია: პირამიდა მექსიკაში.*
<http://www.apocalypse.ge/ატლანტიდა თუ წარღვნამდელი ცივილიზაცია.html>.
- [54] *წერაქვული დამწერლობა.*
<http://saunje.ge/index.php?article&id=1385&lang=ka>.

შინაარსი

შესავალი	1
1 ისტორიული მონაცემები	13
შესავალი	13
1 ძველი ქვის ხანა– პალეოლითის ხანა საქართველოში	14
2 ახალი ქვის ხანა — ნეოლითის ხანა	17
3 სპილენძ-ქვის პერიოდი	18
4 ბრინჯაოს ხანა საქართველოში	19
5 რკინის ხანა ძვ.წ. I ათასწლეულიდან ქრისტესშობამდე	20
6 „საყდრისი-ყაჩალიანის“ შესახებ	30
2 ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია	39
შესავალი	39
1 მსოფლიო წარღვნამდელი ცივილიზაცია	40
2 მსოფლიო წარღვნის შესახებ	46
3 ნოეს შესახებ	50
4 ბაბილონის გოდოლი და ხალხთა მოდგმა	51
5 მსოფლიო ენათა ოჯახები	57
6 „თუბალი“ და „მოსოხი“	60
7 ფარნავაზის შესახებ	64
3 პროტოიბერების შესახებ	75
შესავალი	75
1 ქართველთა წარმომავლობისათვის	77
2 პროტოიბერების შესახებ	81
3 იბერების კვალი ახლო აღმოსავლეთში	87
4 „ზღვათა ხალხების“ შესახებ.	94
5 გალილეას შესახებ	95
6 იესო ქრისტე და გალილეველთა წინაპრები	96
4 ქალდეველ-ქართველთა შესახებ	99
შესავალი	99
1 „ზენაარელი“ ქართველები	100

2	ქალდეველთა ბაბილონის გოდოლი	101
3	ქალდეველთა რელიგია	102
4	ქალდეველთა ენა	104
5	ქალდეველთა საცხოვრისი	106
6	ქართველთა ქალდეველობა	107
5	ქართველთა რელიგიების შესახებ	111
	შესავალი	111
1	თაყვანისცემა ერთი ჭეშმარიტი ღმერთისა	112
2	ციურ მნათობთა თაყვანისცემა	115
3	კერპთაყვანისმცემლობა საქართველოში	117
4	„ზოროასტრიზმი“ საქართველოში	121
5	ქართველთა „კაციჭამიობის“ საკითხი	122
6	ქართველთა „წარმართობის“ შესახებ	123
7	ქრისტიანობა საქართველოში	125
8	წმიდა გიორგის შესახებ	129
9	კაპადოკიის შესახებ	132
10	საქართველოს ქრისტიანული რელიქვიები	134
6	ქართული ენის შესახებ	141
	შესავალი	141
1	ენის წარმოშობის ბუნებრივი გზა	145
2	სიტყვების მიზანდასახულად ქმნადობა	154
3	ცალკეული სიტყვების ბგერათმეცყველება	158
4	ქრისტეს ბოლო სიტყვის შესახებ	162
7	ქართული დამწერლობის შესახებ	167
	შესავალი	167
1	დამწერლობის შესახებ	168
2	ძველკოლხური ოქროდამწერლობის შესახებ	169
3	A-ხაზოვანი დამწერლობის შესახებ	172
4	„გრაკლიანის“ წარწერა	173
5	ქართული ანბანის ფუძისდება	176
6	ქართული ანბანის გრაფიკული სახეები	180
7	ასომთავრული ანბანის განსაკუთრებულობა	182
8	კალენდარი ასომთავრულ ანბანში	187

9	ოქროს კვეთა ასომთავრულ ანბანში	190
10	დამწერლობა ღვთაებრივი შემოქმედების ნაყოფია .	195
8	ქართული ჰემატრიის შესახებ	203
	შესავალი	203
1	ოკულტიზმის შესახებ	203
2	კაბალას შესახებ	206
3	რა არის ჰემატრია	208
4	ქართული ჰემატრია	211
5	ერთის, სამყაროსა და ღმერთის იგივეობა	216
6	ქართული ჰემატრიული სიტყვები	220
	დასკვნა	225
9	გლობალიზაციის შესახებ	227
	შესავალი	227
1	ს. მასხარაშვილი გლობალიზაციის შესახებ	230
2	„მცირე იმპერიის“ შესახებ	234
3	გ. ნატროშვილი გლობალიზაციის შესახებ	236
4	თავისუფლება და აუცილებლობა	244
5	კაცობრიობა და გლობალიზაცია თეოსოფიური თვალ- საზრისით	248
10	ქართველი ერის მისიის შესახებ	251
1	საქართველოს მისია მართლმადიდებლობის თვალ- საზრისით	251
2	საქართველოს მისია:ზ.გამსახურდია და მ.კოსტავა .	253
3	საქართველოს მისია გლობალიზაციის თვალსაზრისით	256
4	საქართველოს მისია თეოსოფიური თვალსაზრისით	258
	ეპილოგი	261
	ლიტერატურა	271



შოთა შოშიაშვილი დაიბადა 1937 წლის 11 ნოემბერს თბილისში. მამა – შოშიაშვილი სოლომონი (1909-1972) – სპეციალობით ხითხურო. დედა – ქობილაშვილი თამარი (1915-1996) – დიასახლისი.

შ. შოშიაშვილმა 1956 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის რკინიგზის №9 საშუალო სკოლა. 1957-დან სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის ფიზიკის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1963 წელს და მუშაობა დაიწყო თსუ-ს ფიზიკის ფაკულტეტის ბირთვული ფიზიკის კათედრაზე.

შ. შოშიაშვილი იმყოფებოდა ხანგრძლივ სამეცნიერო მივლინებაში ქალაქ დუბნის ბირთვული გამოკვლევების გაერთიანებულ ინსტიტუტში, სადაც 1977 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ელემენტალური ნაწილაკების ფიზიკაში. 1988 წლის სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უმაღლესი საატესტაციო კომისიის გადანაცვტილებით შ. შოშიაშვილს მიენიჭა უფროსი მეცნიერ თანამშრომლის წოდება.

მას, სხვა მეცნიერთანამშრომლებთან ერთად გამოქვეყნებული აქვს 55 სამეცნიერო შრომა ელემენტალური ნაწილაკების ფიზიკაში.

იგი 1990 წლიდან 2006 წლამდე მუშაობდა თსუ-ს ფიზიკის ფაკულტეტის ზოგადი ფიზიკის კათედრის დოცენტის თანამდებობაზე.

1993 წლიდან იგი დაინტერესდა რელიგიისა და მეცნიერების ურთიერთმიმართების საკითხებით. ამ მიმართულებით მან გამოაქვეყნა 15 სამეცნიერო სტატია და წიგნები სახელწოდებით: „კოსმიური სამყაროსა და სულის უკვდავების შესახებ“ (2003 წ.), „სამყარო, მეცნიერება, რელიგია“ (2008 წ.), „კოსმიური სამყარო თეოსოფიური გადმოსახედიდან“ (2012 წ.), რომლებშიც, გრდა კოსმოსური სამყაროს მიკროსტრუქტურის, მაკროსტრუქტურისა და მოშავლისა, განხილულია მეცნიერებისა და რელიგიის ურთიერთმიმართების საკითხები.

წინამდებარე წიგნში ავტორი იხილავს ქართველთა წინაპრების წარმომავლობის, განსახლების, უძველესი ისტორიის, სარწმუნეობის, ენის, დამწერლობის, პემატრიის და სხვა საკითხებს.

(ტელ: 2 23 55 03; მობილ. 551 23 55 05).

Email: ShoShia77@gmail.com

ISBN 978-9941-0-8373-0



9 789941 083730